

ვ. ვაშაკიძე, ვ. ურუშაძე,
ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი

საზღვრისპირა მოსახლეობა
ძველად და ახლა
(კახეთი)

თბილისი
2022



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
ცხოვრებადი საზოგადოებრივი ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

**ვალერიან გაშაკიძე, ვახტანგ ურუშაძე,
ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი**

საზღვრისპირა მოსახლეობა კველად და ახლად (კახეთი)

თბილისი
2022

მონოგრაფია გამოცემულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული პროექტის, „საზღვრისპირა მოსახლეობის ეთნო-კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოურ პერიოდში (კახეთი)“ (BRG-I-21-954), ფარგლებში.

წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

რედაქტორი: **ვალერიან ვაშაკიძე**

რეცენზენტები: **ლიანა მელიქიშვილი**
როლანდ თოფჩიშვილი

დაკაბადონება: **ანა რუაძე**

- © შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2022
- © კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2022
- © ვალერიან ვაშაკიძე, ვახტანგ ურუშაძე, ნათია ჯაღაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, 2022

წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფია მომზადდა და გამოიცა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული პროექტის, „საზღვრისპირა მოსახლეობის ეთნო-კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოურ პერიოდში (კახეთი)“ (BRG-I-21-954), ფარგლებში. კვლევა განხორციელდა კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. პროექტში მონაწილეობდნენ: ვ. ვაშაკიძე, ვ. ურუშაძე, ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი. წიგნი ინტერდისციპლინური ხასიათისაა. მკვლევართა ჯგუფმა შეისწავლა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისპირა (კახეთის) რეგიონის მოსახლეობის წარსული და თანამედროვე ეთნო-კულტურული სიტუაცია. საზღვრისპირა მოსახლეობის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრების აღქმის თავისებურებანი; ისტორიული ნარატივების, ეთნოგრაფიული გარემოს როლი ამ პროცესებში; საკვლევი რეგიონის დემოგრაფიული ტრანსფორმაცია ქრონოლოგიურ ჭრილში; საზღვრისპირა მოსახლეობის დასახლების ფორმები, ეკონომიკა, რელიგია, სოციალური ყოფა; ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობები; მედია გარემოს, არასამთავრობო სექტორის, ქართული და აზერბაიჯანული სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა რეგიონში განვითარებულ ეთნო-კულტურულ პროცესზე. კვლევის დროს ძირითადად გამოყენებულია კაბინეტური (ისტორიულ წყარობსა და სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობა), ემპირიული (საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი) და სოციალური მედიის კვლევის მეთოდები.

საქართველოს სასაზღვრო რეგიონების შესწავლას არამარტო სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული დანიშნულება აქვს, ვინაიდან ის უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხს. იმ დროს, როცა ქვეყნის 20 % ოკუპირებულია, საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საზღვრებზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამავდროულად, ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს პრობლემისადმი ქართული საზოგადოების ცვალებადი განწყობებისა და საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან, რაც დიდწილად განაპირობებს მათი ურთიერთობის პოლიტიკას. ეს ორი ქვეყანა ქმნის ღერძს, რომელიც შავ ზღვას კასპიის ზღვასთან და დასავლეთს აღმოსავლეთთან აკავშირებს. დიდმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენმა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტებმა – უფრო განამტკიცა ორი ქვეყნის ურთიერთობა. რუსული ჰიბრიდული ომის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია მათ შორის მშვიდობიანი და სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება. ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობა ცდება კავკასიის მასშტაბს და დიდი გეოსტრატეგიული მოთამაშეების ინტერესებში ექცევა. სწორედ ამიტომ არის საშური ხსენებული საკითხის ინტერდისციპლინური კვლევა და იმ ფაქტორების გამოვლენა, რაც ამ ორ სახელმწიფოს გარკვეულ პრობლემებს (საზღვრისპირა მოსახლეობაში სეპარატისტული და ეთნოცენტრული ტენდენციები, სამხრეთ-ყოფითი კონფლიქტები, რელიგიური ხასიათის დაპირისპირებები, მიგრაციული პროცესები და ა.შ.) უქმნის. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი დღემდე არ დასრულებულა, რაც გარკვე-

ული ობიექტური და სუბიექტური პრობლემებით არის განპირობებული. აღნიშნული თვალსაზრისით, ყურადსადებია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ის მონაკვეთი, რომელიც კახეთის მხარეს ემიჯნება და მოიცავს ლაგოდუხის, დედოფლისწყაროს, სიდნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს.

უძველესი დროიდან ეს იყო საკონტაქტო ტერიტორია, სადაც შეხება ჰქონდათ ქართველური და კავკასიის ალბანური მოდგმის მოსახლეობას. მოგვიანებით, მას ერთმანეთს ეცილებოდა ქართლის (იბერიის) და ალბანეთის სამეფოები; XV ს-დან ტერმინი ჰერეთი აღარ იხმარება და მას სახელწოდება „კახეთი“ ფარავს. მე-17 საუკუნეში ჰერეთის აღმოსავლეთ განაპირა თემში (კაკი/კახი) ჩამოყალიბდა ავარიელი და წახურელი ლეკების „თავისუფალი თემები“. და შეიქმნა ორი პოლიტიკური ერთეული: ჭარბელაქნისა (კაკენისელი) და ელისუს სასულთნოები. 1803 წლიდან აღნიშნული ტერიტორია რუსეთის იმპერიის, 1921 წლიდან აზერბაიჯანის სსრ-ს, შემდეგ კი თანამედროვე აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამდენად, ჟამთა სიავის გამო, დღეს ისტორიული ჰერეთის ერთი ნაწილი აზერბაიჯანს ეკუთვნის, მეორე კი - საქართველოს. უკვალოდ არ ჩაუვლია ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიაში თითქმის ორასწლოვანი ცხოვრების ისტორიას; ამას უნდა დაემატოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვლილი საკმაოდ რთული ოცდაათწლიანი პერიოდიც. საბჭოთა ეპოქაში საქართველოსა და აზერბაიჯანის ადმინისტრაციული საზღვარი სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოსაზრებით რამდენჯერმე შეიცვალა.

მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ საზღვარი საბჭოთა პერიოდში ფაქტობრივად პირობითი იყო. მაგ., სიდნაღის რაიონში იგი მდ. ალაზანს მიუყვებოდა, ამ მდინარემ კი კალაპოტი რამდენჯერმე შეიცვალა, რის გა-

მოც გასული საუკუნის 70-იან წლებში საკმაოდ დიდი ტერიტორია აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდა. მართალია, მოგვიანებით, აქ ქართული სოფელი ერისიმედი დაარსდა, სადაც ძირითადად აჭარელი ეკომიგრანტები ჩასახლდნენ, მაგრამ სახელმწიფო საზღვარი ჯერაც დაუდგენელია. ასევე სადავოდ რჩება ასაზღვრო მონაკვეთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც მდებარეობს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების აღიარებული ძეგლი, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და სხვა. ყოველივე ქართულ საზოგადოებაში სერიოზული ვნებათაღელვას იწვევს. ისტორიული მოვლენები სპეციალურ ლიტერატურაში თუ ხალხურ მესხიერებაში არაერთგვაროვნად აისახება. პოსტსაბჭოურ პერიოდში გახშირდა პუბლიკაციები, რომელშიც აზერბაიჯანელი ავტორები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს, თბილისის ჩათვლით, ისტორიულ აზერბაიჯანს აკუთვნებენ. აღნიშნული ნარატივი, ზოგადად უარყოფით გავლენას ახდენს ორივე ქვეყნის საზოგადოებრივ განწყობებზე, განსაკუთრებით საზღვრისპირა მოსახლეობაზე. ეს გარემოება უცილობლად ყურადსაღებია იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიურია.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისპირა (კახეთის) რეგიონის მოსახლეობის ეთნო-კულტურული ტრანსფორმაციის კომპლექსური შესწავლა პოსტსაბჭოურ პერიოდში პირველად მოხდა. საზოგადოებრივ ყოფაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ტრადიციული და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები, რისი თანმდევიცაა მედია დაპირისპირება, დეზინფორმაცია და ა.შ. ციფრული მედიის უნიკალურმა და განმასხვავებელმა მახასიათებლებმა, როგორც არის მისი მულტიმედიაური ხასიათი, ურთიერთგაცვლის, ჩართულობის და ინტერაქციის შესაძლებლობა, ინფორმაციაზე შეუზღუდავი, სწრაფი და გლო-

ბალური წვდომა, საჭირო გახდა საზოგადოებაზე მისი გავლენის მეცნიერული შესწავლა. საკითხის ამ თვალსაზრისით კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა: აზერბაიჯანთან მოსახლერე სოფლების მოსახლეობაში მედიასაშუალებების აღქმისა და ნდობის ხარისხი; დეზინფორმაციის რისკი და უცხო ქვეყნების მედიასაშუალებების გავლენა ეთნიკურ ჯგუფებზე; ციფრული და ტრადიციული მედიის გამოყენების ინტენსივობა და ეფექტი ყოველდღიურობაში; ასაკობრივი, გენდერული, სოციალური და ეთნიკური მახასიათებლების კორელაცია ციფრული მედიის მოხმარებასა და ყოფითი გარემოს ტრანსფორმაციაზე და ა.შ.

მონოგრაფია განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ავტორთა კოლექტივი მადლობას უხდის ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომელმაც დახმარება გაუწია საველე მუშაობის დროს.

თაზი I. კახეთის წარსულიდან

§ I. კახეთის უძველესი მოსახლეობა და მისი განსახლების არეალი

კახეთი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილია და მდინარეების ივრისა და ალაზნის აუზებს მოიცავს. დასავლეთიდან მას ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე – ქართლი – ესაზღვრება (გამყოფი მათ შორის მდ. არაგვი იყო), აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან – აზერბაიჯანი, ჩრდილოეთიდან კი – დაღესტნის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია). ახლანდელი კახეთი ოთხ მცირე ერთეულად იყოფა: შიგნით კახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო), გარე კახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრისა და მდ. ალაზნის ქვემო წელს შორის მოქცეული ტერიტორია) და გაღმა მხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო).

საქართველოს სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეთა მსგავსად, კახეთიც ხანგრძლივი და რთული ისტორიული მოვლენების შედეგად ჩამოყალიბებული „ქვეყანაა“. დღევანდელი კახეთი, არც ტერიტორიულად და არც მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, მუდამ ასეთი არ ყოფილა. წერილობითი წყაროების მიხედვით, ამჟამინდელი კახეთის ტერიტორიაზე არსებობდა არაერთი მცირე „ქვეყანა“ (საკუთრივ „კახეთი“, „კუხეთი“, „ჰერეთი“, „წუქეთი“, „სუჯეთი“, „კამბეჩანი“), რომლებიც ერთი წარმომავლობის ან მეტ-ნაკლებად მონათესავე ავტოქთონი ტომებით იყო დასახლებული. დროდადრო ხდებოდა ამა თუ იმ „ქვეყნის“ სხვათა ხარჯზე გამსხვილება, ახალი პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ერთეულის წარმოქმნა, რასაც შედეგად მოსდევდა ზოგიერთი „ქვეყნის“ სახელის გაფართოება, ზოგიერთის კი – დამცრობა ან სრულიად გაქრობა. ცხა-

დია, ყოველი ასეთი ცვლილება ხელს უწყობდა ეთნოგენეტიკური და ეთნოკულტურული პროცესების გააქტიურებას. ამას ემატებოდა, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე უცხო ქვეყნებიდან შემოსული მიგრაციული ნაკადები. აღნიშნულთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს: „კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბელნი, ალვან-ჰერნი, სოჯნი, ფხოელ-ფშაველნი, ხევსურნი, თუშები, ქისტები და შემდეგ ლეკები, თურქები, ოსები, სომხები, და ყველა თემის ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ჯავახ-მესხნი, სომხითარნი, ქართლები) – ყველა ამათ შერწყმა–„შეჯვარების“ (ბრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული სარბიელი იყო ეს შედარებით პატარა მაგრამ დიდი შესაძლებლობების ქვეყანა ... ათეულ საუკუნეთა სიგრძეზე მიმდინარეობდა აქ მოსულ–დამხვდურთა თუ მეზობელთა ეს რთული ურთიერთობა, მთისა და ბარის, ველისა და ზეგანის სამეურნეო და სოციალურ სისტემათა ჭიდილი“.¹

კახეთის, როგორც ყველა ნებისმიერი რეგიონის, უძველესი მოსახლეობის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პალეოანთროპოლოგიურ კვლევას ენიჭება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული კრანიოლოგიური მასალა: დმანისელი ჰომინიდის ქვედა ყბის ნაშთი და ორი თავის ქალა (ასაკი განისაზღვრება 1,9–1,7 მლნ. წლით), ძვლის ფრაგმენტი საწურბლიდან (ზედა პალეოლითის გვიანდელი ხანა), კბილი კოტიასის კლდიდან (მეზოლითი), თითო თავის ქალა კულახომიდან და აბანოსხევიდან (ენეოლითი), თავისი განუზომლად დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მიუხედავად, გარკვეულ ანთროპოლოგიურ ტიპზე საუბრის საშუალებას არ იძლევა. საქართველოს და, მათ შორის, კახეთის მოსახლეობის

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 175.

ანთროპოლოგიური დახასიათება ბრინჯაოს ხანიდან არის შესაძლებელი.

პირველი განზოგადებული ნაშრომი, რომელიც კავკასიის მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიურ კვლევას მიეძღვნა, მ. აბდუშელიშვილს ეკუთვნის. სათანადო კრანიოლოგიური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ ბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის (ყობანი, კისლოვოდსკი, გინჩი, ჯემიკენტი, მანიჩი) ტერიტორიაზე სახლობდა სამხრეთევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი.¹ მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო: მკვეთრად გამოხატული დოლიქოკრანული ფორმის მაღალი ქალასარქველი; საშუალოზე ვიწრო და საშუალოზე მაღალი სახე, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტულ სიბრტყეში და ძალიან სწორი-ვერტიკალურში; ცხვირის მაღალი უნაგირი, თვითონ ცხვირი საშუალოზე ოდნავ ვიწრო, საშუალო სიმაღლის და მკვეთრად წინ წამოხიდიული.²

კავკასიის მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიური შესწავლა რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანის (ასე უწოდებს მ. აბდუშელიშვილი ძვ. წ. VIII–IV სს.–ს) კრანიოლოგიურ მასალაზეც გაგრძელდა. გაირკვა, რომ ამ პერიოდშიც მოსახლეობა ხასიათდება მკვეთრი დოლიქოკრანიით, ვიწრო, მკვეთრად პროფილირებული და ორთოგონატული სახით, ცხვირის მაღალი უნაგირით და სხვა ნიშნებით, რომლებიც მას სამხრეთევროპული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს მიაკუთვნებს. მინიმალური განსხვავებები სრულიად ბუნებრივად თავსდებიან ერთი ლოკალური ტიპის ნორმალური ვარიაციების ფარგლებში. ხაზგასმულია, რომ ხსენებულ პერიოდში, ისე როგორც მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ

1 მ. აბდუშელიშვილი. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში, თბ., 1982, გვ. 42–48.

2 იქვე, გვ. 51–55.

საქართველოში, საქართველოს მთისა და მთისწინა ზოლში, ჩრდილოეთ სომხეთში, სევანის ტბის მიდამოებში, დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიის მთასა და მთისწინეთში გავრცელებული იყო „ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის მქონე ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიური ნაირსახეობის მქონე ანთროპოლოგიური ტიპის მოსახლეობა“.¹

კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპი არ იცვლება არც ელინისტურ ხანაში. მ. აბდუშელიშვილი შენიშნავს, რომ „იკვრება მსგავსების რგოლი არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც“.²

ამდენად, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ქრსტეშობამდე კავკასიის (და, რა თქმა უნდა, მათ შორის კახეთის) მოსახლეობა ანთროპოლოგიურად სამხრეთევროპული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს მიეკუთვნება და მის კავკასიურ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელსაც ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა აქვს; ზოგიერთი ნიშანი, რომელიც ცალკეულ კრანიოლოგიურ სერიებს შორის შეიმჩნევა (მაგ., თავის ქალების დოლიქოკრანული ფორმებიდან თანდათანობითი ბრაქიკეფალიზაცია), დამახსიათებელია არამხოლოდ კავკასიისათვის, არამედ საერთოდ წინა აზიისათვის. ამიტომაც აღებულ პერიოდში სახეზეა არა მოსახლეობის ცვლა, არამედ ეპოქალური ანთროპოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც შინაგანი ბიოლოგიური განვითარებით იყო განპირობებული.

მოტანილი დასკვნები შემდგომმა კვლევებმაც დაადასტურა. ფიქრობენ, რომ „სამხრეთევროპეიდების ჩამოყალიბების არეალი მოიცავდა სამხრეთ კავკასიას, ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ჩრდილო რეგიონებს. ეს გა-

¹ მ. აბდუშელიშვილი. საქართველოს ანთროპოლოგია რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაში, თბ., 1988, გვ. 29–30.

² მ. აბდუშელიშვილი. კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში, თბ., 1978, გვ. 29.

მომდინარეობს იქიდან, რომ მარტო კავკასიაში არის დაფიქსირებული სამხრეთევროპეიდული დიდი რასის სამივე განშტოების (ხმელთაშუაზღვისპირული, ინდო-პამირული, წინააზიური) არსებობა კავკასიური ლოკალური ვარიანტებით.¹

მკვლევართა აზრით, „წინა აზიისა და კავკასიის რასების ჩამოყალიბება ხდებოდა ერთგვაროვანი საწყისი ელემენტების ნიადაგზე. ამიტომ სირიულ-მესოპოტამიური ტიპების არსებობა სამხრეთ კავკასიაში და კავკასიური ტიპების სირიაში, მესოპოტამიასა და ქურთისტანში სავესებით გასაგებია. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ერთგვაროვანი, ანუ ახლო მონათესავე ტომები“.² აქვე სამართლიანად აღნიშნულია, რომ ეს ერთგვაროვნება, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან რასოგენეზის რთული პროცესი თავისთავად გულისხმობს მიგრაციული ნაკადების გავლენას, თუმცა „უძველესი მოსახლეობის სუბსტრატი იყო იმდენად მძლავრი, რომ გაუძლო სხვადასხვა ინფილტრაციას, შესაძლოა შერევენს“.³ ამ ანთროპოლოგიური ტიპის ასეთი ხანგრძლივი დროით თითქმის უცვლელი სახით შენარჩუნება არაერთ მიზეზთან (მაგ., ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო) ერთად იმანაც გამოიწვია, რომ უძველეს პერიოდში კავკასიის მოსახლეობას ძირითადად კონტაქტი ჰქონდა ევროპეიდებთან, რომლებიც სამხრეთში (ირანის შიდა ოლქები, შუამდინარეთი, ანატოლია) ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი. ამ ვრცელ ტერიტორიაზე ისე როგორც კავკასიაში, ძირითადად ერთი ტიპის მოსახლეობა ცხოვრობდა, ერთნაირი პროცესები მიმდინარეობ-

¹ ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, ე. ყვავაძე, თ. ზუბიაშვილი. ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2011, გვ. 203.

² იქვე, გვ. 201–202.

³ იქვე.

და, ხოლო ადგილობრივი ჯგუფების ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი ეთნიკური ერთობლიობა ანთროპოლოგიურად იმ ცვალებადობის ფარგლებში რჩება, რომელიც ამ რეგიონისათვის არის დამახასიათებელი.¹

ზემოთ ითქვა, რომ ელინისტური ხანის კავკასიის მოსახლეობის მორფოლოგიური ნიშნების იდენტურობა წინამორბედი პერიოდის მოსახლეობასთან არავითარ ეჭვს არ ბადებს. ანალოგიური დასკვნის საფუძველს იძლევა გვიანანტიკური ხანის კრანიოლოგიური მასალაც.²

ჩვენი აზრით, ზემოთქმულის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული გვიანანტიკური ეპოქის ჩათვლით კავკასიაში (და ამდენად კახეთშიც) სახლობდა ერთი – სამხრეთევროპული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი, რომელსაც გარკვეული პოლიმორფულობა ახასიათებდა. შესაბამისად, სწორედ ხსენებული ბოლო პერიოდის დასკვნით ეტაპზე უნდა ჩაპყროდა საფუძველი იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს კავკასიის ანთროპოლოგიურ ისტორიაში უმნიშვნელოვნესი ეპოქალური მოვლენები, რაც თანამედროვე კავკასიის მოსახლეობაში განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებით დასრულდა. დღესდღეობით კავკასიის ხალხები სამხრეთევროპეიდული რასის წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპის სხვადასხვა ნაირსახეობას განეკუთვნებიან. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, აფხაზურ-ადიღური ენების წარმომადგენლებში გამოიყოფა კოლხური და პონტოური ტიპები; ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ არის ერთი, ადიღური ტიპის ორი ლოკალური განშტოება – კავკასიონის და კოლხურის“.³ ნახურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს

¹ ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა და სხვ. დასახ ნაშრ., გვ. 201–202.

² იქვე, გვ. 404, 420–422.

³ Абхазы. Ответственные редакторы: Ю.Ю. Анчабадзе, Ю. Г. Аргун. М., 2007, გვ. 40-46.

კავკასიონის ტიპს აკუთვნებენ.¹ დადესტნური ენების ოჯახის წევრებში ორი ანთროპოლოგიური ტიპი დასტურდება: კავკასიონის და კასპიური.² დღევანდელი აზერბაიჯანელები კასპიური, ზოგიერთი მოსაზრებით, დასავლურ კასპიური ტიპის,³ ხოლო სომხები არმენოიდული ტიპის წარმომადგენლები არიან.⁴ ქართველებში ანთროპოლოგიური ტიპის რამდენიმე ნაირსახეობაა: კოლხური (შავიზღვისპირული და დასავლურქართული), იბერიული (აღმოსავლურქართული და სამხრეთქართული) და კავკასიონის.⁵ თანამედროვე კახეთის მოსახლეობაში დადასტურებულია როგორც იბერიულ-აღმოსავლურქართული, ისე კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპი.

ვფიქრობთ, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ანთროპოლოგიური მახასიათებლები და ამა თუ იმ ხალხის რომელიმე ენობრივი ჯგუფისადმი (მით უფრო ეთნოსისადმი) კუთვნილება ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მახვენებელია. მათი დაკავშირება, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, დაუშვებელია, ხოლო ამ პირობის დარღვევა მცდარი დასკვნების საფუძველია. ანთროპოლოგიური პარამეტრების ცვლილებებზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს თავად ეპოქალური ანთროპოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესი (რომელიც შინაგანი იმპულსებით არის განპირობებული) და მოსახლეობის სხვადასხვა რასობრივი ტიპების წარმო-

¹ Чеченцы. Ответственные редакторы: Л.Т. Соловьева, В.А. Тишков, З.И. Хасбулатова. М., 2012, გვ. 42-48.

² Народы Дагестана. Ответственные редакторы: С. А. Арутюнов, А. И. Османов, Г. А. Сергеева. М., 2002, გვ. 14.

³ Азербайджанцы. Ответственные редакторы: А. Мамедли, Л. Т. Соловьева. М., 2007, გვ. 54-64.

⁴ Армяне. Ответственные редакторы: Л. М. Варданян, Г. Г. Саркисян, А.Е. Тер-Саркисянц. М., 2012, გვ. 33-42.

⁵ Грузины. Ответственные редакторы: Л. К. Бериашвили, Л. Ш. Меликишвили, Л. Т. Соловьева. М., 2015, გვ. 63-74.

მადგენლებთან შერევა; ეს უკანასკნელი გამოწვეულია მიგრაციებით, რომელთაც, თავის მხრივ, განსხვავებული ხანგრძლივობა და მასობრიობა ახასიათებს. ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია აფხაზების ანთროპოლოგიური ისტორია, რომელიც ადასტურებს, რომ ენობრივად აფხაზურ-ადიდურ ენების ოჯახის წარმომადგენელი აფხაზი ხალხი ანთროპოლოგიურად ყველაზე ახლო ნასეთაობას ქართულ სამყაროსთან ავლენს.¹ მსგავსი მაგალითები ბევრია: ოსები ირანულენოვანი ხალხია, ბალყარელები და ყარაჩაელები – თურქულენოვანი, თუმცა ისინი, მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, კავკასიონის ტიპს წარმოადგენენ.

ეს მსჯელობა იმას ემსახურება, რომ პალეოანთროპოლოგიური კვლევებიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სწორი მეცნიერული დასკვნები გამოვიტანოთ. მოტანილი მასალა ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე – კახეთი, სულ ცოტა, ბრინჯაოს ხანიდან დასახლებული იყო ავტოქთონი, მკვიდრი ტომებით; ამ მოსახლეობაში, ისე როგორც მთელ კავკასიაში, სახეზე გვაქვს სამხრეთევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი გარკვეული პოლიმორფულობით, რომელიც დასტურდება გეიანანტიკური ეპოქის კრანიოლოგიური მასალითაც; ათასწლეულების განმავლობაში ანთროპოლოგიური ტიპის უცვლელობა ადასტურებს, რომ კახეთის უძველესი მოსახლეობის სუბსტრატი იყო მძლავრი და მან გაუძლო სხვადასხვა ინფილტრაციასა და შესაძლო შერევებს; აღნიშნულ მოსახლეობას და მის კავკასიურ სამეზობლოს ერთი გენეტიკური წარმომავლობა ჰქონდა.

ზემოთ ჩამოყალიბებული დასკვნები პალეოანთროპოლოგიური მასალის დნმ-ის გენეტიკური მარკერების შეს-

¹ ლ. ბითაძე, გ. გასვიანი, შ. ლალიაშვილი, თ. ჯაშაშვილი. აფხაზების ანთროპოლოგიური ისტორია. თბ., 2008, გვ. 277–294.

წავლის შედეგად მიღებული მონაცემებითაც მყარდება. დნმ-ის მაჩვენებლები უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა ადამიანის ჩამოყალიბების, განსახლების, ცალკეული პოპულაციების გენოფონდის ცვალებადობის და სხვა კარდინალური საკითხების შესახებ.¹

დნმ-ის გენეტიკური მარკერების კვლევით დგინდება დნმ-ის მუტაციის განმსაზღვრელი მაჩვენებელი – ჰაპლოტიპი, რომელიც უნიკალურია თითოეული მამაკაცისათვის და დამახასიათებელია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის. ეს ჯგუფები ერთ გვარს (ერთ ბიოლოგიურ სახეობას) მიეკუთვნებიან, რომელსაც ჰაპლოჯგუფს უწოდებენ. ყოველი ჰაპლოჯგუფი სათავეს იღებს ერთი საერთო წინაპრისაგან, ე. წ. პატრიარქისაგან. წლების რაოდენობა განისაზღვრება მუტაციის მაჩვენებლის რაოდენობრივი ანალიზით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჰაპლოტიპები ეთნიკურ კუთვნილებაზე არ მიუთითებენ. ეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებაა. ჰაპლოტიპები მიანიშნებენ უძველეს ბიოლოგიურ სახეობებზე, ტომებზე, რომლებიც ეთნოსებზე ბევრად უფროსები არიან. ჰაპლოტიპები დიდი ხნის წინ გაიფანტნენ დედამიწის ზურგზე, სხვადასხვა ტერიტორიებზე, სადაც ათასწლეულების შემდეგ ჩამოყალიბდნენ ეთნოსები.²

მიუხედავად იმისა, რომ კავკასია ეთნიკური და ენობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება, დნმ-ის კვლევამ აჩვენა, რომ აქ ბიოლოგიური სახეობა სულ რამდენიმეა. ისინი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებული პროპორციებით არიან წარმოდგენილნი, რამაც ეთნიკური მრავალგვარობა გამოიწვია. კავკასიაში, უფრო სწორად

¹ ლ. ბითაძე, თ. ცეცხლაძე, შ. ლალიაშვილი, მ. ჭკალუა, ე. კაკაბაძე. პრაქტიკული ანთროპოლოგია, თბ., 2014, გვ. 9.

² А.А. Клесов. Славяне, кавказцы, еврей с точки зрения ДНК-генеалогии. М., 2015, гв. 66.

მის დასავლეთ ნაწილში, დომინანტია 2ა ჰაპლოჯგუფი, ხოლო აღმოსავლეთში – 22 და 21 ჰაპლოჯგუფები.¹

ბუნებრივია, კავკასიის მოსახლეობაში მხოლოდ ჩამოთვლილი ჰაპლოჯგუფები არ დასტურდება. აქ გამოვლენილია 1ა, 1ბ და სხვა ჰაპლოჯგუფებიც, მაგრამ ჩვენი ყურადღება ზემოხსენებულ პირველ სამზე იმიტომ შეჩერდა, რომ ისინი, როგორც ითქვა, კავკასიაში დომინანტ ჯგუფებს წარმოადგენენ. მათი მაღალი პროცენტულობა კავკასიის ხალხებში იმის უდავო მტკიცებულებაა, რომ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ეთნოსებად ჩამოყალიბება ამ ჰაპლოჯგუფების მატარებელ პოპულაციებს დაეფუძნა. ეს კი კავკასიის ხალხების გენეტიკურ ნათესაობაზე მეტყველებს.

მეცნიერთა კოლექტივის მიერ მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევის შედეგად განმტკიცდა შეხედულება, რომ ქართველებში მკვეთრად ჭარბობს 2ა და 22 ჰაპლოჯგუფები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამახასიათებელია, შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობისათვის. მაგ., დადასტურდა, რომ 22 წამყვანია კახეთის მთიანეთში მცხოვრებ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფში – თუშებში და ფერეიდანში (ირანში) განსახლებულ ქართველებში.²

¹ А.А. Клесов. Славяне, кавказцы, еврей с точки зрения ДНК-генеалогии, გვ. 60.

² რ. შენგელია, გ. ანდრიაძე, ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, ნ. ჩიქოვანი, ე. ხმალაძე, მ. კეკელიძე, შ. ლალიაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა. კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ეძღვნება აკადემიკოს მაღახაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს. თბ., 2016, გვ. 157.

ზემოთქმული უდავოდ მეტყველებს თუშებისა და XVII ს-ში კახეთიდან ფერეიდანში გადასახლებულთა გენეტიკურ ნათესაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დნმ-ის გენეტიკური მარკერების კვლევა საქართველოში, ძირითადად, ბოლო ათწლეულებში დაინერგა, თუმცა, უცხოელ კოლეგათა ჩართულობით, ის სწრაფად და დინამიურად ვითარდება. დიდია ამ სფეროში წამყვანი საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების დაინტერესება საქართველოში დაცული კრანიოლოგიური მასალის მიმართ, რომლის უდიდესი ნაწილი თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტშია თავმოყრილი. უეჭველია, რომ ამ მასალის სისტემური შესწავლა ბევრ სიახლეს შეიტანს არამარტო საქართველოს, არამედ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიის არაერთი საკითხის გაშუქებაში.

ამდენად, დნმ-ის გენეტიკური მარკერების შესწავლამ ერთმნიშვნელოვნად განამტკიცა ანთროპოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული დასკვნები, რომ კახეთის უძველეს მოსახლეობას შეადგენდნენ ავტოქთონი, მკვიდრი ტომები, რომლებიც თავის კავკასიურ სამეზობლოს გენეტიკურად ენათესავებოდნენ.

არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე ადამიანი უხსოვარი დროიდან სახლობს. აქ მიკვლეულია ქვედა პალეოლითის (სოფ. მელაანი), ზედა პალეოლითის (ივრისპირეთი, მთა კოწახურების სამხრეთით, დღევ. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები), ნეოლითის (ლაგოდეხის რ-ნი, სოფ. ბეშკენტი) ხანის ძეგლები.¹ მიჩნეულია, რომ ენეოლითური ნამოსახლარები ალაზნის ველიდან, ისე როგორც ამავე პერიოდის ანალოგიური დასახლებების ნაშთები

¹ კ. ფიცხელაური. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 29-30.

არაგვისა და მტკვრის ხეობებში, წარმოადგენს სიონის არქეოლოგიური კულტურის (გვიანნეოლითური ხანა) შემდგომ განვითარებას და გენეტიკურად უკავშირდება მას.¹

ადრეული ბრინჯაოს ეპოქაში (რომლის საწყის ეტაპად ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანები მიიჩნევა) კახეთის რეგიონი მტკვარ-არაქსის კულტურის არეალშია მოქცეული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის სფეროში შედის თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია, ჩრდილო-დასავლეთი ირანი, აღმოსავლეთ ანატოლია და ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მისი საზღვრები წვდება ურმიას და კიდევ უფრო სამხრეთით ჰამადანის, ქერმანშაჰის, არზრუმის, ვანის აუზის და მაღათიის რაიონებს აღწევს; ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ის მოიცავს დაღესტანს, ჩეჩნეთს, ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გარკვეულ მხარეებს (სწორედ ამ მონაკვეთზე ხვდება ერთმანეთს ე.წ. მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურები; ჩრდილო-დასავლეთით მტკვარ-არაქსის კულტურა მდ. ენგურამდე ვრცელდება.²

უადრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლები ყველა გეოგრაფიულ ზონაშია (დაბლობი, მთა, მაღალმთიანეთი) აღმოჩენილი. განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებს შორისაა კახეთიც.³ აქ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც მეზობელ შიდა ქართლში, სადაც დასახლებები მდინარეთა ნაპირების გასწვრივ ერთმანეთისაგან 2-4 კმ-ის დაცი-

¹ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი. ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016, გვ. 6.

² К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили. Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, გვ. 13.; Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Ответственные редакторы: К. Х. Кушнарева, В. Н. Марковин. М., 1994, გვ. 13.

³ Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. გვ. 15.

ლებითაა დაფიქსირებული.¹ ამიტომაც, სპეციალისტთა აზრით, კავკასიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში (და, რა თქმა უნდა, კახეთშიც), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაკადების შემოსვლა ფაქტობრივად გამორიცხებულია. ის კი არა, ვფიქრობთ, გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით გაერცვლება, შესაძლოა ამ რეგიონის მაცხოვრებელთა ნაწილის სამხრეთით გადანაცვლებაზე მიუთითებდეს.² ე. ი. გამოდის, რომ კახეთის უძველესი მოსახლეობა არც ამ ეპოქაში განიცდის რაიმე თვალშისაცემ ცვლილებებს.

ადრე ბრინჯაოს ხანის კახეთი, ისე როგორც მთელი სამხრეთ კავკასია, იმდროინდელი სამყაროს ერთ-ერთი დაწინაურებული რეგიონია. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა „გუთნურ“ მიწათმოქმედებას, გაჩნდა ადრეული ირიგაციის ელემენტები, სამკელად იყენებდნენ ლითონის ნამგალს. უხვმოსავლიანობის დამადასტურებელია სარჩოს გადასატანი ბორბლიანი ტრანსპორტის არსებობა. მიწათმოქმედების გვერდით ვითარდება მესაქონლეობა. მოპოვებული ძელოვანი მასალა ცხადყოფს, რომ მოშენებული ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. მთისძირა ზოლში და მთაში მისდევდნენ სეზონურ მესაქონლეობას. მაღალ დონეს მიაღწია მეთუნეობამ, განსაკუთრებით – მეტალურგიულმა წარმოებამ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ადრე ბრინჯაოს პერიოდში მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და კულტურის საფუძველს სწორედ ლითონის მოპოვება-დამუშავება წარმოადგენდა.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება შუა ბრინჯაოს ხანა – მტკვარ-არაქსის კულტურა იცვლება ე. წ. „ადრეეორღანული კულტურით“. არქეოლოგები ამ

¹ ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002, გვ. 70–71.

² О. М. Джапаридзе. На заре этнокультурной истории Кавказа. Тб., 1989, გვ. 375.

უკანასკნელში მოიაზრებენ მარტყოფულ და ბედენურ ძეგლებს. დღესდღეობით, ადრეყორღანული კულტურის წარმოქმნასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა მტკვარ-არაქსის ეპოქის ზოგიერთ ნამოსახლარზე დამოწმებულია ადრეყორღანული კულტურის თანაარსებობის კვალი.¹ ასევე შენიშნულია, რომ ადრეული კერამიკა აშკარად უკავშირდება მტკვარ-არაქსულს.² ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ ადრეყორღანული კულტურა უნდა წარმოქმნილიყო წინარე მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად, რომელსაც ადრე ბრინჯაოს ხანის ფინალურ სტადიაზე, აშკარად ეტყობა წვრილფეხა რქოსანი საქონლის, კერძოდ ცხვრის, მატების ტენდენცია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობა თანდათან გადადის საიალადო მესაქონლეობაზე.³

მიჩნეულია, რომ ამ დროიდან მთელი აღმოსავლეთ საქართველოს (და ამდენად კახეთის) ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის დროის ნამოსახლარებზე ცხოვრება წყდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოძრავდა და წარმოიქმნა საიალადო მესაქონლეობაზე დამყარებული დიდი გაერთიანება.⁴ დაიწყო თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურის ხანა, რომელიც თითქმის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოლამდე გრძელდება. მისთვის დამახასიათებელია ერთი მიცვალებულისათვის განკუთვნილი ყორღანული სამარხები, რომელთა უმრავლესობა გამოირჩევა გრანდიო-

¹ ო. ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006, გვ. 24.

² ე. გოგაძე. კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ, „გურია“, II, თბ., 1997, გვ. 41.

³ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 10.

⁴ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 12; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 22-27.

ზუღობით, ვრცელი დასაკრძალი დარბაზებით, ხის ეტლზე მიცვალებულთა დასვენებით, მეტად მდიდრული და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით. საინტერესოა ყორღანული კულტურის ძეგლთა ტოპოგრაფია – ისინი ძირითადად თავმოყრილია მთისწინა და მთის მდინარეთა ხეობებში, ანუ ისეთ ადგილებში, სადაც ხელსაყრელი პირობებია პრიმიტიული მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარებისათვის და საიალადო მესაქონლეობისთვის.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თრიალეთური კულტურის ძეგლები ბედენურის უშუალო გაგრძელებაა, რომელიც, თავის მხრივ, ადრეყოღანული კულტურის მოგვიანო საფეხურია და წინამორბედი მარტყოფის ტრადიციებს აგრძელებს.¹ ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი შუა ბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში სამეურეო ცხოვრების რადიკალურ ცვლილებას (მიწათმოქმედებიდან საიალადო მესაქონლეობაზე გადასვლას) აღმოსავლეთ საქართველოში (შესაბამისად, კახეთშიც) და, ზოგადად, თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალში, ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან მესაქონლე-მეჯოგე ტომების შემოჭრას მიიჩნევს, რომელთაც მიმდინარე პროცესის მასტიმულირებელი როლი შეასრულეს.² ასევე ფიქრობენ, რომ თრიალეთური კულტურის წარმოშობაში არ შეიძლება წინააზიური (ხეთური, ხურიტული) ეთნოკულტურული ტრადიციების მატარებელ ტომთა მიგრაციის შესაძლებლობა გამოირიცხოს.³

ჩვენი აზრით, სრულიად გასაზიარებელია მოსაზრება, რომ თრიალეთის კულტურის შემოქმედნი აღმოსავლეთ სა-

¹ ე. გოგაძე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 79 და შმდ.

² თ. ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 310–311.

³ ე. გოგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 79–84; თ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 99.

ქართველოს მკვიდრი ქართველური მოდგმის ტომები იყვნენ.¹ მკვლევარნი უფრო შორსაც მიდიან და მიიჩნევენ, რომ თრიალეთის კულტურის შემქმნელი ხალხი საკუთრივ „ქართუელნი“ უნდა ყოფილიყვნენ.² რაც შეეხება მეურნეობის ტიპის შეცვლაში ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან მესაქონლე-მეჯოგე ტომების თუ წინა აზიიდან ხეთური ან ხურიტული ეთნოკულტურული ტრადიციების მატარებელი მოსახლეობის მიგრაციული ნაკადების შემოჭრის როლის გაზვიადებას, ეს ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას უმთავრესად ის გეოგრაფიულ-კლიმატური გარემო განაპირობებს, სადაც მას ცხოვრება და მოღვაწეობა უწევს. ძნელი წარმოსადგენია, რომ კახეთის (და მით უმეტეს აღმოსავლეთ საქართველოს და მთელი აღმოსავლეთ კავკასიის) მოსახლეობა, რომელსაც ადრე ბრინჯაოს ხანაში განვითარებული მიწათმოქმედება ჰქონდა, უეცრად შუა ბრინჯაოს ხანაში ამოძრავებულები, დაეტოვებინა საკუთარი სამოსახლოები, შეეცვალა თავისი ათასწლეულობით ჩვეული მეურნეობის ტიპი და ცხოვრების წესი. ჩვეულებრივ, სწორედ მოსული მოსახლეობა და არა მკვიდრი ცდილობს შეერწყას ახალ გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოს, მოერგოს ახალ საცხოვრებელ პირობებს. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში, ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან შემოდწეულ მიგრაციულ ნაკადებს არც ჩვენ გამოვრიცხავთ (ამგვარ ინფილტრაციას ყოველთვის ჰქონდა ადგილი), მაგრამ მათი გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის უეცარ კარდინალურ ცვლილებაზე, ფრიად უმნიშვნელოდ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ზემოხსენებული ვითარება გლობალური ანომალური ბუნებრივ-კლიმატური მოვლენებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. დღეი-

¹ Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии, გვ. 92.

² დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 13-14.

სათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძვ. წ. III–II ათასწლეულების მიჯნაზე (დაახლოებით ძვ.წ. 2200–1900 წწ.) ახლო აღმოსავლეთში (ანატოლიაში, ჩრდილო მესოპოტამიაში, ჩრდილოეთ ირანში) მიმდინარეობდა გვაღვა, რომელმაც ხსენებულ რეგიონში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს უმნიშვნელოვანესი დადი დაასვა. ვფიქრობთ, რომ მან მოიცვა სამხრეთ კავკასიაც, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი. ბარის მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელიც პრიმიტიულ მორწყვით სისტემებზე იყო დამოკიდებული, იძულებული გახდა აყრილიყო, მიეტოვებინა საკუთარი საცხოვრისი და ეძებნა წყლით მდიდარი ადგილები. ასეთი კი იყო მთა და მთისწინეთი. ბუნებრივია, შეიცვალა მეურნეობის ტიპიც და გუშინდელი მიწათმოქმედნი იძულებულნი გახდნენ საიალადო მესაქონლეობით ერჩინათ თავი. ამას გარკვეულწილად ამყარებს ის ფაქტიც, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ასეულობით გათხრილ ყორღანში არც ერთი სამიწათმოქმედო იარაღი არ აღმოჩენილა.¹ ვფიქრობთ, გამოთქმულ ვარაუდს არსებობის უფლება აქვს, მით უმეტეს, რომ საქართველოში პალეოკლიმატოლოგიური კვლევები სათანადო ინტენსივობით არ განხორციელებულა. ამგვარი სამუშაოს ჩატარება კი საშური საქმეა, რადგან მიღებულმა შედეგებმა, შესაძლოა, ახლებურად დაგვანახოს ჩვენი ერის უძველესი წარსულის არაერთი საკითხი.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან აღმოსავლეთ საქართველოში ვითარება კვლავ რადიკალურად იცვლება. ბარში ხელმეორედ ჩნდება ბინადარი დასახლებები. მოსახლეობა ამისათვის ძველ გორანამოსახლარებსაც იყენებს და ახლებსაც ითვისებს. ეს გარემოება, დემოგრაფიულ

¹ ლ. ძიძიგური. ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა, თბ., 2000, გვ. 302; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 27–32.

აფეთქებასთან ერთად, მიწათმოქმედთა ხელახლა გაძლიერებაზე მიუთითებს.¹ ჩვენი აზრით, აქაც გადამწყვეტი როლი ხელსაყრელმა კლიმატურმა ცვლილებებმა ითამაშა. ის, რომ სამეურნეო ცხოვრებაში აღნიშნული შემობრუნება მშვიდობიანად უნდა განხორციელებულიყო და მოსახლეობაში ადგილი არ ჰქონია არავითარ ეთნიკურ ცვლილებებს, მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს. ამას ისიც მოწმობს, რომ თრიალეთური შუა ბრინჯაოს კულტურის შემცვლელი ე. წ. „ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურა“, ფაქტობრივად, იმავე არეალზეა გავრცელებული.² კახეთიც ამ უკანასკნელის ფარგლებში იყო მოქცეული.

შუა ბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხეულ კომპლექსებში ორ ქრონოლოგიურ საფეხურს ადასტურებენ: ადრეულს, რომელსაც ნელა მბრუნავ ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი ახასიათებდა და მოგვიანოს – სწრაფად მბრუნავ ჩარხზე დამზადებული, რომელსაც „სპირალურ-კონცენტრულ ღარებიანს“ უწოდებენ. ამ ტიპის ჭურჭლის გავრცელების არეალი მოიცავს ისტორიულ შიდა, ზემო და ქვემო ქართლს, კახეთს და ნაწილობრივ ჰერეთს (გიორგიწმინდა, საგარეჯო, იყალთო, ბაკურციხე). აღნიშნულზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ, შესაძლოა, დაისვას საკითხი „გარკვეულ ხანაში ზემოთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთი ეთნიკური მასივის არსებობის შესახებ. ამასვე მხარს უჭერს... თვით ამ ჯურის კერამიკისა და მისი ორნამენტაციის ხანგრძლივი მდგრადობა და დერივაცია ერთსა და იმავე ადგილას (სამთავრო – გიორგიწმინდა)“.³ ბუნებრივია, ამ

¹ თ. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 229.

² კ. ფიცხელაური. ცენტრალური ამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV–XIII სს. თბ., 2005, გვ. 106 (რუკა ჩხ IX).

³ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 21.

„ერთ ეთნიკურ მასივში“ ქართველური ტომები იგულისხმებიან.

მართლაც, საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრებით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდში (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეები) აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ე. წ. „ხევეზის სისტემა“.¹ სწორედ მათ საფუძველზე წარმოიქმნენ ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნო-პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც, ეთნოგრაფიული მხარეების სახით, დღემდე შემორჩენილი. ამაზე ნათლად მიუთითებენ საქართველოს და მათ შორის კახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურების ლოკალური ვარიანტები.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე, საშუალო საფეხურზე იორ-ალაზნის აუზში გამოვლენილი მატერიალური კულტურის ნიმუშები სრულიად ჩამოყალიბებული ნიშნებით ხასიათდება. მისთვის ნიშანდობლივია ბრინჯაოს შედგენილტარიანი, ე. წ. კახური სატევარი; ბრინჯაოს მასრაშეკრული შუბისპირი; ქვიშანარევი თიხისგან დამზადებული, აღმოსავლური კონცენტრული ხაზებით დაფარული ზედაპირის მქონე ჭურჭელი და სხვ. ეს კულტურა ფაქტობრივად მოიცავს ივრისა და ალაზნის შუა დინების ტერიტორიას. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავს დიდი კავკასიონი, აღმოსავლეთით დაახლოებით წნორი-სიღნაღის ხაზი, დასავლეთით მდ. არაგვი, სამხრეთით კი – მდ. მტკვარი.²

გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურზე (რომელსაც ადრერკინის ხანასაც უწოდებენ), მახვილებისა და სატევრების შესწავლისა და მათი გავრცელების არეალის შემო-

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 38–40.

² კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973, გვ. 178–180.

საზღვრის შედეგად, იორ-ალაზნის აუზში ძვ. წ. XI-X საუკუნეებში ერთი კულტურის სამი ლოკალური ვარიანტი გამოვლინდა. აღნიშნული იარაღები დამზადებისა და კონსტრუქციის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, მაგრამ ბრინჯაოს ინდუსტრიის უმაღლესი განვითარების დამადასტურებელი ეს მახვილები და სატევრები თავისი ფორმებით, ზომითა და შემკულობით, აშკარად იმიჯნებიან ჯგუფებად. სხვადასხვაა ამ ჯგუფების განფენის ტერიტორიაც. ერთი ტიპის (IV1) მახვილები ძირითადად გვხვდება მდ. ალაზნის შუა და ქვემო დინების არეალში და გარე კახეთში, მდ. ივრის დინების ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთებია; სამხრეთ-აღმოსავლეთით – დაახლოებით ზაქათალა-ქვემო ქედის ზოლი; სამხრეთ-დასავლეთით – მდ. იორი; დასავლეთით – დაახლოებით გრემი-ენისელი-ვანთის ზოლი. მეორე ტიპის (IV3) მახვილები და სატევრები ძირითადად მდ. ალაზნისა და მდ. ივრის ზემო დინებაში და ფშავის არაგვის ხეობაშია დადასტურებული. ამ იარაღის განვრცობის არეალის საზღვრებია: შიდა კახეთში – გრემი, ენისელი, ვანთის ზოლიდან დასავლეთით მდებარე ტერიტორია კახეთის ქედამდე, ხოლო მის ჩრდილო მონაკვეთში მდ. არაგვამდე (ან გუდამაყრის ქედამდე). მესამე ტიპის (IV2) იარაღი გავრცელებულია ჩრდილოეთით, თეთრი და შავი არაგვის შესაყარამდე (გუდამაყრის ქედამდე); დასავლეთით, არაგვამდე; აღმოსავლეთით – კახეთის ქედამდე და ივრის შუა დინებამდე.¹

სრულიად ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვინ იყვნენ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე იორ-ალაზნის აუზში გამოვლენილი ლოკალური არქეოლოგიური კულტურების შემოქმედნი?

¹ კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), გვ. 183-189.

სამწუხაროდ, ძველადმოსავლური ტექსტები ჩვენთვის საინტერესო რეგიონში განსახლებულ ტომთა თუ აქ წარმოქმნილ პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ არაფერს გვაუწყებენ; ბერძენ-რომაელ ავტორებთან დაცული ცნობებიც გვიანდელია. ერთადერთი წერილობითი წყარო, რომელიც დღევანდელი კახეთის ეთნიკური ისტორიის კვლევის საფუძველია, არის „ქართლის ცხოვრების“ კრებულის დასაწყისი თხზულება „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომლის ავტორად ლეონტი მროველია მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნაწარმოების, როგორც საისტორიო წყაროს, სანდოობის მიმართ განსხვავებული შეხედულებები არსებობს, მეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლეონტისეული ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები ფრიად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულებას საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის. იქ ამისათვის ძვირფასი ცნობები მოიპოვება. საქართველოს სხვადასხვა თემის და სამთავროს საზღვრებისათვის ლეონტი მროველს უჭკვევლია რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონდა“.¹ კ. კეკელიძის თქმით, ლეონტის ხელთ ჰქონია რაღაც ძველი ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანას.² გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართველთა მამამთავრების კუთვნილი ტერიტორიების საზღვრების აღწერას, რადგან მასში უდავოდ არეკლილია განსაზღვრული ეპოქის მდგო-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 183.

² კ. კეკელიძე. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტვილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფ., 1923, გვ. 54.

მარეობა.¹ ნ. ბერძენიშვილი მიიხნევს, რომ „იბერიას თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით, ჯერ ისევ წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდა“.²

ლეონტი მროველი რომ ძველი ცნობებით სარგებლობს და თავის თანადროულ პოლიტიკურ საზღვრებს არ აღწერს, ვფიქრობთ, დამაჯერებლად აქვს დასაბუთებული დ. მუსხელიშვილს. კახეთ, კუხეთ, ჰერეთის სხვადასხვა პერიოდის საზღვრების დადგენით, მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული აღწერა და ხსენებული ქვეყნების გეოგრაფია ლეონტი მროველის დროისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება. შედეგად, დ. მუსხელიშვილის აზრით, „ქართლის ცხოვრებისეული“ კახეთ, კუხეთ, ჰერეთის საზღვრები ძვ. წ. IV–III სს–ის ვითარებას უნდა ასახავდეს“.³

ლეონტი მროველთან შემონახულ ისტორიულ–გეოგრაფიული რეალობას კიდევ უფრო აძველებს ლ. ჭილაშვილი. მას აღმოსავლეთ საქართველოს „ქვეყნებად“ დანაწევრება უკვე გვაროვნული საზოგადოების პირობებში მომხდარ ფაქტად მიიჩნია და მას ძვ. წ. IV საუკუნის წინარე ხანით ათარიღებს.⁴

იმის გამო, რომ ლეონტი მროველის ცნობები ისტორიულ–გეოგრაფიული კახეთ, კუხეთ, ჰერეთის საზღვრების შესახებ დაემთხვა ძვ. წ. XI–X სს–ის არქეოლოგიური მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, გამოყოფილი არქეოლოგიური კულტურის ლოკა-

¹ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 34.

² ნ. ბერძენიშვილი. სიტყვა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე (1958 წლის 28 ნოემბერი). საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვეთი II, თბ., 1961, გვ. 161.

³ დ. მუსხელიშვილი. ციხე–ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 5–38.

⁴ ლ. ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 19.

ლური ვარიანტების საზღვრებს, კ. ფიცხელაურს აფიქრებინებს: „ლეონტი მროველის თხზულების პირველი ნაწილი ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ამბების ამსახველი მაინც უნდა იყოს“.¹

ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ კახეთში გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურა და მისი ლოკალური ვარიანტები გარედან რაიმე მძლავრ ზემოქმედებას არ განიცდის. სწორედ ადგილობრივი ტომები: კახები, კუხები და ჰერები არიან შემოქმედნი იმ ლოკალური არქეოლოგიური კულტურებისა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდნენ ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები – კახეთი, კუხეთი და ჰერეთი. იმდენად მძლავრი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის სუბსტრატი და მათ მიერ შექმნილი კულტურების საზღვრები, რომ ისინი მომდევნო ხანაში და ადრე შუა საუკუნეებშიც კი დაახლოებით ისეთივე დარჩა, როგორც ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე იყო. ამავე დროულად, დღეს, როცა თითქმის უყოყმანოდ დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი ყოველი არქეოლოგიური კულტურა გენეტიკურ კავშირშია წინამორბედთან და სახეზეა განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სულ ცოტა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური სუბსტრატი არ შეცვლილა.²

¹ კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), გვ. 196.

² გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 102.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც, ვსაუბრობთ ტერმინების კახეთის, კუხეთის და ჰერეთის შინაარსისა და მათი ტერიტორიული მოცულობის შესახებ, საკითხი, უცილობლად, გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა განვიხილოთ. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, „სამსავე ტერმინს „კახეთი“, „კოხეთი“ (ანუ „კუხეთი“) და „ჰერეთი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ... ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა ... ამიტომაც არის, რომ საქართველოს ამ სამი კუთხის საზღვრები ერთმანეთში ირევა“.¹

ლეონტი მროველის გადმოცემით, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ თავის ხუთ ვაჟიშვილს: მცხეთოსს, გარდაბოსს, კახოსს, კუხოსსა და გაჩიოსს მამის დანატოვარი ქვეყანა გაუნაწილა. კახოსს წილად ხვდა ტერიტორია „კავკასიასა და კახეთისა მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“.² ზემოთქმულს კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი: „და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამკრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო–შტორის ჰევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს ერწო–თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვ, და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ–შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისი სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშაგ–ჰევესურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოველნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს–ჰევეს, პანკისიის ჰეო-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 35–37.

² ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008, გვ. 29.

ბას, საყდრიონს და ალონს“.¹ ამდენად, საკუთრივ კახეთი მოიცავდა მდ. ივრის ხეობის ზემო წელს და მდ. ალაზნის ზემო წელს თავისი მიმდგომი მთიანეთითურთ.²

კუხოსს, ლეონტი მროველის ცნობით, ერგო „ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი, და მისცა არაგვთგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთისა კახეთისა, და მტკუარსა შუა“.³ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, კუხოსის წილხვდომილი ქვეყნის საზღვრებია: „აღმოსავლით მთა კახეთისა; სამკრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულამდე; დასავლით მტკუარი და არაგვ; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ – შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თექმის ჰევს ... კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჰევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია“.⁴

კუხეთის ტერიტორიის საზღვრების საკითხს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა დ. მერკვილაძემ. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ VI–მდე შექმნილი ნუსხებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილი ფრაგმენტის შესწორებების კრიტიკული შესწავლის შედეგად მკვლევარი დაასკვნის, რომ ტექსტში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო: „კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 523.

² თ. პაპუაშვილი. ცნებები „კახი“, „კუხი“, „ჰერი“ და მათი შესაბამისი ქვეყნების სახელწოდებების „კახეთის“, „კუხეთის“, „ჰერეთის“ შესახებ, წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 405 (ლიტ. იხ. იქვე).

³ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 523–524.

ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შორის“.¹ იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ კონტექსტში დ. მერკვილაძე „კახეთის მთას“ იაღნი-საგურამოს ქედად მიიხნევს, იგი თვლის, რომ მემბტიანე კუხეთის საზღვრების ერთ წყვილს წარმოადგენს: არაგვი-კახეთის მთა და მდ. მტკვარი. მკვლევრის აზრით, კუხეთი მდებარეობდა, ერთი მხრივ, მდ. არაგვიდან, „კერძოდ არაგვის იმ ადგილიდან, სადაც მას თავს ადგას ზედაზნის მთა (ანუ მასთან ყველაზე ახლოს მიდის ქედის დასავლეთი კიდე), მთელი ქედის სიგრძეზე მის უკიდურეს აღმოსავლეთ კიდეზე გაყოლებულ ხაზსა და, მეორე მხრივ, მდ. მტკვარს შორის მდებარე მიწა-წყალზე“.² ამდენად, კუხეთი მოიცავდა მდ. არაგვის მდ. მტკვართან შესართავის მიდამოებსა და გარე კახეთის ტერიტორიას.

ლეონტი მროველის თქმით, ჰეროსის კუთვნილი ქვეყანაა „მტკუარისა ჩრდილოდ, მცირისა ალაზნისთავითგან (იგივე მდ. იორი - ვ. ვ.) ვიდრე ტყებადმდე, რომელსა აწჰქვან გულგულა“.³ ვახუშტი ბატონიშვილი დამატებით განმარტავს, რომ „ნაწილი ჰეროსისა არს: სამკრით საზღვარი მოგაკანისა, დასავლით მტკუარი, აღმოსავლით კაკასი და ჩრდილოდ ხუნანიდამ განვლილი გულგულა ტყე-ტბა კავკასადმდე“.⁴ ის კი არა, ვახუშტი თავისდროინდელი ჰერეთის გეოგრაფიასაც იძლევა: „ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მკარს, ელისენსა, შიგნით-კახეთს, ქისიყს და გარეთს-კახეთს“.⁵ მოტანილ წყაროთა მიხედვით, ჰერეთი გულისხმობდა დღევანდელი

¹ დ. მერკვილაძე. კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობის გაგებისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV-XV, თბ., 2016-2017, გვ. 385 (ლიტ. იხ. იქვე).

² იქვე, გვ. 386.

³ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

⁵ იქვე, გვ. 524.

კახეთის აღმოსავლეთ ტერიტორიას ქიზიყიან-გაღმამხრიან-საინგილოთურთ. მისი საზღვარი ქართლთან უნდა გასულიყო დაწყებული მდ. ბერდუჯის (დღევ. მდ. ძეგამ-ჩაი აზერბაიჯანში) მტკვართან შესართავიდან და ძველქართულ ქალაქ ხუნანიდან (დღევ. თოფრახ-ყალა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აზერბაიჯანში) მტკვრის გაყოლებით დაახლოებით ქ. რუსთავამდე; შემდეგ მკვეთრად ჩრდილოეთისაკენ სამგორ-ჩადივრისა და გარეჯის მთის შორისი ხაზით მდ. იორამდე; აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ თურდოს ხეობით (სადაც მდებარეობს ძველი ნამოსახლარი ტყეტბა – გულგულა) ალაზნამდე; აქედან ალაზნის გაყოლებით დასავლეთისაკენ, ვიდრე ბახტრიონამდე; შემდეგ ალაზან-მაჭარეულის წყალგამყოფი მთით ალაზან-შტორის წყალგამყოფი ქედის მიმართულებით კავკასიონამდე“.¹

თუ ლეონტი მროველის მიერ შემუშავებულ ეთნარქთა სქემას გადავხედავთ, სრულიად ნათელია, რომ მათი სახელები მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, როცა ამავე სახელწოდების ქვეყნები უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებული იყო. ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, „რასაკვირველია, ყველა ეს მამამთავართა სახელები – ან ამ ერთა, ან მათ ხელში მყოფ მიწა-წყლის სახელებისაგან არის ნაწარმოები“.² ეს დებულება მიღებული და გაზიარებულია ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

როდის უნდა გაჩენილიყო სახელები კახეთი, კუხეთი, ჰერეთი? დასაბუთებული თვალსაზრისის თანახმად, კონკრეტულ ტერიტორიას სახელწოდებას ამ მიწა-წყლის ამთვისებელი ეთნიკური ჯგუფი აძლევს. მოსახლეობის ეს

¹ დ. მუსხელიშვილი. ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფცია და ჰერეთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, „ანალები“, 2021, №7, გვ. 28–29.

² ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებები, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 180.

მცირე ერთეულები, თუნდაც ერთი წარმომავლობისა, თავ-
თავიანთი სახელებით იწოდებიან. სხვადასხვა ისტორიული
პროცესების გამოისობით, ისინი ან შორდებიან, ან ერწყმი-
ან ერთმანეთს. შეერთებისა და შედარებით მსხვილი ეთნო-
პოლიტიკური წარმონაქმნის გაჩენის შემთხვევაში, ისინი
გაერთიანების ჰეგემონის სახელს ატარებენ.¹ ეთნარქების
კახოსის, კუხოსისა და ჰეროსის სახელებში სწორედ იმ
ტომთა სახელები აისახა, რომელთაც შედარებით მცირე
ეთნოსოციალური ორგანიზმები (გვარები, ხევეები) გააერ-
თიანეს. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „მთელ ქვეყანას „ქარ-
თლი“ მხოლოდ მისი ერთ სახელმწიფოდ გადაქცევის შე-
დეგად ეწოდა და მანამდე აქ არსებული ხევთა გაერთიანე-
ბანი, მეტ-ნაკლებად დიდსა თუ მცირე ტომებად, საკუ-
თარს, ინდივიდუალურ სახელებს ატარებდნენ (კახები, კუ-
ხები, კლარჯები, ვიტერუხები, შავშები, ჯავახები...), ეს
ფაქტია არეკლილი ლეონტის ლეგენდაში მცხეთოსის, მისი
ძმების და შვილების შესახებ“.²

ხევეების გაერთიანების პროცესში ნ. ბერძენიშვილი
ორ ეტაპს გამოჰყოფს. პირველი იმ მიწა-წყალზე არსებულ
ხევთა გამსხვილებას გულისხმობს, რომელიც, ლეონტი
მროველის მიხედვით, კახოსის, კუხოსისა და ჰეროსის
წილხვდომილი ტერიტორიების საზღვრებში იმყოფებოდა;
მეორე კი ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნას ემ-
თხვევა.³ ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დაბეჯითე-
ბით გავიმეოროთ, რომ დღევანდელი კახეთის ტერიტორია-
ზე კახების, კუხებისა და ჰერების ეთნოპოლიტიკური გა-
ერთიანებების არსებობა ერთიანი ქართლის (იბერიის) ჩა-

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 263–264.

² იქვე, გვ. 76.

³ იქვე, გვ. 74–76, 151–153; შდრ. გ. მამულია. კლასობრივი საზო-
გადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში,
თბ., 1979, გვ. 50–51.

მოყალიბებამდე (ე. ი. ძვ. წ. IV–III სს–ის მიჯნამდე) დიდი ხნით ადრე ვივარაუდოთ.

ვინ იყვნენ ეთნიკურად კახები, კუხები და ჰერები? პირველი ორის სახელის ფუძეების (კახ–კოხ) რაიმე უფრო ვიწრო მნიშვნელობა ჯერჯერობით უცნობია.¹ მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ნ. მარის დაკვირვება, რომ „ხ–ი“ დაბოლოება დამახასიათებელია ქართული სატომო სახელწოდებებისათვის. ამისათვის მკვლევარს მოაქვს არაერთი მაგალითი (კოლ–ხ–ი, მეს–ხ–ი/მოსო–ხ–ი, ჯავა–ხ–ი/ტაო–ხ–ი და ა. შ.) და უდავოდ მიიჩნევს დებულებას, რომ სატომო სახელის გაფორმებისას გამოყენებული „ხ–ი“ პრეფიქსი ქართველური ენობრივი სამყაროს საკუთრებაა.²

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული ფუძეების მიხედვით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილა მ. ბროსემ. მან მიუთითა, რომ აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ტერიტორიაზე, ბელაქნის რაიონში (აზერბაიჯანი), მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე დამოწმებულია ტოპონიმი კაკი (რუსკ კახი), რომელიც თავისი ფუძით ძალიან ჰგავს იმ ძირეულ ფორმანტს, რომლიდანაც უნდა წარმოქმნილიყო ქვეყნის სახელი „კახეთი“.³ ერთ რეგიონში არსებული ერთი და იმავე ძირით ნაწარმოები ტოპონიმები თუ ეთნონიმები კი იმის მაუწყებელია, რომ აქ ერთი ეთნიკური (ჩვენს შემთხვევაში – ქართველური) წარმომავლობის მოსახლეობა ცხოვრობდა.

ის, რომ კახოსი და კუხოსი (შესაბამისად, კახები და კუხები) სისხლით და ხორციით უძველესი „ქართლოსიანე-

¹ თ. პაპუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 427.

² Н. Марр. Крещение армян, абхазов и аланов святым Григорием (Арабская версия). Спб., 1905, გვ. 167.

³ . რუსგ. ისტორიკ. ლენინგრ. ინსტიტუტის შტაბ-კვარტერი, 1858, გვ. VII.

ბი“ იყვნენ, ამას ლეონტი მროველიც აღნიშნავს. მემატრიანე მკაფიოდ განსაზღვრავს „ქართველთა ნათესავთას“ შემადგენლობას. მისი თქმით, „ხოლო შვილთა შორის მისთა (ე. ი. ქართლოსის – ვ. ვ.) გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა მცხეთოს, მეორესა – გარდაბოს, მესამესა – კახოს, მეოთხესა – კუხოს, მეხუთესა – გაჩიოს... ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს და შემდგომად ოძრჯოს და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქვეყანა და ნათესავი მათი ყოველი“.¹ ამდენად, ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფციითაც გამომდინარეობს, რომ კახოსი და კუხოსი, ანუ კახები და კუხები ძირძველი ქართველები არიან.

ეთნონიმი „ჰერი“ პირველად ანტიკურ წყაროებში ჩნდება. კლავდიოს პტოლემეაიოსის (90–168 წწ.) „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ V წიგნის IX თავის (აზიის სარმატიის მდებარეობა) 25-ე პარაგრაფში ნათქვამია: „ხოლო კავკასოსის მთებსა და კერავნიას შორის ტუსკები და დიდურები [ცხოვრობენ]; კასპიის ზღვის გასწვრივ–უდები და ოლონდები, ასევე – ისონდები და გერები. ხოლო მთიანი ქედების ძირში, კიმერიის ბოსპოროსის ორივე მხარეს – ბოსპორანები, პონტოსის გასწვრივ – აქელები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები, ხოლო ალბანიის ზემოთ – სანარეები“.² ეს ვრცელი ამონარიდი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ბერძენი გეოგრაფოსი აქ „ჰერებთან“ ერთად იმ სხვა ტომებსაც ასახელებს, რომლებმაც კახეთის ეთნოპოლიტიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. რაც შეეხება

¹ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 29–30.

² კლავდიოს პტოლემეაიოსი. გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია. ტ. I, წყაროები (მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2022, გვ. 374.

„გერებს“, მისი „ჰერებთან“ იგივეობის შესახებ მოსაზრება პირველად ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა.¹

საერთოდ „ჰერების“ ეტიმოლოგიას და ვინაობის საკითხს არაერთი მეცნიერი შეეხო. გამოთქმულია სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო, მოსაზრებები.² უკანასკნელ ხანს ამ პრობლემას ვრცელი გამოკვლევა უძღვნა დ. მუსხელიშვილმა.³ წინამდებარე ნაშრომის ფორმატი საშუალებას არ იძლევა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ყველა დებულება განვიხილოთ. ამიტომ ყურადღებას შევაჩერებთ იმ არგუმენტებზე, რომლებზე დაყრდნობითაც მკვლევართა ნაწილი ჰერებს არაქართველურ ტომად მიიჩნევს.

1. ლეონტი მროველის მიხედვით, ჰეროსი ქართლოსის ძმაა და არა მისი შვილი (როგორც მაგ., კახოსი ან კუხოსი). ამიტომ ჰეროსი არ არის ქართლოსიანი, ანუ „ქართველთა ნათესავი“, ე. ი. ქართველი.

მართლაც, მემატრიანე გვამცნობს, რომ „შვილთა შორის თარგამოსისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი. გმირნი. ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა – ქართლოს, მესამესა – ბარდოს, მეოთხესა – მოვაკან, მეხუთესა – ლეკან, მეექუსესა – ჰეროს, მეშუდესა – კაკკას, მერვესა – ეგროს“.⁴ თხზულების დასაწყისში ლეონტი აღნიშნავს: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა, – ამა თუსთა – ერთი იყო მამად, სახელით თარგამოს“.⁵ თუ ლეონტისეულ ეთნონიმებს მისსავე ჩა-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბ., 1950, გვ. 50–52.

² დაწვრ. იხ., თ. პაპუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 428–438.

³ დ. მუსხელიშვილი. ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფცია და ჰერთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, გვ. 16–112.

⁴ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁵ იქვე.

მოთვლილ ეთნარქებს მივუსადაგებთ გამოვა, რომ სომეხთა შესატყვისია ჰაოსი, ქართველთა (ამ ტერმინის ლეონტი მროველისეული გაგებით, ანუ ქართუს ტომის) – ქართლოსი, რანთა – ბარდოსი, მოვაკნელთა – მოვაკანი, ლეკთა – ლეკანი, ჰერთა – ჰეროსი, ზოგადად კავკასიელ მთიელთა – კავკასი, ხოლო მეგრელთა – ეგროსი. სწორედ ამ რვა ძმამ და მათმა შთამომავლებმა დაიმკვიდრეს კავკასია თავის საცხოვრებლად. თარგამოსის ძეთა თავგადასავლის გადმოცემის შემდეგ ქართველი მემატრიანე აცხადებს: „ხოლო აქადთგან ვიწყით და წარმოვთქუათ ამბავი ქართლოსისი და ნათესავისა მისისაჲ“.¹ ამას მოსდევს ქართლოსის მოღვაწეობის, გარდაცვალების, მისი შვილებისათვის მიწების განაწილების შესახებ თხრობა (რაზეც ზემოთ იყო საუბარი) და ა. შ.

სრულიად ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ, ლეონტისეული ხედვით, ქართლოსიანები არიან მხოლოდ და მხოლოდ ქართლოსის პირდაპირი მემკვიდრეები (შვილები, შვილიშვილები...) და არა ძმები, რის გამოც „ჰერები“ „ქართველები“ არ არიან. მაგრამ ეგროსიც ხომ ქართლოსის ძმაა, ისე როგორც ჰეროსი? მიუხედავად ამისა მეგრელთა არაქართველობის (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით) მტკიცება, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგერელია. შესაძლოა, ვინმე შეგვეკამათოს, რომ მეგრელთა ქართველობის უტყუარი საბუთი მათი ენის ქართველურ ენებთან (ქართულთან და სვანურთან) უდავო ნათესაობაა, ხოლო ჰერებთან დაკავშირებით ამგვარი მტკიცებულება არ არსებობს. რატომ არ შეიძლება დაეუშვათ, რომ ჰერები ერთერთ ქართველურ ენაზე (ან ქართულისაგან განსხვავებულ დიალექტზე) მოლაპარაკე ტომები იყვნენ და რატომ უნდა მივაკუთვნოთ ისინი ხელაღებით უცხო სამყაროს? სრულიად ცხადია, რომ ლეონტისეული და დღევანდელი გაგება ტერმინ „ქართველისა“ განსხვავებულია. ამასთანავე უნდა

¹ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 28.

ითქვას, რომ ქართველი მემბტიანის ეთნოგენეტიკური კონცეფცია მთლად უნაკლო არ არის. მაგ., ლეონტი მროველი საერთოდ არ ახსენებს ქართველთა ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ეთნიკურ ჯგუფს სვანებს, რომლებიც, არაერთი ძველი წერილობითი წყაროს მიხედვით, კავკასიის მკვიდრი და ფრიად გავლენიანი მოსახლეობა იყო. ამდენად, ის, რომ ლეონტის ეთნოლოგიურ სქემაში ჰეროსი ქართლოსის ძმაა და არა მისი უშუალო მემკვიდრე, ჰერების ეთნიკური ვინაობის დასადგენად არ გამოდგება.

2. ტოპონიმები, რომლებიც გავრცელებულია თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ისტორიულ ჰერეთში და რომელთა ქართველურ ენებზე ახსნა დღესდღეობით არ ხერხდება.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ სპეციალურად არავის უკვლევია, ხსენებულ ტერიტორიაზე დამოწმებული ტოპონიმები, რომლებიც ნახურ–დადესტნურ ენობრივ სამყაროსთან ავლენს ნათესაობას, სუბსტრატულია თუ ადსტრატული. ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ეთნოსის გარკვეული ჯგუფის საკუთარი ტერიტორიიდან სხვათა მიწა–წყალზე გადასახლების შემდეგ ჩნდება. ასეთ ფაქტებს კი საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი. მაგ., დღეს უეჭველად დამტკიცებულია, რომ ძვ. წ. III საუკუნეში, ქართლის მეფე საურმაგმა ღურძუკთა (დღევ. ჩეჩენ–ინგუშთა წინაპრები) დახმარებით დაამარცხა განდგომილი ერისთავები და გაწეული სამსახურის საფასურად „წარმოიყვანა ივინი, ყოველთა კავკასიისა ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.¹ დღევანდელი

¹ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 47; ვრცლად იხ.: ვ. ვაშაკიძე. შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე. საისტორიო–წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2014, გვ. 38–48.

კახეთი მრავალრიცხოვანი შემოსევების შედეგად ბევრჯერ დამდგარა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე და აქ უცხო, სხვა ეთნიკური მასივების შემოსვლა და დამკვიდრება თვით XX საუკუნეშიც კი მიმდინარეობდა. ხსენებული პრობლემები კარგად არის შესწავლილი ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში (მაგ., იხ. რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII–XX საუკუნეებში, თბ., 1984 და სხვ.). სწორედ ამიტომ, ყოველი ტოპონიმის განხილვამდე, ჯერ უნდა დადგინდეს – ის სუბსტრატულია თუ აღსტრატული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქართველთა ეთნოგენეზისა და განსახლების ტერიტორიის შესახებ ერთ დროს გაბატონებული იყო შეხედულება ჩვენი წინაპრების სამხრეთიდან მიგრაციის შესახებ. ამ თვალსაზრისის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ პროტოქართველების მოსვლამდე ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ნახურ– დაღესტნური და აფხაზურ–ადიღური ტომები ცხოვრობდნენ; პირველნი – აღმოსავლეთ, ხოლო მეორენი – დასავლეთ საქართველოში; მოსული ქართველური ტომების ზეწოლის შედეგად მოხდა მათი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით გადანაცვლება. ეს დასკვნებიც რამდენიმე ტოპონიმის ანალიზის შედეგად კეთდებოდა და არც მაშინ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი, ეს ტოპონიმები ადგილობრივი წარმომავლობისა იყო თუ შემოტანილი. დღეს, როდესაც ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა წინაპრების ავტოქთონობა ეჭვმიუტანლად არის დასაბუთებული (არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ისტორიული გეოგრაფიის მონაცემები),¹ მხოლოდ რამდენიმე, თუნდაც ათეული, ტოპონიმის საფუძველზე, იმის გაუთვალისწინებლად, თუ როდის და რა ვი-

¹ დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 5–46.

თარებაში გაჩნდა ესა თუ ის მათგანი, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის (ამ შემთხვევაში ჰერების) არაქართველურ წარმომავლობაზე საუბარი მართებულად არ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ზოგიერთი ტოპონიმი, რომლის დათარიღებაც შესაძლებელია, პირიქით, ჰერთა ქართველური სამყაროსადმი მიკუთვნილობაზე მიანიშნებს. მაგ., ზემოთ ხსენებული კლავდიოს პტოლემეიოსი თავის თხზულებაში (V, XII, 2) ალბანეთის აღწერისას ასახელებს ქალაქ ტელაიბა/თელაიბას.¹ ჩვენ ვიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ პტოლემეიოსისეული „ტელაიბა“ „თელავი“ უნდა იყოს. ეს უკანასკნელი კი წმინდა წყლის ქართული ტოპონიმია და თელების ადგილს, თელიანს ნიშნავს. გამოდის, რომ სულ ცოტა II ს–ში ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ქართული ტოპონიმი დასტურდება.

3. შუა საუკუნეების ქართულ, სომხურ, არაბულ–სპარსულ წყაროებში „ჰერთა მეფე“, „რანთა მეფე“, „ალვანთა მეფე“, „შაქის მეფე“, „შაქთა მეფე“ ხშირად ერთი შინაარსის იდენტური ცნებებია.

ვფიქრობთ, ამ არგუმენტის გაბათილებაც შესაძლებელია. ისტორიული ჰერეთი, ანუ ლეონტისეული ე. წ. მამასახლისობის ხანის ჰერეთი, რომლის საზღვრებიც ზემოთ აღვწერეთ, მუდმივად ამ ფარგლებში არ განიხილებოდა. მითითებული ტერიტორია არის ჰერეთი ვიწრო მნიშვნელობით. VIII ს–ში, არჩილის დროს, ჰერეთი აღმოსავლეთით გაფართოვდა და მოიცვა შაკიხი, ანუ შაკი (დღევ. ახერბაიჯანში, საინგილოს აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია, რომელიც, XIX ს–ის ადმინისტრაციული დანაწილებით, აერთიანებდა ნუხისა და აღდაშის მაზრებს²). ამდენად, ჰერეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა ისტორიული

¹ კლავდიოს პტოლემეიოსი. დასახ. ნაშრ., გვ. 376.

² დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 74.

აღბანეთის დასავლეთი ნაწილი. VIII ს–ის მეორე ნახევარში ჰერეთის სამთავრო გამოეყო ქართლის საერისმთავროს და დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა. აქედან მოკიდებული X ს–ის პირველი ნახევრის ჩათვლით მას აღმოსავლეთიდან საზღვრავდა ყაბალას მცირე სამთავრო, რომლისგანაც მდ. ტურიან–ჩაი გამოჰყოფდა, სამხრეთიდან – მდ. მტკვარი და კონჯაშინის ქედი, ხოლო ჩრდილოეთიდან – კავკასიონის ქედი.¹ ამ დროიდან ჰერეთი ფართო გაგებითაც იხმარება და ის აღბანეთის ტერიტორიასაც ფარავს. სწორედ ქვეყნის სახელის გაფართოება, რომელიც პოლიტიკური პროცესების შედეგი იყო, უნდა დადებოდა საფუძვლად იმას, რომ სხვადასხვაენოვან წერილობით წყაროებში აღნიშნული ტერიტორიის უზენაესი ხელისუფალი „ჰერთა მეფედ“, „რანთა მეფედ“, „ალვანთა მეფედ“, „შაქის მეფედ“, „შაქთა მეფედ“ მოიხსენიება. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ არც ეს გამოდგება ჰერთა ეთნიკური ვინაობის განმსაზღვრელად.

ზემოთ მოტანილი არგუმენტების განხილვამ, ჩვენი აზრით, აჩვენა, რომ მათზე დაყრდნობით ჰერების არაქართველურ ტომად გამოცხადების მიზეზები არ არსებობს. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ეთნიკური სახელი „ჰერი“ ქართველურ ენობრივ სამყაროს უკავშირდება, კერძოდ უძველეს ქართულ ტერმინს „ერს“. ჰერეთში, საქართველოს სხვა კუთხეებთან განსხვავებით, მძლავრად იყო წარმოდგენილი თავისუფალ მწარმოებელთა ფენა, რომლის აღსანიშნავად იხმარებოდა ძველი ქართული ტერმინი „ერი“. იგი თანაბრად ნიშნავდა „ხალხს“ და „ჯარს“. ამიტომაც ქვეყანას, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს „ერი“ შეადგენდა, ეწოდა „ერეთი“/„ჰერეთი“. ამდენად, ჰერი

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, გვ. 125.

ეთნიკურის გარდა სოციალური შინაარსის შემცველი ცნებაც უნდა იყოს.¹

ლეონტი მროველისეული ჰერეთი, თავის მხრივ, არაერთი მცირე „ქვეყნისაგან“ შედგებოდა: კამბეჩანი (ქიზიყი), სუჯეთი (მდ. ივრის შუა წელის ზეგანი), წუქეთი (ჰერეთის მიმდებარე ჩრდილო კავკასიის მთიანეთის ნაწილი, მდ. სამურის ხეობის ზემო წელი და დღევანდელი საინგილოს მონაკვეთი მდ. ყაფი-ჩაისა და გიშის წყალს შორის), ველისციხე და თანამედროვე კახეთის „გაღმა მხარი“ საინგილოთურთ.²

თავშივე ითქვა, რომ ახლანდელი კახეთის მოსახლეობის ჩამოყალიბებაში, გარდა კახებისა, კუხებისა და ჰერებისა, მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართული, ისე არაქართული წარმომავლობის, მთისა და ბარის, ახლო თუ შორეული მონათესავე ეთნიკური ჯგუფები: წანარები, თუშები, ფხოვლნი (ფშავ-ხევსურები), გარდაბანელნი, დურძუკნი და სხვ.

ეთნონიმი „წანარი“ პირველად კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ იხსენიება. თხზულების ზემოთ მოტანილ ფრაგმენტში მოკლედ აღნიშნულია, რომ „სანარები“ ალბანიის ზემოთ ცხოვრობენ. ამ ცნობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ წანარები/სანარები II საუკუნისათვის აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში სახლობდნენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კიდევ უფრო აზუსტებს წანართა საცხოვრისის ფარგლებს. VI ს-ის 30–40–იანი წლე-

¹ თ. პაპუაშვილი. ცნობები „კახი“, „კუხი“, „ჰერი“ და მათი შესაბამისი ქვეყნების სახელწოდებების „კახეთის“, „კუხეთის“, „ჰერეთის“ შესახებ, გვ. 439.

² დ. მუსხელიშვილი. კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII–XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 118; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 65–67.

ბის ამბების გადმოცემისას, ნათქვამია, რომ გაძლიერებულია სპარსელებმა „... ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალებს და ერთი პარტუანს ღურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს. და სხუად ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჳევსა და მორჩილებად დასდევს მისი“¹ აქ იგულისხმება ცენტრალური კავკასიონი, კერძოდ: დარიალანი, ღიანგარდონის წყალგასაყარი ქედის ზეკარი და ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალი გზა“²

წანარების შესახებ ცნობები დაცულია სომხურ, არაბულ, სპარსულ და ბიზანტიურ წყაროებშიც.³ მათი ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ წანარები სახლობდნენ ძირითადად თერგის ხეობაში, დარიალის კარისა და მისი მიმდგომი მთიანეთის რაიონში. მოგვიანებით, ისტორიული წანარეთის დიდ ნაწილს სახელი შეეცვალა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „წანარეთის ჳევიდან“ „წანარეთი“ გაქრა და შემორჩა მხოლოდ „ხევი“⁴

წანართა ეთნიკური ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული.⁵ ჩვენ ვიზიარებთ ს. ჯანაშიას მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ქართველური ტომები ატარებდნენ (და ზოგი ახლაც ატარებს) ისეთ სატომო სახელებს (სვან-ი, ზან-ი, ჳან-ი და მათი პროტოტიპები თუ ვარიანტული ფორმები – სან-ი, წან-ი და სხვ.), რომელთაც ერთგვარი

¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V–X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 94–95.

² ს. ჯანაშია. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 4.

³ დაწვრ. იხ. თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 27–30.

⁴ რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 144.

⁵ თ. პაპუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 33–45.

სტრუქტურა, კერძოდ ერთგვარი ფორმა ჰქონდათ; განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ფორმა საერთოდ ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის.¹ მართლაც „წან“ ძირი ცხადად ამჟღავნებს მის კავშირს როგორც სვანურ, ისე მეგრულ-ჭანურ (ანუ ზანურ) ენებთან. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ წანარები ერთ-ერთი ქართველური მოდემის ტომი იყო.

უკვე მრავალგზის ხსენებული კლავდიოს პტოლემეიოსი ჰერებთან (გერები) და წანარებთან (სანარები) ერთად კიდევ ერთ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს – თუშებს – ასახელებს. ბერძენი გეოგრაფოსის თქმით, „კავკასოსის მთებსა და კერავნიას შორის ტუსკები და დიდურები [ცხოვრობენ]“. „ტუსკები“ „თუშები“, ხოლო „დიდურები“ „დიდოელეები“ არიან. თუშეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე კახეთის მთიანეთს ეკუთვნის. ის კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს, თუშეთის ალაზნისა და პირიქითის ალაზნის ხეობებში და მათ შესაყარში, ომალოსა და დიკლო-შენაქოს პლატოებზე. თუშეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ინგუშეთისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკები (რუსეთის ფედერაცია), აღმოსავლეთიდან – დაღესტნის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), სამხრეთიდან – შიდა კახეთის რაიონები, ხოლო დასავლეთიდან – ფშავი და ხევსურეთი.²

თუშები ორ ენობრივ ჯგუფად განიყოფებიან: ჩაღმათუშებად და წოვათუშებად. პირველნი მეტყველებენ ქართული ენის თუშურ დიალექტზე, რომელიც ფშაურ, ხევსურულ და მოხევურ დიალექტებთან ერთად ქართულ კილოთა ფხოვურ ჯგუფში ერთიანდება. წოვათუშები ორენოვანნი არიან. მათი საშინაო სალაპარაკო ენა წოვათუშური,

¹ ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 47.

² გ. ცოცანიძე. ტერმინები „თუშეთი“ და „თუშები“, წიგნში: სა-ქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 539.

ანუ ბაცბურია, ხოლო გარეთ ისინი ქართული ენის კახური დიალექტის მინამგვან კილოზე მეტყველებენ. თავად წოვათუშური (ბაცბური) ნახური (ჩეჩნურ-ინგუშურ-ბაცბურ) ენათა ოჯახის კუთვნილებაა.¹

ზემოთქმულის გამო, მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ თუშები წარმოშობით ნახური ტომია, მეორენი კი თუშებს ქართულ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს.² ვფიქრობთ, სრულიად გასაზიარებელია ეთნოლოგთა მიერ დასაბუთებული მოსაზრება, რომ წოვათუშები იმ ქართველი მეცხვარეების შთამომავლები არიან, რომლებიც საქართველოდან ჯერ ინგუშეთში, შემდეგ კი ჩეჩნეთში რამდენიმე თაობის ცხოვრების შემდეგ თუშეთში, წოვათაში დასახლებულან. ინგუშეთის ჯარიახის ხეობაში (კერძოდ, ვაბში) ცოლ-შვილით გადასული შვიდი ქართველი მეცხვარის ჩამომავლებისთვის სალაპარაკო ენად ინგუშური იქცა.³ სწორედ მათ მოიტანეს თუშეთში ბაცბური ენა, რომელიც გრამატიკის სიტყვაწარმოების ნაწილში და, განსაკუთრებით, ლექსიკის სფეროში ქართული ენის ძლიერ ზეგავლენას განიცდის. ამდენად, თუშები თავის წარმომავლობით ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფია, რომლის ორენოვნება ზემოხსენებულმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობეს. ტოპონიმი თუშეთი ეთნონიმ თუშისაგან გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი –ეთ პრეფიქსის დართვის შედეგადაა მიღებული და თუშთა სამყოფელს ნიშნავს. თავად ეთნონიმ „თუშის“ ეტიმოლოგია კი ჯერ-ჯერობით მთლად გარკვეული არ არის.⁴

ფშავი მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდ. ფშავის არაგვისა და მისი შენაკადების ხეობებში. აღმოსავლეთიდან მას თუშეთი და ნაწილობრივ

¹ გ. ცოცანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 539–540.

² თ. პაპუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 57–60.

³ რ. თოფჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 135–141.

⁴ გ. ცოცანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 541–542.

ივრის ხეობა ესაზღვრება, დასავლეთიდან – მთიულეთ-გუდამაყარი, ჩრდილოეთიდან – ხევსურეთი, სამხრეთიდან კი შიდა ქართლი. სახელწოდება ფშავი XV ს-დან ჩნდება, მანამდე ის, ხევსურეთთან ერთად, ფხოვად იწოდებოდა.¹ დღეს ფშავი ორად იყოფა: უკანაფშავად (ორწყლიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე) და წინაფშავად (სოფ. გუდრუხიდან ორწყლამდე). ფშაველთა თავდაპირველი საცხოვრისი უკანაფშავი იყო, რასაც აქ არსებული თერთმეტივე ფშაური თემის სალოცავები ადასტურებს.² ფშაველები ქართული ენის ფშაურ დიალექტზე მეტყველებენ.

ხევსურეთი განფენილია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ და ნაწილობრივ ჩრდილო კალთებზე, მდ. ხევსურეთის არაგვის, არხოტის წყლის (მდ. ასა) და შატილ-მიღმახევის წყალთა (მდ. არღუნი) ხეობებში. ისტორიული ხევსურეთის ნაწილი, რომელსაც პირაქეთ, მირგვალ ან ბუდეხევსურეთს უწოდებენ, ხევსურეთის არაგვისა და მისი შენაკადების – როშკის, ბისო-ხახმატის, ოხერხევის, ჩირდილის, ლიქოკის, დათვისისა და აკუმოს წყალთა აუზშია მოქცეული. არხოტისა და შატილ-მიღმახევის ხეობებს პირიქით-ხევსურეთი ჰქვია.³ ხევსურეთს ჩრდილოეთიდან ეკვრის ინგუშეთის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), სამხრეთიდან – ფშავი, აღმოსავლეთიდან თუშეთი და ჩეჩნეთის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), ხოლო დასავლეთიდან – ხევი და მთიულეთ-გუდამაყარი. ხევსურები ლაპარაკობენ ქართული ენის ხევსურულ დიალექტზე.

ვარაუდობენ, რომ ისტორიულ წყაროებში დამოწმებული ფხოვი/ფხოეთი განსაკუთრებით ხევსურეთს უნდა გულისხმობდეს. ამ მოსაზრებას ისიც განამტკიცებს, რომ

¹ თ. ოჩიაური. ტერმინები „ფშავი“ და „ხევსურეთი“, წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 534.

² რ. თოფჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 81.

³ თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრ., გვ. 535–536.

ნახური ეთნონიმები „ფხვე“ (ქისტ.) და „ფხვე“ (ბაცბ.) მხოლოდ ხევსურებს აღნიშნავს.¹ რაც შეეხება ამ სიტყვის ეტიმოლოგიას, ჩვენი აზრით, გასაზიარებელია შეხედულება, რომლის თანახმადაც „ვევ-ის-ურ-ი“ ნიშნავს ჰვეის მცხოვრებს.²

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეთნონიმი „გარდაბანელი“ ქართველთა ერთ-ერთ ეპონიმის „გარდაბოსისაგან“ მომდინარეობს. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველთა მამამთავრის, ქართლოსის ერთ-ერთი ვაჟი იყო. ლეონტი მროველთან დაცული ისტორიული ტრადიციის თანახმად, გარდაბოსის წილი ქვეყანა, რომლის პოლიტიკური ცენტრი ხუნანი, ანუ იგივე მტკვრის ციხე იყო, უძველესი დროიდან „ქართლოსიანებით“, ე. ი. ქართუს ტომებით იყო დასახლებული. გარდაბოსის წილი ტერიტორიის საზღვარი იყო „აღმოსავლით – მდინარე ბერდუჯისი, დასავლით – ქალაქი გაჩიანი, და სამხრით – მთაჲ პირველ ვსენებული, და ჩრდილოთ – მტკვარი“.³ მდ. ბერდუჯი დღევ. მდ. ძეგამ-ჩაია, ხოლო „მთაჲ პირველ ვსენებული“ – მთათა სისტემა, რომელიც იწყებოდა მდ. ბერდუჯის სათავეებიდან და გაჰყვებოდა მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფს მთელს სივრცეზე მტკვრის სათავეების ჩათვლით, ხოლო აქედან ქედს, რომელიც გაჰყოფდა კლარჯეთს (მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზი) ტაოსგან (მდ. ჭოროხის შუა დინების აუზი).⁴ სწორედ ამ ტერიტორიაზე მოსახლე „გარდაბანელი“ არიან ისინი, ვინც VIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული

¹ თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრ., გვ. 535–536.

² აღ. ჭინჭარაული. ხევსურეთის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 797.

³ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

⁴ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 79–80.

X ს-ის ჩათვლით აქტიურად მონაწილეობდნენ კახეთის ეთნოპოლიტიკურ პროცესებში.

სრულიად უტყუარი ფაქტია, რომ აღნიშნულ პერიოდში, ჯერ კახეთის სამთავროს, შემდეგ კი რანთა და კახთა სამეფოს პოლიტიკურ შემადგენლობაში აღმოჩნდა დუროძეების (დღევ. ჩეჩენ-ინგუშების წინაპრები) ნაწილი.¹ ამაზე მეტყველებს ქართული კულტურული ნაკადების შესვლა ინგუშეთში, რასაც ადასტურებს ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ხელნაწერების არსებობა, ქართული ლექსიკის ჭარბი ფენების დადასტურება ინგუშურ ენაში და სხვ.² ბუნებრივია, ამგვარი ურთიერთობა მხოლოდ ცალმხრივი ვერ იქნებოდა და ნახური ელემენტიც ჩართული იყო იმდროინდელი კახეთის ცხოვრებაში.

ამდენად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, ცხადია, რომ თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე უძველეს მოსახლეობას შეადგენდნენ ავტოქთონი ქართველური მოდემის ტომები, რომლებსაც მჭიდრო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ თავიანთ მეზობელ, ასევე კავკასიის მკვიდრ ტომებთან. ეს უკანასკნელნი, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყანაში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში.

¹ თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 77-94.

² იქვე, გვ. 93.

§ II. ქვეყანა „კახეთი“ და მისი აღმოსავლეთი საზღვრები

ეთნიკურ ერთობათა შექმნის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა გარკვეული ტერიტორიაა, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ყალიბდება. სწორედ ის არის აქ მცხოვრები ხალხის საიმედო თავშესაფარი, მეურნეობისა და ცხოვრების წესის მიმცემი, ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელი. დროთა განმავლობაში მოსახლეობა იმდენად ორგანულად ერწყმის მას, რომ თავის განუყოფელ ნაწილად აღიქვამს. თაობიდან თაობას გადაეცემა ცოდნა იმის შესახებ, რომ მშობლიური მიწა დასაბამიდან დაკავშირებულია აქ განსახლებული ხალხის ისტორიულ ბედთან. იმის გამო, რომ ეთნიკური ჯგუფი თვითიდენტიფიკაციას მხოლოდ სხვებთან დაპირისპირების გზით ახდენს, უძველესი კულტურული ხალხების წარმოდგენით, „სამყარო“/„ქვეყანა“ იყო ის ადგილი, სადაც თავად, ანუ „ჩვენ ჯგუფი“ ცხოვრობდა. ეთნოსის ცნობიერებაში ეს იყო მკაცრად შემოსაზღვრული კონკრეტული ტერიტორია, სადაც წესრიგი და თანხმობა სუფევდა და მკვეთრად იმიჯნებოდა იმ სივრცისაგან, რომელიც „სხვებით“ იყო დასახლებული. ამიტომაც თითოეული ხალხი თავგანწირვით იცავდა და საგულდაგულოდ უფროსილდებოდა საკუთარ საცხოვრისს და მის ხელყოფას ვერაფრით ეგუებოდა.¹

საისტორიო წყაროები საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ თანამედროვე კახეთის ქვეყნის ჩამოყალიბების ხანგრძლივ ისტორიას და გამოვყოთ მისი ცალკეული ეტაპები. სახელწოდება კახეთი, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, ანუ საკუთრივ კახეთი თავდაპირველად მოიცავდა კახოსის კუთვნილ სამამასახლისოს ტერიტორიას; მომდევნო

¹ ვ. ვაშაკიძე. სახელმწიფო ტერიტორია – „კოლექტიური მესხიერების ხატი“, ანალები, 2016, №12, გვ. 60–67 (ლიტ. იხ. იქვე).

პერიოდში, ფარნავაზიანთა ერთიანი ქართლის (იბერიის) შემადგენლობაში კახეთის სამამასახლისო ქვეყანა კახეთის საერისთავოდ გადაიქცა; VIII ს–დან კახეთის საერისთავოს ბაზაზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი ფეოდალური პოლიტიკური ერთეული – კახეთის სამთავრო; XI ს–ის 20–იან წლებში, ჰერეთის სამეფოს შეერთების შემდეგ, შეიქმნა კახეთის სამეფო; დავით აღმაშენებლის დროიდან კახეთის სამეფო „ყოველი საქართველოს“, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ორგანული და განუყოფელი ნაწილია; საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) წარმოიშვა გვიანი შუა საუკუნეების კახეთის სამეფო; ქართლის მეფის, თეიმურაზ II–ის გარდაცვალების (1762 წ.) შემდგომ კახეთი გაერთიანებული ქართლ–კახეთის სამეფოშია, რომელიც, 1801 წლიდან რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდა; 1918 წლის 26 მაისიდან, საქართველოს ანექსიამდე და ძალით გასაბჭოებამდე, კახეთი საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ხოლო 1921 წლის 25 თებერვლიდან სსრკ–ს დაშლამდე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაშია; საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ. 9 აპრილი) შემდეგ კახეთის მხარე საქართველოს ერთ–ერთი ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულია.

საკუთრივ კახეთზე, ანუ კახეთის სამამასახლისო ქვეყანაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. გავიმეორებთ, რომ ის კახოსის წილხვედრი ტერიტორიაა „კავკასიასა და კახეთისა მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისაჲ“.¹ ეს მოიცავს მდ. ივრისა და მდ. ალაზნის ზემო წელს თავისი მიმდგომი მთიანეთითურთ. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრებოდა ჰერეთი (ჰეროსის მიწა–წყალი).

¹ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, გვ. 29.

ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა კახეთი და კუხეთი (კუხოსის სამამასახლისო ქვეყანა) ერთ საერისთავოში მოაქცია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზმა „და გაგზავნა ერთი კახეთისა ერისთავად და მისცა არაგვთგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“.¹ კახეთის ქვეყნის განვითარებაში ეს თვისებრივად ახალი ეტაპია, რადგან კახეთის საერისთავოს სახელის ქვეშ კუხეთიც შევიდა. როგორც წყარო ამბობს, ქართლის სამეფოს ხსენებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთით ჰერეთს ეკვროდა. საზღვარი უნდა გასულიყო დაწვებული მდ. ბერდუჯის (დღევ. მდ. ძეგამ-ჩაი) მტკვართან შესართავიდან და ძველქართულ ქალაქ ხუნანიდან (დღევ. თოფრახ-ყალა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აზერბაიჯანში) მტკვრის გაყოლებით, ვიდრე ქალაქ რუსთავამდე. შემდეგ მკვეთრად ჩრდილოეთისაკენ, სამგორ-ჩადივრისა და გარეჯის მთის შორისი ხაზით მდ. იორამდე; აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ თურდოს ხეობით (სადაც მდებარეობს ძველი ნამოსახლარი ტყებბა-გულგულა) ალაზნამდე; აქედან ალაზნის გაყოლებით დასავლეთისაკენ, ვიდრე ბახტრიონამდე; შემდეგ ალაზან-მაჭარეულის წყალგამყოფი მთით ალაზან-შტორის წყალგამყოფი ქედის მიმართულებით კავკასიონამდე.²

კახეთ-კუხეთი კვლავ ერთად განიხილება IV ს-ის პირველ ნახევარშიც. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მეფე მირიანმა „მისცა ძესა მისსა, რევს, საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“.³ ფრიად საინტერესოა, რომ ამდროინდელ კუხეთში შედის ჰერეთის

¹ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, გვ. 44.

² დ. მუსხელიშვილი. ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფცია და ჰერეთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, გვ. 28-29.

³ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 84.

გარკვეული ნაწილი, კერძოდ სუჯეთი დაბა ბოდბეთი.¹ მაგ., წყარო მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინო „მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა“²; ქართველთა განმანათლებელი დაკრძალეს „ადგილსავე ზედა კუხეთისასა, დაბასა ბუდისსა“.³ ბოდისი/ბუდისი იგივე ბოდბეა.

მეფე მირიანის მიერ ერთ სუფლისწულად გაერთიანებული კახეთი და კუხეთი მისი მემკვიდრის, ბაქარის, დროს კვლავ ორ საერისთავოდ აღდგა. უფლისწული რევი ადრე გარდაიცვალა და ტახტზე ასულმა მისმა ძმამ ბაქარმა „მოიყვანა ძმისწული მისი და მისცა კუხეთი, და დასუა რუსთავის ერისთავად“.⁴

ანალოგიური ვითარებაა ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისში. მემატეანის თქმით, „მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავესგან რევის, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი და ცხონდებოდეს რუსთავსა ქალაქსა“.⁵ მდგომარეობა იცვლება ვახტანგის მეფობის მოგვიანო პერიოდში. ამ დროს კახეთ-კუხეთი კვლავ ერთ საერისთავოშია გაერთიანებული. მეფის წარჩინებულთა შორის ჯუანშერს დასახელებული ჰყავს „დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა“.⁶

გუარამ კურაპალატიც ქართლის ერისმთავრობის დროს (VI ს-ის II ნახევარი) „შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესაენი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისა მიეცა მეფობად ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს და იპერეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს და

¹ დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 58–59.

² ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 141.

³ იქვე, გვ. 142.

⁴ ლეონტი მროველი. დასახ. ნაშრ., გვ. 146.

⁵ ჯუანშერი. ცხორება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008, გვ. 172.

⁶ იქვე, გვ. 200.

იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“.¹ „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობაზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ „ჰერეთი იორითგან“ გულისხმობს „სუჯეთს“, გარეჯის უდაბნოებისა და ბოდბის ტერიტორიას, ხოლო მთელი ამ ზემოხსენებული ვრცელი მხარის ცენტრია უჯარმა... მეორე მხრივ, ქალაქი უჯარმა საკუთრივ კახეთში მდებარეობდა და ამიტომ, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მთელი ის ტერიტორია, რომლის ცენტრიც იგი იყო, კახეთად აღიქმებოდა.² ერთი რამ სრულიად ცხადია, მიმდინარეობს ცნება „კახეთის“ თანდათანობით გაფართოება კუხეთისა და ნაწილობრივ ჰერეთის ხარჯზე.

VII ს–ში ზემოხსენებული საკმაოდ დიდი პოლიტიკური გაერთიანება დაშლილი ჩანს. კახეთს კვლავ ჩამოცილდა კუხეთი და ჰერეთი. არაბი ავტორი ბალაზორი (IX ს.) თავის თხზულებაში ვრცლად აღწერს VII ს–ის შუა ხანებში არაბთა მიერ სამხრეთ კავკასიის დაპყრობას. ჩვენთვის საინტერესოა, რომ სხვა დამორჩილებულ მხარეებთან ერთად ჩამონათვალში იხსენიება კახეთი და კუხეთი.³ არაბმა სარდალმა ჰაბიბ იბნ–მასლამამ სწორედ ცალკეულ ქვეყნებთან გააფორმა „დაცვის სიგელები“. როგორც ჩანს, საგარეო ფაქტორმა დროებით გადადო პროცესი, რომელიც მეზობელი „ქვეყნების“ ხარჯზე კახეთის გაფართოებას უწყობდა ხელს. ასეთი ვითარება შენარჩუნდა VIII ს–ის 80–იან წლებამდე.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „განდგა გრიგოლი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავ-

¹ ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 226.

² დ. მუსხელიშვილი. ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფცია და ჰერეთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, გვ. 37.

³ Баладзори. Книга завоевания стран. Текст и перевод. Перевод с арабского проф. П. К. Жузе. Баку, 1927, გვ. 18.

რად ანუ ქორიკოზად“.¹ როგორც ვხედავთ, გრიგოლის ზეობაში (787–827 წწ.) „კახეთის“ შინაარსი საგრძნობლად განივრცო და ის მოიცავს კახეთს, კუხეთს და გარდაბანს. ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ გარდაბანელებზე და მათი ტერიტორიაც განვსაზღვრეთ. სწორედ ეს მიწები (ე. ი. ქართული გარდაბანი²) იგულისხმება იმ გარდაბანში, რომელიც გრიგოლს შემოუერთებია. ე. ი. კახეთის სამთავროს საზღვრები სამხრეთ–აღმოსავლეთით გაფართოვდა. რაც შეეხება კუხეთს, გრიგოლ „ქორიკოზმა“ (სწორია ქორეპისკოპოსი) „მოსპო სახელი კუხეთისა“, იმას მოწმობს, რომ ამიერიდან ტერმინი „კუხეთი“, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდება, აღარ იხმარებოდა, რადგან ეს ტერიტორია კახეთთან გაერთიანდა. რა თქმა უნდა, სახელი კუხეთი (ისე, როგორც სუჯეთი) ერთბაშად არ გამქრალა და მომდევნო ხანებშიც გვხვდება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული ცნების მნიშვნელობით.

მაშინ, როცა გრიგოლ მთავარმა კახეთი (კუხეთითა და გარდაბნით) დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად აქცია, „ჰერეთი დაიპყრეს ჟამთა ამათვე ადარნასეს ძმისწულთა და გამეფდა მუნ“.³ ჩამოყალიბდა ჰერეთის სამეფო. მას აღმოსავლეთიდან საზღვრავდა ყაბალას მცირე სამთავრო, რომლისგანაც მდ. ტურიან–ჩაი გამოჰყოფდა, სამხრეთიდან – მტკვარი და კონჯაშინის ქედი, ხოლო ჩრდილოეთიდან – კავკასიონის ქედი“.⁴

თავად ახლადწარმოქმნილი კახეთის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი, სადაც მას ჰერეთის სამეფო ეკვროდა, გადიოდა ვეჟინის და გავაზის დასავლეთით – ალაზ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 557.

² საერთოდ ორი გარდაბნის შესახებ დაწვრი. იხ. თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 15–25.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 558.

⁴ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 125.

ნის ველზე; გარეჯის უდაბნოს და ბოდბეს აღმოსავლეთით – ივრის ველზე.¹

კახეთის პოლიტიკურ ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა XI ს-ის 20-იან წლებში კვირიკე III დიდად წოდებულის (1010–1037 წწ.) მიერ ჰერეთის სამეფოს შემოერთება. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „ამან კვრიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა“.² ამდენად, მოხდა კახეთ–ჰერეთის პოლიტიკური შერწყმა და ტერმინმა „კახეთმა“ ჰერეთიც მოიცვა.

კვირიკე III-მ ჰერეთში ოთხი ერისთავი გაამწესა. მათი საგამგებლო ტერიტორიების განსაზღვრა კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრების დადგენის საშუალებას იძლევა. ვახუშტი გვაუწყებს, რომ მეფემ „ჰერეთს დასუა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ–კახეთი კუხეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკუარს შიგნით და ჰერეთის მთისა. მეორე ვეჯინს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეითი თურდოს ჳევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნითი, რომელ არს აწ შიგნით–კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქუეითი და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ. მეოთხე დასუა შტორისა და მისცა შტორის ჳევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გაღმა–მჭარი“.³

ზემოსხენებულ წყაროზე დაყრდნობით, XI ს-ის კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა ივრისა და ალაზნის შესართავთან, ხორანთასთან. შემდეგ ის მიუყვებოდა ალაზნის პირს ჩრდილოეთის მიმართულებით იმ ადგილამდის, სადაც ალაზანს გიშის–წყალი ერთვის. აქედან სასაზღვრო ხაზი გიშის–წყალს გასდევდა ჯერ აღმო-

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 125.

² ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 561.

³ იქვე.

საელეთის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედზეა.¹

XII ს-ის დასაწყისში, კერძოდ 1104–1105 წწ-ში კახეთის სამეფო გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. დავით IV აღმაშენებელმა „აღიხუნა... ჰერეთი და კახეთი“.² ამიერიდან კახეთი ერთიანი საქართველოს სამეფოს ორგანული ნაწილია და აქტიურად მონაწილეობს „ყოველი საქართველოს“ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე, გარე აგრესიისა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე რთული პროცესების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო არ დაიშალა. XV ს-ში კვლავ აღდგა კახეთის სამეფო.

გვიანი შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს პირველი მეფე იყო გიორგი I (1466–1476 წწ.). ეს უკანასკნელი ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა, მაგრამ ქვეყნის მთლიანობა ვერ შეინარჩუნა და იძულებული გახდა კახეთით დაკმაყოფილებულიყო. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, გიორგიმ „დაიპყრა სრულიად კახეთი. მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შიღლა-ყუარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხუანიცა... ამანვე მოსპო სახელი ჰერეთისა და იწოდა, ვითარცა ადვსწერეთ, არა მისცა მთავართა ძალი, არამედ თვთ დაიპყრა. გარნა თუ იწოდა თვსთაგან მეფედ“.³

როგორც წყარო გვამცნობს, გიორგი I-მა, სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გატარებულ ღონის-

¹ თ. პაპაუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 112.

² ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008, გვ. 311.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 567–568.

ძიებებთან ერთად, „მოსპო სახელი პერეთისა“. ეს უკანას-
კნელი (როგორც თავის დროზე სუჯეთი და კუხეთი) ამიე-
რიდან მართლაც მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა. თავად
ვახუშტის ცნობით, „პერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე
განყოფით ესრეთ: გაღმა მკარს, ელისენსა, შიგნით – კა-
ხეთს ქისიყს და გარეთს – კახეთს“.¹

1555 წლის ირან–ოსმალეთს შორის გაფორმებული
ამასიის ზავის პირობებით, ირანს „ერგო“ ქართლისა და
კახეთის სამეფოები და სამცხე–საათაბაგოს აღმოსავლეთი
ნაწილი (მდ. მტკვრის აუზი). ვიდრე ოსმალეთთან ომი მიმ-
დინარეობდა, ირანი კახეთის მხრიდან შედარებით მსუბუქ
ვასალობას სჯერდებოდა, მაგრამ ხსენებული ზავის შემ-
დეგ მან კახეთის სამეფოს წუქეთი (წახურის სამფლობე-
ლო) ჩამოაცილა.² ეს მძიმე მარცხი იყო, რადგან სამურის
ზემო წელში მდებარე ეს მხარე „რომელიც უძველესი
დროიდანვე საქართველოში შემომავალი ქრისტიანული
ქვეყანა იყო, კახეთის მეფეებს ფაქტიურად ჩამოართვეს და
ერანის შაჰისგან უშუალოდ დამოკიდებულ ერთეულად აქ-
ციეს“.³ ამ დროიდან კახეთის აღმოსავლეთი მიწები დაღეს-
ტნელთა მარბიელი ლაშქრობების საფრთხის წინაშე დად-
გა. იწყება ცნება „კახეთის“ დავიწროების ტენდენცია, რო-
მელიც კიდევ უფრო გაღრმავდა XVII ს–ის დასაწყისში.

1603 წელს ირანის შაჰმა აბას I-მა (1587–1629 წწ.)
აღყა შემოარტყა ერევნის ციხეს და ოსმალთა წინააღმდეგ
ომისათვის თავისთან იხმო ქართლის მეფე გიორგი X
(1600–1605 წწ.) და კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574–1605
წწ.). ქართველთა მხედრობამ აქტიური მონაწილეობა მიი-
ღო ერევნის ციხის აღებაში (1604 წ.). კმაყოფილმა ირანის
მბრძანებელმა უხვად დააჯილდოვა ქართველი მეფეები,

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 524.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 119.

³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ.,
1966, გვ. 263.

თუმცა თავისი მზაკერული ჩანაფიქრიც განახორციელა: გიორგი მეფეს ირანში სოფლები უწყალობა და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა, სამაგიეროდ ლორეს პროვინცია და მდ. დებედას ხეობა გამოსცეუა (ლორეში შაჰმა სახანო შექმნა, დებედას ხეობაში კი თურქმანული ტომი „ბორჩაღუ“ ჩაასახლა); ალექსანდრე კახთა მეფეს 700 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა, სანაცვლოდ კაკ-ენისეღის (საინგილოში) პროვინცია გამოსთხოვა, სადაც მუსლიმური სასულთნო დააარსა. აქ მმართველად გამაჰმადიანებული კახელი თავადი დაინიშნა, რომელიც უშუალოდ ირანის შაჰს ექვემდებარებოდა. ამ ეშმაკური ნაბიჯით აბას I-მა ქართლს სამხრეთი ზღუდე მოურღვია, კახეთს – აღმოსავლეთი.

ირანის მბრძანებელმა, რომელსაც ქართლ-კახეთის ამოგდება ჰქონდა განზრახული, ეს არ იკმარა და 1614–1617 წლებში არაერთგზის დალაშქრა კახეთი. კახელები არც ერთ გოჯ მიწას არ თმობდნენ უბრძოლველად, მაგრამ ძალები მეტიმეტად არათანაბარი იყო. შედეგად კახეთმა მძიმე და გამოუსწორებელი ნგრევა განიცადა. იმდროინდელი ბევრი სოფელი და ქალაქი აღარასოდეს აღმდგარა. XVI–XVII სს-ის ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში თავის თხზულებაში „ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა“ აღნიშნავს: „ისეთი ქვეყანა (კახეთი – ვ. ვ.), რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებელს და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული“.¹ კახეთმა მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა – ასი ათასამდე მტერს შეაკვდა, ხოლო ორასი ათასამდე ადამიანი აყარეს და ირანის შიდა პროვინციებში გადაასახლეს.² აბას I-მა დაპყრობილი კახეთი ორად გაყო: ივრის აღმო-

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1959, გვ. 109.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 272–273.

საელეთი მხარე განჯის მმართველს, ფეიქარ-ხანს მისცა, დასავლეთი კი – ქართლის გამგებელს, ბაგრატ ხანს. გაუკაცრიელებულ კახეთში თურქმანული ელების ჩამოსახლება გადაწყდა.¹

შაჰ აბას II-ის (1642–1666 წწ.) ბრძანებით, შიდა და გარე კახეთის მიწებზე 15000 თურქმანი ოჯახის დასახლება დაიწყო. ამ საქმის განხორციელება დაეალებული ჰქონდათ ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს მურთაზ ყული-ხანს (რომელიც კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდა) და ნახჭევანის მმართველს ალი ყული-ხანს (რომელსაც დანარჩენი კახეთი ემორჩილებოდა). მათ კახეთის ბარში დაახლოებით 80 000–მდე თურქმანი ჩაასახლეს. ბუნებრივია, „ელებს იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ, ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა“.²

მომთაბარეთა ცხოვრების წესი სრულ გადაგვარებას უქადდა კახეთის მოსახლეობას: ბარის კულტურულ მეურნეობას გადაშენების, ხოლო მთიანეთის მკვიდრთ, რომლებიც ბარის ჭირნახულითა და ზამთრის საძოვრებით ირჩენდნენ თავს, შიმშილით ამოწყვეტის საფრთხე დაემუქრა. უდიდესმა განსაცდელმა 1659 წლის საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. ბერი ეგნატაშვილის თქმით, „თათარნი და ელი, რაც ესახლა, მოსრეს პირითა მახვლისათა და ამოსწყვეტეს დედა-წულითურთ და, აკუანში რომელნიმე ყრმანი იწუნენ, იგინიცა დავოცნეს. სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვეტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს, და რომელნიმე ივლტოდეს.“³ როგორც

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 272.

² ვ. ფუთურიძე. მოკამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 394.

³ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 438.

წყაროდან ჩანს, სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანის წინაშე მდგარმა და თურქმანთა თავხედობით თავმოებზრებულმა კახელებმა არავინ დაინდეს. იმ მცირე ნაწილმა, ვინც მახვილს გადაურჩა, გაქცევით უშველა თავს. ამჯერად კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა, მაგრამ საგარეო საფრთხე საბოლოოდ მაინც ვერ იქნა არიდებული.

XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში კახეთის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ შაჰ აბას I-ის დროს კახეთმა დაკარგა მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – კაკ-ენისელი. ირან-ოსმალეთის ხელშეწყობით აქ სახლდებოდნენ ავარიელი და წახურელი ლეკები. კახეთის სამეფოს აღმოსავლეთის საზღვარმა ყანი-ყობანიდან (რომელიც ადრე კახეთს შაქის სახანოსთან მიჯნავდა) მდ. ყაფუ-ჩაიზე გადმოინაცვლა. მთელი XVII ს-ის განმავლობაში მდ. ალაზნის გაღმა მდებარე კახურ სოფლებში თანდათანობით მომრავლდნენ დაღესტნიდან ჩამოსახლებული მოახალშენნი. XVIII ს-ის დასაწყისში ჭარის, ბელაქნისა და თალას ე. წ. „უბატონო თემები“ საგრძნობლად გაძლიერდნენ. მათ ნაწილობრივ შექლეს კახელ გლეხთა გადაბირება და „გაღეკება“, რაშიც ბატონყმობით შეწუხებული გლეხობა უბატონობას ხედავდა. ჩამოსახლებულმა ლეკებმა და „გაღეკებულმა“ კახელმა გლეხებმა აქ მცხოვრები თავად-აზნაურთა დიდი ნაწილი ალაზნის გამოღმა გადმორეკეს, თუმცა სულ მალე ლეკებმა ქართული სოფლები დაიმორჩილეს და დაბეგრეს.¹

1727 წელს ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით ჭარელ ლეკებს საბოლოოდ დაუმტკიცა მათ მიერ მიტაცებული ქვეყანა იმ სამსახურისათვის, რომელიც ჭარელებმა მართლმორწმუნე ფადიშაჰს ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენეს. ასე ჩამოყალიბდა კახეთის აღმოსავლეთ

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 427.

ნაწილში (საინგილო) ჭარ-ბელაქნელ ადღართა სახელ-
მწიფო, რომელმაც მალე ელისუს სასულთნოც დაიქვემდებარა. აქედან მოკიდებული, კახეთის აღმოსავლეთის საზღვარმა მდ. ყაფუ-ჩაიდან დასავლეთით, გავაზისწყალზე გადმოინაცვლა.¹

კახელები არ ეგუებოდნენ ლეკთა მოწოლას და თავგანწირვით იბრძოდნენ მომხვედურთა წინააღმდეგ. მაგ., როცა ჭარელებმა და მათ მიერ მოწვეულმა დაღესტნელებმა ლეკებმა თელავის ციხის აღება სცადეს, თელაველებმა „განწირნეს თავი და გამოვიდნენ განზრახუთა ვისმე ხუცისათა, რომელი ეტყოდა ძლევასა ლეკთა ზედა; ეკუეთნეს თელაველნი და მოსრნეს ბანაკნი მათნი, აოტნეს და აღიღეს ალაფნი მათნი. ამის მხილველთა კახთა მოსრნეს ყოველნი თუსთა შინა მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კუალად სიმაგრეთა შინა მყოფნი დაადგრნენ მტკიცედ“.² როგორც ვხედავთ, თელაველთა სიმამაცით გულმოდემოდ კახელებს ქვეყანა ლეკთაგან გაუწმენდიათ, მაგრამ მსგავსი გამარჯვებები ერთეულ ხასიათს ატარებდა. ალაზნის გაღმა ტერიტორია კვლავაც მოწვევტილი იყო კახეთისაგან და ამოხრებელი მარბიელი ლაშქრობების ბუდედ რჩებოდა. მდგომარეობას კიდევ მეტად ართულებდა „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“.

1744 წელს ირანის შაჰის ნადირის (1736–1747 წწ.) თანხმობით, ქართლის სამეფო ტახტი თეიმურაზ II-მ (1744–1762 წწ.) დაიკავა, ხოლო კახეთისა – მისმა ვაჟმა, ერეკლე II-მ (1744–1762წწ.). ეს უკანასკნელი, მამის გარდაცვალების შემდეგ, ერთიანი ქართლ-კახეთის მეფე გახდა (გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს). ქრისტიანი მამა-შვილის გამეფება, იმის გათვალისწინებით, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყანას მაჰმადიანი მმართველები განაგებდნენ, დიდი წარმატება იყო. ვახუშტი ბა-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 428.

² ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 623.

ტონიშვილის სიტყვებით, „მოსცა შაჰნადირ თეიმურაზს ქართლი და ძესა მისსა ერეკლეს კახეთი. მაშინ მოვიდა თეიმურაზ და დაჯდა ტფილისს ... ხოლო ძე თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს“.¹

ქართლ-კახეთის მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ჭარ-ბელაქნის პრობლემის გადაუჭრელად „ლეკიანობა“ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი კახეთს, წაღვეკვით ემუქრებოდა. 1751 წლის თებერვალში მამა-შვილი თავიანთი ჯარებით ჭარისაკენ დაიძრნენ. ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ შაქის ხანი აჯი ჩელები მათ წინააღმდეგ არ გამოვიდოდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. 15 თებერვალს ბრძოლა მოხდა მდ. აგრიჩაის ნაპირზე, სადაც გადიოდა საზღვარი ჭარ-ბელაქანსა (ელისუს სასულთნოს ჩათვლით) და შაქს შორის. თეიმურაზსა და ერეკლეს ვითომდა მათმა მოკავშირე განჯის ჯარმაც უღალატა და სასტიკი შეტაკება ქართველთა სრული მარცხით დასრულდა. გამარჯვებამ ჭარ-დაღესტნელები კიდევ უფრო წაახალისა. მართალია ერეკლემ მათ მოთარეშე რაზმებს მუსრი გაავლო, მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლიდა.

ქართლ-კახეთის მეფეები დაუღალავად ცდილობდნენ, რომ აელაგმათ ლეკიანობა და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში თავიანთი პოზიცია განემტკიცებინათ. ამ გამუდმებულ ომებში იყო მარცხიც და წარმატებაც (მაგ., 1751 წ. ქართველებმა ყირბულახთან დაამარცხეს ირანის ტახტის მაძიებელი აზატ-ხან ავღანი; 1752 წ. აპრილში განჯასთან კვლავ აჯი ჩელებმა იმარჯვა; იმავე წლის 1 სექტემბერს თულქითაფასთან ერეკლემ პირწმინდად გაანადგურა შაქის ხანი; 1754 წლის 16 აგვისტოს თეიმურაზმა და ერეკლემ მჭადიჯვართან ხუნძახის მფლობელს ნურსალ-ბეგს სძლიეს და ა. შ.), მაგრამ კახეთის გაღმა-მხარის შემოერთების გარეშე ლეკიანობის აღმოფხვრა შეუძ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 631.

ლებელი იყო. ეს კი იწვევდა ალაზნის მარჯვენა სანაპიროს გაუკაცრიელებას. ჭარ-ბელაქნელთა და დაღესტნელთა მუდმივი თარეში ხსენებულ ტერიტორიაზე მკვიდრად დასახლების საშუალებას არ იძლეოდა. მოსახლეობის დამაგრებისათვის და ინტენსიური მეურნეობის აღორძინებისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი მშვიდობა, სტაბილური, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. ამის მიღწევას ცდილობდა ერეკლე II, მაგრამ მის მიზნებს წინ ეღობებოდა სამხრეთ კავკასიაში რეგიონის სამი დიდი სახელმწიფოს, რუსეთ-ირან-ოსმალეთის ინტერესების დაპირისპირება. საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას ქართლ-კახეთის სამეფო კარმა უპირატესობა ერთმორწმუნე რუსეთს მიანიჭა. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შედგა რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების ხელმოწერა. ტრაქტატი, რომელსაც „მეგობრობითი პირობა“ ეწოდებოდა, ერეკლე II-ისათვის იყო იმედი, შეენარჩუნებინა სამეფო (თუმცა მეფის სუვერენიტეტი საგარეო პოლიტიკის სფეროში შეზღუდული იყო), დაეცვა ის ირან-ოსმალეთის აგრესიისაგან თუ ჭარ-ბელაქნელთა და დაღესტნელთა გამუდმებული თარეშისაგან, ხოლო რუსეთის ხელისუფალთათვის – იმპერიის გაფართოების პირობა. მართლაც, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა (1796–1801 წწ.) 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. ის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მართლაც ფარატიანა ქალაქი იყო რუსეთისათვის, ამას კარგად მოწმობს წინა დღით გამართული რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს სხდომა. აღნიშნული საკითხის განხილვისას, სახელმწიფო საბჭოს წევრები პირველ რიგში ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის აუცილებლობას კი არ ანიჭებდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას,

არამედ იმას, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება რუსეთს.¹

პავლე I-ის ხელმოწერილი დოკუმენტი საბოლოოდ განამტკიცა ახალი იმპერატორის, ალექსანდრე I-ის (1801–1825 წწ.) 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტმა. აწ უკვე ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. აქ რუსული მმართველობა დამყარდა. ბუნებრივია, რუსული იმპერიის მადა ამით არ დაკმაყოფილდა და თანდათანობით დაიწყო როგორც ქართული სამეფო-სამთავროების, ისე კავკასიის სხვა ხალხების დაპყრობა და მათი საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევა. ახლადშემოერთებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისას, რუსეთი თავისი იმპერიული ზრახვებით ხელმძღვანელობდა და არაფრად აგდებდა არც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და არც ისტორიული სამართლიანობის პრინციპს. ამავდროულად, მის ხელში იყო მიგრაციული პროცესების მართვაც, რომლის მეშვეობითაც, საკუთარი სურვილისამებრ, ხელოვნურად ცვლიდა ამა თუ იმ რეგიონის ეთნიკურ სურათს, რასაც თავისი ბატონობის ქმედით იარაღად იყენებდა. რა თქმა უნდა, ამან ღრმა კვალი დაატყო კახეთის (და საერთოდ საქართველოს) ისტორიულ საზღვრებს და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას.

1803 წელს რუსულმა ჯარმა ჭარ-ბელაქანი დაარბია, 1830 წელს კი საბოლოოდ დაიპყრო და იქ რუსული მმართველობა შემოიღო. მეფის რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფით, ჭარ-ბელაქანი 1803–1830 წლებში იყო „საქართველოს მოხარკე ქვეყანა“, 1832–1845 წლებში – საქართველოს უშუალო ნაწილი, 1844–1860 წლებში – ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქი, ხოლო 1860 წლიდან 1917 წლამდე –

¹ ვ. გურული. საქართველოს ახალი ისტორია (1801–1918 წწ.), წიგნი I, თბ., 2017, გვ. 55.

ზაქათაღის ოღქი.¹ ამ დაყოფით, ჭარ-ბელაქანი (ელისუს სასულთნოს ჩათვლით) მოიცავდა ტერიტორიას მდ. ყანი-ყობსა და გავაზის წყალს შორის. სამხრეთ-დასავლეთით მას ეკვროდა მდ. ალაზანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. აგრი-ჩაი, ჩრდილოეთით – კავკასიონის გადაღმა მდებარე ხორავის მთაგრეხილი. მდ. სამურის ზემო წელის ექვსი სოფელი (დღევ. დაღესტნის რესპუბლიკის რუთულის რ-ნის ნაწილი), ე. წ. წახურის მაჰალი ელისუს სასულთნოში შედიოდა. 1860 წელს ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოღქს „წახურის მაჰალი“ ჩამოაციღეს. ამიერიდან ზაქათაღის ოღქის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედზე გადიოდა.²

თუ დავაკვირდებით, ზაქათაღის ოღქი თითქმის მოიცავს დღევანდელ საინგიღოს, რომღის „აღმოსავლეთით მისი ჩრდილო საზღვარი კახეთის კავკასიონის (აღმოსავლეთი ნაწიღის) წყაღგამყოფ ხაზს ემთხვევა. დასავლეთით გაუყვება მდ. მაწიმს (მაზიმ-ჩაის), რომელიც სათავეს კავკასიონის თხემთან (მთა ტინოვროსისთან) იღებს, გაიღღის ღაღოდებს-ბელაქანს შორის და მდ. ალაზანს უერთდება. სამხრეთით საზღვარი მდ. ალაზანს ემთხვევა და მღინარეების იორ-ალაზნის შესაყართან მთავრდება. აღმოსავლეთით საზღვარი გასდევს მდ. გიშის წყალს, რომელიც ქ. ნუხსა და სოფელ გიშს შორის მიეღინება და მდ. აგრი-ჩაის (აგრი-ჩაი ქართულად ნიშნავს „მრუღე წყალს“), აქედან საზღვარი ამ უკანასკნელ მღინარეს გადაკვეთს და კვლავ სამხრეთით მიემართება, გადაიღღის უსახელო გორაზე (483 მ.), სოფელ ქვისწყაროს (ღაშბულაყ), აღმოსავლეთიდან ჩაუღღის აჯინოურის ველს და აჯინოურის ტბას გადაკვეთს, გადაიღღის მთა კოჯაშენზე (451 მ.) და მღინარეების იორ-ალაზნის შესართავამღე აღწევს, დღევანდელი კახის რაიონის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ყანი-ყობს

¹ ზ. ეღღი. საინგიღო, თბ., 1947, გვ. 4.

² მ. ღუმბაღე. აღმოსავლეთ კახეთის (საინგიღოს) ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 5-6.

(სისხლიანი დედე) ემთხვევა“.¹ ადმინისტრაციული დაყოფით, ზაქათაღის ოლქი თბილისის გუბერნიაში შედიოდა.

1917 წლის თებერვლის მოვლენებმა რუსეთის იმპერიაში (მათ შორის კავკასიაშიც) არეულობა გამოიწვია. ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა, ოლქს აზერბაიჯანი დაეპატრონა.²

1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. მაშინვე დადგა აზერბაიჯანთან საზღვრების გამიჯვნის საკითხი. აზერბაიჯანული მხარე პრობლემის გადაჭრას რელიგიურ საფუძველზე მოითხოვდა, რის გამოც აზერბაიჯანს უნდა მიკუთვნებოდა ზაქათაღის ოლქი (საინგილო), ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა და ბათუმის ოლქი. სახელმწიფოთა შორის საზღვრის დადგენის ეს აქამდე არნახული და აბსოლუტურად უსაფუძვლო პრინციპი თავიდანვე მიუღებელი იყო. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ეხელმძღვანელა ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული საკითხების გათვალისწინებით. 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა კომისია (ი. წერეთელი, დ. ონიაშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. ოდიშელიძე). მისი გადაწყვეტილებით, „საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიონის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილოეთ ნაპირამდე. უხვევს მდინარე აქსტაფაზე, მიდის სადგურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოს და თავდება სილაგათის მთით“.³ ნათელია, რომ ყველა ის მხარე, რომელიც მეზობლებმა (თურქეთი,

¹ გ. ჩანგაშვილი. საინგილო, თბ., 1970, გვ. 56.

² ნ. მირიანაშვილი. საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918–1938 წწ. თბ., 2012, გვ. 69.

³ ვ. ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 14.

სომხეთი, აზერბაიჯანი) თავის საკუთრებად გამოაცხადეს, საქართველომ თავისად მიიჩნია.

ამდენად, საქართველომ და აზერბაიჯანმა თავ-თავი-ანთი პოზიციები გამოხატეს, თუმცა რეალურად საინგილოში აზერბაიჯანის მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა და იქ აზერბაიჯანული სამხედრო შენაერთები იდგნენ. საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ არსებულ პრობლემას მშვიდობიანად მოაგვარებდა, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა სომხეთთან საზღვრის გამიჯვნის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო და ომში გადაიზარდა, ხოლო ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი კვლავაც თურქებს ჰქონდათ დაკავებული.

ვიდრე საქართველოს მთავრობა დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამდა (მაგ., დელეგაციის გაგზავნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წლის 16 ივლისის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის, 1919 წლის მარტში და 1920 წლის აპრილში საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კონფერენციები), 1920 წლის 27 აპრილს აზერბაიჯანში წითელი არმია შევიდა და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი საზოგადო მოღვაწეები (მაგ. რაფიელ ივანიცკი, იგივე ინგილო; მოსე ჯანაშვილი) უკმაყოფილონი იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უგერგილო მოქმედებით. მ. ჯანაშვილის თქმით, „საინგილოს ბოლოს რომ ალაზანი ჩაბრუნდება მტკვარში ჩასაქანებლად, მისკენ რკალივით მიიწევს დიდი კავკასიონი და იმდენად უახლოვდება ალაზანსა და მის აქეთ სიღნაღის მთებს, რომ შუაში რჩება 15-ოდე ვერსის მანძილი, აი ეს 15 ვერსიანი მანძილი არის საქართველოს აღმოსავლეთის მხარის მიჯნა... საჭირო იყო თავიდანვე ამ 15 ვერსიან მიჯნაზე დაგვეყენებინა 40-ოდე გერმანელი და ხუთიოდე ქართველი, რომ

საინგილო დღეს ჩვენი ყოფილიყო“.¹ ძნელია არ დაეთანხმო გამოთქმულ მოსაზრებას. დროის გამოწვევა, რომელსაც ქართული მხარე სრულიად მოუმზადებელი შეხვდა, აზერბაიჯანმა სათავისოდ გამოიყენა და ზაქათალის ოლქი დაიკავა.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ მე-11 არმიის ნაწილები საქართველოსკენ დაიძრნენ. პირველი შეტაკებების შემდეგ ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა და წარმატებულმა საბრძოლო მოქმედებებმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. 1920 წლის 19 მაისს გადამწყვეტი შეტევა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ წინა დღით გენერალმა გ. კვინიტაძემ მთავრობის თავმჯდომარისაგან დეპეშა მიიღო. ნ. ჟორდანიას ბრძანებით, სარდალს საომარი მოქმედებები უნდა შეეწყვიტა და მოწინააღმდეგესთან სამშვიდობო მოლაპარაკებები დაეწყო.²

სრულიად ცხადია, რომ საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება რუსეთიდან იყო ნაკარნახევი, სადაც 1920 წლის 7 მაისს, საიდუმლო პირობებში, გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. რუსეთი ცნობდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას; ამავდროულად, აღნიშნული ხელშეკრულებით, საქართველოს რესპუბლიკის „უდავო შემადგენელ ნაწილებად“ აღიარებდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრასა და ოლქს და აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს (§4). საბჭოთა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დეპეშა გაგზავნა მოსკოვში და საკითხის ამგვარი გადაწყვეტის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. საბჭოთა რუსეთმა უმაღლეს შეცვალა თავისი პოზიცია ბაქოელი ბოლშევიკების სასარგებლოდ. 12 მაისის საქართველო-რუსეთის დამატებითი შე-

¹ მ. ჯანაშვილის სიტყვები დამოწმებულია წიგნიდან: ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 72 (იქვე იხ. რ. ივანიცკის მოსაზრებაც, გვ. 71-72).

² დაწვრ. იხ. ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 78-82.

თანხმების თანახმად, ზაქათაღის ოლქის საკითხი უნდა გადაეწყვიტა შერეულ კომისიას, რომელიც დაკომპლექტდებოდა თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლებით. კომისიის თავმჯდომარეობას რუსეთი კისრულობდა. კომისიის გადაწყვეტილებებამდე მხარეებს უფლება არ ჰქონდათ ზაქათაღის ოლქში შეეყვანათ ჯარების ახალი კონტინგენტი, ანუ იმაზე მეტი, რაც 12 მაისის მდგომარეობით იყო. ამ დროისათვის კი ზაქათაღის ოლქში მხოლოდ მე-11 არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ. ამდენად, ქართულ ჯარს უნდა დაეტოვებინა დაკავებული პოზიციები.

უდავოა, რომ ხსენებული დამატებითი ხელშეკრულება საქართველოსთვის წამგებიანი იყო. „ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრამდე მივიდოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი იქნებოდა. იგი, რა თქმა უნდა, ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით პრობლემა საქართველოს საზიანოდ გადაწყდებოდა“.¹

საქართველოს მთავრობამ ვერც აქ გამოიჩინა პრინციპულობა და შორსმჭვრეტელობა. ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ „ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დამარცხდა, გაიქცა, თავად კი უკან დაიხია... ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“.²

1920 წლის 12 ივნისს აქსტაფაში საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის დაიდო ხელშეკრულება. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიასთან დაკავშირებით მიღებული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ზაქათაღის ოლქის საკითხი უნდა გადასცემოდა სა-

¹ ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

² რ. დიუგე. მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 162.

არბიტრაჟო კომისიას, რომელიც გათვალისწინებული იყო ზემოხსენებული რუსეთ-საქართველოს დამატებითი ხელშეკრულებით. რა თქმა უნდა, არც ის დავიწყებიათ, რომ სადავო ოლქში არც ერთ მხარეს დამატებითი ჯარი არ უნდა შეეყვანა.

ამავე წლის 9 ივნისს საინგილოში დაიწყო აჯანყება. ადგილობრივებმა დაიკავეს საოლქო ცენტრი, ჩამოაყალიბეს მთავრობა და მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, რათა ოლქი შეეერთებინა. აჯანყების ჩასახშობად მე-11 არმიის დამატებითი შენაერთები გაიგზავნა. განსაკუთრებული სისასტიკით ქართველებს ექცეოდნენ. დარბეულმა მოსახლეობამ, რომელთა შორის ქართველებთან ერთად ლეკები და აზერბაიჯანელები იყვნენ, სიღნაღის მაზრას შეაფარა თავი. 18 ივნისისათვის ამბოხება ჩაახშეს. საქართველოს მთავრობამ, ოლქში დამატებითი ჯარების შეყვანას, რასაც აზერბაიჯანის ხელისუფლება უტიფრად უარყოფდა, მხოლოდ საპროტესტო ნოტიო უპასუხა. ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთგულნი იყვნენ მოსკოვისა და აქსტაფის ხელშეკრულებებისა და არ ცდილობდნენ ზაქათალის ოლქის დაკავებას მაშინ, როცა ამის სურვილს თითქმის მთელი ოლქის მოსახლეობა გამოთქვამდა. საქართველოს ხელისუფლება „გულმოდგინედ ელოდა, როდის ინებებდნენ რუსეთისა და აზერბაიჯანის მესვეურები საარბიტრაჟო კომისიის შექმნას. მათ არ უნდოდათ იმის დაჯერება, რომ მოსკოვი და მით უფრო არც ბაქო არ იჩქარებდნენ ამისათვის, მითუმეტეს, რომ ამ დროს საქართველოს ბედი მოსკოვში გადაწყვეტილი იყო“.¹

1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში ზაქათალის ოლქში დამატებით განლაგდა მე-11 არმიის მე-16 ცხენოსანი დივიზია, 58-ე და მე-20 მსროლელი დივიზიების ნაწილები. 1921 წლის 15 თებერვალს მე-11 არმიამ აქსტაფა-ფოილოს მხრიდან დაიწყო შეტევა, ხოლო 17-18

¹ ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 95.

თებერვალს მდ. მაზიმ-ჩაი გადმოლახა და ლაგოდესში შემოიჭრა¹... რუსეთმა კიდევ ერთხელ განახორციელა საქართველოს ანექსია. 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა საქართველოს გასაბჭოება.

ჩვენი წინაპრების მიერ ათასწლეულების განმავლობაში სისხლით დაცული ისტორიული ტერიტორია ახალი, არნახულად მძიმე გამოწვევის წინაშე დადგა. ბოლშევიკებისათვის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებულ მიჯნებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამის შემდეგ საუბარია არა სახელმწიფო საზღვრებზე, არამედ ფაქტობრივი მფლობელობის მიწებზე. ამ ფონზე განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველი ბოლშევიკები. ეს, ჩვენი აზრით, უღმერთო და უსამშობლო ადამიანები, ყალბ „ინტერნაციონალურ“ ღოზუნებს ამოფარებულნი, რიხიანად აცხადებდნენ: „ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებს... კითხვა საზღვრების შესახებ სხვადასხვა დროს შეიძლება სხვადასხვანაირად გადაიჭრას რეალური მოსახლეობის ან არსებული ეკონომიკური ხასიათის გარემოებათა მიხედვით“². ამ მოსაზრებიდან მცირედენი გადახვევა უმკაცრესად ისჯებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსხვავებული შეხედულების ავტორი მათივე რიგებიდან იყო.

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დაწყებულ ტერიტორიულ დავაში თავიდანვე გამოიკვეთა, რომ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება და, განსაკუთრებით, მისი ქართული წარმომავლობის მქონე ლიდერები, თავიანთი აზერბაიჯანელი „ამხანაგების“ მხარეზე იყვნენ. ამის უტყუარი დასტურია ზემოთ ნახსენები 1920 წლის მაისის მოვლენების დროს ს. ორჯონიკიძის მიერ გააკეთებული განცხადება,

¹ ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 97.

² ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014, გვ. 139.

რომ ნავთობმომპოვებელ აზერბაიჯანს „ახჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე საქართველოს“.¹

1921 წლის 5 ივლისს თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო შემდეგი დადგენილება:

„1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის რჩება უცვლელი, რამდენადაც ამაზე განსაკუთრებულად არ არის ლაპარაკი შემდეგ მუხლებში.

2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიზის ველის საკითხის შესახებ კონფერენციამ დაადგინა: ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიზის ველისა, დაახლოებით შემდეგ საზღვრებში, ამასთან დაცულ იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის: ფაქტიური მფლობელობის საზღვარი იწყება წითელი ხიდიდან მდინარე ხრამზე და მიდის სადგურ ბეუკკიასიკამდე, მისი ჩათვლით, მიემართება კირიშლის მთაზე, გაივლის მთა კეშიშ-გზომიდე, შემდეგ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაივლის უღელტეხილ შიხლი-ქარავან-ქაისს, გადაკვეთავს დიდ გზას, უხვევს ჩრდილოეთით, ადის ლეხსიზინ-დაგზე, კვეთავს არამდარის ხრამს და შემოუვლის რა კუტანს მიდის კალაგირის მთამდე, მიემართება მდინარე იორამდე, მიდის მასზე კესამანის მიჯნაზე, შემდეგ მიჰყვება სახელმწიფო საზღვარს. (5 ვერსიანი რუკა დიუმებში).

შენიშვნა: ზუსტი საზღვრის დადგენა ყაზახის გლეხების მფლობელობისა ევალება განსაკუთრებულ შერეულ

¹ Г. Чешвили. «Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение», мацნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2019, №2, გვ. 138.

კომისიას, რომელიც შეუდგება მუშაობას წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორ კვირაში.

ბ) ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიური მფლობელები და მოსარგებლები ამ ველის, ყველა შემთხვევაში სარგებლობენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციით, ემორჩილებიან ყაზახის მაზრის აღმასკომს.

3. რაც შეეხება ელდარის ველს, კონფერენცია ადგენს: დაევალოს შერეულ კომისიას, აღნიშნულს მე-2 მუხლში, დაადგინოს და განამტკიცოს ადგილზე ამ ველის ფაქტიური მფლობელობა.

4. რაც შეეხება ზაქათალის ოლქს. კონფერენციამ დაადგინა: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რეგოში გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას.

5. ორივე მხარის გლეხები უზრუნველყოფილნი იქნებიან წინააღმდეგობის გარეშე ისარგებლონ საძოვრებით, მომთაბარეთა ადგილებით და სხვა სავარგულებით, რითაც ისინი ფაქტიურად სარგებლობენ¹.

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს და აზერბაიჯანის რეგოუმების თავმჯდომარეები ფ. მახარაძე და ნ. ნარიმანოვი.

ძნელია შესაბამისი სიტყვები გამონახო იმის შესაფასებლად, თუ როგორ გულარხინად გადასცა საქართველოს მთავრობამ ზაქათალის ოლქი, ძირძველი ქართული მიწა აზერბაიჯანის სსრ-ს. ქართველმა ბოლშევიკებმა ესეც არ იკმარეს და სადავო გახადეს საზღვრისპირა მიმდებარე ტყეებისა და საძოვრების ცალკეული მონაკვეთები: ჭიაურის ტყის მასივი, შირაქის ალაზნისპირა ველი, ელდარ-სამუხისა და გარეჯის ზამთრის საძოვრები, სასახ-

¹ ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაქიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 148-149.

ღვრო ხაზი დავით გარეჯის აგარაკიდან მდინარე მტკვრამდე.

იქმნებოდა შერეული კომისიები, იმართებოდა მათი სხდომები, იკვლევდნენ, თუ ვინ იყო კონკრეტული ტერიტორიის ფაქტობრივი მფლობელი და მოსარგებლე და ა. შ.¹ უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანული მხარე ოსტატურად ლავირებდა თავისი „მშრომელი მასების“ ეკონომიკური ინტერესებით, ზემოთ მოტანილი ხელშეკრულების ფორმულირებებით და ხშირ შემთხვევებში წარმატებებსაც აღწევდა.

გვინდა მოკლედ შევხერდეთ საკითხზე, რომელიც დავით გარეჯის ზამთრის საძოვრებს ეხებოდა. 1921 წლის 8 ნოემბერს განსაკუთრებულმა შერეულმა კომისიამ საზღვრის მიმართულება დავით გარეჯის აგარაკში შემდეგნაირად აღწერა: „მდინარე მტკვრიდან, სადაც მე-17 არხის ბოლო... უახლოვდება ტბა ჯანდარ გელის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს, შემდეგ შემოუვლის მას ნაპირზე, მიდის ჩრდილო-დასავლეთით, გამიჯვნის ნიშნებზე დანადაგის მთებამდე, აქედან მიემართება აღმოსავლეთით ქედზე ალგეთ-ბაში-კეშის მთებამდე, უხევს აღმოსავლეთით და აღწევს კეშიშ გზის მთებამდე, ეშვება ქედზე სამხრეთ-აღმოსავლეთით კოშკამდე, რომელიც დგას დავით გარეჯის მონასტრის ჩრდილოეთით, შემდეგ ქედითვე აღწევს შიხლი-ქარავან-ელიმდე“. ასეთი მიმართულებით დავით გარეჯის მონასტრის აგარაკი იყოფა ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად. აქედან პირველი ნაწილი ფართით 3020 დესეტინა მიეკუთვნება საქართველოს, ხოლო მეორე ფართი 2040 დესეტინა, დავით გარეჯის მონასტერთან ერთად აზერბაიჯანს.²

¹ დაწვრ. იხ. ნ. მირიანაშვილი. საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918–1938 წწ., გვ. 146–206.

² ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 194.

1924 წლის 20 ნოემბერს ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა ა/კ-ის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო მიწის – ტყის–წყლით სარგებლობის გადამწყვეტი კომისიის სხდომამ მიიღო დადგენილება: „ყარაიაზის ველზე, ნატურაში განემტკიცებინათ საზღვარი დადგენილი შერეული კომისიის მიერ 1921 წლის 8 ნოემბერს...“¹ ეს დადგენილება დაამტკიცა ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (1924 წ. 24 ნოემბერი).

ამდენად, მიწა–წყლის „მეგობრულ“ საწყისებზე განაწილების შედეგად, აზერბაიჯანის საზღვრებში აღმოჩნდა საქართველოს უძველესი ისტორიული ტერიტორიის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი: სახელდობრ დავით გარეჯა, განსაშორი, ბერთუბანი, დავით გარეჯის მახლობლად მდებარე ჩიხხიტურის კოშკი თავიანთი მიმდებარე მიდამოებით.²

დავა კვლავ გრძელდებოდა. 1929 წლის 18 თებერვალს შედგა ა/კ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომა. მიღებული დადგენილებით, დავით გარეჯის მონასტრის აგარაკის სადავო ნაწილი, ფართით 2000 დესეტინა, ჩაითვალა საქართველოს სს რესპუბლიკის თბილისის მაზრის საკუთრებად. იქვე განისაზღვრა საზღვარი და მისი ნიშნულები“.³ აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო იყო. საქართველომ მხოლოდ მცირე ნაწილი მიიღო სადავო მიწებისა, ტერიტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი კვლავ აზერბაიჯანს დარჩა.

1936 წელს ა/კ-ის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა. მასში შემავალი რესპუბლიკები დამოუკიდებლად შევიდნენ საბჭოთა კავშირის შე-

¹ იქვე, გვ. 194–195.

² ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაქიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 151.

³ დაწვრ. ის. ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., 202.

მადგენლობაში. საჭირო გახდა ამ რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენა. ამ მიზნით, 1938 წლის 5 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელთა რესპუბლიკათაშორისო თათბირი. აქ მიღებული გადაწყვეტილება 1938 წლის 23 მარტს განიხილა საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმმა და დაადგინა: „დამტკიცდეს ადმინისტრაციული საზღვრები სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მხრიდან, თანახმად თანდართული და თათბირის მონაწილეთა მიერ დამოწმებული 1:500 000 მასშტაბის რუკისა, საზღვრების აღნიშვნის დროს დაშვებული გრაფიკული (ტექნიკური) უზუსტობის აღმოფხვრის გათვალისწინებით“.¹

ამრიგად, 1921 წლიდან მოყოლებული 1936 წლის ჩათვლით, საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ მარტო აზერბაიჯანს 3627 კმ²-ის ფართის მქონე ძირძველი ქართული მიწა გადასცა.²

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებს შორის კვლავ დაისვა საზღვრის მოწესრიგების საკითხი. გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლოდან, ორივე მხარის მიერ შექმნილი სპეციალური სახელმწიფო კომისიები ერთობლივად ეწევიან სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო და სადემარკაციო სამუშაოებს. ვიმედოვნებთ, რომ ყველა სასაზღვრო პრობლემა, როგორი საჩოთიროც არ უნდა იყოს ის, ისე გადაწყდება, როგორც ეს მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებს ეკადრება. აღნიშნული სამუშაოს დასრულება საშური საქმეა, რადგან კაცობრიობის ისტორიამ აჩვენა, რომ ქვეყნებს

¹ ნ. მირიანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 207.

² იქვე, გვ. 213; ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 153.

შორის ზუსტი მიჯნის დადება და მისი პატივისცემა კეთილმეზობლობისა და მშვიდობის უაღტერნატივო პირობაა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილმეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეგობრობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან გადაარჩენს“.¹ ამ შეგონებას ჩვენი მხრიდან დავამატებთ, ერი, რომელიც მამა-პაპეულ მიწა-წყალს, თვალის ჩინივით არ უფრთხილდება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ღირსი არ არის.

P.S. გვსურდა წინამდებარე ნაშრომის ეს მონაკვეთი აქ დაგვესრულებინა, მაგრამ გარკვეული უკმარისობის განცდა დაგვეუფლა. ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის არანაკლებ საინტერესო იქნებოდა ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოგვედგინა არამარტო ჩვენეული ხედვა, არამედ აზერბაიჯანული კოლეგების მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სახის (ტერიტორიული, ეთნო-კულტურული და ა. შ.) დავები ყველაზე ხშირად უშუალო მეზობლებს შორის ჩნდება. ამ კამათში, როგორც წესი, მხარეები, უწინარეს ყოვლისა, ისტორიას მიმართავენ. სწორედ ხსენებული უფაქიზესი საკითხების გაშუქებისას წარმოჩნდება საისტორიო მეცნიერების განუსაზღვრელად დიდი როლი და დანიშნულება. მას ევალება იყოს პირუთენელი მსაჯული. ყოველი დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს პირველწყაროთა ობიექტურ ანალიზს, უტყუარ ფაქტებს, სწორ მეთოდოლოგიას, ხოლო მეცნიერული ვარაუდის გამოთქმისას დიდი ტაქტი და სიფრთხილეა სა-

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები, თბ., 1919, გვ. 51.

ჭირო. არანაკლები მნიშვნელობისაა მეცნიერული ეთიკის დაცვა.

სამწუხაროდ, ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში თითქმის მთელ კავკასიაში განსაკუთრებით მომრავლდა ისტორიის გაყალბებისა და მითოლოგემების შექმნის ფაქტები. ბევრი „მკვლევარი“, საკუთარი ხალხის წარმომავლობის „გაკეთილშობილობისა“ თუ დაძველების, მისი განსახლების არეალის ხელოვნურად გაფართოების, მეზობელი ეთნოსის კულტურული მემკვიდრეობის მითვისებისა თუ სხვა მიზნით, არაფრად დაგიდევს არც წყაროს პირდაპირ ჩვენებას და არც უდავო ჭეშმარიტებას. ამგვარ „მეცნიერებს“ არაერთმა აზერბაიჯანელმა კოლეგამაც აუბამხარი. მათი შრომების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქართველ ერს თავად ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზეც კი აღარ უტოვებენ ადგილს... მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ორიოდე წლის წინ სოციალურ ქსელებში, მანამდე კი საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკის“ მიერ გავრცელდა აკად. ი. მახმუდოვის ინტერვიუ. ღრმადპატივცემული მეცნიერის მტკიცებით, აღმოსავლეთ საქართველო ისტორიულად აზერბაიჯანს ეკუთვნოდა, ეს მიწები საქართველოს რომანოვთა მმართველობაში და სტალინის ეპოქაში გადაეცა და ა. შ. ი. მახმუდოვის ვრცელ ნააზრევში რამდენიმე ძირითადი თეზისია გამოკვეთილი: 1. თბილისი – უძველესი აზერბაიჯანული ქალაქია; 2. საქართველოს რუსეთის იმპერიამ გადასცა აზერბაიჯანული ტერიტორიების დიდი ნაწილი; 3. სტალინურმა რეჟიმმა უკანონოდ მოწვევტა აზერბაიჯანს დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიები და ის საქართველოს შეუერთა; 4. ინგილოები – ახალი გელები – ალბანები არიან, რომლებმაც ცარიზ-

მისა და სტალინური რეჟიმის ზეწოლით იძულებით მიიღეს ქრისტიანობა; 5. „ქეშიქი“ ალბანური მონასტერია.¹

მთელი ისტორიის მანძილზე თბილისი რომ არასოდეს ყოფილა ალბანეთის და მით უმეტეს აზერბაიჯანის ქალაქი, ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არც ერთმა საისტორიო წყარომ (ვიმეორებ, არც ერთმა!) არ იცის ამ სახელწოდების მქონე რაიმე პოლიტიკური ერთეული. უფროსკლასელებმაც კი უწყიან, რომ აზერბაიჯანი მომდინარეობს სახელიდან ატროპატენე. ის იყო მიდიის ჩრდილოდასავლეთი მხარე, რომელსაც მიდიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის, ანუ დიდი მიდიის საპირისპიროდ მცირე მიდიას უწოდებდნენ. ამ ქვეყანას ატროპატენე ეწოდა მისი პირველი მმართველის, ატროპატესის გამო. ეს უკანასკნელი იყო მიდიის სატრაპი უკანასკნელი აქემენიანი შაჰის, დარიოს III კოდომანის დროს. მოგვიანებით, ალექსანდრე მაკედონელის უზარმაზარი იმპერიის დაშლის შემდეგ, ატროპატესი მცირე მიდიას დაეუფლა; მისი შთამომავლები კი ატროპატესის სახელის მიხედვით წოდებული სამეფოს უმადლესი ხელისუფალნი გახდნენ. „ატროპატენემ“ სხვადასხვა ენაში მოგვცა განსხვავებული ფორმები და მათ შორის ერთ-ერთი – „აზერბაიჯანი“² ასე უწოდებდნენ და დღესაც ასე ჰქვია თანამედროვე ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონს, სადაც თურქულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოს, დიდი დავისა და კამათის შედეგად, მუსავატურმა ხელისუფლებამ სწორედ აზერბაიჯანი უწოდა იმის გამო, რომ,

¹ დაწვრ. იხ. Г. Чеишвили. «Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение», გვ. 133–134.

² ატროპატენე. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ. II, 1, თბ., 2014, გვ. 171–172.

ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, ოდესმე თავის მონათესავე ხალხსაც შემოიერთებდა.

ი. მახმუდოვის ფანტაზიას რომ თბილისი აზერბაიჯანის ქალაქია, ძირშივე ეწინააღმდეგება ქართული, სომხური, ბიზანტიური, არაბული და სხვა წყაროები.¹ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს აზერბაიჯანელი სწავლულის სხვა მოსაზრებებიც, რაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები გ. ჭეიშვილის ნაშრომში „არა ცდუნდე და არც აცდუნო სხვა“, რომელშიც კატეგორიულად დასაბუთებულია ხემოთ მოტანილი განცხადებების სრული უსაფუძვლობა, არაკომპეტენტურობა და უპასუხისმგებლობა.²

რაც შეეხება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს, რომელიც ი. მახმუდოვის აზრით ალბანური კულტურის ძეგლია, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და არაფრით არის შემაგრებული. მეტიც, ის, რომ ამ ძეგლს, „ქეშიქი“ ჰქვია და ტოპონიმი „დავით გარეჯა“ XIX ს-ის 90-იან წლებში პირველად აქ მოსულმა ქართველმა ბერებმა დაამკვიდრეს, წმინდა წყლის სიცრუეა და მეტი არაფერი. გარეჯის ეპიგრაფიკა და ნარატიული წყაროები საწინააღმდეგოს ამტკიცებს. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი რომ არაფერს ნიშნავდა აზერბაიჯანელებისათვის ესეც ცხადზე ცხადია. გასული საუკუნის 20–30-იან წლებში, მხარეებს შორის სასაზღვრო საკითხებზე დავისას, აზერბაიჯანისათვის იორსა და მტკვარს შორის არსებული ტერიტორია მხოლოდ და მხოლოდ საძოვრებს წარმოადგენდა და არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ადგილსამყოფელს. გარდა ამისა, დღეს, როცა ქართველ მეცნიერთა (ი. აბულაძის, ა. შანიძის, განსაკუთრებით ზ. ალექსიძის) აღმოჩენების წყალობით კავკასიის ალბანების დამწერლობის არსებობა ეჭვმიუტანლად დამტკიცებულია, ძველ ალბანთა შთამომავლებს (ეს მოსაზრება აზერბაიჯან-

¹ Г. Чешвили. დასახ. ნაშრ., გვ. 134–135.

² იქვე, გვ. 134–147.

ნელეებში ბოლო ათწლეულების დანერგილია) რატომ არ უნდებოდათ კითხვა: რა არის მიზეზი იმისა, რომ ალბანური ანბანის ერთი გრაფიკაც კი არ არის აღმოჩენილი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში? ვფიქრობთ, პასუხი რთული არ უნდა იყოს. ძეგლი თავისი შემოქმედი ერის ნაკვალევს ატარებს.

კიდევ ერთი მაგალითი ისტორიის ტენდენციურად და დამახინჯებით წარმოჩენისა. 2015 წელს გამოიცა ვ. მამედოვის წიგნი „ყაზახ–ბორჩალოს რეგიონის ხალიჩის მქსოველები“. ერთი შეხედვით, თითქოს სათაური ავს არ მოასწავებს, მაგრამ პირველ თავში, რომლის ავტორი კ. მამედოვია და ამ რეგიონის წარსულზე საუბარი, გატარებულია მოსახრება: ყაზახ–ბორჩალოს არაფერი აკავშირებს საქართველოსთან; ის უძველესი დროიდან დღემდე „წარმოადგენდა აზერბაიჯანული კულტურის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს“.¹ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სახელწოდებები „ბორჩალო“ და „ყაზახი“ სულ ცოტა VII–VIII საუკუნეებიდან არსებობდა. არგუმენტები? სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის (X ს.) ცნობით, სამხრეთ კავკასიაში II–IV სს–ში ილაშქრა ბარსილთა თურქულმა ტომმა, რაც თურმე იმაზე მიუთითებს, რომ „ბორჩალო“ გამოიყენება როგორც ტოპონიმად, ასევე ეთნონიმად. რა კავშირშია „ბარსილი“ „ბორჩალოსთან“ და მხოლოდ სახელთა ფონეტიკური მსგავსება (თუ საერთოდ არსებობს ეს მსგავსება, როგორც აბსოლუტურად სამართლიანად შენიშნავს ავტორთა კოლექტივი²) რამდენად საკმარისია ზემოთ მოტანილი დებულების სამტკიცებლად, ეს ავტორს

¹ მ. ბახტაძე, რ. თოფჩიშვილი, ბ. კუპატაძე, დ. შველიძე. საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2015, გვ. 355.

² იქვე. გვ. 356.

არ აინტერესებს. ანალოგიურად იქცევა ის არაბ ისტორიკოსთან იაკუთ ალ-ჰამავისთან (XII–XIII სს.) დამოწმებულ ტოპონიმ „ბერშალიასთან“ დაკავშირებითაც.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბორჩალუს თურქმანული ტომი ისტორიულ ქვემო ქართლში, ლორე–დებედას ხეობაში ირანის შაჰმა აბას I-მა ჩამოასახლა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ძუელად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრის ჰევი, და აწ უწოდებენ ადჯაყალას (თერთციხე), იაყუფ ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე და შემდგომად, ოდეს მიუხუნა შააბაზ პუ მევეს გიორგის, მან მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“.¹ განა რაიმე გაუგებარი ან ორაზროვანი დებულება არის მოტანილ წყაროში? დიას, ამ ქართულ მხარეს ბორჩალუს ტომის ჩამოსახლების შემდეგ უწოდებდნენ „ბორჩალუს“ და სხვა წიაღსვლები ამის ასახსნელად მხოლოდ დიმილის მომგვრელია. ზემოთ მეთოდოლოგია ვახსენეთ. აზერბაიჯანელი ავტორი უგულვებელყოფს საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებას, რომ ტოპონიმთა და ეთნონიმთა იდენტიფიკაციის დროს, სარწმუნო დასკვნების გამოტანისათვის, საჭიროა ხელთ გექონდეს საკვლევი მასალის მთელი სისტემა, რომლის გადანაცვლება საუკუნეთა განმავლობაში ნაკლებ სავარაუდოა² და არა დროსა და სივრცეში დიდად დაცილებული სახელების საეჭვო მსგავსება. ამგვარ უვიცობას და მიკერძოებულობას კი მხოლოდ ისეთი ანეკდოტური აღრევა მოსდევს, როგორიც კინოფილმ „მიმინო-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 307.

² ლ. გორდეზიანი. სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისათვის (ღურსმული ტექსტების მიხედვით), საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა), ბათუმი, 2019, გვ. 178.

შია“, როცა ოპერატორს „თელავი“ და „თელ-ავივი“ ერთი და იგივე ქალაქი ჰგონია.

ასეთივე „არგუმენტებით“ გაჯერებულია დასკვნები „ყაზახის“, „მუშქების“ თუ სხვა საკითხების შესახებ მსჯელობისას. მათი აბსურდულობა, ავტორის არაკომპეტენტურობა და მიკერძოებულობა ცხადად არის წარმოჩენილი ქართველ მკვლევართა მიერ,¹ რომელთაც ჩვენ სრულად ვეთანხმებით.

2014 წელს დაისტამბა „აზერბაიჯანის ნაციონალური ატლასი“, აქ განთავსებულ რუკაზე – „სამხრეთ კავკასია 1903 წელს“ – ზაქათალის ოკრუგი აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული. აღნიშნულზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ნაჩვენები იყო ჭარ-ბელაქნის ბედი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მოკლედ გავიმეორებთ, რომ 1830 წელს დასავლეთ საინგილოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ჭარ-ბელაქნის ოკრუგი 1844 წელს შეუერთეს ზაქათალის ოკრუგს. მანამდე, 1840 წელს ჭარ-ბელაქანი გადაკეთდა ბელაქნის მაზრად, რომელიც საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა. 1846 წ. შეიქმნა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, რომელიც 1860 წელს ზაქათალის სამხედრო ოკრუგად გადაკეთდა. ის ჩამოაშორეს ტფილისის გუბერნიას და ზემო დაღესტნის ოლქის უფროსის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ გზით რუსეთის მმართველობამ ეს მხარე კიდევ უფრო ჩამოაცილა დანარჩენ საქართველოს. ამდენად, ზაქათალის ოკრუგი, როგორც სამხედრო-ტერიტორიული ერთეული, არ მიეკუთვნებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილ გუბერნიებს.²

ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს იმის დაწვრილებით განხილვა, თუ როგორ შუქ

¹ დაწვრ. იხ. მ. ბახტაძე, რ. თოფჩიშვილი, ბ. კუპატაძე, დ. შველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 355–370.

² მ. ბახტაძე, რ. თოფჩიშვილი, ბ. კუპატაძე, დ. შველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 370–372.

დება საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის ისტორიის საკითხები აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში. ვფიქრობ, საერთო ტენდენციის საჩვენებლად, მოტანილი ორიოდ მაგალითიც საკმარისია. პოზიცია, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო და შემაშფოთებელია. შესაძლოა, ვინმემ ეს აზრი არ გაიზიაროს და იფიქროს, რომ აზერბაიჯანულ მეცნიერთა არგუმენტების სისუსტე და აბსურდულობა უცხოელ მკვლევართათვისაც იოლი გასაგები იქნება და ისინი მათ დასკვნებს სერიოზულად არ მოეკიდებიან; ამიტომაც საგანგაშო არაფერია. მსგავსი მიდგომა საფუძველშივე მცდარია. ჯერ ერთი, სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ისტორიასა და წარსულის მემკვიდრეობას მსოფლიოში სულ რამდენიმე სწავლული თუ იკვლევს და მეორე, მსგავსი გაყალბებული შრომების სამიზნე ფართო საზოგადოებაა, პირველ რიგში კი საკუთარი მოსახლეობა. განსაკუთრებით საშიშია ეს მოვლენა მომავალი თაობების აღზრდა-ჩამოყალიბებაში, რადგან ყოველი ახალი „მეცნიერული აღმოჩენა“ თუ მითოლოგემა დაუყოვნებლივ სვდება სახელმძღვანელოებში. ამ წიგნებზე გაზრდილი ახალგაზრდები უთუოდ სხვა თვალით შეხედვენ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება, ჩვენგან განსხვავებით, ძალ-ღონეს და ფინანსებს არ იშურებს საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის და მკვლევართა ხელშეწყობისათვის. ამიტომაც გადაუდებლად საჭიროა ქართველოლოგიის სამეცნიერო დარგების და საერთოდ კავკასიოლოგიის სფეროს მხარდაჭერა და გაძლიერება, თანამედროვე მეთოდოლოგიითა და კვლევის უნარებით აღჭურვილი მეცნიერთა ახალი თაობის მომზადება. ეს, პირველ ეტაპზე, ქართველ სპეციალისტებს მუდმივად მოპასუხის როლისაგან გაათავისუფლებს, შემდგომში კი, სულ მცირე კავკასიის მასშტაბით, ფუნდამენტური გამოკვლევების მომზადების საფუძველს შექმნის. ტყუილსა და

გაყალბებას მხოლოდ სიმაღლე უნდა დაუპირისპირდეს. საისტორიო მეცნიერების მიზანიც ხომ ეს არის: „უამთა აღმწერელობა ჭეშმარიტისა მეტყუელება არს და არა თუა-ლასმა ვისიმე“.¹

¹ უამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, გვ. 555.

თავი II. სამეურნეო ყოფა და ტრადიციული კულტურა

§ I. ახალი დასახლებები

აზერბაიჯან-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კახეთის მონაკვეთი საბჭოთა პერიოდში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების შემთხვევაში, ფაქტობრივად, პირობითი იყო, რაც ზოგჯერ გაუგებრობას იწვევდა. მაგალითად, სიღნაღის რაიონში იგი მდ. ალაზანს მიუყვებოდა, ამ მდინარემ კი კალაპოტი რამდენჯერმე შეიცვალა, რის გამოც გასული საუკუნის 70-იან წლებში საკმაოდ დიდი ტერიტორია აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდა. მართალია, აქ ქართული სოფელი ერისიმედი დაარსდა, სადაც კახეთიდან გადასული ოჯახების გარდა აჭარელი ეკომიგრანტები და ქისტები ჩასახლდნენ, მაგრამ საბოლოო ვითარება დღემდე გაურკვეველია. ასევე სადავო გახდა სასაზღვრო მონაკვეთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც მდებარეობს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების აღიარებული ძეგლი, გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი რეგიონი ეთნოკულტურული თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია. ამგვარი ვითარება ქართულ საზოგადოებაში სერიოზულ ვენებათაღელვას იწვევს და გარკვეულ ნაწილში ეჭვებს აღძრავს, რომ შეიძლება აქ მცხოვრები ადამიანების ეროვნულმა და რელიგიურმა განსხვავებულობამ გავლენა მოახდინოს მათ სახელმწიფოებრივ ორიენტაციაზე და შედეგად დაზიანდეს ქართული ინტერესები. ამდენად, მეტად ამნიშვნელოვანია აზერბაიჯანის საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ეთნოკულტურული ტრანსფორმაციის დინამიკის მეცნიერული შესწავლა. ჩემი კვლევის ძირითად თემას წარმოადგენს, ეთნოდემოგრაფიული, რელიგიური და სამეურნეო-ეკონომიკური სფერო; როგორ შეიცვალა ვითარება საკ-

ვლევ რეგიონში ამ მიმართულებით და რა გავლენა მოახდინა ამ ცვლილებებმა მოსახლეობის ეთნიკურ თვითშეგნებაზე და სახელმწიფო-მოქალაქეობრივ იდენტობაზე, საზღვრისმიდმა კონტაქტების მიზნებსა და ინტენსივობაზე, სოციალურ-კულტურულდა სამეურნეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ა.შ.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ შექმნილი ვითარება საკვლევ რეგიონშიც მძაფრად შეეხო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს და ტრადიციული ყოფის ელემენტების ტრანსფორმირების ძირითად მიზეზად იქცა. ბოლო ათწლეულებში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრები, საქართველოში მიმდინარე მოვლენები თუ მეზობელი ქვეყნიდან წამოსული იმპულსები ძლიერ გავლენას ახდენს საკონტაქტო ზონაში (საზღვრისპირად) მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფაზე. ადამიანებისათვის მყისიერად ხდება ცნობილი ყველა აქტუალური სიახლე: პოლიტიკური თუ ეკონომიკური ტენდენცია, სიახლე კულტურულ თუ სპორტულ სფეროში, საგანმანათლებლო დონის ძიება და სამეურნეო ინიციატივა, რეგიონის შესახებ გამოთქმული მოსაზრება და ა.შ. განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ ახალ (ხშირად ფსევდომეცნიერულ) ჰიპოთეზებზე, რომელებიც ამ ადგილების ისტორიულ კუთვნილებას და მოსახლეობის ეთნიკურ წარმომავლობას ან ავტოქთონობას ეხება.

თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, ინტერნეტის გავრცელება, მოსახლეობის საყოველთაო წვდომა ტრადიციულ და თანამედროვე საინფორმაციო სისტემებზე ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მულტიკულტურული ნიშნების უნიფიცირებას და განსხვავებული ცხოვრების წესის გაცნობა-გაზიარებას, მეორე მხრივ კი ეროვნულ გრძნობებზე ზემოქმედებით იმპულსს აძლევს ეთნიკური ჯგუფის კონსოლიდირებას, მისი კონსერვატიული თვისებების განმტკიცებას. იმავდროულად, გასათვა-

ლისწინებელია მედია, როგორც დაპირისპირების, დეზინფორმაციის და ყალბი ამბების გავრცელების შეუფერხებელი ნაკადის მაპროვოცირებელი ფაქტორი. ამდენად, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური პროცესების ობიექტური სამეცნიერო კვლევა და სიტუაციის რეალური ანალიზი. საზღვრისპირა რეგიონები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსტიტუტებიდან განასაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რაც კარგად აქვს გაცნობიერებული ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ჩვენთან საუბრისას ამ პოზიციას ღიად აფიქსირებს.

საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა ჩავატარეთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კაბალის თემის აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში: კაბალი, ყარაჯალა, უზუნთალა, განჯალა; მაწიმის თემის ქართველებით დასახლებულ სოფლებში: მაწიმი, რაჭისუბანი, გიორგეთი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორ-მუდანლოს მიდამოებში აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში: მუდანლო, ქეშალო, ლამბალო, თულარი, კაზლარი და ქართველებით დასახლებულ სოფ. უდაბნოში; სიდნადის მუნიციპალიტეტის ქართველებით დასახლებულ პუნქტებში: ჯუგაანის თემის სოფ. ერისიმედი, ბოღბის თემის სოფ. ილიაწმინდა, ქალაქი წნორი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამთაწყარო, სოფ. ფიროსმანი და სოფ. საბათლო (ცხოვრობენ სომხები). ნიშანდობლივია, რომ ამ სოფლების უმეტესობა მოგვიანებითაა დასახლებული, ამიტომ ეთნოგრაფიული მასალა შედარებით მცირეა¹ და მოსახლეობის მულტიკულტურალიზმიდან და პოლიეთნიკურობიდან გამომდინარე სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად საინტერესო და აქტუალურია.

¹ სოციალური განვითარების დაგეგმვის სოციალურ-კულტურული ასპექტები (წითელწყაროს რაიონი). მ. გეგეშიძის რედაქტორობით, თბ. 1979, გვ. 40.

გვიან შუასაუკუნეებში განვითარებული ისტორიული მოვლენები მტკივნეულად აისახა კახეთის დღევანდელ აზერბაიჯანთან მოსაზღვრე არეალის დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ირანის მახრებელი ლაშქრობებით შეთხვებული მოსახლეობა ვეღარ უმკლავდებოდა დაღესტნელი მეკობრეების მუდმივ თავდასხმებს, ხოლო ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები ვეღარ აკონტროლებდნენ ვითარებას. კახეთმა დაკარგა ტერიტორიები, სადაც XVII-XVIII სს-ში დაიწყო ქართველთა დეეთნიზაციის პროცესი. შეიქმნა მუსლიმური პოლიტიკური ერთეულები კაკ-ენისელში (ამჟამინდელ საინგილოში) სასულთნო, ხოლო გაღმა მხარის აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელი ზაქათალა-ბელაქნის ტრიტორიაზე – ჭარის სახანო. ჭარის სახანო დაღესტნიდან გადმოსახლებული და აქ დამკვიდრებული: ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯინიხის ავარულ ლეკთა „უბატონო თემებისაგან“ წარმოიქმნა. მის ლოკალიზაციას თ. პაპუაშვილი ალაზნის გაღმა მხარის იმ ტერიტორიაზე ახდენს, რომელიც მდინარეების გავაზისწყლისა და ყუფუჩაის შორის მდებარეობდა¹.

ლეკთა მოწოლამ კიდევ უფრო დააჩქარა ამ კუთხის ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლება და სოფლების გაუდაბურება. ისე რომ, მე-18 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ეს ადგილები გერმანელმა მკვლევარმა ი. გიულდენშტეტმა მოინახულა გავაზი და ჭიკაანი კახეთის აღმოსავლეთში დასახლებული ბოლო სოფლები იყო, ხოლო გაღმა მხარში, ჭარის სოფელ ბელაქნამდე, ქართველების მკვიდრობის შესახებ მხოლოდ გადმოცემა შემორჩენილიყო. ჭიკაანისა და გავაზის მცხოვრებნი შესწვეოდნენ ლეკებთან შეტაკებებს და იძულებული გამხდარან მათივე მეთოდები გამოეყენებინათ. მოგზაური წერს: ისინი „თავს ეს-

¹ თ. პაპუაშვილი. ჰერეთის ისტორიის საკითხები, ნარკვევები სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიიდან (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე). თბ., 1970, გვ. 328.

ხმიან ჭარულ ლექებს, როგორც ეს უკანასკნელი მათვე, და სტაცებენ ერთმანეთს ხალხსა და პირუტყვს“.¹ ანალოგიური ვითარება დახვდა გერმანულ მეცნიერს უფრო სამხრეთითაც, ქიზიყის სოფლებში. აქაურ მოსახლეობას ყანები და საძოვრები სოფლებიდან მოშორებით 10-12 ვერსზე ჰქონდა. ლექები ხშირად სტაცებდნენ პირუტყვს და ხალხს ტყვედ მიერეკებოდნენ. „აქ ჩანდა პატარა მრგვალი და ოთხკუთხედი მოედნები და მოწაყრილები, სადაც მცხოვრებნი აფარებდნენ თავს და პირუტყვს, როცა დროზე შეამჩნევდნენ მძარცველებს, და მამაცად იცავდნენ თავს. დადგენილი წესის თანახმად ყოველი ქიზიყელი მიიჩქარის თავისი თოფით იქით, საიდანაც ესმის სროლის ხმა და, ამ ღონისძიების წყალობით ლექები, მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში.“²

დაღესტნელთა ნაწილი კაკ-ენისელის დასავლეთით ძველ გავაზამდეც ჩამოსახლდა. თავიდან ისინი კახეთის ზამთრის საძოვრებით სარგებლობდნენ და ბეჟანიანის მინდორზე (დღევანდელი ახალსოფელი) მდინარე შოროხევის სანაპიროზე გამოსახამთრებლად რჩებოდნენ. თავდაპირველად ლექები აქ სეზონურად ცხოვრობდნენ, საძოვრების გამოყენებისათვის „საბალახეს“ იხდიდნენ და ცხვრის ფარებს მხოლოდ მწვემსები მოჰყვებოდნენ. მოგვიანებით ოჯახებით დაიწყეს სიარული, საკარმიდამო ნაკვეთები და ისაკუთრეს და რამდენიმე დროებითი დასახლებული პუნქტი შექმნეს. ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თანდათანობით დამკვიდრდნენ ამ რეგიონში (ძირითადად ყვარლის სოფლებში: თივი, თხილისწყარო, ჩანტლისყურე, სარუსო).³

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I თბ. 1962, გვ. 29, 31.

² იქვე, გვ. 27.

³ ნ. ომარაშვილი. კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა). თბ., 2008, გვ. 83-85, 131.

ალაზნის იქეთ გაუკაცრიელებული ქართული სოფლები ტყითა და ეკალბარდით დაიფარა. ასე რომ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც აქ ჟაკ ფრანსუა გამბამ იმოგზაურა, ბელაქნამდე ტერიტორია ქართული ნასოფლარებით ყოფილა მოფენილი¹. სავარგულებს ერთ ნაწილს ქიზიყიდან და გურჯაანიდან გადმოსული კახელები ამუშავებდნენ. დათესავდნენ მარცვლეულს, აიღებდნენ შემოდგომაზე მოსავალს და მიდიოდნენ ისევ უკან.

საქართველოში გაბატონებულმა რუსეთის იმპერიამ ხელში აიღო და საკუთარ კოლონიურ ინტერესებს დაუქვემდებარა ეთნომიგრაციული პროცესების მართვა. ხელისუფლება ცდილობდა მიგრაციული პროცესების საშუალებით აქ თავისთვის სასურველი სურათი შეექმნა. 1819 წლის 22 ოქტომბერს ამ მიზნით საგანგებო დებულება მიიღეს, რომლის მეხამე პუნქტი საქართველოში ჩამოსახლებულ კოლონისტებს მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებდა.² თანდათანობით გაიზარდა ქვეყანაში არაქართველთა (რუსების, სომხების, გერმანელების და ა.შ.) ხვედრითი წილი. 1800 წლისათვის ქართლ-კახეთში მთლიანად 47000 სული სომეხი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 6 % შეადგენდა. 1832 წლისათვის მათმა რიცხვმა 84000 მიაღწია, ე.ი. მოსახლეობის საერთო რაოდენობის 9,4 % გახდა.³ 1800 წლისათვის აღ. საქართველოში თათართა (დღევანდელი აზერბაიჯანელების – ლ.ჯ.) რაოდენობა 30000 იყო,⁴ რაც მოსახლეობის 3,3% შეადგენდა, ხოლო 1832 წლის კამერალური აღწერით 27000 ე.ი. მოსახლეობის 3%.⁵

¹ ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა კავკასიაში, ტ. II, თბილისი, 2021, გვ. 50.

² სცია, ფ. 2, საქ. 2869. 94.

³ ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 85.

⁴ იქვე, გვ. 85.

⁵ კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ. 1973, გვ. 33.

რუსმა მოხელეებმა საგანგებოდ დაიწყეს თანამემამულე კოლონისტებისათვის თავისუფალი მიწების ძიება. კახეთის რეგიონში, სიღნაღის მაზრაში, მათთვის შეირჩა ერთი დიდი ნაკვეთი – 3597,4. დესეტინა. რუსი მოახალშენები ჩაასახლეს ასევე ნუკრიანისა და ჭოტორის მამულებშიც. იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლება დაახლოებით 100 ათასი ადამიანის ჩამოსახლებას ვარაუდობდა. გადმოსახლებულებს საკმაო ოდენობით მიწა ეძლეოდათ როგორც საკუთრებაში, ისე იჯარით; ორი წლის მანძილზე ისინი თავისუფალი იყვნენ საიჯარო და სხვა სახის გადასახად-სისაგან, ხოლო შემდეგი სამი წელი გადასახადების მხოლოდ ნახევარს იხდიდნენ; ჩამოსახლებული მამაკაცები 2 წლით თავისუფლებოდნენ სამხედრო ვალდებულებისაგან; სარგებლობდნენ შეღავათებით ვაჭრობასა და მრეწველობაში, მიწის დასამუშავებელი იარაღების შექენაში, მგზავრობაში და ა.შ.¹

ალაზნის გაღმა მხარი, ლაგოდეხი, სადაც XIX საუკუნეში რუსული ჯარი იყო ჩაყენებული სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცების, სხვადასხვა აჯანყებებში მონაწილე თუ იმპერიისთვის არასასურველ პირების ჩასახლების ადგილად იქცა. ასე აღმოჩნდნენ ამ კუთხეში რუსები და პოლონელები. არსებობს ცნობები, რომ XIX ს. 70-იანი წლებიდან აქ კახეთის ზოგიერთი სოფლიდანაც (მაგ. ბოდბისხევი) გადმოდიდნენ დასახლებლად, თუმცა XIX ს. 80-იანი წლებში ლაგოდეხსა და მის შემოგარენში მოსახლეობის უმრავლესობას მაინც რუსები (მა-

¹დ. ჭუმბურიძე. რუსული დასახელებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, წიგნში რუსული კოლონიალიზმი საქართველო (მითითებულია წიგნიდან ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო გარემო და მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2018, გვ. 37.

ლაკნების ჯგუფი) შეადგენდნენ.¹ XX საუკუნის დასაწყისში შირაქის მიდამოებში დამკვიდრება დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობამ. რუსეთის გაბატონებამდე შირაქისა და ალაზნისპირეთის საძოვრებით აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეები შეუზღუდავად სარგებლობდნენ. 1862 წელს რუსულმა მმართველობამ შირაქის საძოვრებზე გადასახადები დააწესა, რითაც გარკვეულად უნდა შემცირებულიყო ქართველ მთიელთა წვდომა ამ ადგილებზე, სადაც რუსული გუბერნიებიდან ხალხის გადმოსახლება იყო დაგეგმილი. 1904-1905 წლებში ხელისუფლებამ უკვე აშკარად შეზღუდა ქართველთა შირაქში ჩამოსახლება და შეეცადა მთაში გაებრუნებინა უკვე იქ (სოფ. ქედში) დამკვიდრებული მთიელები, რასაც წინ აღუდგა მაშინდელი ქართული საზოგადოების ნაწილი ვაჟა-ფშაველას მეთაურობით. მაშინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები მკაფიოდ ასახავს ამ პროცესს. საბოლოოდ, მოხერხდა შირაქში დამკვიდრებული მთიელების ადგილზე დატოვება.²

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისთვის დასავლეთ საქართველოსა და კახეთის სოფლებიდან გადმოსულმა ოჯახებმა დაიწყეს ლაგოდეხის მიმდებარე მიწების ათვისება. ასე რომ, უკვე 1912 წელს სოფ. შრომაში (ლაგოდეხთან), ხოლო 1916 წლისთვის სოფ. ბაისუბანში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართული სკოლები დაარსა.³ ამ პროცესში აქტიურად ყოფილა ჩართული ილია ჭავჭავაძეც, რის შესახებ ხსოვნა დღემდეა შემორჩენილი:

¹ ქ. დიდმელაშვილი, დ. ყვავაძე. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლები. თბ., 2021, გვ. 16.

² Р. Топчишвили, Культурно-исторический вопросы миграции горского населения Восточной Грузии (на примере Пшави и Хевсурети). Тб. 2021, გვ. 55.

³ იქვე, გვ. 16.

„ილია ჭავჭავაძემ წამოიწყო მოძრაობა, რომ აქ დაესახლებინათ მოსახლეობა და სადაზვერვო მიზნით მოყავდათ ერთი სეზონი იმერეთიდან ხალხი. გაუტყხავი, ნაყოფიერი მიწები იყო ზოგი თავისი სურვილით რჩებოდა. ზოგს ფულს აძლევდნენ. გოგრა იმხელა მოდის ზამთარს შიგ ვაგატარებთო, სიმინდი იმხელა მოდის ცხენიანი კაცი იმალებო, ჩაჰქონდათ ამბავი იმერეთში. 1905 დაიდრა მთელი იმერეთი და წამოვიდა. პირველი დასახლება მოხდა სოფელ ლელიანში, მერე მოყვა სხვა სოფლები: აფენი, გიორგეთი. აფენის თემს რომ ვიძახით, მასში 8 თუ 12 სოფელია გაერთიანებული. გიორგეთი არის ძალიან საინტერესო, ალაგირში ცხოვრობდნენ და იქ ოსებმა მოუწყვეს გენოციდი, წავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მერე დაბრუნდნენ უკან ჩამოვიდნენ და დასახლდნენ გიორგეთში. დაახლოებით 1907-8 წელში. ეს არის ძველი ხალხის მონაყოლი, ზოგმა თავისი დაბადების წელიც არ იცოდა. შემდეგ რაჭიდან ჩამოვიდნენ და დასახლდნენ რაჭისუბანში ძირითადად არიან ლობჯანიძეები, მაისურაძეები, ამათ მოჰყვა ოსური მოსახლეობა. ძირითადად მოდიოდნენ იმ რაიონებიდან სადაც მწირი მოსავალი იყო. იმერლები მოდიოდნენ ჭიათურა, საჩხერე, ხარაგაულის რაიონებიდან. ერთი ფუძე მოილაპარაკებდა აიყრებოდნენ და მოდიოდნენ, სახლდებოდნენ ერთ სოფელში. ეს ხდებოდა რევოლუციამდე (იგულისხმება 1917 წლის რევოლუცია – ლ.ჯ.). ძირითადი ნაკადი იყო, თორემ რევოლუციის შემდეგაც ბევრი ჩამოვიდა. ომის მერე პერიოდშიც შემოდიოდნენ. შემოვიდა კახეთის მოსახლეობაც წნორიდან, ჯუგაანიდან, სიღნაღიდან“ (ლაგოდეხი, სოფ. მაწიმი, ხანდაზმული მამაკაცი).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სასახლვრო-გამშვები პუნქტის მიმდებარე დასახლებაა მაწიმი, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობენ. მოსახლეობა ამ სოფელში

ჩამოსულა ქიზიყიდან (ტიბაანი, ანაგა, ვაქირი, ჯუგაანი) და იმერეთიდან. სოფლის ძირითადი გვარებია: ბიძინაშვილები, ალადაშვილები, დარჩიაშვილები, ჯალღიაშვილები, ჯანიაშვილები. ცხოვრობს ლეკების სამი ოჯახი, რომელიც მეზობლების ინფორმაციით საკმაოდ ინტეგრირებულია, ქართულად საუბრობს და რელიგიური ტოლერანტობით ხასიათდება. ცნობილია რომ, ლაგოდეხის მიდამოებში დადესტნელების შემოსვლა მომთაბარე მესაქონლეობას უკავშირდება. ისინი საძოვრისათვის ადგილებს იჭერდნენ. აქ ძირითადად თებელისა და ჭურმუჭის ლეკობა ბინავდებოდა.¹

ამრიგად, წერილობითი წყაროებისა და საველე მონაცემების მიხედვით ლაგოდეხის რეგიონში მოსახლეობა უმთავრესად ზემო იმერეთიდან და რაჭიდან ჩამოსახლდა გასული საუკუნის დასაწყისში. მიგრაციის ეს პროცესი შედარებით მცირე მასშტაბით საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა.

ანალოგიური ვითარებაა დღევანდელი დედოფლის-წყაროს მუნიციპალიტეტშიც, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა, XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ქედების ზოლის დასახლება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჭარბი მოსახლეობა იმ ხანებში შირაქის ველისაკენ დაიძრა. ჯერ ფშავლების სოფელი ქვემო ქედი დაარსდა, მოგვიანებით მთიულეებმა, გყდამაყრელებმა და ხევსურებმა დააფუძენს სოფლები ზემო ქედი და არხილოსკალო. მთის მესაქონლე მოსახლეობას, რომელიც შირაქის ველს ზამთრის საძოვრად იყენებდა, შირაქის ნაყოფიერი მიწები ძველთაგანვე იზიდავდა საცხოვრებლად. თავდაპირველად მთიელი მწყემსები მათთვის გამოყოფილი საძოვრის ნაწილს ნათესებისათვის იყენებდნენ და ჭირნახულს მთაში ეზიდებოდნენ. მოგვიანებით კი ზოგიერთმა დაიწყო მიწური სახლე-

¹ ნ. ომარაშვილი. კახეთში მცხოვრები დადესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბ., 2008, გვ. 83.

ბის აგება და ოჯახების ჩამოყვანა.¹ როგორც უკვე ავლნიშნე, ამ პროცესს გულშემატკივრობდა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოება და აქტიურად უჭერდა მხარს ვაჟა-ფშაველა.

ქედების ზოლის დაბლა, XX საუკუნის 30-იან წლებში აზერბაიჯანიდან, კახის რაიონის სოფ. ყორადანიდან გადმოსახლებულ ქართველებს (ინგილოებს) დაუარსებიათ სოფელი ახალი ყორადანი. მოგვიანებით ამ სოფელს სამთაწყარო ეწოდა.² იგი თავდაპირველად არხილოსკალოს სასოფლო საბჭოში შედიოდა დღეისათვის კი თავადაა თემის ცენტრი. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ამ დასახლებაში სულ 80 კომლი (დაახლოებით 350-400 ადამიანი ცხოვრობდა), მოსახლეობის ოდენობამ მოიმატა, როდესაც აქ აჭარელი ეკომიგრანტები შემოვიდნენ.

ეკომიგრანტების მასშტაბური გადაადგილება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და მან მეტნაკლებად შეცვალა ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ რაიონებში. 1981 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, განსახლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 11,000 ოჯახი, დაახლოებით 60,000 ადამიანი გადმოიყვანეს საცხოვრებლად (ძირითადად აჭარისა და სვანეთის მაღალმთლიანი რეგიონებიდან). ამავე პერიოდში მიგრანტთა დაუდგენელი რაოდენობა, ძირითადად აჭარიდან, ჭარბმოსხლეობისა და მცირემიწიანობის გამო, დამოუკიდებლად გადასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში. 1980-იანებში და 1990-იანი წლების დასაწყისში ეკომიგრანტთა მიმღები ძირითადი რეგიონები იყო კახეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო,

¹ P. Топчишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 53-55.

² სოციალური განვითარების დაგეგმვის სოციალურ-კულტურული ასპექტები. გვ. 49.

შიდა ქართლი, გურია, სამცხე და ჯავახეთი¹. როგორც ჩვენი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ სამთაწყარო) აჭარელი მოხრობელი გვიამბობს:

„1981 წლის დასაწყისში ჩვენ, აჭარლები ჩამოვედით, მე გვარად შაინიძე ვარ. 80 კომლი ინგილო ცხოვრობდა, ჩვენს ჩამოსახლებაძღვე, 70-80 წელი ცხოვრობდნენ აქ. ახლა 120 კომლაძღვე მაინც იქნებიან. თვითონ პერელები ვართო ამბობენ, ჩვენში ინგილოებს ვუწოდებთ. ასე რომ, ჩვენ დაგვხვდა ეს ხალხი. აჭარის ყველა რაიონიდან მოხდა ჩამოსახლება ზოგი მეწყერის გამო, ზოგი ისე. ძირითადად საზღვრის გამაგრების მიზანი ჰქონდა ამ ჩამოსახლებას. დასაწყისში ყველა ნაცია ცხოვრობდა, ქისტები იყვნენ, ახლა იშვიათია. სვანები არიან ერთი-ორი მოსახლე. სვანებიც 80-იან წლებში არიან ჩამოსახლებული. ეს სახლები სულ სახელმწიფომ ააშენა. არის აჭარული გვარები – შაინიძეები, კილაძეები, დუმბაძეები, ღონდაძეები, ქამაშიძეები, ბოლქვაძეები, ხოზრევანიძეები; ინგილოები – სარდალაშვილები, ემრაშვილები, პაპიაშვილები, სვანელაშვილები. 80-იანი წლების ბოლოს სოფელში უკვე 450 კომლი იყო (2014 წლის აღწერით სამთაწყაროში 1037 ადამიანი ცხოვრობს – ლ.ჯ.). სადღაც ნახევარი აჭარლებია. აქ ახლა მინიმუმ 400 სახლი არის.“

საკვლეგ რეგიონში თურქულენოვანი მოსახლეობის (დღევანდელი აზერბაიჯანელების) წინაპრები ძირითადად, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში დასახლებულან. ი. გიულდენშტედტის ცნობის მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მთლიანად კახეთში თურქული მოდგმა არ-

¹ ტ. ტრიერი, მ. ტურაშვილი. ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006. თბ., 2007, გვ. 5.

ცოტა მრავალრიცხოვანი იყო. ისინი XVIII საუკუნის 50-იან წლებში ერეკლე მეფეს გადმოუსახლება მულანის ველიდან და თელავის ჩრდილოეთით ბატონის ციხის სიახლოვეს დაუმკვიდრებია. ამ პერიოდისათვის იქ იყო „თურქმანული თათრების“ სოფლები: ყარაჯალა, მულაალო, ყაფანახჩი და ყიზილააჯი. კახეთში იმ დროისათვის სულ „თურქმანული თათრების“ 250 ოჯახი ცხოვრობდა და შენარჩუნებული ჰქონდა საკუთარი რელიგია, ჩაცმულობა და წეს-ჩვეულებები.¹ ისინი მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ ამიტომ ახალი საძოვრების ძიებაში თანდათანობით კახეთის სხვა ადგილებშიც გადადიოდნენ საცხოვრებლად. კერძოდ XIX საუკუნეში მათი კომპაქტური დასახლებები შეიქმნა დღევანდელი ლაგოდეხისა (კაბალის თემი) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში (მულანლოს მიდამოებში).

მესაქონლეები ალაზნისპირა მიდამოებს (ლაგოდეხი) ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ. როგორც კაბალის მკვიდრი ამბობს: „აქ კარგი ნამიანი ადგილია, ნაყოფიერი მიწებია და საქონელს ადვილად ინახავდნენ. თავდაპირველად პერიოდულად მოდიოდნენ, მერე ნახეს, რომ კარგად, იოლად შეიძლებოდა ზამთრის გადატანა, არც ზაფხულზე გაუჭირდებოდათ პირუტყვის გამოკვება, მდინარე კაბალიც აქვეა და წყლის პრობლემა მთელი წლის მანძილზე არ აწუხებდათ, ამიტომ აქ დასახლება გადაწყვიტეს. ჩამოსახლდნენ თელავის მიდამოებიდან, გარდაბნიდან (ყარაიზიდან) ასევე მოდიოდნენ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდანაც (შირვანის ველი).“ ასე რომ, თანდათანობით ალაზნისპირაში თურქმანული მოსახლეობა მომრავლდა და მეურნეობის ტიპიც შეიცვალა, მომთაბარე მესაქონლეები მიწათმოქმედებად იქცნენ.

ქართულ მოსახლეობაში შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით კაბალის თემის „აზერბაიჯა-

¹ გიულდენშტედტი. დასახ. ნაშრ, გვ. 39.

ნელი“ მოსახლეობა ძირითადად XIX საუკუნის 80-იან წლებში აქ ჩასახლებული 16 მწყემსის ოჯახის შთამომავალია.

ამ ტერიტორიაზე თავადები იყვნენ ვახნაძეები, ჯორჯაძეები და ხოლოყაშვილები. ხოლოყაშვილების სახლიც კი იყო შემორჩენილი, დაახლოებით 40 წლის წინ დაანგრიეს. თავადებმა ჯორჯაძეებმა და ვახნაძეებმა 16 სული მწყემსი აზერბაიჯანელი ჩაასახლეს კაბალზე 1885 წელს. ამ ადგილზე დღეს უკვე 4 სოფელია და 16 ათასი სული მაცხოვრებელი¹ (სოფ. მაწიმი).

აზერბაიჯანელები აქ დაფიქსირდნენ დაახლოებით მეოცე საუკუნის 40-იან წლებში. მწყემსები იყვნენ, მწყემსის ოჯახები და ისინი გამრავლდნენ. მერე გადმოვიდნენ და გადმოვიდნენ უღაბნოსავით არის აზერბაიჯანიდან. შირვანის ველიდან არიან გადმოსულები. მანდ სოფელია კაბალი, რომლის ზედა მხარეზე შიიტები ცხოვრობენ, ქვედაზე სუნიტები. ზევით რჩება ნახევარი კაბალი, უზუნთაღა, განჯაღა და ქვევით მხარეს არის ნახევარი კაბალი და ყარაჯაღა. ყარაჯაღაში თელავის ყარაჯაღიდან არიან გადმოსული (სოფ. მაწიმი).

კაბალში მცხოვრები დღევანდელი აზერბაიჯანელები თავიანთ წინაპრებს თვითონაც ასიოდე წლის წინ გადმოსულებად მიიხნევენ.

ჩემი მეზობელი იყო ერთ-ერთი, 105 წლის, შარშან გარდაიცვალა, ის ამბობდა – მახსოვრობაში მაქვსო, რომ კაბალის ტერიტორიაზე 5-7 მწყემსი ცხოვრობდაო აზერბაიჯანელი, ამ მწყემსებს მოეწონათ აქ ცხოვრება და მოიყვანეს ვიღაც-ვიღაცეები და ასე გამრავლდნენო. მოლაპარაკე

¹ ოფიციალური სტატისტიკით კაბალის თემში 9279 ადამიანი ცხოვრობს.

კაცი იყო და ჰყვებოდა, მერე მოვიდნენო. მაგრამ აქ ამბობენ ასე, ზედა მხარეს ვინც ცხოვრობს, ნაწილი თელავის ყარაჯალიდან არიან გადმოსულნი და ნაწილი აზერბაიჯანნიდანო (აზერბაიჯანელი შუა ხნის მამაკაცი, კაბალი).

მოგვიანებით დასახლებებს ემატებოდნენ საქართველოს სხვადასხვა თურქულენოვანი თემებიდან და დღევანდელი აზერბაიჯანიდან ჩამოსული ადამიანები როგორც ჯგუფებად ასევე ინდივიდუალურად. სამეურნეო ტიპის და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ტრანსფორმაცია მოითხოვდა დამატებით ადამიანურ რესურსს და თურქმენული მოსახლეობის ეთნოსოციალური სტრუქტურის ცვლილებას განაპირობებდა. აქაური ხელსაყრელი ეკოსამეურნეო გარემო კი ადამიანებს სხვადასხვა ადგილიდან იზიდავდა. მაგალითად, კაბალში მცხოვრები ჩვენი ახალგაზრდა მთხრობლის მამა წარმოშობით იორმულანლოდან ყოფილა (სადაც თავის დროზე მისი წინაპრები ყაზახიდან გადმოსულან), დედის წინაპრები კი წარმომავლობით ირანის აზერბაიჯანიდან იყვნენ, საიდანაც ჯერ თბილისში გადასულან საცხოვრებლად, მერე კი – კაბალში.

იორმულანლოში მდებარეობს სოფლები: მულანლო და ქეშალო; ასევე თულარის თემში: თულარი, კაზლარი; ლამბალოს თემში: ზემო და ქვემო ლამბალო, დუზაგრამის თემში: დუზაგრამა, პაღლო, წიწმატიანი. აქაური მცხოვრები აზერბაიჯანელები ამ ადგილს „ყარა ჩოფს“ (შავი ბუჩქი, შავი ბარდი), ხოლო საკუთარ თავს ყარაჩოფელებს ეძახიან. ტრიალი მინდორი ბუჩქებით ყოფილა დაფარული. ზაფხულში მწვანე ბუჩქები ზამთრობით, როდესაც ფოთოლი გასცვივა შავია. მათი წინაპრები, კაბალებების მსგავსად, საქართველოს და დღევანდელი აზერბაიჯანის სხვადასხვა კუთხიდან მოსული მესაქონლეები იყვნენ.

„ჩვენი წინაპრები ჩამოსული არიან დმანისიდან, მარნეულიდან (ბორჩალოდან) აზერბაიჯანიდან თოუზი, ყაზახი, აღსტაფა, არიან ყარაბახიდანაც, მარნეულიდან ბოლნი-

სიდან, აქედან საზღვრამდე ზუსტად 20 კმ-ია ახლოსაა. სასზღვრო პუნქტი ახლა არაა, ადრე კი პირდაპირი გზა იყო და ადვილად გადმოდიოდნენ“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქედების ზონის ქვემოთ, უკიდურესად აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი საბათლო. სოფელი სომხებითაა დასახლებული. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აქ დაახლოებით 950 ადამიანი (188 კომლი) იყო.¹ 2014 წლის აღწერის მიხედვით კი საბათლოში 391 ადამიანი ცხოვრობს. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ცნობა, რომლის თანახმადაც სომხები 1918 წელს სომხურ აზერბაიჯანულ შეტაკებებს გამოქცევიან აზერბაიჯანიდან (ნუხის რაიონიდან) და სახელი საბათლოც ნუხის მიდამოებში მდებარე ამავე სახელწოდების სოფლიდან მოდის. მოგვიანებით ზოგიერთი სხვა მხარიდანაც მოვიდა. საბჭოთა პერიოდში ამ სოფელს წითელი საბათლო ერქვა.²

საველე-ეთნოგრაფიული მასალა ნაწილობრივ თანხვედრაშია ზემომოტანილ მონაცემთან, თუმცა მთხრობლები აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები წარმოშობით ძირითადად ყარაბაგიდან, ასევე ჩალღათიდან, ბულაჩიდან და ნახიევანიდან იყვნენ:

„პირველი სომხები სოფელში 1918 წლიდან ყარაბახის რაიონებიდან გადმოვიდნენ. ოფიციალურად სოფელი 1922 წლიდან დაარსდა, სულ რამდენიმე ოჯახი ჩამოსულა. აქ წყალი ნახეს და გადაწყვიტეს დარჩენა. ამ სოფელს ერქვა საბათუ, რაც ნიშნავს ადგილს, სადაც ხორბალი ინახება, ამბარს, აქედან დაერქვა ამ სოფელს საბათლო. ბოლშევიკების პერიოდში წითელი საბათლოც ერქვა, კომუნისტურ ყაიდაზე. პირველი ოვანეს ავაკიანი, მამაჩემის ბაბუა

¹ სოციალური განვითარების დაგეგმვის სოციალურ-კულტურული ასპექტები, გვ. 50.

² იქვე.

მოვიდა. პირველი ბავშვი, რომელიც ამ სოფელში დაიბადა, ჩემი ბებო „არემ ალაჯანიანი იყო. შემდეგ ჩამოვიდნენ სოფიანები, ალალიანები და სხვები. მიზეზი იყო, რომ ლტოლვილები ვიყავით ყარაბახიდან. როცა ომი დაიწყო, ყარაბახელი სომხები ჯერ მივიდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, იქ დასახლდნენ, მერე იქიდან აქეთ გადმოვიდნენ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ყარაბახელები აზერბაიჯანის ტერიტორიიდან გაიქცნენ. ზოგი იქედან ბაქოშიც კი გარბოდა, მაგალითად ევგენი პეტროსიანი რომ არის იუმორისტი, მაგის ოჯახი ლტოლვილად ბაქოში გაიქცა. რატომ ბაქოში? მაშინ იქ იყო უბანი სომხური ქანდუ (სომხური გზა), სადაც მარტო სომხები ცხოვრობდნენ. ჩვენი ხალხი კი აქ ჩამოვიდა. ალაზანზე რომ გადმოდიოდნენ ბევრი ბავშვი დაიღუპა, ვერ მოასწრეს გადმოყვანა. ხიდი არ იყო მაშინ, ბორანით გადმოდიოდნენ ან საქონლის ზურგზე შემსხდარნი. ხალხის ნაწილი აქედან მოგვიანებით ქედში გადავიდა, ნაწილი კი სომხეთის სოფელ ქელარუში, რომელსაც მაშინ გრიბოედოვი ერქვა. ჩვენს სოფელში ეხლა დაახლოებით 125 კომლია.“ (სოფ. საბათლო, შუა ხნის მასწავლებელი ქალი).

მას შემდეგ, რაც ლეკიანობისა და ირანის თავდასხმების საშიშროება მოიხსნა, დღევანდელი აზერბაიჯანის მოსაზღვრე კახეთის ნაყოფიერი მიწები, რომელიც საძოვრებად იყო ქცეული, მიმზიდველი გახდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ნამატი მოსახლეობისთვის, მაგრამ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს პროცესი შეჩერდა. საბჭოთა პერიოდში თვითნებურად ჩასახლება შეუძლებელი იყო. ხელისუფლება, საპასპორტო სისტემის (ჩაწერის ინსტიტუტი) საშუალებით, ცოტააღურად აკონტროლებდა მიგრაციას, როგორც ჯგუფების, ისე ცალკეული ოჯახების გადაადგილებას. ამიტომ ხსენებულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები კარგა ხანს

ადარ მომხდარა. 1970-იანი წლების ბოლოს ქართულ საზოგადოებაში პატრიოტული სულისკვეთების აღზევება დაიწყო, რაც მეტ-ნაკლებად ყველა სოციალურ ფენას შეეხო. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საგარეჯოსა (მ. მეზერიშვილი) და სიღნაღის (თ. ქევხიშვილი) კომპარტიის რაიკომის მდივნების ინიციატივები აზერბაიჯანთან მოსახლურე მიწების ათვისებისა და იქ ქართველთა ჩასახლების თაობაზე. სოფ. უდაბნოს მცხოვრებნი დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ მ. მეზერიშვილს. საველე მასალის მიხედვით იგი უშუალოდ იყო ჩართული ყველა დიდი თუ პატარა პრობლემის გადაწყვეტაში. კომუნისტური ხელმძღვანელობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, როგორც ჩანს, ახლადაშენებულ სოფლებს ეროვნული ფორპოსტის მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგ., სოფ უდაბნო გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ შენდებოდა და აზერბაიჯანის საზღვრის მიდამოებში ეთნიკური ქართველების მომრავლება საშურ საქმედ ითვლებოდა.

იგივე მიზანს ემსახურებოდა სიღნაღის რაიონის სოფ. ერისიმედის დაარსება. ჩვენი მთხრობლი პირადპირ აღნიშნავს, რომ სოფლის დაფუძნება აზერბაიჯანის მხარეს მოქცეული მიწების შენარჩუნებისათვის გამხდარა აუცილებელი.

ამ სოფლის მშენებლობა დაწყებულია საზღვრისპირა რეგიონის გამავრების მიზნით. რაიკომის მდივანი იყო თამაზ შალვას ძე ქევხიშვილი, საგარეჯოელი, მანავიდან. მას დაუწყია მშენებლობა. ალაზნის გადმოღმა ეს ტერიტორიები იყო მითვისებული აზერბაიჯანის მიერ. ადრე საზღვარი გადიოდა ტყის პირას, ალაზანმა შეიცვალა კალაპოტი და ეს ტერიტორია დარჩა აზერბაიჯანის მხარეს. ცარიელი ტერიტორია იყო მაშინ, დაუსახლებელი. ვიდრე ალაზანი ტყისპირას გადიოდა, ეს ჩვენი იყო და როცა კალაპოტი იცვალა მოექცა მათ მხარეს. თუთის ბაღები იყო გაშენებუ-

ლი. ქვეხიშვილი დაინტერესდა ამ ამბით, გადაწყვიტა, დაებრუნებინა და ქართველებით დაესახლებინა (სოფ ერისიმედი შუა ხნის მამაკაცი).

ჩვენთან საუბარში თ. ქვეხიშვილმა გაიხსენა ეს ამბები და გვიამბო, რომ თანამდებობაზე დანიშვნისას შეამჩნია მნიშვნელოვანი ლაფსიუსი. კერძოდ, სიღნაღის რაიონის ბალანსზე საბუთებში დაფიქსირებული 1000 ჰა, რეალურად არ ჩანდა. დაინტერესდა და აღმოაჩინა, რომ ეს მიწა, ისტორიული ციხიანყურე, ფაქტობრივად აზერბაიჯანის სარგებლობაში იყო, რადგან დაახლოებით 80 წლის წინ, მდ. ალაზნის კალაპოტის შეცვლის გამო, მდინარის მიღმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ბელაქნის რაიონის მხარეს დარჩა. აქ ცხოვრობდა ბელაქნის მოსახლეობა, რომელმაც მოაწყო საქონლის ფერმები, გააშენა თუთის ბაღები და ა.შ. ხოლო სიღნაღის რაიონიდან ამ ტერიტორიაზე წვდომა არ ჰქონდათ. იქ მისვლა, მდინარეზე ხიდის არარსებობის გამო, მხოლოდ ლაგოდეხზე შემოვლითი გზით, ბელაქნის გავლით (დაახლოებით 300 კმ) შეიძლებოდა. გადაწყდა ალაზნის გაღმა ქართული სოფლის აშენება და საკომუნიკაციო სისტემის მოწესრიგება. პირველ რიგში მდინარე ალაზანზე ააგეს დაახლოებით 120 მ. სიგრძის ხიდი. შემდეგ ხიდი გააკეთეს მდ. ბელაქანზეც. სოფლის მშენებლობა საკმაოდ მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. შეიქმნა პროექტი (ავტორი არქიტექტორი ვ. დავითაია), ააშენეს 150 საცხოვრებელი სახლი.¹ ისე რომ, ყველა ჩამოსახლებულ ოჯახს დახვდა გარემონტებული, ავეჯით გაწყობილი სახლი, ბოსელ-მარანი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, წვრილფეხა საქონელი და ფრინველი. ააშენეს ამბულატორია, სკოლა, ადმინისტრაციული შენობა, კლუბი, აბანო, სახერხი, წისკვილი, მადახია და

¹თამაზ ქვეხიშვილის „მაესტრო“ ისტორია /ინტერნეტვერსია და მოწმობულია 12.09.2022/ ჰტტპ://www.ეოტშე.ცმ/წატკჰჰჰჰჰ - ზ8ა თ4

ა.შ.¹ როგორც სოფ. ერისიმედში გვითხრეს – „ეს შემთხვევით არ იყო, ძალიან მამულიშიღილური საქმე კეთდებოდა. თამაზ ქვეხიშიღილი იყო ადამიანი ეროვნული ხედვით. სოფლებში მოსაცდელეები რომ არის აშენებული იქაც კი სულ ყველგან ქართული ორნამენტია შეტანილი.“

საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიანიჭეს სოფლის სახელწოდების შერჩევას და კონკურსიც გამოაცხადეს. სწორედ ასე გაჩნდა სახელი ერისიმედი. თავადაპირველად განზრახული იყო ერისიმედში კახეთის რაიონებიდან გადმოყვანილი ხალხი დაესახლებინათ, მაგრამ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში, აჭარაში და სვანეთში, მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო უსახლკაროდ დარჩა ათასობით ადამიანი და ახლადაგებული სოფელი ზედგამოჭრილი აღმოჩნდა მათ დასაბინავებლად. ერისიმედში ძირითადად აჭარელი ეკომიგრანტები დამკვიდრდნენ

„ამ სოფელში ჩვენ 1989 წელს ჩამოვედით. ძირითადად – ხულოსა და შუახევის რაიონებიდან. სხვადასხვა სოფლებიდან: ძირკვაძეები – ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეებიდან, ოქრუაშვილები – შუახევიდან, სოფელ ბრილიდან. მიზეზი იყო მეწყერის ჩამოწოლა. ჩვენ წინასწარ არ ვიცოდით აქ თუ ჩამოვიდოდით. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგედიას 19 აპრილს ჩვენთან, ხულოში, მეწყერის ჩამოწოლა დაემთხვა და ჩამოვკვასახლეს. ჩვენ ვართ გააჭარელებული გურულები იქ გურიიდან, ხიდისთავიდან, ჩოხატაურის რაიონიდან გადასულები. ძირითადად აქ არიან თავართქილაძეები, შავაძეები, დეკანაძეები, აბაშიძეები,

¹თამაზ ქვეხიშიღილი - რაიკომის მდივანი, რომელმაც საქართველოს 1000 ჰა მიწა დაუბრუნა /ინტერნეტვერსია დამოწმებულია 12.09.2022/ კატა//ტილისტე/ნეწს/ტამაზ ქვეხიშიღილი რიკომის მდივანი რომელმაც საქართველოს 1000-ჰა-მ იტხდაურწა/2398

ბოლქვაძეები“ (სოფ. ერისიმედი შუახანს გადაცილერებული მამაკაცი).

რამდენიმე კომლი აქ კახეთის სოფლებიდანაც გადმოვიდა საცხოვრებლად. აჭარელ ეკომიგრანტებს ჩამოსვლისას 13 კომლი დახვედრიათ. მათ შორის, ერთი ინგილო ოჯახი კახიდან; დუისიდან გადმოსულა რამდენიმე კომლი ქისტ: ოძილაშვილი, გუმაშვილი, ბორდიკაშვილი, მაჩალიკაშვილი და ფაშაევი. ისინი წინათ საქონლის ფერმეებში მუშაობდნენ, მერე კი როცა სოფელი დაარსდა ოჯახებიც ჩამოიყვანეს და სახლები მიიღეს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარელი ეკომიგრანტები ჩასახლდნენ ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქედების ზონის ქვემოთ საგანგებოდ მათთვის აშენებულ დასახლებაში, რომელსაც ფიროსმანი დაარქვეს. ხულოსა და შუახევის დამეწყრილი სოფლების მოსახლეობისათვის აქ საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ააგეს 156 ტიპური სახლი, საბავშვო ბაღი, სკოლა, გააკეთეს წყალგაყვანილობა, ელექტრობა და ა.შ.

ამრიგად, საკვლევ რეგიონში ახალი დასახლებების ჩამოყალიბება XIX საუკუნეში დაიწყო. მას შემდეგ რაც ჩრდილოკავკასიელ მთიელებზე რუსეთის იმპერიის გავლენას გავრცელდა, ალაზნის ვაკესა და ივრის ზეგანის ნაყოფიერ მიწებზე მათი თავდასხმების საფრთხე მოიხსნა. თანდათანობით აქ დამკვიდრდა ჭარბი მოსახლეობა იმერეთიდან, რაჭიდან, საინგილოდან, აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან, ასევე თურქმანი (დღევანდელი აზერბაიჯანელი) მესაქონლეები და სომხები. ეთნიკური ქართველების ჩამოსახლებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები. მოგვიანებით, XX საუკუნის 80-იან წლებში პატრიოტულად განწყობილი სახელმწიფო მოხელეების ინიციატივით დაფუძნდა რამდენიმე სოფელი, სადაც ძირითადად ჩასახლდნენ ეკომიგრანტები აჭარიდან და სვანეთიდან.

§ II. სამეურნეო ყოფა

კახეთი თავისი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით: მიწათმოქმედებისათვის საჭირო ნაყოფიერი ნიადაგით და მეცხოველეობისათვის აუცილებელი საძოვრებით ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა, თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ღიმონისა და ზეთისხილისა ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღსვწერენით, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უჯობესი არს. გარნა არა სთესვენ ღომს, და არცა არს კირჩხიბი აქა, ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობე და უმრავლეს აქაურთა.“¹ სამიწათმოქმედო კულტურების და მესაქონლეობა-მიწათმოქმედების პროპორციის კორელაცია საქართველოს ვერტიკალურ ზონალობასთან და ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობა სამეურნეო დარგების დიფერენციასთან ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომიდანაა ცნობილი. ვერტიკალური ზონალობით განპირობებული რელიეფური თავისებურებები, კლიმატური პირობები და ნიადაგობრივი მახასიათებლები მთლიანად აისახება მეურნეობის დარგების სიმბიოზში, მათ წლიურ ციკლში, შრომის იარაღების თავისებურებებსა და შრომის ტრადიციულ წესებში.²

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 525-526.

² ლ. ბერიაშვილი. საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს თავისებურებანი და სამიწათმოქმედო კულტურათა ზონალური განლაგების ტრადიცია. წიგნში „ქართველები“, თბ., 2016, გვ. 211.

ალაზნის ვაკის „მარცხენამხარეთი“ კლიმატური პირობებით განსხვავდება „მარჯვენამხარეთისაგან“; მარცხენა მხარეში უფრო მეტი ნალექი მოდის (938-993 მმ), ვიდრე მარჯვენა მხარეში (700-800 მმ). მარცხენა მხარეში ნალექების სიუხვით კიდევ უფრო გამოირჩევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. აქ ყველაზე მეტი ნალექი მოდის, მერე კი დასავლეთით კლებულობს. ანალოგიურად იცვლება წლიური აორთქლებისა და დანესტიანების კოეფიციენტიც.¹ ალაზნის ველის იმ ნაწილს, რომელიც სიღნაღის რაიონის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებშია მოქცეული, წინამხარეს უწოდებენ. წინამხარის ბუნებრივი ლანდშაფტი განსხვავებულია მარცხენამხარის ლანდშაფტისაგან, რაც, სხვათა შორის, კლიმატური პირობებითაც არის განპირობებული. ამ ქვერეგიონში, ალაზნის დანარჩენი მარჯვენა მხარეთისაგან განსხვავებით, კლიმატი უფრო მშრალია, რაც დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათანობით მატულობს. ამიტომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში ხშირია გვაღვიანი წლები, რაც დიდად აზარალებს სოფლის მეურნეობას. რადგან ალაზნის მარცხენა მხარეში მეტი ნალექი იცის, მარჯვენა მხარის მცხოვრებლები გვაღვიან წლებში ამ მხარეს მეცხოველეობის დარგის გადასარჩენად იყენებდნენ.²

კახეთის ბარის სამხრეთით, გარეჯის მადლობის სიმაღლე ზღვის დონიდან 900-360 მეტრს შორის მერყეობს. უსწორმასწორო ლანდშაფტი თანდათანობით ივრის ხეობის ძირისაკენ (700-140 მ. ზღვის დონიდან) ეშვება, აქ მდინარეები არაა, ამიტომ ნიადაგი ხრიოკი და უდაბნოსებურია, რაც ადგილობრივ ტოპონიმებშიც აისახა (სოფელი

¹ დ. უკლება. ალაზნის ველი, შიგნი-კახეთი, თბ., 1966, გვ. 9.

² მ. ბურდული. გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და ბუნებრივისამეურნეო ზონები კახეთში. წიგნში: ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2018, გვ. 17.

უდაბნო, გარეჯის უდაბნო და ა.შ.).¹ ქიზიყისაკენ რელიეფი უფრო დაბლდება, გარემო აქაც უდაბნოს თვისებებით ხასიათდება. შირაქის ველზე ზაფხული მეტად მშრალი და გვაღვიანი იცის, წყაროები შრება, ბალახი მთლიანად გადამწვარია, მხოლოდ აქაიქ მოჩანს ეკლიანი ბუჩქები, ვითარება იცვლება შემოდგომასა და გაზაფხულზე. როგორც აღ. ჯავახიშვილი წერს, შირაქის ველი „გაზაფხულის და შემოდგომის სიგრილით და წვიმებით იწყებს გამოცოცხლებას: იმოსება მშვენიერი ბალახით და ივსება ცხერის ფარებითა და ჯოგებით; ზამთრის ცოტაოდენი თოვლიც ხელს არ უშლის ამ ველის საძოვრად გამოყენებას. ხოლო დასავლეთ მხარეზე, სადაც წყაროები საკმარისად არის, მოსახლეობა იკიდებს ფეხს და შესაძლებელი ხდება ამ ველის ნაყოფიერ ნიადაგზე ხვნა-თესვის წარმოება.“²

საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ტრადიციული დარგები, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენს. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ისტორიული პირობების გამო XIX საუკუნის მერე ნახევრამდე ჩვენთვის საინტერესო რეგიონი ძირითადად საძოვრებად გამოიყენებოდა. ახალი დასახლებების გაჩენის წყალობით, ტყეებისა და სათიბ-საძოვრების შემცირების ხარჯზე თანდათანობით გაიზარდა ყანების ფართობი. თესდნენ მარცვლეულ კულტურებს. ლაგოდეხის მხარეში დასავლეთ საქართველოდან გადმოსულ მოსახლეობაში უფრო პოპულარული იყო სიმინდის კულტურა, თუმცა მოჰყავდათ ასევე ხორბალი, ქერი. შვრია, ჭკავი, ლობიო და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობას. სამარცვლედ და სავენახედ საუკეთესოდ

¹ აღ. ჯავახიშვილი. საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, ტფ., 1926, გვ. 279.

² იქვე, გვ. 293-294.

იყო მიჩნეული შავი და ქვიშიანი ნიადაგი.¹ რადგან საკვლევი სოფლების სავარგულები დიდი ხნის მანძილზე თითქმის მთლიანად საძოვრად გამოიყენებოდა, ამის გამო მისი ნაყოფიერება ძალიან გაიზარდა და როგორც მარცვლეული, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა აქ მეტად ხელსაყრელი გახდა.

კოლექტივიზაციის პირობებში გამიზნულად ინერგებოდა ცალკეული დარგები, სისტემურად ტარდებოდა აგრონომიული ღონისძიებები, ცენტრალიზებურად იქმნებოდა სამედიკალინო სისტემა და გეგმაზომიერად ხდებოდა მისი გამოყენება. დაინერგა მარცვლეულის სელექციით გამოყვანილი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები, რომელიც საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იყო რეკომენდებული. ისინი გამორჩეული გენეტიკური თვისებების მატარებელი იყვნენ: უფრო მეტად უძლებდნენ მავნებლებს, გამოირჩეოდნენ ყინვამძლეობით, იყვნენ უხვმოსავლიანი, ახასიათებდათ ნაკლები „მიზეზიანობა“ და ა.შ. ასეთ ჯიშებად XX საუკუნის 70-80-იან წლებში ითვლებოდა: „უფხო I“, „ავრორა“, „კავკაზი“.² ამ ჯიშების დანერგვა ახლადშექმნილ დასახლებებში უფრო ადვილი იყო, რადგან დასავლეთ საქართველოდან თუ სხვა რეგიონებიდან გადმოსული მოსახლეობა ნაკლებად იცნობდა მარცვლეულის ადგილობრივ ჯიშებს, მისი მოყვანის ტრადიციულ ხერხებსა და სამუშაო იარაღს. ამიტომ შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა მექანიზაციის, ახალი სელექციით გამოყვანილი მცენარეთა ჯიშების დანერგვის და სამეურნეო დარგების უნიფიკაციის პროცესი. ამ ყოველი-

¹ ლ. ბერიაშვილი. ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, თბ., 1989, გვ. 128.

² ა. დაუშვილი. კახეთის სოფლის მეურნეობა სოციალიზმის რუსული მოდელის კრიზისის პერიოდში. წიგნში ქართული სოფლის ტრადიციულ სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბ. 2018, გვ. 193.

ვემ კი ძალიან გაზარდა მიწათმოქმედებიდან მიღებული შემოსავალი.

წარმოიდგინეთ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაზე, 150 კომბაინი და 400 მანქანა რომ მუშაობს ერთდროულად. სიღნაღში 180 ათას ტონა ხორბალს ვიდებდით და წითელწყარო ჩვენზე მეტს – 200 ათას ტონას იღებდა. სულ კახეთში იწარმოებოდა დაახლოებით 500 ათას ტონამდე – ალაზნის ველზე და ივრის ზეგანზე. მაშინ უფხო პირველი იყო ჯიში. ეხლა სადღა მოყავთ დააჯამეს და მთელ რესპუბლიკაში 120 ათასი ტონა ხორბალი მიიღეს (სოფ. მანავი, ხანდაზმული მამაკაცი).

კახეთის რეგიონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო დარგი იყო მევენახეობა-მეღვინეობა, რომელსაც უკვე XIX საუკუნის 30-იან წლებში ჰქონდა გამორჩეული ეკონომიკური ფუნქტურობა, რადგან აქ დაყენებული ღვინის ნახევარი ბაზარზე გადიოდა.¹ ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე მევენახეობის ხვედრითი წილი აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ზონაში არცთუ მაღალი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის ეს დარგი, კახეთის დანარჩენი სოფლებისგან განსხვავებით, აქ ამჟამადაც ნაკლებფუნქტიურია. მართალია, ღვინოს თითქმის ყველგან მოიხმარენ და მევენახეობისაგან მიღებულ შემოსავალს ოჯახის ეკონომიკაში გარკვეული როლი აქვს (ძირითადად ეს გამოიხატება ზვრებში მუშაობისას მიღებულ ანაზღაურებაში) მაგრამ ზოგიერთ სოფლებში (სოფ. უდაბნო, იორმულანლოს მიდამოები და ა.შ.) მევენახეობისთვის ბუნებრივი პირობები არასახარბიელოა, ზოგან კი ვაზს უფრო მომგებიანი კულტურით ანაცვლებენ. მაგ.,

¹ ა. ბენდიანიშვილი. რუსეთის კოლონიალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია. წიგნში ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008 გვ. 229.

სოფ. სამთაწყაროში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის დახმარებით საკმაოდ დიდ ფართობზე გააშენეს კაკლის ბაღი. სავარაუდოდ, ამგვარი ვითარება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენთვის საინტერესო დასახლებებში გასულ საუკუნეში მიგრირებულთა უმეტესობა საქართველოს იმ სამეურნეო ზონებიდან იყო, სადაც მევენახეობას დიდი ტრადიცია არ ჰქონდა.

ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მემარცვლეობაა. მესობრლეობა, სიმინდი. ვაზი არ არის. გვინდა, მაგრამ სახსრები არ არის რომ გავაშენოთ. ტრადიციულადაც იქ არ გვქონდა ყურძენი აჭარაში. მესაქონლეობა უფრო ძლიერ არის განვითარებული. ზოგს 30–40 სული ჰყავს საქონელი (სოფ ერისიმედი).

ცალკეული საოჯახო მეურნეობები ორიენტირებულნი არიან მეფუტკრეობაზე. მეფუტკრეობისათვის საკმაოდ პერსპექტიულია. ქიზიყი, სიდნადის რაიონში – სამთაწყარო, ერისიმედი, ლაგოდეხის სოფლებში, სადაც ადრე მოდის გაზაფხული და სხვადასხვა მცენარე ყვავის, ასევე უხვადაა მზესუმზირა და პარკოსანი კულტურები: სამყურა, იონჯა და აშ. აქ ადრინად ვითარდება ფუტკარი, და მათის თაფლსაც იღებენ.¹

კახეთის სამეურნეო-ეკოლოგიური და ლანდშაფტური თავისებურებების გამო აქ ჩასახლებულ თურქმანული მოდემის თემს ადგილობრივ ეკოსამეურნეო პირობებთან ადაპტირება დასჭირდა. ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია მდგომარეობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კაბაღის თემისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იუორმუ-ღანლოს მაცხოვრებლებს შორის. მომთაბარეთა ცხოვრე-

¹ ნ. ჯალაბაძე. მეცხოველეობა. წიგნში, წიგნში ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბ., 2018, გვ. 600-614.

ბის სტილი და ნაგებობა-დასახლებათა ფორმები ტრადიციულ, ნომადური ცხოვრების უმკაცრეს კანონებთან იყო დაკავშირებული. მყარი, მკვიდრად ნაგები, სამეურნეო და სცხოვრებელი ნაგებობები ამგვარი ცხოვრების წესთან შეუსაბამობაში მოდიოდა. მომთაბარეობისათვის შედარებით მოსახერხებელი იყო მარტივი კარვები. მე-16 საუკუნის ინგლისელი მოგზაური ენტონი ჯენკინსონი აღნიშნავდა, რომ მის დროსაც კი ნომადები ერიდებოდნენ ქალაქებსა და სოფლებში დაბინავებას და მათი გვერდის ავლით სტეპებში მომთაბარებოდნენ. მათთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი იყო მსუბუქი კარვები. თითოეული ურდო ცალკე ჩერდებოდა და კარვებს ურდოს მეთაურის კარვის ირგვლივ აკეთებდა. იქვე აბინავებდნენ საქონლის ჯოგებსაც, რომელსაც ტვირთის გადასაზიდი საჭაპანო ტრანსპორტით შემოზღუდავდნენ, რითაც მტრის თავდასხმის შემთხვევაში, ერთგვარ გამაგრებულ პუნქტს ღებულბოდნენ¹. საქართველოში დროთა განმავლობაში ხდებოდა მომთაბარე ელთა ადაპტაცია ადგილობრივ სამეურნეო ეკოლოგიურ გარემოსთან და შესაბამისად ადგილობრივი საცხოვრებელი ტიპის ათვისება.

ჩამოსახლებულთა ერთი ნაწილის ადგილებზე დამაგრებას და მკვიდრ საცხოვრებელ ნაგებობებში დაბინავებას ირანელი მესვეურებიც უწყობდნენ ხელს. მოჰამედ თაჰერის ერთი ცნობით საქართველოში საცხოვრებლად გამოგზავნილ ელებს კალატოზებსაც აყოლებდნენ, რათა მათთვის საცხოვრებელი სახლები აეგოთ. სავარაუდოდ ეს სახლები

¹ А. Дженкинсон. Путешествие в Среднюю Азию в 1558–1560 гг. // Английские путешественники в Московском государстве в XVI веке / пер. с англ. яз. Ю.В. Готье. Л., 1937. г.к. 169-170, 178.

ამიერკავკასიისათვის ტიპური გვირგვინიან-ერდოიანი სახლის ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენდა¹.

ახერბაიჯანელთა შორის გავრცელებული იყო ტრადიციული მიწური ნაგებობა „ყარადამი“ (შავი სახლი). ყარადამი კომპლექსური ნაგებობაა, სადაც ერთ ჭერქვეშ მოთავსებულია რამდენიმე სათავსო. მათ შორის, საქონლის სადგომი ბოსელი („მალდამ“). ყარადამის სახურავი წარმოადგენდა ყელისაკენ დავიწროებულ საფეხუროვან პირამიდას, რომელიც ოთხ მსხვილ ხის ბოძს ეყრდნობოდა. ყარადამში ჰაერი და სინათლე გვირგვინის ყელიდან შემოდის, აქედანვე გადიოდა შუაცეცხლის კვამლი. ყარადამი გარედან თითქმის არ ჩანდა და უფრო ყორღანს წააგავდა, რომელშიც ვიწრო ბნელი დერეფანი შედიოდა. ამგვარი ნაგებობის ავეჯი და დგამ-ჭურჭელი მეტად უბრალო იყო. აქ იდგა ხის ყუთები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, ასევე ზანდუკები და ხის გრძელი ტახტები. აქვე იყო ფქვილის შესანახი თხის ტყავის ტომრები და ორმო ხორბლისათვის. ოთახის გასანათებლად იყენებდნენ ნავთის ლამპას ან ჭრაქს (ყარა ჩირახ). იატაკი ნაწილობრივ ხალიჩებით, ფლასებით და ჯეჯიმებით იყო მოფენილი.

XIX საუკუნეში დღევანდელი ახერბაიჯანელების წინაპრები „თათრები“ არამარტო კახეთის და ქვემო ქართლის სოფლებში, არამედ თბილისშიც მკვიდრობდნენ. „თბილისში თათრები თითქმის იმდენივე არიან, რამდენიც სპარსელები; ეს ღარიბი მაგრამ უბრალოდ მშრომელი ერია; ისინი საკმაოდ დამღლელ ხელობებს მისდევენ, ერთნი მეაბანოეები არიან, ნაკლებად ბინადარი ნაწილი აქლემებისა და ჯორების ქარავნების გამყოლია – ეს ქარავნები კავკასიისა და სპარსეთს შორის ვაჭრობის ერთადერთი ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებაა. თათრები

¹ ვ. ფუთურიძე. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასლები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 394.

კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასაც ეწევიან, სწორედ მათგან იკრიბება ქურდებისა და მკვლევების ბანდები და მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების ამბები პერიოდულად ავსებს ტიფლისის გაზეთების სვეტებს“.¹ ამრიგად, ხსენებული ეთნიკური ჯგუფი საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა და საცხოვრებელი ნაგებობები და სამეურნეო ყოფა მომთაბარე მესაქონლეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გარდამავალი ეთნოსოციალური გაერთიანებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდა.

საბჭოთა პერიოდში რადიკალურად შეიცვალა დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი ნაგებობები. მიწურბანიანი სახლების ადგილი დაიჭირა ერთ და ორსართულიანიმა კაპიტალურმა, ქვის, ნაგებობებმა. დასახლებების ცენტრში გაჩნდა სავაჭრო, სასწავლო და კულტურული დაწესებულებები. XX საუკუნის ტიპური აზერბაიჯანული სოფლის ცენტრში იყო სალაყბო, სადაც წედებოდა საჭირბოროტო საკითხები: ასევე, წყარო პატარა აუზით, საიდანაც სოფელი სასმელ წყალს ეზიდებოდა და საქონელს არწყულებდა. აზერბაიჯანული დასახლებები უმეტესად განლაგებული იყო მდინარეების და სარწყავი არხების სანაპიროებზე. ინდივიდუალური ეზოები, ბაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ხასიათდებოდნენ გარკვეული დაგეგმარების უქონლობით. მეურნეობის თავისებურება და ცხოვრების წესი კარგად არის ასახული სოფლების

¹ ი. ნაჭყებია. ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (4), მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემულ გრანტის „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“ (№Fვ/269/1-10/14) ფარგლებში მოამზადა ირინე ნაჭყებია **რესტრუქციონა აუკაი ეტლავი. ლხა ოურტუჩიე, არს 1885; გვ 44 /ინტერნეტ-ვერსია ნანახია 15.09.2022/ კტტპ/პიტროფის სასწავლო ცენტრ/ვლდს/2021/11/46914.პდვ**

სტრუქტურასა და საცხოვრებელ კომპლექსში. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში რამდენიმე ადგილას დაიწყო სოფლის ცენტრებში მეჩეთების შენება. შენარჩუნებული იქნა ნაგებობათა ზოგიერთი თავისებურებაც, კერძოდ სახლები მიმართულია ყრუ კედლით გზისაკენ და ფასადით ეზოსაკენ. ეზოები შედარებით მომცროსი და მიჯრით ერთმანეთზე მიწყობილი.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტრანსფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება მეურნეობის დარგების პროპორციის ცვლილებას. საქართველოში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მომთაბარული ექსტენსიური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო. ამიტომ მათ დაიწყეს ადგილობრივ ტრადიციულ სიმბიოზურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა. მაგ. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად ქვემო ქართლში უკვე XVIII საუკუნისათვის – „სახლობენ ელნი ქცია მდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლთა ზეით წერილთა, და მტილოვანთა, სახსენი პირუტყვითა.“¹ ანალოგიური ვითარება იყო კახეთშიც.

კახეთის მთაში მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობა იყო, ის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. ზაფხულობით კახეთის ბარის მესაქონლეთა ფარები კავკასიონის ფერდობებზე იყვნენ შეფენილი, ზამთრობით კი თუში და ფშაველი მწყემსები შირაქის ველებზე იდებდნენ ბინას.² მთაბარობის ამ ტრადიციულ სისტემაში ჩაბმული იყვნენ ჩვენი საკვლევი რეგიონის თურქული მოდ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ, გვ. 310.

² ა. ბენდიანიშვილი. რუსეთის კოლონიალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია. წიგნში ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, თ. ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 234.

გმის მესაქონლეებიც. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში, მასობრივი კოლექტივიზაციის პირობებში, საგარეჯოში, იორმულანლოს მიდამოებში მცხოვრებ აზერბაიჯანულ სოფლებში, პირუტყვი საზოგადოებრივ მეურნეობებში გააერთიანეს და მეურნეობის წამყვან დარგად კვლავ მეცხოველეობა, ძირითადად მეცხვარეობა დატოვეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში ცხერის ფარები კერძო მფლობელობაში გადავიდა და აქაური მოსახლეობა დღემდე მესაქონლეობას მისდევს. საოჯახო მეურნეობებში მცირეოდენი წილი უჭირავს ბახჩეულსა და სხვა სამეურნეო კულტურებს. ხოლო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ასევე კერძო საქმიანობა (ძირითადად ვაჭრობა), სახელმწიფო სამსახური (მაგ. სოფლის საკრებულოში დასაქმება) და დღიურ მუშად მუშაობა. საკმაოდ მნიშვნელოვანად მიიჩნევენ სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალური შემწეობას მრავალშვილიანთათვის, რადგან ასეთი ოჯახები საკმაოდ ბევრია აზერბაიჯანელთა შორის. მაგალითად, ჩვენი მთხრობლის ცნობით სულ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 78 მრავალშვილიანი ოჯახია, აქედან კი 52 კაბაღის თემში ცხოვრობს (მისი თქმით, თითოეულ ბავშვზე სახელმწიფოდან თვიურად 50 ლარს იღებენ).

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმების შემდეგ იორმულანლოს ყოფილი საბჭოთა მეურნეობის მიწები, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში იყო, ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე გაყიდა, რის გამოც 2012 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა. როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებელი ამბობდა, აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს დარჩათ ივრის ხეობაში ჭალები, თითო ოჯახს 2 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც აზერბაიჯანელებს ფაქტობრივ მფლობელობაში ჰქონდათ და სახელმწიფო ზრუნავდა იმაზე, რომ მალე საკუთრებაში გადასცემოდა. ის ტერიტორია კი, რომელიც გა-

იყიდა, მოსახლეობას აქამდე იჯარით ჰქონდა აღებული. იჯარას ვადა გაუვიდა. თუ იჯარის გაგრძელება სურდათ ეკონომიკის სამინისტროსათვის უნდა მიემართათ, მაგრამ არ მიუმართავეთ. ამიტომ ეს მიწა გაიყიდა და ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა, 5 500 000 ლარი შევიდა.¹ აღსანიშნავია, რომ მიწის გაყიდვის შემდეგ ინვესტორის მიერ მოწყობილ მეურნეობაში სწორედ ადგილობრივი, იორმულანლოელი, მუშახელია დასაქმებული.

სადოვრების, კერძოდ კი საზაფხულო სადოვრების, სიმცირის გამო იორმულანლოდან ცხვრის ფარებს ზაფხულობით გამოსაკვებად მიერეკებიან როგორც მეზობელ მუნიციპალიტეტებში (სიღნაღი, დედოფლისწყარო), ასევე შედარებით შორს, თრუსოში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტში), თრიალეთში (წაღკა), ჯავახეთში ნინოწმინდის (ქეჩალგორა, აბუკლარი, ნადირბულახი), ასპინძის მუნიციპალიტეტში და ა.შ. ზამთრობით კი საქონელს, ძირითადად, საგარეჯოს ტერიტორიაზე აზამთრებენ. თანადათანობით იორმულანლოელი მწყემსები მეზობელი მუნიციპალიტეტების რესურსებს ითვისებენ (სიღნაღი, დედოფლისწყარო), იქ ფერმებს აწყობენ და მკვიდრდებიან კიდევ. აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში საქონელი სადოვრებზე მეზობელი სომხეთის ტერიტორიაზე, ლენინაკანშიც დაჰყავდათ. სომხეთის სადოვრებამდე შესაქონლეებს დიდი მანძილი უნდა გაევიდეთ, გზაში 15-20 დღე იყვნენ ხოლმე. ასე რომ, თუ იქ ვინმე გარდაიცვლებოდა, საქართველოში მისი ჩამოსვენება მეტად რთული იყო, თანაც მუსლიმური წესით გარდაცვლილის დაკრძალვის დიდი დროით დაყოვნება აკრძალულია, ამიტომ სომხეთში აქაურ აზერბაიჯანელებს სასაფლაოც კი ჰქონიათ მოწყობილი.

¹ნ. დანელიშვილი. იორმულანლოს მოსახლეობა პრეზიდენტს აფრთხილებს, /ინტერნეტ ვერსია დამოწმებულია 28/09/2022/ პტტპწწწ. ჰუი ანრფტტე/ინფს.პპპ?ა=ტტტ&დ=14368&ლან

1980-იანი წლებიდან სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების გამწვავებისა და სსრკ-ს დაშლის მერე იორმულანლოდან ლენინაკანში საქონელი აღარ გაჰყავთ და საქართველოში აფართოებენ სამწყემსო ბაზებს. როგორც ადგილზე გვითხრეს, იორ-მულანლოს სოფლებში ერთ მილიონზე მეტი ცხვარია.

იორმულანლოსაგან განსხვავებული მდგომარეობაა ლაგოდეხში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში. აქ, მესაქონლეობის შეზღუდვის ხარჯზე, თანდათანობით გაიზარდა მიწათმოქმედების ხვედრითი წილი. კაბალში დამკვიდრებული თურქმანული მოდემის ოჯახები თავდაპირველად მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ, თუმცა რადგან კლიმატური პირობები და აქაური ნიადაგი მიწათმოქმედების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო, ისინი ცალკეული სასოფლო კულტურების მოყვანაზე გადავიდნენ. ეს პროცესი დაახქარა საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის კომუნისტურ ყაიდაზე გადასვლამ, რასაც თან ახლდა სამეურნეო კულტურების უნიფიცირება. იმ პერიოდში ძირითადად ორიენტაცია აიღეს თამბაქოსა და ეთერზეთების მოყვანასა და მებაბრეშუმეობის განვითარებაზე, რასაც საძოვრების ფართობის შემცირება და მესაქონლეობის შეზღუდვა მოჰყვა. გაშენდა თუთის ბადები, თამბაქოსა და ბაზილიკის პლანტაციები. რადგან ლაგოდეხში ძირითადად თამბაქო მოჰყავდათ (მას რაიონის სავარგულების დიდ ნაწილი 2 350 ჰექტარი ეკავა, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ლაგოდეხელები წლიურად სახელმწიფოს 7 000 ტონაზე მეტ თამბაქოს აბარებდნენ). მეთამბაქეობას მიჰყვეს ხელი აზერბაიჯანელებმაც. მაგ., კაბალის თემის სოფ. განჯალაში თამბაქოს პლანტაციას 92,5 ჰა ეჭირა.¹

¹ ა. დაუშვილი. სასოფლო-სამეურნეო ყოფის ფორმირება საქართველოში, წიგნში ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები (კახე

საველე მასალის მიხედვით, ლაგოდების რაიონში თამბაქოს წარმოებას 90000 ტონამდე, ხოლო აბრეშუმს 320 ტონამდეც კი მიუღწევია. კახეთში არსებული თუთის პლანტაციები ხელს უწყობდა მეაბრეშუმეობის განვითარებას. მართალია, XIX საუკუნეში მეაბრეშუმეობას უფრო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები მისდევდნენ, მაგრამ XX საუკუნის პირველ ნახევარში ნელ-ნელა კახეთშიც დაიწყო მისი განვითარება და მოგვიანებით კახეთის რეგიონისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო დარგად გადაიქცა,¹ რაშიც წველილი, როგორც ჩანს, იმერეთიდან გადმოსულ მოსახლეობასაც მიუძღვის.

ამრიგად, XX საუკუნის მეორე ნახევარში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, კაბალის სოფლებში მოჰყავდათ ტექნიკური კულტურები (თამბაქო, ბაზილიკი), განვითარებული იყო მემარცვლეობა (ხორბალი, სიმინდი), მებაღეობა (კომბოსტო, პომიდორი, ხახვი, ნიორი და ა.შ) და მევენახეობაც კი. ადგილობრივი ეკოსამეურნეო გარემოს გავლენით მომხდარი ეს ცვლილება კიდევ უფრო გაძლიერდა კოლმეურნეობების გაუქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის შემდეგ. გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ ვითარებას ჩვენი მთხრობელი ასე აღწერს: „ეთერზეთების ქარხანა იყო. ბაზილიკს ვილა მოიყვანს, სად წაიღოს, ქარხანა აღარ არის. მიწები გაიყიდა, რაც ჩვენს თავს ვუყავით, სხვა ქვეყნებს არ უქნიათ, ყველაფერი მოგსპეთ. მანქანათმშენებელი ქარხანა იყო საა-

თის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2018 გვ. 40.

¹ ა. დაუშვილი. საკოლმეურნეო მოძრაობის „გამარჯვება“. წიგნში ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2018, გვ. 199.

¹ ა. დაუშვილი. სასოფლო-სამეურნეო ყოფის ფორმირება საქართველოში. გვ. 40.

ვიაციო დეტალებს ამზადებდა, სულ მოსპეს. ჩარხები 5000 დოლარად გაყიდეს ირანში. დაანიავეს ეს ქვეყანა. თამბაქოს საშრობი სარაიები იყო დაურიგეს მოსახლეობას, კი არ გაყიდეს, დაშალეს და ისე დაურიგეს, ზოგს სამი შიფერი შეხვდა, ზოგს ოთხი და ასე დაანიავეს.“ თუმცა, იმავედროულად გაიზარდა კერძო მეურნეობების როლი. ამიერიდან შესაძლებელი გახდა კერძო მეურნეობის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის მომარაგება და კარგი მოგების მიღება, რასაც საკმაოდ ადვილად აუღეს ადლო აზერბაიჯანელებმა და მნიშვნელოვანი სეგმენტიც დაიკავეს თბილისის აგრარულ ბაზრებში.

ახალ ვითარებაში ლაგოდეხის ზონაში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ორიენტაცია სასათბურე მეურნეობების მოწყობისა და ბაღჩეული კულტურების (კიტრი, პომიდორი) მოყვანისაკენ აიღეს. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობით ირჩენენ თავს, აქვთ ბაღჩეული, მოჰყავთ ხორბალი. კაბალის თემში თითოეულ ოჯახს 5-10 სათბური აქვს, საიდანაც წლიური შემოსავალი 25-50 ათასი ლარია. პროდუქციას ძირითადად თბილისში ან ადგილზე მისულ ე.წ. „ბაღამყიდველებზე“ ჰყიდიან. მართალია, აქაურ სოფლებში ბუნებრივი გაზი არის, მაგრამ სათბურებს მაინც შეშით ათბობენ. ლაგოდეხელი ქართველები ამბობენ რომ აზერბაიჯანელები მეტად მუყაითი და გამრჯე ხალხია: „5 წლის ბავშვი უკვე სამწყემსად მიდის, სახრე უჭირავს, მთელი ოჯახი შრომობს. არანაირ სამუშაოს არ უკადრისობენ“. შეძლებული ოჯახებიც კი არ თაკილობენ დღიურ მუშად საშოვარზე სიარულს. ძირითადად დადიან გენახის მოსაგლედად, რთველზე ყურძნის საკრეფად და ა.შ. დღიური მუშა 40-50 ლარი ღირს, რაც მრავალსულიან აზერბაიჯანულ ოჯახებს სოლიდურ შემოსავალს აძლევს.

ხსენებული საქმიანობის გარდა კაბალის თემის აზერბაიჯანულ ოჯახს, როგორც წესი, ჰყავს 2-3 მეწველი

ძროხა და რძესა და რძის ნაწარმსაც ჰყიდიან. ცალკეული ოჯახებიდან წასული არიან უცხოეთში სამუშაოდ.

მოსახლეობის შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი აქვს შრომითი მიგრაციის შედეგად მიღებულ სახსრებს. კაბალელი აზერბაიჯანელების მიგრაციის ვექტორი ძირითადად ყაზახეთისაკენაა მიმართული. აქაურები უმეტესად მცირე ბიზნესსა და კვების ობიექტებში მუშაობენ. ნიშანდობლივია, რომ ყაზახეთში სარესტორნო ბიზნესში დასაქმებული კაბალელი აზერბაიჯანელები ცდილობენ ისარგებლონ იმით, რომ საქართველოდან არიან და ფართოდ იყენებენ ქართულ ტრადიციულ სამზარეულოს და კვების კულტურას. რესტორნებს, ჩვეულებრივ, ქართული სახელები ჰქვიათ (მაგ., ციცინათელა და ა.შ.), მენიუ ქართულია, მზარეულები ქართველები არიან და იქ ქართული სიმღერები ისმის. სსენებულთან დაკავშირებით ჩვენმა კაბალელმა თანამოსაუბრემ ერთი ეგზოტიკური ისტორია გვიამბო. ერთგან ამ ტიპის რესტორნის მენიუში უნახავს „მწვადი ვახვახით“, რომელიც 150 მანეთი ღირდა, მაშინ როცა ჩვეულებრივი მწვადის ფასი 30 მანეთი იყო. დაიტერესდა და „მწვადი ვახვახით შეუკვეთა“. ცოტა ხანში შუქი ჩაქრა და იგი გააფრთხილეს, რომ შეკვეთა მზად იყო. სანთლის შუქზე გამონდა ნახევრადშიშველი ლამაზი გოგონა, რომელსაც მაყალზე დაწყობილი მწვადი მოჰქონდა, უკან კი რამდენიმე ქართულ ჩოხაში ჩაცმული კაცი მოჰყვებოდა და გაიძახოდა ვახ, ვახ, ვახ, ვახ..., ვითომ ძალიან მაგარიყო.

სსრკ-ს დაშლისა და ყოფილ რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო რეჟიმის დაწესების შემდეგ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საკუთარი ბიზნესი საზღვართან ახლო მდებარეობას დაუკავშირა და აზერბაიჯანის მხარეს სავალუტო ჯიხურები, კვების ობიექტები, მაღაზიები და ა.შ. გახსნა. ამ საქმიანობას ძირითადად საზღვრისპირა სოფლების მკვიდრი ქართველები მისდევენ. სავაჭრო ურთიერთობაში ჩართული იყვნენ აზერ-

ბაიჯანელებიც, ისინი უმეტესად საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შექმნით და აზერბაიჯანში მისი რეალიზაციით იყვნენ დაკავებული. 2020 წელს კოვიდ 19-ის პანდემიის გამო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ადამიანების მიმოსვლა შეიზღუდა, რაც დღემდე გრძელდება. ამან ხსენებული საქმიანობის მიმდევრების შემოსავალს მძიმე დარტყმა მიაყენა.

მოსახლეობის ნაწილი სურვილს გამოთქვამს, რომ მათ სოფელს სახელმწიფომ საზღვრისპირა დასახლების სტატუსი მიანიჭოს, ფიქრობენ, რომ მაცხოვრებლები ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი შეღავათებით ისარგებლებენ. როგორც ჩვენი თანამოსაუბრე სოფ. სამთაწყაროდან გვეუბნება:

საზღვრისპირა სოფლის სტატუსის მინიჭებით შეიძლება რაღაც უპირატესობა მივიღოთ, რადგან მძიმე პირობებში ვართ და დონის (იგულისხმება სტატუსი – ლ.ჯ.) აწევა გეჭირდება, შეიძლება ინტერნეტი მოგვცენ უფასოდ, ან სოციალური დახმარება მისცენ მეტ ხალხს.

საზღვრისპირა დასახლების სტატუსის მინიჭებით სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების პერსპექტივას აქტიურად უჭერენ მხარს სოფელ საბათლოს სომხურ მოსახლეობასა და საკვლევი რეგიონის აზერბაიჯანულ თემებშიც. ცალკეულ ადგილებში (სოფ. ფიროსმანი, საბათლო, სამთაწყარო და ა.შ.) მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში ეკონომიკური ვითარება მეტნაკლებად გაუმჯობესდა: გააკეთდა საავტომობილო გზები, ბევრგან მიმდინარეობს ან უკვე დასრულდა სასმელი წყლის ქსელების მოწესრიგება, რამდენიმე სოფელში მუშაობს სამელიორაციო სისტემა, სარგებლობენ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ მათთვის გაწეული დახმარებით (ამის შესახებ იხ. მონოგრაფიის სათანადო ნაწილში), შენდება სკოლები, სპორტული მოედნები და ა.შ. მაგ., როგორც ქედების ქვემო ზოლის მცხოვრებთა ნაამბობიდან

ირკვევა ადრე ამ მხარეში იმდენად ცუდი გზა იყო, რომ თბილისიდან ჩალაუბნამდე საათსა და ოც წუთში ჩასული მგზავრი სოფ. ფიროსმანში ოთხ საათს უნდებოდა მისვლას, რადგან სიღნაღის გადასახვევიდან გზა თითქმის გაუვალი იყო. ამის გამო სოფ. ფიროსმანი სანახევროდ დაცლილა, აქედან 75 ოჯახი წასულა. ახლა კი ბევრი უკან დაბრუნდა. როგორც ჩანს ვითარების გამოსწორებამ ქედების ქვედა ზონის სოფლებში გარკვეულად შეაჩერა შრომითი მიგრაცია, თუმცა ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას სხვა დასახლებებში. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ამ სოფლებიდან მიემგზავრებიან უცხოეთშიც და საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ხშირად აჭარლებით დასახლებული სოფლებიდან გადადიან ბათუმსა და აჭარის ზღვისპირა ზოლში. სოფ. ერისი-მედში, თანამოსაუბრემ, რომელიც წარმომავლობით აჭარი-დან იყო გვითხრა:

ჩემი შვილები, ორი, გერმანიაში არიან. აქ ასწავლიდა სკოლაში ჩემი შვილი, მეორე მესაზღვრე იყო. ამჟამად მესაზღვრეები არ არიან ჩვენი სოფლიდან, ადრე კი იყვნენ. ჩემი მესამე ბიჭი აჭარაშია, სასაზღვრო პოლიციაში მუშაობს, ბათუმში უნდა ცხოვრება, მეოთხე ჩაქვში ცხოვრობს. ახალგაზრდები ამ ბოლოს მასიურად გადიან. პოლონეთი, გერმანია, ადგილზე დასაქმების პერსპექტივა არა აქვთ. სოფელი დონიერი არ არის, საშუალო დონეა. გაზი რომ შემოიყვანონ, მაღაზია რომ იყოს სოფელში დარჩენის, დამავრების პერსპექტივა უფრო იქნება. თუ ასე წავიდა საქმე დროთა განმავლობაში დაიცლება სოფელი. ახლა გადიან ახალგაზრდები ზოგი პოლონეთშია, ზოგი გერმანიაში, 40-45 სულამდე ახალგაზრდაა გასული, ბევრია ასეთი პატარა სოფლისთვის. სტატისტიკურად სიებში კი არის ხალხი დარჩენილი, მაგრამ სინამდვილეში ვინ არის არც ვიცი. 230 ამომრჩეველია დარეგისტრირებული, აქედან რეალურად

150-მდე მოდიან. ასეთი ტემპით გადინება მალე დაცლის სოფელს და ამ ტერიტორიების დაკარგვის საშიშროებაც არსებობს.

სოციალურ-ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა, საბჭოთა ჩაკეტილი სისტემის გახსნამ და უცხოეთის ქვეყნებთან გადავიღებულმა მიმოსვლამ, როგორც მთელი საქართველოდან, ასევე საზღვრისპირა რეგიონებიდან, უცხოეთის ქვეყნებში შრომითი მიგრაციის ინტენსივობის გაზრდა განაპირობა. ამასთან, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. აზერბაიჯანელები ამჟობინებენ ყაზახეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს ან რუსეთს, სომხები – რუსეთს და ნაწილობრივ სომხეთს; ქართველები ბოლო ხანებში მიემგზავრებიან როგორც თურქეთში, ისე ევროპის ქვეყნებსა (მეტწილად საბერძნეთი, იტალია, გერმანია) და ამერიკაში. ამ პროცესის განმაპირობებლად ზემოხსენებული მიზეზების გარდა შეიძლება ჩაითვალოს, ასევე ტექნოლოგიური პროგრესი და გლობალური ინტეგრაციის სოციალური ფაქტორები, რომლებიც განსხვავებული კულტურის მატარებელი ინდივიდების ახალ გარემოში ინფილტრაციას განსაზღვრავენ. გარე მიგრაციებში ერთობის წევრთა ინტენსიური გასვლები კონკრეტულ ადგილზე სოციუმის ერთი ან რამდენიმე წევრის ჩასვლით და ადაპტირებით, იწყება. სწორედ ისინი ქმნიან გარკვეულ ბირთვს, რომელიც შემდეგში ამ ეთნოსოციალური წრის წევრთა ახალ გარემოსთან მორგებას უწყობს ხელს. მიგრაციათა ვექტორები უკავშირდება უკვე ჩამოყალიბებულ საემიგრაციო სოციალურ ქსელს, რომელიც აყალიბებს მთლიან სისტემას. სისტემა ხასიათდება სპეციფიკური საინფორმაციო და მატერიალური დინებებით. სწორედ ეს სპეციფიკური ქსელი ხდის შესაძლოს კონკრეტული პირის მიგრაციას და ხშირად მის ადაპტაციას. მისსავე ფუნქციაში შედის მიგრანტის რელიგიური მომსახურებისა და ეთ-

ნოკულტურული მახასიათებლების შენარჩუნება და ა.შ.¹

ყაზახეთში სამუშაოდ წასული აზერბაიჯანელი მთხრობელი ამბობს, რომ ახლო ნათესავები ერთმანეთს ესმარებიან გამგზავრებში, ძმისშვილები, ბიძაშვილები და სხვა ნათესავები ხელს უწყობენ დასაქმებაში. ამიტომ ყაზახეთში მეტი კაბალელი არის წასული ვიდრე მეზობელ აზერბაიჯანში. აზერბაიჯანში მიგრაციის სიმცირეს იმით ხსნიან, რომ საქართველოში უკეთესი საცხოვრებელი პირობებია, ვიდრე საზღვარს მიღმა, თუნდაც მეზობლად მდებარე ბელაქნის რაიონში.

შრომითი მიგრანტები, უცხო ქვეყნებში თავიანთი სოციალური ქსელის (რომელიც, როგორც წესი, ეთნიკური დიასპორის სახეს ღებულობს) მეშვეობით ცდილობენ შეინარჩუნონ ეთნიკური კულტურის ელემენტები. იმავდროულად, ხშირად სწორედ მიგრანტები გვევლინებიან გლობალური კულტურული ელემენტების გამტარებად. ნაწილობრივ სწორედ მათი საშუალებით ეცნობიან ჯერ ოჯახის წევრები და უფრო ფართო სოციალური წრის წარმომადგენლები ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებს, ე.წ. დასავლურ კულტურას. ჩვეულებრივ, მიგრანტების მიერ გამოგზავნილი სახსრებით შეიძენენ ხოლმე საკომუნიკაციოდ საჭირო ტექნიკას, ძირითადად – ახალი თაობის მობილურ ტელეფონებს და კომპიუტერებს. ისე რომ, ხანშიშესული ადამიანებიც კი, რომელებიც ცოტა ხნის წინ ე. წ. დახურულ კულტურულ ერთობას მიეკუთვნებოდნენ და ნაკლებად აინტერესებდათ რა ხდებოდა მათ სოციუმს გარეთ, ამჟამად ყოველდღიურად სარგებლობენ ინტერნეტით და სკაიპით თუ სოციალური ქსელებით, ურთიერთობენ ერთმანეთთან და უცხოეთში წასულ ნათესავებთან. თანამედროვე

¹ К. Корякин. Роль социальных и этнических сетей в миграции: теоретические аспекты Концепция социальной сети; Гуманитарная культура и этноидентификация; Труды молодых ученых. Вып. 2; Москва 2005, с. 25.

შრომით მიგრაციაში სოციალური ქსელები, რომლებიც გარკვეული ხიდის ფუნქციას ასრულებენ მიგრანტებსა და ქვეყანაში დარჩენილ მათ ნათესავებს შორის, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ სამუშაო მიგრაციაში წასვლის მსურველთა გადაწყვეტილებაზე, ხელს უწყობენ მიგრანტთა ახალ ადგილებზე დამკვიდრებასა და დასაქმებას. სოციალური ქსელები აყალიბებენ მატერიალური და საინფორმაციო ნაკადების მორგანიზებელ სისტემას; ეს სპეციფიკური ურთიერთობა მოქმედებს მიგრანტის უცხო ქვეყანაში ყოფნის მთელ მანძილზე და ზოგჯერ მისი დასრულების შემდეგაც აგრძელებს არსებობას. სოციალური ქსელები ავსებენ საზოგადოებრივ ვაკუუმს, რომელშიც მიგრანტი იმყოფება სოციუმის შეცვლისას, ვიდრე არ მოხდება მისი ახალ გარემოში ინტეგრირება; ეხმარება მიგრანტს გადაადგილებაში; საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს კომერციული, ჰუმანიტარული თუ კრიმინალური და სხვა. აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელით დაკავშირებული სუბიექტები წარმოადგენენ ერთმანეთის ახლო და შორეულ ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს და უბრალო ნაცნობებსაც ამ ურთიერთობათა საფუძველი ძირითადად ეთნიკური ხასიათისაა და უპირატესად პირად დამოკიდებულებებს და განწყობებს ემყარება, როდესაც თანამემამულეები და ნათესავები, როგორც წესი, ერთმანეთს უანგაროდ ეხმარებიან.¹

ამრიგად, საკვლევი რეგიონის მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაშია ჩართული, წამყვანი ადგილი უჭირავს მემარცვლეობას, სასათბურე მეურნეობებს, მესაქონლეობას. მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია მევენახეობაში, შემოსავლებს ღებულობენ მასობრივად გაშენებული კაკლის, ნუშის და სხვა სახის მცენარეების ბაღებში დაქირავებული შრომით. მაღალია შრომითი მიგრაციის

¹ К. Корякин. Роль социальных и этнических сетей в миграции, გვ. 25.

დონე. უცხოეთში სამუშაოდ წასული პირები თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების საშუალებით ინარჩუნებენ კავშირს თავისი ერთობის წევრებთან, ისე რომ, ვირტუალურადაც კი მონაწილეობენ ტრადიციულ რიტუალებსა და დღესასწაულებში. იმავედროულად, საშოვარზე წასული მიგრანტი, ერთი მხრივ, არის უცხოური კულტურული ფასეულობების შემომტანი საკუთარ ოჯახსა და სოციალურ ჯგუფში, მეორე მხრივ კი, შრომით მიგრაციაში ახალი ადამიანების ჩართვის მაპროვოცირებელია.

§ III. ინტერრელიგიური ურთიერთობა და ეთნოსახელმწიფოებრივი იდენტობა

ინტერკულტურული ურთიერთობების გაცხოველებული პროცესი თანამედროვე გლობალისტური ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია და ეთნოსოციალური ვითარების თვისობრივი ცვლილების გამომწვევ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ინტენსიურად ყალიბდება ინფორმაციული საზოგადოება და იზრდება კულტურული ერთგავროვნება. თანამედროვე ეპოქაში ნებისმიერი ტიპის ეთნიკური გაერთიანებების არსებობა, მისი სტაბილურობა დამყარებულია კავშირებზე, რომელთაც „ინფორმაციის ცნების“ ფარგლებში შემდეგნაირად აღწერენ: სოციუმში ორი ძირითადი ტიპის ინფორმაციის გადაცემა ხდება: გენეტიკურის და სიგნალურის (კულტურულის – ამ ტერმინის უფართოესი გაგებით). გლობალიზაციის პროცესს, ინფორმაციის თეორიის ენაზე რომ ვთქვათ, მივყავართ სინქრონული ინფორმაციის წილის ზრდისაკენ და დიაქრონული ინფორმაციის წილის შემცირებისაკენ (ე.ი. შეფარდება I/ში - პერმანენტულად ეცემა). კულტუროლოგიაში ამ პროცესებს ტრადიციის (როგორც ქცევისა და აზროვნების წესის) კარგვა ეწოდება

და შედეგად კულტურული დენაციონალიზაცია შეიძლება მოჰყვეს. ამ პროცესების პარალელურად მიმდინარეობს შიდა სინქრონული ინფორმაციული ნაკადის (Iშ) პროცენტული წილის შემცირება გარე სინქრონული ინფორმაციულ ნაკადთან (შ) შედარებით (ე.ი. პერმანენტულად იკლებს შეფარდება Iშ/ შ). კულტუროლოგთა ენაზე ეს პროცესი ნიშნავს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობითობის თანდათანობით ჩანაცვლებას სხვათა კულტურით და, ფაქტობრივად, უცხოური კულტურის აგრესიას წარმოადგენს (ყოველ შემთხვევაში პატარა ერებისთვის მაინც). ამ პროცესების შედეგია მოვლენები, რომელსაც ეთნოლოგები ეთნოსთაშორის ინტეგრაციას და ასიმილაციას უწოდებენ.¹

ამ პირობებში კულტურული კონსერვატიზმის და ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად ეთნიკურ ჯგუფებში კვლავ რჩება რელიგია, ენა, ტრადიციული კულტურა და ა.შ. დომინანტი ეთნოსი, ჩვეულებრივ, ეთნიკური ჯგუფების კულტურული იდენტობის განმტკიცებას გარკვეულ პრობლემად აღიქვამს და ამრიგად, არსებულ გამოწვევებს, საზოგადოების ნაწილის აზრით, ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებიდან მომდინარე საფრთხეც ემატება, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს დამოკიდებულებას მათ მიმართ. თავის მხრივ, ამ ეთნიკურ ჯგუფებშიც ხდება ღირებულებათა სისტემის გარკვეული აღრევა, რადგან საკუთარი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება მოითხოვს ენის და ტრადიციული კულტურის გაფრთხილება-კონსერვაციას, ინტეგრაციული პროცესები კი პირიქით, მათ სახელმწიფოს შემოქმედი ერის კულტურული ელემენტების ათვისებისაკენ უბიძგებს.

ჩვენს საკვლევ რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს სახელმწიფოს ბუნდოვანი აღქმა აქვთ. მდგომარეობას ართულებს მოსაზღვრედ მდებარე აზერბაიჯანული და

¹ კ. ჭიჭინაძე. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: სისტემური მიდგომა, ცივილიზაციური ძიებანი, №2, თბილისი, 2004, გვ. 16.

სომხური სახელმწიფოების გავლენა, სადაც მათი მონათესავე ხალხი ცხოვრობს.¹

ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რელიგია, რომელიც რთულ, მრავალფეროვან და მრავალგანზომილებიან სისტემას წარმოადგენს. სარწმუნოების გავლენა ყოველდღიურობაში ვლინდება სოციალურ კავშირებსა და ურთიერთობებში, ქცევის წესებში, ინდივიდთა რელიგიურ მოტივაციაში და ა.შ. კონფენსია გარკვეულ პირობებში ეროვნულ სიმბოლოდ გვევლინება, ეთნოჯგუფებისათვის ექსტრემალურ სიტუაციაში სოციალური და პოლიტიკური მანიპულირების საშუალება ხდება და ჯგუფის მთავარ მაიდენტიფიცირებელ ნიშნად იქცევა.

გასული საუკუნის ბოლოს სამუელ ჰანტინგტონმა მსოფლიო რელიგიათა ასპექტში განიხილა უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციური პერსპექტივა და კარდინალური გეოპოლიტიკური ძვრები. მის თეორიაში ცივილიზაციათა შეჯახების შესახებ გადამწყვეტი როლი მსოფლიო რელიგიებს ქრისტიანობასა და ისლამს ჰქონდა მინიჭებული. ჰანტინგტონის თანახმად, განსხვავებული ანთროპოლოგიური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური სისტემების საზღვარზე მდებარე რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია ცივილიზაციათა კონფლიქტში ჩათრევის საშიშროება. იდეოლოგიური დოქტრინების კონფლიქტი კი მეტწილად სარწმუნოებრივ მომენტებს უკავშირდება. დაპირისპირების საფრთხე განსაკუთრებით გაიზარდა იქ, სადაც ათეისტური იდეოლოგიის კრახმა მოსახლეობის რელიგიურობის არნახული ზრდა გამოიწვია.

საბჭოთა ათეისტური სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრებისა და ღვთისმსა-

¹ ლ. ჯანიაშვილი. სახელწიფოს აღქმა ქვემო ქართლის მოსახლეობაში, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XIX, 1999, გვ. 165.

ხურთა რიცხვმა არნახულად მოიმატა, ამასთანავე შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი ახალი რელიგიური მიმდინარეობების შემოტანა-გავრცელებისათვის, რის გამოც რელიგიურ დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა პროზელიტიზმა. კონფესიური კუთვნილება გარკვეულ ჯგუფებთან გაიგივების უმნიშვნელოვანეს ნიშნად იქცა, რაც განსხვავებული მიმდინარეობის წევრების მიმართ ნეგატიური განწყობის ზრდას იწვევდა.

შექმნილ ვითარებაში უცხოეთიდან მანამდე უცნობი რელიგიური მიმდინარეობების შემოსვლა არამარტო კონფესიური სტრუქტურის მნიშვნელოვან გართულებას, არამედ რიგ შემთხვევაში რელიგიური და საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა რღვევას და შიდა წინააღმდეგობების ზრდას განაპირობებდა. საფრთხის შეგრძნებას ამწვაებდა ის, რომ საზღვრაგარეთიდან შემოსული მიმდინარეობები აღიქმებოდა უცხო პოლიტიკური თუ რელიგიური ძალების მიერ ქვეყანაში საკუთარი ინტერესების განხორციელების ერთგვარ საშუალებად. საკვლევ რეგიონში ყოველივე ამას ერთვოდა ისტორიული რაკურსი. აღმოსავლურ სამყაროსთან ხანგრძლივი ურთიერთობა ძირითადად განიხილებოდა რელიგიურ პრიზმაში. კერძოდ, ირანისა და თურქეთის დაპყრობით პოლიტიკაში ისლამური ფაქტორის მნიშვნელობამ და ისლამის ეგიდით გატარებულმა რადიკალურმა ეთნოდემოგრაფიულმა ღონისძიებებმა სასაზღვრო რეგიონის ქრისტიან მოსახლეობაში მუსლიმთა მიმართ მყარი ნეგატიური სტერეოტიპის ფორმირება გამოიწვია. უმეტესად მუსლიმი (ქრისტიანი ჯგუფებისათვის იგივე თათარი) აღიქმებოდა (დღესაც ნაწილობრივ აღიქმება) როგორც მტერი, ყაჩაღი და მოძალადე. საყურადღებოა, რომ საკვლევ რეგიონი, სადაც მართლამდიდებელი ქართველების გარდა ცხოვრობენ სხვა რელიგიის მიმდევრებიც (მუსლიმები, გრიგორიანელები), ძირითადად

ქრისტიანებით დასახლებულ საქართველოსა და მუსლიმური აზერბაიჯანის საზღვარზეა.

ბოლო ხანებში გახშირდა მცდელობები ისლამისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მეტწილად აკადემიური და სახელგონებო წრეებისაგან მტრის ხატის ძიების ფენომენად ჩაითვალოს. მაგ., გ. გახარიას აზრით, „სტალინის მოსვლის შემდეგ გავრცელდა ფოლკლორული ნაციონალიზმი, რომელიც უპირველესად, ისლამს ეწინააღმდეგება. იცვლება თურქეთთან საგარეო პოლიტიკაც. შეიძლება ითქვას, რომ მთელი 30-იანი წლების მეორე ნახევრის კინო საბჭოთა ნაციონალიზმის აღმოცენებაა. ამ პერიოდის კინოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემა ხდება ისტორიული ფილმები, რომლებშიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ებრძოდნენ ეროვნულ კულტურას მუსლიმები, როგორ ანადგურებდნენ ქართულ ძეგლებს. საქართველოს უნდა აერჩია ან მუსლიმები, ან მართლმადიდებლური სამყარო. ამის შესანიშნავი მაგალითია „გიორგი სააკაძე“, რომლის სცენარიც, ფაქტობრივად, სტალინთან ერთად დაიწერა. უკვე ომის შემდეგ პერიოდში, ჩნდება კიდევ ერთი ნათელი მაგალითი – „დავით გურამიშვილი“, რომელშიც დავით გურამიშვილსა და მის ცხოვრებაზე ყურადღება იმდენად არ არის გამახვილებული, რამდენადაც იმაზე, თუ როგორ აქცია ზურგი მუსლიმურ სამყაროს საქართველომ. და არამარტო მუსლიმურ სამყაროს, არამედ ევროპასაც და, საბოლოოდ, აირჩია რუსეთი. „ბაში-აჩუკიც“ ეგაა – მტრის ხატის შექმნა მუსლიმებისგან... ბოროტი შაჰები ანადგურებენ ჩვენს ძეგლებს, კულტურას, ამიტომ საქართველომ აირჩია რუსეთი. ამგვარ ხედვას, კინოს პარადღელურად, საბჭოთა ისტორიოგრაფია ქმნის. სიტყვებს – „მომხდური“, „სარკინოზი“, „ურჯულო“ და ა.შ., მაშინდელ ისტორიულ ნარკვევებშიც ხშირად შეხვდებით. ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ (1982 წ.) ან „დედა ისტორია“ ამის დასტურია. თაობა გაიზარდა. მათში ისტორიული ნარატივები არა მხო-

ლოდ ცოცხლდება, არამედ ხელოვნურადაც იქმნება და ამას პირველ რიგში ენა უწყობს ხელს. ხშირად ვხვდებით ეპიზოდებს, რომლებშიც ავტორი გადამეცემული ბრუტალურობით აღწერს ისტორიულ ფაქტს ან მოვლენას: „დვინის მახლობლად ქართველები შეხვდნენ არაბთა დიდძალ არმიას, რომელსაც სარდალი ბარაბა უდგა სათავეში. ნერსემ ბრწყინვალედ წარმართა ბრძოლა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და აოტნეს მტერი, ბევრი არაბის სისხლი დაიქცა.“¹ ჩემს მიზანს ამჟამად არ წარმოადგენს ხსენებული მოსაზრებების შეფასება, უბრალოდ საჭიროდ ჩავთვალე ე.წ ინტელექტუალური საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულების კონსტატაცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.²

ხსენებულ კონტექსტში უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართული სოფლების დაფუძნება ჩვენთვის საინტერესო სასაზღვრო რეგიონში საყოველთაო პატრიოტულ აღტკინებას და ქრისტიანული რელიგიის რევიტალიზაციას ემთხვეოდა. მაგ., სოფ. ერისიმედის დაარსებისთანავე დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელი გვეუბნება, „სადირკველი ჩასხმულია, ქვა მოტანილია, არავის მოუკიდია ხელი იმ ქვისთვის, თითი არ დაკარგებია. როცა დაიწყო მშენებლობა ილია მეორე ჩამოვიდა, აკურთხა, ეს ხდებოდა ჯერ კიდევ ქვეხიშვილის დროს, როგორც კი სოფელი დაარსდა მაშინ დაიწყო ეკლესიის მშენებლობა“. თუმცა ეს ეკლესია დღემდე არ დამთავრებულა.

¹ როგორ ასწავლიან ისტორიას საქართველოში – საბჭოთა მემკვიდრეობა და რელიგიური თვითგამორკვევის პროცესი აჭარაში. /ინტერნეტვერსია დამოწმებულია 12.08.2022/. [ჰტკმ/ინფოცმ .გე/არტიკლს/რასწავლიანბრძოლას/](#)

² იხ. ასევე ნ. პაპუაშვილი. სადღეისო პრობლემებიდან: ისლამი და საქართველო. ინტერნეტვერსია დამოწმებულია 12.08.2022/. [ჰტკმ/წ. ტლერტბ.გე/ინფო.პაპუაშვილი1317206408&კატ322](#)

იმ პერიოდში არსებულ განწყობებს კარგად გადმოგვცემს ყოფილი რაიკომის მდივნის, თ. ქევიშივილის მოგონება: „ეკლესიას გუმბათი ჰქონდა მომძვრალი, ვიდაცას მოუნგრევია, ჭკვიანი ასულა და გიჟი ჩამოსულა იქიდან. ეკლესიის ერთი ოქროს ბურთულა იყო დაკარგული. ხუთი ბურთულადან ოთხიყო დარჩენილი. ოქრომჭედელმა თქვა შეიძლება მე წვლილი შევიტანო მაგ საქმეშიაო, კი მეთქი, ჩემი ფულით, ჩემი ოქროთი ეგ ბურთულა უნდა აღვადგინო. მომეცით როგორი იყო ისეთი გავაკეთო. აი რამხელა იყო ხალხის დადებითი ემოცია. აღვადგინეთ, ორი წელი ვაშენებდით, ქვა არ იყო ჩვენთან და რიყის ქვა მოგვქონდა გურჯაანიდან და ლაგოდეხიდან. დავასრულეთ, დიდი მშენებლობა ჩავატარეთ.. მანავში ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაა, ცოტა ზევით ღვთისმშობლის. ბევრი ეკლესიის აღდგენას მოგვიდეთ ხელი, დაწყებული ბოდბის ტაძრიდან, გალაგანი შემოვარტყით, რაც შეგძელი ვაკეთე. წმინდა ნინოს ეკლესიაზე საქათმეები იყო მიშენებული. როცა ბოლშევიკები მოვიდნენ წმინდა ნინოს ქალთა მონასტერში საოპერაციო მაგიდად წმინდა ნინოს ხატს იყენებდნენ, იმართლებენ თავს თითქოს არ იცოდნენ, რომ გადმოაბრუნეს მაშინ ნახეს, წმინდა ნინოს დიდი ხატია.“

ამგვარი განწყობების მიუხედავად ქრისტიანული ეკლესია-სამლოცველოების უმეტესობა საკმაოდ ძველია. გვიან შუა საუკუნეებში კახეთის გაუკაცრიელებულ რეგიონში მრავლად იყო შემორჩენილი ქრისტიანული ძეგლები. მაგ., ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეისთვის 40-მდე ისტორიული ძეგლია ცნობილი, რომელთაგან მხოლოდ ორია (ყაზანის ღვთისმშობელი და ვარდისუბნის ეკლესია) მეფის რუსეთის პერიოდში აშენებული, დანარჩენი კი ადრეული შუა საუკუნეებიდან XVII საუკუნემდე პე-

რიოდით თარიღდება.¹ როგორც ადგილობრივები გვიამბობენ, სოფ. მაწიმის მიდამოებში ბაზილიკის ნანგრევებია. აქ არის აგრეთვე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XII საუკუნის. საზღვრიდან 300 მეტრშია მათი სალოცავიც. სოფელ ჯუგაანიდან, სადაც ძელიცხოვლობას აღნიშნავენ, სოფლებებმა წამოიღეს ნიში და 20 მაისს აქაც ძელიცხოვლობას ზეიმობენ.

ძველი ქართული ეკლესია არის სომხურ სოფელ საბათლოშიც. უნდა ითქვას, რომ საბათლოელი სომხები სწორედ ამ ეკლესიაში ღოცულობენ. საეკლესიო დღესასწაულებს ისინი ქართული მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით აღნიშნავენ. ამბობენ, რომ „აღდგომაც, შობაც საქართველოსავით გვაქვს. მარტო 2 მაისს არის სოფლის დღე, ეს დღე არის ჩვენი ადათით. 1 მაისს ერთხელ კოლმეურნეობების დროს საქონელს კლავდნენ და გაანაწილებდნენ ყველა ოჯახზე 2-3 კილო ხვდებოდა ოჯახს. მერე პირველში კაცები ქეიფობდნენ ტყეში და ორში კაცები მიდიოდნენ საფლავზე იქიდან დარჩა ეს დღე. გიორგობას 23 ნოემბერს როგორც საქართველოშია. სუბ გეორქიც (წმინდა გიორგი – ლ.ჯ.) ვიცით. ალავერდობაზე 2-3 წელია მივდივართ ეკლესიაში. გიორგობის სალოცავი ადგილი მაღლა გააკეთეს. პატარა ნიშია. აზერბაიჯანში როცა ვიყავით ჩვენი ხალხი ქურმუხზე დადიოდა. მუსიკანტები ჰყავდათ, მამახეში მედოლე იყო და მიდიოდა ქეიფი. ეხლაც მივდივართ, სანთელს ვანთებთ. მამალი საქონელი, მამალი ცხვარი იკვლება.“ მიუხედავად იმისა, რომ საბათლოელები მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით ცხოვრობენ, სომხურ თემში თანდათან იზრდება სომხური სამოციქულო ეკლესიის გავლენა. თავის დროზე ავლაბრიდან ჩამოვიდა

¹ქ. დიდმელაშვილი, დ. ყვავაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელი და მთელი სოფელი მონათლა, იმის მერე სწორედ იქ დადიან ბავშვების მოსანათლად.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საკვლევი რეგიონის ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის დაძაბულობის რამდენიმე კერა არსებობდა, მაგრამ იმხანად ეს დაძაბულობა ღია დაპირისპირებაში არ გადაზრდილა და ყოფით დონეზე კონკრეტულ პირებს შორის კონფლიქტს არ გაცდენია. საზოგადოებისათვის უფრო ცნობილი გახდა დაპირისპირება აჭარულ თემსა და ინგილოებს შორის დედოფლისწყაროს სოფ. სამთაწყაროში. დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში ჩამოსახლებული აჭარლების ნაწილი მუსლიმური რელიგიის მიმდევარია და მეჩეთის აშენება სურთ იმ სოფლებში, სადაც სახლობენ, თუმცა ადგილობრივი ქრისტიანებისაგან წინააღმდეგობებს აწყდებიან, სწორედ ამის გამო რამდენჯერმე უკიდურესად დაიძაბა ვითარება სოფ. სამთაწყაროში, სადაც ინგილოები სწორედ რელიგიური ნიშნით, მათი ქრისტიანობის გამო, გადმოსახლდნენ კახის რაიონიდან (დღევანდელი აზერბაიჯანი). მათი გადმოცემით, აზერბაიჯანში ისინი რელიგიურ დევნას განიცდიდნენ და სწორედ ამის გამო გახდნენ იძულებული თავი ალაზნის გადმოღმა შემოეფარებინათ. 2013 წელს ხსენებულ სოფელში რელიგიურ ნიადაგზე გარკვეული დაპირისპირება მოხდა. როგორც „ლიბერალის“ კორესპოდენტი სამართლიანად შენიშნავს, მუსლიმი აჭარლების უმეტესობა საკუთარ სარწმუნოებას ინერციით მიჰყვება. ზოგიერთი მათგანი სარწმუნოების შენარჩუნებას თავმოყვარეობის საკითხად განიხილავს, ნაწილი კი ქრისტიანების გარემოცვაში გარკვეულწილად თავს იმართლებს საკუთარი სარწმუნოების გამო: „მუსლიმებად დავიბადეთ. ვინ არ იცის ისტორია, ტერიტორიებიც წავგართვეს და სარწმუნოებაც, თორემ აჭარა საქართველოში ქრისტიანობის უძველესი და ერთ-ერთი პირველი კერა იყო“, - ამბობს სოფ-

ლის მცხოვრები, ოთარ ფუტკარაძე. „57 წლის კაცი ვარ და ახლა რომ მოვინათლო, ჩემი თავის უპატივცემლობა იქნება, თორემ ჩემი შვილები და შვილიშვილები ქრისტიანებად მოინათლნენ და იმას აგრძელებენ, რასაც ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰქვია“.¹

სამთაწყაროში გადმოსახლებული აჭარლების მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრისტიანდა. როგორც ჩვენთან საუბარში ამბობენ: „მართალია ძველი ინერციით მიცვალებულებს ქრისტიანები და მუსლიმები ცალ-ცალკე კრძალავენ და გარკვეული წინააღმდეგობებიც არსებობს, მაგრამ „ერთიერთობა არაჩვეულებრივი გვაქვს ერთმანეთთან შეუღლება, გათხოვება თუ ცოლის მოყვანა ერთმანეთში ხდება. არანაირი კონფლიქტი და გაუგებრობა არაა, არც ეთნიკურ და არც რელიგიურ ნიადაგზე. აჭარლების 80 პროცენტი გაქრისტიანებულია. ინგილოები იქაც ქრისტიანები არიან. მონასტერი გვაქვს წმინდა ნინოს სახელობის. ინგილოებს აქვთ პატარა სალოცავი. 10 წლის წინ იყო პატარა გაურკვეველობა აჭარლებსა და ინგილოებს შორის გაჩნდა პროტესტი, მეჩეთის აშენება დაიწყეს აჭარლებმა. სახლში ლოცვაზე არასდროს ყოფილა პრობლემა, როგორც კი ოფიციალურად დაიწყეს აშენება ხალხში გაჩნდა პროტესტი. არ ააშენებინეს. თუ სამი მლოცველი არ მივიდა ჯამეში და სამ ჯუმა დღეს ლოცვა არ ჩატარდა ფაქტიურად მეჩეთის არსებობა აუცილებელი არაა. არ მოხერხდა, არ მივიდა სამი კაცი და დაანებეს თავი. თუ მოხდებოდა უფლება ეძლეოდათ გაეკეთებინათ. არ მოხერხდა და დამთავრდა. პატარა დაძაბულობა იყო, მაგრამ საღად მოაზროვნე იმდენად დიდი მასა იყო რომ ადვილად გადაიარა“.

¹ ა. ჭანკოტაძე. სამთაწყარო განაპირა სოფელი /ინტერნეტვერსია დამოწმებულია 25.09.2022/კტცპ/ლეზბე/არტიკლეეწ/3228/?ფცლსწ ღ0 ჰუსოუდწქ -X64V უ ზ X 6 2X ტ Xლ გძ57ძ 9 ზსზჰ 1ოც გ

რელიგია ტრადიციულ საზოგადოებებში ჯგუფთა შორის განმასხვავებელ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. სწორედ ამ ნიშნით განასხვავებენ ყოფით დონეზე აზერბაიჯანელებს. მათ ქართველებიც და სომხებიც „თათრებად“ (იგულისხმება მუსლიმი – ლ.ჯ.) მოიხსენიებენ. როგორც ემპირიული მასალა აჩვენებს, საკვლევ რეგიონში მათი ძირითადი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი არის რელიგია. აზერბაიჯანელების უმრავლესობა და ქართველების (აჭარლების) ნაწილი თავს მიიჩნევს მუსლიმად. აჭარლები სუნიტი მუსლიმები არიან. აზერბაიჯანელთა შორის კი სუნიზმის მიმდევრებიც არიან და შიიტებიც. იორმუღანლოშიც და კაბალშიც დასახლების უბნები რელიგიური ნიშნით არიან განლაგებული. მაგ., იორმუღანლოში ზემო მხარეს შიიტებია, ქვემოთ – სუნიტები.

როგორც უკვე ითქვა, ქრისტიანები ისლამს საფრთხედ აღიქვამენ რადგან ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე (ირანისა და თურქეთის ბრძოლა რეგიონში გაბატონებისათვის და დაღესტნელთა მეკობრეობა სწორედ ისლამის დროშით მიმდინარეობდა) და, ასევე, რადგან გასული საუკუნის ბოლოს პოსტსაბჭოთა სივრცეში დაწყებული ინტენსიური რეისლამიზაციის ფონზე გახშირდა სალაფიტური და ფუნდამენტური ისლამის მიმდევართა დესტრუქციული ქმედებები. ქრისტიანებს აღიზიანებთ მუსლიმთა დამოკიდებულება ეკლესიებისადმი, მუსლიმი სასულიერო პირების შემოსვლა სხვა ქვეყნებიდან, მეჩეთების მასობრივი მშენებლობა და ა.შ. „ერთი ეკლესია ჰქონდათ (აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელში – ლ.ჯ.) და ისიც დანგრევის პირასაა. ამათ რად უნდათ იქით წასვლა, აქ თითქმის ყველა უბანში მეჩეთი აქვთ. იმამი არის მაღალი იერარქიის პირი მოლასთან შედარებით, ზოგს სპეციალური სკოლა, ინსტიტუტი თბილისში აქვს დამთავრებული. იმამები, ვიცი რომ არაბეთშიც დადიან. ლოცვებზეც დადიან. მარნეულშიც დადიან სასწავლებლად. პანსიონატი აქვთ

ბავშვები იქ ცხოვრობენ და იღებენ რელიგიურ განათლებას. ვიდაც აბაშიძეა, რომელიც მოდის და მიდის, ყურანიც კი თარგმნა ქართულად და მაჰმადიანური რელიგიის დიდ აგიტაციას ეწევა.“

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ კონფესიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული ცალკეული ტერმინები უარყოფითი დამოკიდებულების პროვოცირებას ახდენს არამუსულმანებში. მაგალითად „მაჰიდი“, რაც სიტყვასიტყვით „წმინის დამცველს“ ნიშნავს, მსოფლიოში განვითარებული ტერორისტული აქტების ფონზე, ექსტრემისტ-ტერორისტის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.

ჩვენთან საუბარში აჭარლები უფრო მეტ ლოიალობას ამჟღავნებენ რელიგიურ საკითხებში – „ცოტა კი განსხვავდება მაგათი და ჩვენი (ქისტების და აჭარლების) რელიგია ერთმანეთისგან, მაგრამ ჯამეში აჭარელი მუსლიმი და ქისტები ერთად შედიან. ხოჯა აჭარელია. არაბულად ქადაგებს, თურქეთში აქვს განათლება მიღებული. რა გითხრათ რა ესმით არ ვიცი. ქრისტიანები სახლში ლოცულობენ, თუ რამე დღესასწაულია ჩადიან სადაც ეკლესია და ჯვარი აკურთხა ილია მეორემ და იქ ანთებენ სანთლებს. მღვდელი არ გვეყავს და არც მოდის. მე დავაყენე გამგეობაზე ეგ საკითხი, რომ მშენებლობა განვაახლოთ. სახსრები ალბათ გამოჩნდება. დასაქმებით ალბათ ადგილობრივები დასაქმდებიან. სოფელში ქრისტიანებიც არიან და მუსლიმებიც მაგ ნიადაგზე წინააღმდეგობა არ იქნება. ძალიან კარგი ურთიერთობები აქვთ. ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს ვესწრებით. ქორწილებს ვიხდით ღვინოც გვაქვს და ქრისტიანულად ყველაფერი. ჩემი შვილები მონათლული არიან. ახალგაზრდები უფრო წავიდნენ ქრისტიანობისკენ. სასაფლაო ერთიანი გვაქვს მუსლიმებსაც და ქრისტიანებსაც. აჭარაში უფრო ცალ-ცალკეა. პირველ

წლებში უფრო გადასვენება ხდებოდა. ჩემია ეს სოფელი აბა ვისი, ყველა ასე ვფიქრობთ.“

როგორც ითქვა, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანული ეთნოკონფენსიური ჯგუფის ეროვნულ ორიენტირს ძირითადად წარმოადგენს თურქმანულ-თურქული სამყარო, რელიგიურს კი – ისლამის შიიტური და სუნიტური მიმდინარეობები. ამჟამად შეიმჩნევა როგორც ტრადიციული ისლამის გაძლიერება, ასევე ახალი მიმდინარეობების ინფილტრაცია. საგრძნობია რელიგიური გავლენა აზერბაიჯანიდან, ირანიდან, თურქეთიდან, არაბული ქვეყნებიდან. ძალზე გაახალგაზრდავდა მორწმუნეთა ასაკი. საველე მასალით ირკვევა ზოგიერთი ბავშვიც იცავს მუსლიმურ წესებს და ინახავს მარხვას.

როგორც თვითონ გვითხრეს, მართალია, შუა ასაკის მამაკაცები ზოგჯერ ნამაზს ასრულებენ და რამადანის მარხვასაც ინახავს, მაგრამ ღრმად რელიგიურები არ არიან, მეჩეთში იშვიათად დადიან და ისლამის დოგმატურ თავისებურებებსაც ნაკლებად იცნობენ. ჩვენი შიიტი მთხრობელი გვეუბნება, რომ მათთანაც არის მეჩეთი, მაგრამ კომუნისტების დროს იქ ფილმებს აჩვენებდნენ. ხალხი მაინც ადამაინც ვერ არჩევს რა განსხვავებაა შიიტებს და სუნიტებს შორის, ალბათ ეს იგივეა, რაც მართლმადიდებელ და კათოლიკეს შორის. 40 წლის კაცს, სუნიტს, რომ ჰკითხო, ჰგონია – შიიტი ურწმუნოს ნიშნავს. შიიტური თემი დღემდე ასრულებს ტრადიციულ რიტუალებს, მაგ., მოჰპარამს, ალმის ტრადიციას, როდესაც ოჯახი რაიმეს შეუთქვამს შესაწირად და ა.შ.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მეტნაკლებად შეგნებული აქვთ, რომ ქრისტიანული ტრადიციების მიმდევარ უმრავლესობაში ცხოვრობენ და მათი განწყობები უნდა გაითვალისწინონ. თბილისის ჯუმა მეჩეთის დვთისმსახურმა ჩემთან საუბრისას განაცხადა: „ეს ქრისტიანული ქვეყანაა.“ ამიტომ კონტინგენტი შედარებით ლო-

იალურად არის განწყობილი და თვით მუსლიმის გაქრისტიანებასაც არ აღიქვამენ ტრაგედიად. იგივე მოლა 2010 წელს ამბობდა: მუსლიმის მიერ ქრისტიანობის მიღებაში ან პირიქით არაფერი არაა ცუდი. ყურანშიც წერია ქრისტიანებს ჩვენზე წინ მიუღიათ წიგნი ... მაგრამ ზოგჯერ ქრისტიანი გადმოდის ჩვენ რწმენაში ან პირიქით. ამას არც ქრისტიანებს უშლიან, არც ჩვენ ვუშლით. თბილისში ჯუმა მეჩეთში იყვნენ სტუდენტები მოსული, კარებთან იდგნენ და შიგ არ შედიოდნენ. მკითხეს, შეიძლება ძია შესვლა? რატომ არ შეიძლება შვილო, ღმერთის სახლია. გინა სინაგოგა იყოს, გინა სალოცავი იყოს, გინა მეჩეთი იყოს – ეგ არის ღმერთის სახლი. მე, პირიქით, უფრო გამეხარდება ეკლესიაში თუ შედის კაცი და ღოცულობს იმისგან ცუდს ნუ ელოდები. პირიქით ვინც არ შედის იმისგან მოდის ცუდი. გინა ავიღოთ მუსლიმი, ებრაელი, ქრისტიანი, ჩვენ ერთი გზით მივდივართ. მისასვლელი არის ღმერთთან, შენ სხვა გზით მიდიხარ, მე სხვა გზით. შეიძლება უფრო შორი გზა მოვიარო მაგრამ ყველა მივა ღმერთთან – ამბობს მუსლიმი სასულიერო პირი. მუსლიმები არც ქრისტიანის ცოლად შერთვას გაუბიან, თუმცა, არასახარბიელოდ ითვლება სხვა კონფესიის წარმომადგენლისათვის ქალის გაყოლება.

მუსლიმანური რელიგია ოჯახის შექმნის და მის წევრთა ურთიერთობის რეგლამენტირების საკითხებში განსაკუთრებით ღრმად იჭრება. შიიტი ღვთისმეტყველი საიდ მუჯაბა რუქნი მუსავი ლარი შემდეგნაირად გადმოგვცემს ისლამის დამოკიდებულებას ამ ინსტიტუტის მიმართ: „ოჯახი ესაა თემი მიკროკოსმოსში, ესაა ფესვი საიდანაც ხალხები აღმოცნდებიან, ესაა საზოგადოების ძირითადი ერთეული... რაც უფრო ძლიერია მისი სულიერი და მორალური შენობა, მით უფრო საიმედოა მისი სიხარული და ბედნიერება დღე-

ვანდელ საგანგაშო, ფეთქებად, შფოთიან ატმოსფეროში“¹ ოჯახის სულიერ და მორალურ ძალად იგულისხმება მუსლიმური სამართლის ნორმების, სუნისა და ყურანის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება. ცხადია, ოჯახის, რომელიც სოციუმის სოციალურ ფუნდამენტს წარმოადგენს, შარიათის ნორმებზე დაფუძნება, ისლამის პრევალირების მნიშვნელოვანი პირობაა.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად, მუსლიმური გარემოცნობილია რადიკალიზმით და რელიგიის პოლიტიზებისადმი მიდრეკილებით, რადგან ისლამის მოთხოვნათა ინდივიდუალური და კოლექტიური რეალიზაციისათვის, ისლამური სახელმწიფოა აუცილებელი. ამასთანავე, ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშევრდომად ქცეული მუსლიმი „დარულ-სალამ-დან“ ე.ი. (მშვიდობის სამყაროდან) ავტომატურად აღმოჩნდება „დარულ-ჰარბ-ზე“ (ომის სამყაროში). ჯერ კიდევ 1484 წ. მუსლიმი ღვთისმეტყველი ალ-ვანჰარისი, აცხადებდა რომ მუსლიმმა ამგვარ შემთხვევაში უნდა შეასრულოს ჰიჯრა (დატოვოს არამუსლიმანთა ტერიტორია), თუ ამის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ხშირად შეუძლებელი იყო. ამიტომ მუფტიმ, ახმედ იბნ ჯუმაირმა, გამოსცა „ფეტვა“, რომელიც ნებას აძლევდა მორწმუნე მუსლიმებს, ეცხოვრათ ქრისტიანების დაპყრობილ ტერიტორიაზე. უკიდურეს შემთხვევაში იგი უშვებდა ფორმალურად ისლამზე უარის თქმასაც კი. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მუსლიმს აიძულებდნენ მიუღებელი რამ ჩაედინა (ეჭამა ღორის ხორცი, დაელია ღვინო, მონაწილეობა მიეღო წირვაში და ა.შ.) თავის ამგვარ ქმედებების სულიერად უნდა გამიჯნოდა.²

¹ М. Лари. Западная цивилизация глазами мусульманина. Баку, 1994, გვ. 158-159.

² М. Ланг. Традиция Миграций в Мусульманском кругу, Центральная Азия и Кавказ, №, 1998, გვ. 125.

ვითარებას ართულებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი ისლამური მიმართულებების თავისუფალი შემოდინება. საკვლევი რეგიონის მოსახლეობა განსაკუთრებით ნეგატიურად აღიქვამს ისლამის ამ მიმდინარეობებს, რომელსაც საერთო სახელით ე.წ. ვაჰაბიზმით იცნობენ. პოლიტიკური ისლამის ჩვეულებრივ ფუნდამენტალიზმისა და ისლამის განწმენდის ეგიდით ვრცელდება. საბჭოთა რეჟიმის პირობებში ისლამის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ქცევა შეუძლებელი იყო. საიმედოდ ჩაკეტილი საზღვრები ქვეყანას ისლამური სამყაროდან წამოსული რელიგიური იმპულსებისაგან იცავდა, ხოლო მმართველობის სისტემა საფუძველშივე სპობდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყოველგვარ ალტერნატივას. ათეისტური სახელმწიფოს დანგრევამ მოსახლეობის რწმენისაკენ შემობრუნება განაპირობა. გაადვილდა უცხოეთიდან ახალი რელიგიური მიმდინარეობების შემოსვლა, რაც არამარტო კონფესიური სტრუქტურის მნიშვნელოვან გართულებას, არამედ, რიგ შემთხვევაში, რელიგიური და საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა რღვევას და შიდა წინააღმდეგობებს იწვევს.

კავკასიის მუსლიმური თემების რელიგიაში ყოველთვის ძლიერი იყო ტრადიციების გავლენა და ამდენად არსებობდა განსხვავება ოფიციალური ისლამის ნორმებისაგან. საბჭოთა ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრების პირობებში მოხდა ორთოდოქსული რელიგიის ისლამის დოგმებთან კიდევ უფრო დაშორება. ისლამის შერყვნა, ყურანისა და სუნნისეული ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევა, იმთავითვე უდიდეს ბოროტებად იყო აღქმული. ამ საბაბით ისლამურ ფუნდამენტალიზმს საშუალება მიეცა „წმინდა ისლამის“ დამკვიდრების საბაბით ფართომასშტაბიანი მისიონერული შემოტევა დაეწყო პოსტსაბჭოური სივრცის მუსლიმურ რეგიონებში და მათ შორის კავკასიაშიც. ჩვეულებრივად რეისლამიზაცია სწორედ ფუნდამენტალური და პო-

ლიტიკური მიმართულების მიმდინარეობათა შემოტანას და ტრადიციული ისლამის შეზღუდვას გულისხმობს. „წმინდა ისლამის“ აღორძინების კონცეფცია უარყოფს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. იგი ყურანისა და სუნნის უნივერსალიზაციით ცდილობს, ყველა მუსლიმი ერთ თემში გააერთიანოს. ტრადიციული და ახალი მიმდინარეობის კონკურენციის ნიადაგზე წარმოშობილ წინააღმდეგობებს შუა აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი სისხლისმღვრელი შეტაკება მოჰყვა.

საქართველოს მუსლიმ მოსახლეობაში ფუნდამენტალური მიმდინარეობის იმპორტი მიმდინარეობს როგორც პოსტსაბჭოური სივრციდან, ისე აღმოსავლეთის ცნობილი ისლამური ცენტრებიდან. ერთის მხრივ იმპორტიორებად გვევლინებიან ფუნდამენტალური ისლამის სასულიერო სასწავლებლებში განათლებამიღებული ადგილობრივი ახალგაზრდები, მეორე მხრივ მუსლიმური, ე.წ. მისიონერული ორგანიზაციები. ისეთი თეოკრატიულ ქვეყნების გარდა, როგორცაა საუდის არაბეთი, ირანი, ან ყოფილი ერაყი, ამ პროცესების კონტროლით დაინტერესებულია თურქეთის რესპუბლიკაც, რომელიც, როგორც სეკულარული სახელმწიფო რადიკალურად უნდა ემიჯნებოდეს ისლამის პოლიტიზაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ფუნდამენტალური მიმდინარეობის იმპორტიორები ხშირად ინიღბებიან საქველმოქმედო ან ბიზნეს ორგანიზაციებად.

აღიარებული ფაქტია, რომ რუსეთის ბატონობის პირობებში უმაღლესი რელიგიური განათლების მიღებისაკენ გზა გადაკეტილი ჰქონდათ არაკეთილსაიმედო პირებს, რის გამოც დღევანდელ ახერბაიჯანელთა წინაპრებში სასულიერო პირების განათლების დონე საკმაოდ დაბალი იყო. ამასვე ადასტურებს ისტორიული წყაროები და საველე-ეთნოგრაფიული მასალა. რევოლუციამდე საქართველოს თურქმანული თემებით დასახლებულ ადგილებში მხოლოდ რამდენიმე მოქმედი მეჩეთი არსებობდა. მდგომარეობა

მნიშვნელოვნად არ შეცვლილა საბჭოთა პერიოდში, პირიქით, ათეისტური პროპაგანდისა და რელიგიის შეზღუდვის გამო, მუსლიმური ღვთისმსახურების აღსრულებამ ძირითადად ოჯახებში გადაინაცვლა, შესაბამისად გახალხურებული რელიგია გარკვეულად დასცილდა ორთოდოქსალურ ნორმებს.

სადავო საკითხებს ადგილობრივი უხუცესები (აღსაკალები) აგვარებდნენ ტრადიციული ნორმების დაცვით. მართალია ზოგჯერ ამ პროცესში მოღაც ღებულობდა ფორმალურ მონაწილეობას და მხარეებს ყურანზე აფიცებდა, მაგრამ წამყვანი როლი უხუცესებს ენიჭებოდათ. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. თანდათანობით იზრდება ღვთისმსახურების (მოლა, შეიხი, ახუნდი) როლი ყოველდღიურ ყოფაში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი პოლიტიკურ და რელიგიურ იმპულსებს ძირითად მეზობლად მდებარე აზერბაიჯანისა და ირანის სახელმწიფოებიდან ღებულობს და საზღვრის მიღმა განვითარებული პროცესები ასახვას ამ კონტინგენტშიც პოულობს. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უკვე 90-იანი წლების დასაწყისში (ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე) არსებობდა „აზერბაიჯანის ისლამური პროგრესის პარტია“, აზერბაიჯანის ისლამური პარტია, საზოგადოება „აზად რუხანილერ“ (თავისუფალი სასულიერო პირები) და „ტოვბე“ (მონანიება), რომლებიც ხელისუფლების წარმოდგენით გარკვეული პოლიტიკური წრეების ინტერესებს რელიგიურ საფენელს უდებდნენ. მაგალითად, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა საფუძველი ჩაუყარა „აზერბაიჯანის ისლამურ პარტიას“, გააჩნია პერიოდული ორგანო „ისლამ დუნიასი“ (ისლამური სამყარო), ოპოზიციაში უდგას პრეზიდენტს, შეიხს და მწვავედ აკრიტიკებს თურქეთის სეკულარულ სახელმწიფოს. ამ ორგანიზაციას აღებული აქვს რადიკალური ეთნიკური და რელიგიური კურსი, რის გა-

მოც მისი გაგენის გავრცელება საქართველოში მეტად არასასურველ პერსპექტივას წარმოადგენს.¹

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ერთ ნაწილში ისლამის პოლიტიკური მიმდინარეობების საწინააღმდეგოდ სახელმწიფო დონეზე ტარდება ამკრძალავი ღონისძიებები. ასეთ ქვეყნებში ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები ახდენენ თავიანთი ორგანიზაციების კონსპირაციას საიდუმლო არასანქცირებულ თემებში; ქმნიან ექსტრემალურ პირობებში არალეგარული საქმიანობით ეფექტური შედეგების მიღწევის პროგრამებს; ზედმიწევნით სწავლობენ და თავიანთი მოქმედების ტაქტიკაში ითვალისწინებენ ამა თუ იმ რეგიონის კულტურულ თუ ეთნორელიგიურ თავისებურებებს და ა.შ. ასეთი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „აკრამის“ (ერთ-ერთი ფუნდამენტალისტური დაჯგუფება უზბეკეთში, ლიდერი აკრამ იულდაშევი) მიერ შემუშავებული სქემა. პირველ ეტაპზე საიდუმლოდ შეარჩევენ ორგანიზაციის მომავალი წევრებს, მათგან აკომპლექტებენ განსაკუთრებულ ჯგუფებს ე.წ. ხალკებში, სადაც შეისწავლიან „ისლამის პირვანდელ (მუჰამედისდროინდელ) რიტუალებს. ვინც წარმატებით დაძლევეს ამ ეტაპს, გაივლის გარკვეულ ინციაციას და ყურანზე დაიფიცებს, რომ დანარჩენი ძმების ერთგული იქნება. სამომო თემისათვის მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით, ნეოფიტებს სამუშაოდ აწვობენ სხვადასხვა საწარმოებში (სადაც უკვე მუშაობენ „ძმები“), ან ჯგუფის წევრების მიერ დაარსებულ მცირე დაწესებულებებში. თითოეული წევრის შემოსავლის 1/5 საერთო ხაზინაში მიედინება. კონსპირაციის მიზნით, ცალკეულ წევრებს მუდმივი ურთიერთობა აქვთ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ „ძმთა“ წრესთან. რელიგიური თემის

¹ . ლესურვა Ислам в Азербайджане: история и современностьж (ინტერნეტ-საიტის მუშაობის თარიღი 08.2022); Исламская партия Азербайджана. www.azislam.org/ Исламская–партия– Азербайджана ინტერნეტ ვერსია შემოწმებულია 5.08.2022)

გაფართოება-ლეგალიზაციის პროცესში მეტად მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი ეტაპი, როდესაც ხდება თემის ფაქტობრივი ლეგალიზაცია სახელისუფლო სტრუქტურების ჩინოვნიკების „სუღიერი გადმობირების“ გზით.. აკრამიის საბოლოო მიზნად ითვლება „ოხირათი“-ის მიღწევა, რაც საზოგადოების ჭეშმარიტი ისლამიზაციასა და ჯგუფის ლიდერთა ხელში ძალაუფლების ბუნებრივ გადასვლას გულისხმობს.¹

ხემოთ მოტანილი მაგალითი თვალნათლივ უჩვენებს, რაოდენ კოსპირაციული და გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი შეიძლება იყოს პოლიტიკური ისლამის გავრცელება ისეთ სახელმწიფოში, სადაც მუსლიმები კომპაქტურად ცხოვრობენ და გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, როგორი გასაიდუმლოებული ფორმა შეიძლება მიიღოს ამ პროცესმა საქართველოში, სადაც მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის მუსლიმობა მნიშვნელოვან თვითმამდიტინფიცირებელ მიშანს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმურ თემში არსებული დარაზმულობის მაღალი ხარისხის გამოყენებას ზოგჯერ ქართული პოლიტიკური სპექტრიც ცდილობს, თუმცა სამწუხაროდ, არ ითვალისწინებს ასეთი პოლიტიკური სპეკულაციის მოსალოდნელ შედეგებს (მხედველობაში მაქვს არჩევნებში უპირატესობის მოპოვების აპრობირებული მეთოდოლოგია – ლ.ჯ.). საქართველო მეტნაკლებად მოექცა პოლიტიკური ისლამის გავრეცელების არეალში, რაც ქვეყანას არასახარბიელო პერსპექტივას უქადის. ყოველივე ეს კი დღის წესრიგში სვამს მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესების სრულყოფილი ანალიზისა და სათანადო დასკვნების გამოტანის აუცილებლობას. მით უფრო, საზოგადოებაში საკმაო ვნებათაღელვა გამოიწვია სირიაში განვითარებულ მოვლენებში ჩართული ქართველი ისლამისტე-

¹ Б. Бабалжанов. Ферганская долина, источник или жертва исламского фундаментализма. Центральная Азия и Кавказ, №(5), 1999, გვ. 139 .

ბის მუქარამ. მუქარის ავტორები საქართველოს მოქალაქეები: 20 წლის როინ პაქსაძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტიდან, 23 წლის მამუკა ანთაძე და 32 წლის ბადრი ირემიძე ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალიდან და 22 წლის ხვინა გობაძე, ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარიდან არიან. 12 წუთიან ვიდეოში, რომელიც სავარაუდოდ სირიაშია ჩაწერილი, ეთნიკურად ქართველი ისლამისტები ღიად ემუქრებიან სამშობლოს, ქვეყანას სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ, განათლება მიიღეს, მშობლები და ნათესავები დატოვეს.¹

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ სალაფიზმი, ანუ „წმინდა ისლამი“, ადგილობრივ მუსლიმ ღვთისმსახურებთან და „ხალხურ ისლამთან“ ოპოზიციითაც ხასიათდება. სალაფიზმის მიმდევრები უარყოფენ „ბიდას“ ანუ ისლამში შესულ ყოველგვარ ყველა სიახლეს, რომელიც სანქცირებული არაა ყურანითა და სუნიით. განსაკუთრებით ებრძვიან იმ ჩვეულებებს, რომლებიც ადათის მიხედვით მუსლიმთა ყოფის განუყოფელ ნაწილად იყო მიჩნეული: მაგ., ყალიბი, წმინდანების კულტი, ხალხმრავალი ქორწილებისა და დაკრძალვების გამართვა და ა.შ. ამიტომ ჩვენი მუსლიმი მთხრობელები უარყოფით კონტექსტში ახსენებენ ე.წ. „წვერიანებს“ (გარეგნულად ძირითადად ამ ნიშნით განსხვავდება სალაფიზმის აღმსარებელი ახალგაზრდობა დანარჩენი მუსლიმებისაგან). კაბალშიც და იორმულანლოშიც სუნიტი და შიიტი მუსლიმები ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, რომ ერთურთის მიმართ კეთილგანწყობილენი არიან. „ჩვენს შორის არავითარი დაპირისპირება არ არის. ჩვენ ერთი ხალხი ვართ. როცა შიიტები „შახსეი-ვახსეის“ რიტუალს ასრულებენ ჩვენც (სუნიტები) ვესწრებით“.

ქრისტიანებში (ქართველები, სომხები) უკმაყოფილე-

¹ არის თუ არა ყურანის სწავლება ექსტრემისტული? /ინტერნეტვერსია დამოწმებულია 11.09.2022/ [კტკმ/წწწ .ამ ერ.ესკმ ა. ცმ /ა/ისხგეორი/3071479.კტმლ](#)

ბას იწვევს რეისლამიზაციის პროცესი და რეგიონში ისლამური სასულიერო დაწესებულებების მშენებლობა. სარწმუნოებას უკავშირებს აზერბაიჯანელებთან საქორწინო ურთიერთობების შეზღუდვას უდაბნოში მცხოვრები მთხრობელი (საერთოდ ველზე შეკრებილ მასალაში მთხრობელთა უმეტესობა ამ მოსაზრებას იზიარებს), რომელიც რელიგიას ანიჭებს გადამწვევტ მნიშვნელობას და იგი ეთნიკური კუთვნილების მთავარ მაიდენტიფიცირებელ ფაქტორად მიაჩნია. ხშირია რელიგიური და ეთნიკური იდენტობების გაგების აღრევა. მრავალი ადამიანისათვის მუსლიმი (აზერბაიჯანელი, თურქი და თვით აჭარელიც კი) თათარია; ქართველი კი მხოლოდ – მართლმადიდებელი ქრისტიანია.

ცნობილია, რომ ჯგუფის მონოლითურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ტრადიციული ყოფა და კულტურა გვევლინება. საკვლევ ჯგუფებში განსხვავება ყოფისა და კულტურის მრავალ ასპექტში ფიქსირდება. განსაკუთრებით ისეთ სოციალურ ინსტიტუტებში, როგორცაა: საოჯახო და ნათესაური ურთიერთობები, საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალები და ა.შ. წეს-ჩვეულებები და ყოფითი თავისებურებები, ხშირად ოპოზიციური ჯგუფის სტერეოტიპების მრუდე სარკეში აირეკლება. ასეთი სტერეოტიპები ფიქსირდება რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებში. მაგ., ქრისტიანის დასახასიათებლად მუსლიმი აღნიშნავს შემდეგ ნეგატიურ თვისებებს: სპირტიანი სასმელისმოყვარეობა, კანონისადმი დაუმორჩილებლობა, სიზარმაცე, ქურდობა და სხვ. ქრისტიანები კი მუსლიმებს შემდეგ უარყოფით თვისებებს მიაწერენ: მრავალცოლიანობა, მამათმავლობა, ქალებისა და ახალგაზრდების უუფლებო მდგომარეობა, სიმხდალე, სიბინძურე, ქალებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება, ქურდობა და ა.შ. ამასთან, თითოეული ჯგუფი საკუთარ თავს პოზიტიური აუტოსტერეოტიპებით ახასიათებს. სოციალური თვითიდენტიფიცირებისას

საკუთარი პერსონისადმი პატივისცემის გაღვივებას, პიროვნება თავისი ჯგუფის მხოლოდ დადებითი ნიშნებით დახასიათებით ცდილობს.

ეთნიკური ჯგუფების მაიდენტიფიცირებელ მნიშვნელოვან ნიშანს სალაპარაკო ენა წარმოადგენს. გერმანელი ნაციონალისტები (ი. ფიხტე, ძმები გრიმები) მიიჩნევენ, რომ ეთნიკურობის მთავარი გასაღები ერთიანი ენაა, რომელიც ხალხებს ისტორიასთან, მითოლოგიასთან და ტერიტორიასთან აკავშირებს. სამწვეროვანი კავშირი (ენა, ტერიტორია და მითოლოგია//საერთო ისტორიული გამოცდილება) ე.წ. ნაციონალიზმის თეორიის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. თუმცა მსოფლიოში არსებობენ მრავალწევრიანი ნაციები, მაგ., შვეიცარიელები. ასევე წინააღმდეგობაში მოდის ხსენებული პარადიგმა იმ გარემოებასთან, რომ განსხვავებული ნაციები მშობლიურად მიიჩნევენ ესპანურს, ფრანგულს ან ინგლისურს. მულტიეთნიკურ გარემოში ადამიანთა მრავალმხრივი და ინტენსიური სოციალური კავშირები მოითხოვს გარკვეული ენობრივი სიტუაციის ფორმირებას, რაც უკავშირდება სახელმწიფო ენისა და ე.წ. "ანგუა ლინკა"-ს საკითხს. კულტურის ელემენტების ტრანსფორმირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც სხვა ერთობის (საზოგადოების) ზემოქმედებასთან, ასევე ატარებდეს ენდოგენურ ხასიათსაც. ე. გელნერის თვალსაზრისით, ჯგუფის შიგნით ლინგვისტური ცვლილებები შეიძლება სწრაფად განხორციელდეს პოლიტიკურ მიზეზებთან დაკავშირებული კოლექტიური გადაწყვეტილებით.¹ ამგვარი გადაწყვეტილების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო ენისა და "ანგუა ლინკა"-ს საკითხი.

ენობრივი სიტუაციის გარდა, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ბოლომდე არაა გარკვეული საკვლევი რეგიონის შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფის, ახერბა-

¹ . ელფრ ატინალბს ეწ ოგ ნიფრიტყრქს 1997, გვ. 2.

იჯანუღების, ეთნიკური კუთვნილების საკითხიც. საქართველოში მცხოვრები იმ მოსახლეობის წინაპრებს, რომელიც თავს აზერბაიჯანელს უწოდებს, აზერბაიჯანულ სახელმწიფოში არ უცხოვრია და მონაწილეობა არ მიუღია იმ ეთნოგენეტიკურ პროცესებში, რომლის საფუძველზეც აზერბაიჯანელი ხალხი წარმოიქმნა. ამიტომ მათ შედარებით ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკუთარ ეთნიკურ იდენტობაზე, თუმცა ქვეყნის შიგნით ძირითადი მოსახლეობისაგან ეთნიკურად განსხვავებას საკუთარ აზერბაიჯანელობა-მუსლიმობაში ხედავენ. ჩვენთან საუბარში იორმუღანლოს მკვიდრნი ამბობენ: „აქ ჩვენ საკუთარ თავს აზერბაიჯანელებს ვუწოდებთ, სხვა ქვეყანაში კი ვიტყვით ყარაჩოფელები ვართ, ქართველებთან ვამბობთ იორმუღანლოელები. რუსეთში, მაგალითად, აზერბაიჯანელი რომ შემხედვს, ვიტყვი საქართველოს ყარაჩოფელი ვარ. რუსი ყარაჩოფს ვერ გაიგებს, ვეტყვი საქართველოდან ვარ აზერბაიჯანელი. თათარს არ ვეტყვი, ამ გამოთქმას არ ვხმარობთ, დამამცირებელია. თათარი რომ მითხრას ადამიანმა, მგონია დამამცირა. საბჭოთა კავშირის დროს შეიცვალა ეს დამოკიდებულება. ადრე, საერთოდ 30-იან წლებში თურქსაც უწერდნენ.“

როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, აზერბაიჯანელთა წინაპრების ჩამოსახლება კახეთში XVII საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე მეორის სახელს უკავშირდება. განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრაციის მექანიზმები საქართველოში ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა. სასაზღვრო რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ქართველი მეფეები ცდილობდნენ, ამ ზონის მოსახლეობა სახელმწიფო პოლიტიკის დასაყრდენ ძალად ექციათ. ამიტომ, ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობის პერიოდში, საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრები ხალხი ყოველთვის იყო სამეფო ხე-

ლისუფლების ზრუნვის ობიექტი¹. განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამ ისტორიულმა გამოცდილებამ პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინა, რადგან სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ძვრებმა საზოგადოებაში დეზინტეგრაციული იმპულსები გააძლიერა.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტური დასახლება გარკვეულად ართულებს მათ ინტეგრაციას და ნოყიერ ნიადაგს ქმნის სახელმწიფოში დეზინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის.² საკვლევ რეგიონში, ბოლო ხანებამდე ეთნორელიგიური ხასიათის წინააღმდეგობები ნაკლებად იგრძნობა და აქ პრობლემებს უფრო ყოფითი და სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათი აქვს. ველზე მუშაობამ გამოავლინა ცალკეული ნიუანსები, როდესაც ადამიანები ეთნიკური დისკრიმინაციის გამოვლენას ხედავენ სახელმწიფოს ცალკეულ დონისძიებებში (მიწის დანაწილება, იჯარით მიწის უცხოელებისათვის გადაცემა, სასაზღვრო ზონაში არსებული შეზღუდვები და ა.შ.).

ჯგუფებს შორის ურთიერთობისას წინა პლანზე კულტურული მახასიათებლები იწვევს და სწორედ მათი საშუალებით ცდილობენ ცალკეული მოვლენის ახსნას. ა. ნიმერის აზრით, კულტურა შეიძლება განვიხილოთ არა როგორც კოლექტიურ დონეზე აღიარებული სტატისტიკური ცნებებისა და მოვლენების რიგი, რომელიც მხოლოდ „ფსევდონათესაურ“ ორგანიზმებს (ტომი, ეთნიკური ჯგუფი ან ნაცია) აერთიანებს, არამედ როგორც ინდივიდების სოციალიზაციის კოგნიტიური პროცესი. იგი მოიცავს სხვა

¹ ლ. მელიქიშვილი. კონფლიქტი, როგორც სოციალური მოვლენა, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, (პროექტის ავტორი და წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი) თბ., 1998, გვ. 44.

² ს. კორნელი. ავტონომია-კონფლიქტის წყარო, ცივილიზაციათა დიალოგი, №2, თბილისი, 2004, გვ. 42-43.

ტიპის გაერთიანებებსაც, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას, რელიგიას ან თუნდაც რეგიონს უკავშირდება.¹ ამასთან, შეიძლება კულტურაზე, როგორც გარკვეული ერთობის საერთო მახასიათებელზე ან მათი ქცევის მარეგულირებელზე ვისაუბროთ.² ყველაზე გამოკვეთილ გაერთიანებას, რომელიც ტრადიციული და ყოფითი კულტურით ხასიათდება, ეთნიკური ერთობა წარმოადგენს და მათ წინამდებარე ნაშრომში ეთნიკურ ჯგუფებად მოვისხენებთ (ახერბაიჯანელები და სომხები). ამასთანავე, გარკვეული თავისებურებებით წარმოჩინდებიან სახელმწიფოს შემოქმედი ეთნოსის შემადგენლობაში შემავალი ეთნოგრაფიული ჯგუფები (კახელები, აჭარლები, სვანები, იმერლები, რაჭველები, ინგილოები და ა.შ.). ცალკე შეიძლება გამოიყოს ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები: ქრისტიანები (მართლმადიდებლები, მონოფიზიტები) და მუსლიმები (შიიტები, სუნიტები, სალაფიტები).

თუ ცალკეულ ჯგუფს გარკვეული მახასიათებლების მიხედვით, მაგ., პრივილეგიების, კომფორტულობის, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პერსპექტივის და ა.შ. იერარქიულად დავაღაგებთ, აღმოჩნდება, რომ არსებობს ინდივიდუების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც, სოციალური კონტაქტების სიხშირიდან გამომდინარე, დომინირებად ჯგუფთან ნაწილობრივი ასიმილაცია და ნაწილობრივი ფსიქოლოგიური იდენტიფიკაცია ახასიათებთ. ისინი იმყოფებიან მარგინალურ სიტუაციაში, ერთობათა საზღვარზე – ნაწილობრივ ერთ ჯგუფს, ნაწილობრივ კი – მეორეს მიეკუთვნებიან. მარგინალის ასეთი კავშირები მეტ-ნაკლებად მის შესხედულებებზე, ცხოვრების სტილზე, თვითრეფლექსიაზე

¹ ოპამ მ ე დ ბ უ ი მ ე რ ჩ ო ნ დ ე ტ ლ ე ს ო ლ ო რ ი ჩ უ ლ რ ე ა ნ დ ლ ე ი თ: თაწარდ ა თრინს ო დელოუ 16 ტე რ ო ლ ი თ ს ე ა ც ე ბ უ ო ლ დ, კ უ რ ა ლ ო უ ე ა ც ე ლ ე ს ე ა რ ტ ვ ო ლ 38, ო. 6. (ო ვ., 2001). გვ. 687.

² კილიპ. აბეჟ. ჩ უ ლ რ ე ა ნ დ ტ ე ჩ ა უ ქ ე ს ო ვ ჩ უ ლ რ ე, მ ე რ ც ნ ტ ო ბ ო ლ ე გ ი ს, ე წ შ ე რ ე ს, ო ლ 55, ო. 4. (ც ტ. 1953) გვ. 539.

კარიერაზე, სოციალურ სტატუსზე და ა.შ. აისახება. ხდება ადამიანის ერთგვარი პიროვნული გაორება. ამგვარი დუალიზმი შეიძლება არც თუ ისე დრამატული იყოს, რადგან ადამიანს შეუძლია ჰქონდეს არაერთი სოციოკულტურული კავშირი, იყოს უამრავი სოციალური ჯგუფის წევრი და სხვადასხვაგვარ სოციალურ ფუნქციას ასრულებდეს.¹ არსებობს მოვლენათა შემდგომი განვითარების რამდენიმე ვარიანტი: 1. პიროვნების ასიმილაცია დომინანტ ჯგუფში, 2. საკუთარ ჯგუფში დარჩენა 3. ნაწილობრივი შეგუება მდგომარეობასთან ორ ჯგუფს შორის ბალანსირებით².

ადამიანები, რომლებიც ეთნიკური ჯგუფის კულტურულ მახასიათებლებზე თანდათანობით უარს ამბობენ და კარიერული, ეკონომიკური ან სხვა მიზნებიდან გამომდინარე თავს მიაკუთნებენ დომინანტ ერთობას, უფრო ხშირად სამოხელეო, პოლიტიკურ თანამდებობებზე ან ბიზნესწრეებში გვხვდებიან. ასეთი პირები ერთგვარი მედიატორების როლს თამაშობენ საკუთარ ჯგუფსა და დომინანტ საზოგადოებას შორის. ექსტრემალურ პირობებში, თუ ამ ორი სოციუმის ინტერესი ერთმანეთს დაუპირისპირდა, ამგვარი „ნეოფიტები“ ერთგვარი აგრესიით ხასიათდებიან, მათში კულტურული, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური გაურკვეველობა მძაფრდება და, საკუთარი წარსულიდან გამომდინარე, იძულებული ხდებიან გადაჭრით უარი თქვან რომელიმე მხარესთან მიკუთვნებულობაზე.

ეთნიკურ პროცესებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებაც. უეჭველია, რომ ჩვენს საკვლევ რეგიონში სომხების და აზერბაიჯანელების ურთიერთამოკიდებულება კორელაციაშია ყარაბახის კონფლიქტის დინამიკისთან. საქართველოში

¹ 3.Сергеева. Маргинальная личность: эволюция концепсии, Казан, 1998. გვ. 4.

² 3. Сергеева. Маргинальная личность: эволюция концепсии, Казан, 1998. გვ. 6.

მცხოვრები ამ ჯგუფების წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ აგრესიულ განწყობას არ ამჟღავნებენ, თუმცა არ უარყოფენ, რომ გარკვეულ დახმარებას (ძირითადად ფულადს) უწევდნენ ომში თვისტომებს. საბათლოში მცხოვრები სომეხი გვეუბნება: „ვნანობთ, რომ იქ (აზერბაიჯანში) ვეღარ გადავდივართ, იქ რომ მივდიოდით ჩვენ ხალხს ძალიან დიდ პატივს გვცემდნენ. სებეტუ ეტრქვა ჩვენს სოფელს. აქედან არის სახელწოდება საბათლო. ჰერეთი ახლა იქით არის მაგრამ ჩვენი მიწა-წყალია ხომ. საოცარი ადგილებია. ისეთი ბუნებაა. იქ გავიზარდე ჩემი მამიდა კახში ცხოვრობდა. სომეხი იყო. კახიდანაც გააგდეს ლტოლვილებად, სომხეთში წავიდნენ, ზოგი რუსეთში. 20 თუ 30 წლისთაგზე 20 000 დახმარება მისცეს, რომ ბინები მიიღონ. არავინ არ იცხოვრა იმ ბინებში. ისეთი პრობლემები იყო. ჩემი მამიდის ოჯახი. ბავშვები ამბობენ სადაც უნდა ვიყოთ ჩვენი მიწა-წყალი მანდ არი. იმათ იყიდეს ამათი სახლები. ჩემი მამიდას სახლი იყიდა მაშინ აზერბაიჯანელმა. კარგი კაცი იყო, ძმაკაცი, ამათი ყველაფერი სარდაფში შეინახა. ესეთი ერთი-ორი იყო, მაგრამ მასიურად დანგრევა იყო. ზოგი დაეხმარა მეზობელს მანქანით გადმოიყვანა. ერთი თათარი ქალი იყო, ჩვენი სომეხი ბიჭები ვითომ თათრები თავისი შვილები იყო ისე ინახავდა, მოიყვანა საზღვრამდე და გამოუშვა. ერთი კვირით ადრე რომ დაიძაბა სიტუაცია ვუთხარით გადმოდით, ნუ რჩებით მანდ, არ სჯეროდათ. არავინ არ წამოვიდა, რას ლაპარაკობთ ჩვენი მეზობლები ისეთები არიანო, ვერაფერს გვეტყვისო, არ სჯეროდათ. სასომხეთში არიან ჩვენები და ამბობენ სიზმარში სულ იქა ვართო. მარტო ჩემს ოჯახში მამიდას ნათესავები იყვნენ ლტოლვილებად.“

ცალკე უნდა აღინიშნოს თურქეთის როლი ამ მიმარ-

თებით. XX საუკუნის ბოლოს შექმნილი ვითარება თანდათან იცვლება. რეგიონში თურქეთის სახით ყალიბდება ახალი დიდი საერთაშორისო „პოლიტიკური მოთამაშე“. თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ვიზიტი თეირანში და ირანულ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ანკარის ინიციატივები; სირიის კონფლიქტში ჩართვა და რუსეთ-უკრაინის ომში აქტიური მედიატორის როლის შესრულება; სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში ქმედითი შუამავლობა, აშკარად მიანიშნებს, რომ თურქეთი რეგიონული ლიდერის როლს ირეგებს. გახშირდა ანალიტიკური სტატიები იმის შესახებ, რომ ანკარა ვაშინგტონის კონტროლიდან გამოდის. ახალ პირობებში მოსალოდნელია, რომ თურქეთი შეეცადოს კავკასიაში მცხოვრებ თურქულენოვანი დიასპორების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. ამ მიმართებით, „საინტერესო“ ადგილს წარმოადგენს, საქართველოში არსებული თურქულენოვანი (აზერბაიჯანული) ანკლავები.

ეთნიკური ხასიათის დაპირისპირების დროს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე ისტორიული წარსულით მანიპულირება. დაპირისპირებული მხარეები მას ტერიტორიული თუ სხვა სახის პოლიტიკური პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად იყენებენ. ამ დროს ისტორია დამოკიდებული ხდება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. როგორც პ. ბერკი აღნიშნავს, ისტორიკოსების შემოქმედება სულაც არ არის დამახსოვრების უწყინარი აქტი, ის სხვების მეხსიერების ჩამოყალიბების მცდელობაა¹.

კულტურული საზღვრების განმტკიცებაში მნიშვნელოვანია ისტორიული მეხსიერება. ამასთან, ხალხში თანაარსებობს არაფორმალური მითიური ისტორიული მეხსიერებაც და ფორმალური ოფიციალური ისტორიაც. შეიძლე-

¹ მ. თორია. წარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში, (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), ცივილიზაციათა დიალოგი, №4, თბილისი, 2006. გვ. 25.

ბა ითქვას, თანამედროვე საზოგადოების ისტორიული მესხიერების ერთ-ერთი წყარო ისტორიული ტექსტები და სახელმძღვანელოებია,¹ მეორე კი შემორჩენილი ხსოვნა, მხატვრული ლიტერატურა და მასმედია. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როდესაც საქართველოში დაბაბულობამ პიკს მიაღწია, წარსულით სპეკულირება თითქმის ყველა ჯგუფში გახშირდა. ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის განუწყვეტელი მცდელობები განაპირობებენ ჭეშმარიტების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რომელთაც კულტუროლოგიური, სოციალური, ისტორიის ფსიქოლოგიური სტრუქტურების აღდგენის და ა.შ. ხასიათი აქვს.²

ამრიგად, დასკვნის შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული წარსულის, ტრადიციული ყოფითი და სულიერი კულტურის და მენტალიტეტის ჯგუფების თავმოყრა ერთ რეგიონში თავისთავად გულისხმობს გარკვეულ დაპირისპირებას მათ შორის. ამასთან მიმდინარეობს ეთნიკური პროცესები, როდესაც ცალკეული პირების ანდა მთელი ჯგუფების გადასვლა ხდება ერთი ერთობიდან სხვაში. მათი ნაწილი იმყოფება ორი ერთობის საზღვარზე, როდესაც რაღაც ნიშნებით ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რაღაცით კი სხვას. როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი კავშირები მეტ-ნაკლებად აისახება მათ შეხედულებებზე, ცხოვრების სტილზე, თვითრეფლექსიაზე, კარიერაზე, სოციალურ სტატუსზე და ა.შ. ხდება ადამიანის ერთგვარი პიროვნული გაორება. ეს პროცესი ხშირად ისტორიულ კონტექსტში განიხილება და საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება ერთის მხრივ ე.წ. „ღონორი“ ჯგუფის და მეორეს მხრივ, მიმღები ჯგუფის მიერ.

¹ მ. თორია. წარსულის გააზრებისა და მესხიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში, (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), ცივილიზაციათა დიალოგი, №4, თბილისი, 2006., გვ. 28.

² М. Кукарцева, Е. Коломоец. Вестник Московского университета. Серия 7. Философия. М. 2004. гв. 31.

ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავებული ჯგუფების ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია მოითხოვს, სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკის კარგად გააზრებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, როდესაც ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხაზად აღიარა არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაცია. ასეთი მიდგომით „ქართველია“ ყველა საქართველოს მოქალაქე, მიუხედავად მისი წარმომავლობისა. ავტოქტონობა – არავტოქტონობა და ტრადიციული კულტურული მსგავსება – განსხვავებები გვევლინება მხოლოდ ისეთი ფუნქციების მატარებლად, როგორიცაა – შემეცნებითი (აღრმავებს ცოდნას წარსულის შესახებ), დიდაქტიკური (ასწავლის დადებითი და უარყოფითი მაგალითების საშუალებით), ეთნოკულტურული (აძლიერებს ადამიანის მენტალურ კავშირს წინაპრებსა და ტრადიციულ კულტურასთან) და მსოფლადქმითი (თითოეული ადამიანის, ჯგუფის და საერთოდ კაცობრიობის თვითშემეცნებისათვის იძლევა საზრდოს)¹.

საერთოდ „ეროვნული უმცირესობებით“ კომპაქტურად დასახლებული რეგიონი, მადეზინტეგრირებელი პროცესების და მაშასადამე, კონფლიქტის მაღალი რისკის მატარებელია. ამის გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გატარებას. შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი განსხვავებული სტრატეგია: I. ეთნიკური ასიმილაცია, რომელიც მიმდინარეობს შიდა ეთნიკური იდენტობის წაშლის გზით (ამ დროს ძირითადი აქცენტი კეთდება მათი ეთნოკულტურული თავისებურებების რადიკალურ ტრანსფორმაციაზე); II. ინტეგრაციული პროცესის გააქტიურება ჯგუფთაშორისი სოლიდარობის და ტოლერანტობის გაზრდის ხარჯზე, რო-

¹ В. Шнилерман. Войны памяти; Мифы, идентичность и политика в Закавказье, М., 2003, გვ. 12.

დესაც სახელმწიფო გამოდის ჯგუფთა თვითმყოფადობის და კულტურული იდენტობის დაცვის გარანტად. პირველი სტრატეგია, როგორც წესი, დამახასიათებელია ტოტალიტარული სახელმწიფოს ტიპისათვის და შესაძლებელია, კონფლიქტის მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცეს, რადგან ეწინააღმდეგება ეთნიკურ ერთეულთა მისწრაფებას თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.¹ უკანასკნელ ხანებში განვითარებული პროცესები მოწმობს, რომ ქართულმა სახელმწიფომ გეზი მეორე სტრატეგიაზე აიღო. ამრიგად, ეთნოკულტურულ გარემოს მეცნიერული კვლევა მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს.

საკვლევ რეგიონში ერთგვარი გარეგნული სიმშვიდის მუხედავად, ეთნოკულტურული სიტუაცია საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია. ჯგუფთაშორის ურთიერთობებს აქვთ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური განვითარების პერსპექტივა. კვლევამ გამოავლინა, რომ სახელმწიფოს შემოქმედი ეთნოსისაგან განსხვავებული ტრადიციული კულტურის მქონე და სახვადსახვა რელიგიაზე ორიენტირებული ჯგუფი სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებასაც ამ პრიზმიდან აფასებს და განსჯის. მიაჩნიათ, რომ მათ მიმართ ხშირად მოქმედებს დისკრიმინაციული მიდგომები, ანტითეზა „ჩვენ – ისინი“ ამ განწყობის ძირითადი მახასიათებელია. ზემოაღწერილი სიტუაცია იწვევს გაუცხოებას, ნეგატიური სტერეოტიპების ჩამოყალიბებას და აფერხებს ინტეგრაციის პროცესს.

¹ В. Тишков. Как обновить концепцию национальной политики? Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, 4 8. 2003, გვ. 48.

**თავი III. სასაზღვრო რეგიონის ეთნოკულტურული
სპეციფიკა და ინტერკულტურული
კომუნიკაციის პრესაქტივები**

**§ I. საქართველო-ზერბაიჯანის საზღვართან
დაკავშირებული პრობლემები პოლიტიკურ ჭრილში**

ნაშრომის შესავალში ითქვა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან, რაც დიდწილად განაპირობებს მათ შორის ურთიერთობის პოლიტიკას. როგორც აღნიშნავს სვანტე კორნელი, ეს ორი ქვეყანა ქმნის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძს, რომელიც შავ ზღვას კასპიის ზღვასთან აკავშირებს. აღმოსავლეთ-დასავლეთის ეს კორიდორი ასევე აკავშირებს ნატოს ცენტრალურ აზიასთან და ავღანეთთან, ხოლო დიდმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენმა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზამ – უფრო მტკიცედ შეაღუდაბა ორი ქვეყნის ურთიერთობა¹. მისივე შეფასებით, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში დაძაბულობის გაჩენის მთავარი გამომწვევი გარე ფაქტორებია, რაშიც ის თანაბრად მოიაზრებს რუსეთსა და დასავლეთს.

ანალიტიკოსის აზრით, რუსეთისთვის საქართველოსა და აზერბაიჯანზე კონტროლი აღმოსავლეთ-დასავლეთის კორიდორზე კონტროლს ნიშნავს. ამიტომაც, 1990-იან წლებში მოსკოვი ამ ქვეყნებში მხარს უჭერდა ეთნიკურ სეპარატიზმსა და დამოუკიდებლობის მომხრე მთავრობების წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს. თუმცადა, მოსკოვის ქმედებებმა კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიდერებისა და

¹ს. კორნელი. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები საერთოხეშია? 02/08/2019, ხელმისაწვდომია: [ჩიფლეჯი](#)

მოქალაქეთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. რადგან საქართველოს, როგორც ნაკლებად ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის ქვეყანას, მოწვევადობა უფრო მეტად ახასიათებს, ქართულ-აზერბაიჯანულ ჯაჭვში რუსეთი სწორედ მას აღიქვამს სუსტ რგოლად და მისით უფრო მანიპულირებს; მოსკოვი ზეწოლის პოლიტიკით ხეირის ნახვას სწორედ საქართველოსგან მოეღის. რუსული „ჰიბრიდული ტაქტიკა“, რომელიც თბილისსა და ბაქოს შორის უნდობლობის დათესვაზეა გათვლილი, უფრო ხშირად საქართველოში გამოიყენება, ვიდრე – აზერბაიჯანში. რაც შეეხება დასავლეთს, მკვლევარს მიაჩნია, რომ მასაც მიუძღვის წვლილი ორი მეზობლის სტრატეგიული პარტნიორობის შესუსტებაში, განსაკუთრებით „საყვარელი მოსწავლეების“ გამორჩევის პრაქტიკის გამო. ევროკავშირი აცხადებს, რომ იგი „სტრატეგიულ პარტნიორობას იმ მეზობლებთან განახორციელებს, რომლებიც უფრო მეტად წაიწვევენ წინ დემოკრატიული რეფორმების გზაზე“. ამ თვალსაზრისით, დასავლეთი ხშირად იყენებს საქართველოსა და აზერბაიჯანის დამყოფ რიტორიკას და დასავლეთისაგან აუცხოვებს იმ ქვეყნებს, რომლებიც მან „დაჯილდოების“ ღირსად არ ჩათვალა. ამერიკულმა და ევროპულმა მიდგომამ რეგიონის სახელმწიფოთა შორის განსხვავებების კიდევ უფრო გაღრმავება გამოიწვია. იმის მაგივრად, რომ ბაქოსა და თბილისს შორის სტრატეგიული კავშირების გაღრმავებისათვის შეეწყობოთ ხელი, დასავლელმა მოთამაშებებმა თბილისი ბაქოსთან ახლო კავშირებისათვის არაფორმალურად გააკიცხეს კიდევ, რადგანაც ბაქო ნაკლებ დემოკრატიულად და, შესაბამისად, მხარდაჭერის ღირსადაც ნაკლებად მიიჩნის¹.

ზემოაღნიშნული გარე ფაქტორების გარდა, არსებობს ორ ქვეყანას შორის მოუგვარებელი საკითხები, რაც მესამე ძალას ხელს აძლევს, გამოიყენოს ის თავისი ინტერესე-

¹ ს. კორნელი. დასახ. ნაშრომი. იქვე.

ბისტვის. ეს კი, პირველ რიგში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის რამდენიმე მონაკვეთია, რომელიც ჯერ დელიმიტირებული არ არის.

როგორც ვიცით, აზერბაიჯანსა და საქართველოს 446 (ვარიანტით 480-მდე) კილომეტრის სიგრძის საერთო საზღვარი გააჩნია, მაგრამ მისი მესამედი დღემდე დაუდგენილია. 1996 წელს შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის ქართულ-აზერბაიჯანული მთავრობათაშორისი კომისია. პირველი 15 წლის განმავლობაში კომისიამ საზღვრის თითქმის 70 პროცენტი შეათანხმა, მაგრამ 2007 წლიდან დელიმიტაციის პროცესში დაბრკოლებები წარმოიშვა. სადავოდ რჩება დავით-გარეჯისა და სოფელ ერისიმედის ტერიტორიები.¹

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოაქვეყნა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (ჩ) დასკვნა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ტრანსფორმაციის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრის 19,6% (415,15 კმ) 23 დასახელების დიდ და პატარა მდინარეზე გადის. აქედან, ყველაზე გრძელი მონაკვეთი (190,25 კმ) მდინარე ალაზანზე მოდიოდა. მდინარის ეს მონაკვეთი ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანთან თანამედროვე საზღვრის (478,42 კმ) 40,2% შეადგენდა და, ისევე, როგორც საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრის დანარჩენი უბნები, ხშირი ცვლილებებით ხასიათდებოდა.

სასაზღვრო ზოლის ალაზნის მონაკვეთზე, ტერიტორიული ცვლილების 69 ადგილია გამოვლენილი. მათგან 42 შემთხვევაში საზღვარი გადმონაცვლებულია საქართველოს მხარეს და მხოლოდ 27-ში – აზერბაიჯანის საზი-

¹ ლ. ხეჩოშვილი. დაუცველი საზღვრები, ხელმისაწვდომია: <http://umurgulia82.blogspot.com/2017/11/293.html>

ნოდ. საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგებმა დაახლოებით 293 ჰექტარი შეადგინა. აზერბაიჯანის მხარეზე, ეს მონაცემი 224 ჰექტარს არ აღემატება.¹

აქ აღარ დაუბრუნდებით დღევანდელი საზღვრის ამ მონაკვეთის წინარე ისტორიას, რაც ზედმიწევნით არის განხილული წიგნის პირველ თავში; გავიხსენებთ, რომ 1920 წლის 12 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის (აზერბაიჯანის) სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით ამ ტერიტორიაზე კონდომინიუმი (ერთობლივი მფლობელობა) გამოცხადდა. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველო – აზერბაიჯანის ადმინისტრაციულმა საზღვარმა ამ უბანზე, მდინარე ალაზანზე გადმოინაცვლა და იგი უბრალო გამიჯვნის პრინციპით იქნა გატარებული². სამდინარო საზღვარი, ორივე ქვეყნის შეთანხმების თანახმად, 1953 წლის რუკის საზღვრების მიხედვითაა დადგენილი.

როგორც ითქვა, ამ დრომდე, ოფიციალურად სადავო ტერიტორიებად რჩება დავით გარეჯი და სოფელი ერისიძედი, თუმცა ზემოთ აღნიშნული კვლევა ცხადყოფს, რომ ამ კუთხით მეზობელ ქვეყანასთან შეუთანხმებლობის მიზეზი მარტო ეს მიწები არაა. ტერიტორიულ ცვლილებებს ქვეყანას შორის საზღვრად აღიარებული მდინარე ალაზნის კალაპოტის ხშირი ცვლილება იწვევს.

ამის თაობაზე გასული საუკუნის 60-იან წლებში ნ. კეცხოველი წერს:

„...წინ გადაეშალათ ალაზნის ველი, გაღმა საინგილო, ალაზნის მარცხენა ნაპირი ჭაღის ტყეს დაეფარა. ალაზანი აქ უზარმაზარ მინდვრებს ქმნის, ვივანტურ ყულფებს. ბევრგან ყულფის ბოლოები ერთმანეთს უახლოვდე-

¹ პტტპ/წწწ. გპნ.გე/ნეწს/38363-საქართველოს ტერიტორიულ-დანაკარგებ აზერბაიჯანს 293-ჰექტარს შეადგინა

² იქვე.

ბა, ალაზანი გადაკვეთავს ხოლმე მას და დიდი ნაკვეთები ხან აზერბაიჯანში ჰყვება, ხან საქართველოში (ამ ადგილებში ალაზანია აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარი). ამ ორიოდე წლის წინ ალაზანმა ეს ყულფი, რომელშიც ველური კაკლიანი ხარობს, აზერბაიჯანში მოაქცია.⁴

ეს ყულფები იგივე მეანდრებია, მდინარე ალაზანს კი გაგაკების შემდეგ კარგად გამოხატული მეანდრირება ახასიათებს. ნახევარკუნძული ხმელეთს 40-70 მეტრიანი მიწის მონაკვეთით (მეანდრის ყელი) უკავშირდება. მას ალაზანი გარშემო უვლის. მეანდრებად იკლაკნება ალაზანი იმ ტერიტორიაზე, რომელიც დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ეკვრის; მეანდრის ყელს მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ტალღები ეხლება და თანდათან საფუძველს აცლის. ამიტომ, თუ მეანდრის ის კალთა არ იქნება დაცული, საიდანაც მდინარე ნაპირს აზიანებს, დიდი ალბათობაა, რომ დროთა განმავლობაში მისი ყელი უფრო და უფრო დავიწროვდეს, საბოლოოდ მდინარემ მეანდრის ყელი გადაკვეთოს და სწორი მიმართულებით განაგრძოს დინება. მეანდრის ყელის გარღვევის შედეგად ნაპირის მეორე მხარეს დარჩენილი ტერიტორიები სადავო ხდება ხოლმე და ხშირ შემთხვევაში, დაკარგულად ითვლება. ძველი და ახალი რუკების შედარებისას ნათლად ჩანს, რომ მდინარე ალაზანმა საგრძნობლად შეიცვალა ადგილმდებარეობა და ფორმა, შესაბამისად, საზღვარიც დაარღვია; მდინარის იქით, აზერბაიჯანის მხარეს დარჩენილ მიწას საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტი ვერ აკონტროლებს; გამონაკლისია სოფელი ერისიმედი, სადაც დღემდე ტერიტორიის გარკვეული ნაწილი სადავოდ რჩება და სადაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეები საქართველოს მოქალაქეებს შესვლის უფლებას არ აძლევენ. მეანდრირება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთზე გან-

¹ ნ. კეცხოველი. ცხრათვალა მზის ქვეშ, თბილისი 1968, გვ. 61.

საკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სპეციალისტების აზრით, როდესაც მდინარე მეანდრის დაზიანებას იწყებს, საჭირო ხდება ხელოვნური ჩარევა – ჭრიან არხს და ასე აძლევენ მდინარეს საშუალებას, რომ მეანდრა გადააკეთოს. ამ შემთხვევაში ნაკლებად ზიანდება ხმელეთი და ნაკლები მიწაც იკარგება, მაგრამ იქამდე, სანამ საზღვრები საბოლოოდ არ იქნება დადგენილი, სასაზღვრო მდინარეზე, ამისი გაკეთება გაუმართლებლად ითვლება.¹

გარემოს დაცვის სამინისტროს მოსაზრებით, ეროზიას განიცდის ალაზნის ორივე სანაპირო, მაგრამ სადავო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი მაინც საქართველოს მიწებია. რაც შეეხება მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ჩვენ მხარეს დარჩენილ აზერბაიჯანის მიწებს, აზერბაიჯანის დამოკიდებულება და პოლიტიკა გაცილებით აღეკვაბურია – ისინი, ერთი მხრივ, ამაგრებენ ნაპირებს, მეორე მხრივ, მიუწვდომელ მეანდრებზე აგებენ ხიდებს და თავიანთ ტერიტორიას გაძლიერებულად იცავენ. ამას აღნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობაც. ადგილობრივი ფერმერის ინფორმაციით:

„წლების უკან მდინარემ აზერბაიჯანის მხრიდან 45 კექტარი მიწა დატოვა ჩვენ მხარეს, თუმცა აზერბაიჯანელებმა ეს კუნძული შეინარჩუნეს და ხიდი გააკეთეს. ხიდი, რომელსაც აზერბაიჯანელები დღემდე აკონტროლებენ.“

მდინარის გაღმა დარჩენილ საქართველოს ტერიტორიასთან მიმართებაში, თუ არ ჩავთვლით ერისიძემდს, არ არსებობს არც ერთი მსგავსი პრეცედენტი.²

ნაპირსამაგრი სამუშაოების მხოლოდ ერთი მხრიდან ჩატარება მდინარის მეორე ნაპირს უფრო მეტად აზიანებს, რის გამოც ხშირად, ჩვენი მხარე ზარალდება; ეს სამუშაოები, სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებით, ერთდრო-

¹ ნ. ჭაბაშვილი. ალაზანს გაღმა დარჩენილი საქართველო. გაზეთი კახეთის ხმა, 2011.

² იქვე.

ულად უნდა განხორციელდეს. არსებობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებთან, საბათლოსთან და სამთაწყაროსთან, მიწების დაკარგვის საფრთხე.

დედოფლისწყაროს „მუნიციპალური შეფასების 2020 წლის ანგარიშში“ მოტანილია შ I / ჭშ I დ ჭ პროექტის – „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალგამყოფებში“, შედეგები; პროექტის მე-19 ტექნიკურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საბათლოს თემში, აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივ, ხდება მნიშვნელოვანი ტერიტორიის, კაკლისყურის, დატბორვა. პროექტის ფარგლებში ჩატარებული კლიმატური ცვლილებების მოწვევადობის შეფასების საფუძველზე ირკვევა, რომ პრობლემები გამოწვეულია გვერდითი ეროზიით; ამას განაპირობებს მდინარე ალაზნის აქტივობა, რის შედეგადაც მდინარის ნაპირების ინტენსიურ ჩამორეცხვას და ეროზიას აქვს ადგილი. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივ მდინარე ალაზნის მონაკვეთი მეანდრეებით არის წარმოდგენილი/კლაკნილია. კაკლისყურის ტერიტორიაზე, „მეანდრეს ყელი“ 5 მეტრამდეა დავიწროვებული. „იმის გათვალისწინებით, რომ მდინარე ალაზნის ნაპირები ეროზიისკენ უკიდურესად არის მიდრეკილი, სულ მალე მოსალოდნელია „მეანდრეს ყელის“ გარღვევა. შედეგად, 300 ჰა-მდე მიწა შეიძლება გადავიდეს მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ამ პრობლემას ისიც ართულებს, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდის შემდეგ, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის პროცესი არ დასრულებულა. სახელმწიფო საზღვარი გეოგრაფიული კოორდინატებით არ არის განსაზღვრული. შეთანხმებებში მხოლოდ ის წერია, რომ საზღვარი მდინარე ალაზანზე გადის. შედეგად, სახელმწიფო საზღვარი სითხეზე გადის და მდინარის არხის ცვლილებების შესაბამისად იცვლება“¹.

¹ მუნიციპალური შეფასების ანგარიში, დედოფლისწყარო, აგვისტო 2020, გვ. 98.

როგორც ვიცით, საერთაშორისო სამართლით სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებს სახელმწიფო საზღვარი განსაზღვრავს, რომელიც შეიძლება იყოს სახმელეთო, საწყლო, საჰაერო და წიაღისეულის. საწყლო საზღვრები იყოფა სამდინარო, სატბო, სხვა წყალსატევებისა და საზღვაო საზღვრებად. საწყლო საზღვრები მდინარეებზე შემდგენიად დგინდება: თუ მდინარე საზღვაოსნოა, საზღვარი გაიყვანება ფარვატერის მიხედვით, თუ მდინარე არ არის საზღვაოსნო (ჩვენ შემთხვევაში, ალაზანი - ნ.ჯ.), მაშინ – მათ შუაგულში; თუ მდინარეს რამდენიმე ტოტი აქვს – მთავარი ტოტის შუაში. მდინარეზე გამავალი საზღვარი ნაპირების ან წყლის დონის შეცვლისას და მდინარის კალაპოტის გადაწვევისას არ გადაინაცვლებს.¹

ანუ, ამ დებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საზღვარი, რომელიც მდინარეზე გადის, არ უნდა შეიცვალოს მდინარის კალაპოტის შეცვლისას. ჩვენ შემთხვევაში კი ერთგვარად პარადოქსული მდგომარეობა გვაქვს: საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით მდინარეზე გამავალი საზღვრის ცვლილება მდინარის კალაპოტის შეცვლასთან არ შეიძლება კავშირში იყოს, მაგრამ, რეალურად, სახელმწიფოს საზღვარი მდინარის არხის ცვლილების შესაბამისად მოძრაობს (ვგულისხმობ, ტერიტორიის დაკარგვის პერსპექტივას). პოლიტიკურ დოკუმენტებშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ხასიათის ლიტერატურაზე, ხშირია ზემოთ მოყვანილ ანგარიშში არსებული დებულების მსგავსი ფორმულირებები, რომ: „სახელმწიფო საზღვარი სითხეზე გადის და მდინარის არხის ცვლილებების შესაბამისად იცვლება“.

¹ ქ. ხუციშვილი. სახელმწიფო საზღვრები, აღმანახი 9, საერთაშორისო სამართალი (II), თბილისი, 1999. კვტ/წწწ. ნაკვ გოგ. გვ. გრენსტრუ/ლრუ/ცლლენ/ტერიტ/დ/ც/შ ენტ/ შ 0 18 2560 ბ46ბ9530ჟ ცელდ/ქს სინიდ 6 2 877 72 93 ჩ 961 658257ჩ 4 8 9? ელ=1

სწორედ ალაზნის კალაპოტის ცვლილება არის სოფ. ერისიმედის საზღვართან დაკავშირებული გაურკვევლობის მიზეზი. სოფლის დაარსების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა თამაზ ქვეხიშვილმა, რომელიც იმ დროს სიდნალის რაიონის რაიკომის მდივანი იყო და სოფლის დაარსებაც მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხდა. მისი მონაყოლით, როდესაც იგი ამ პოსტზე დაინიშნა, რაიონის მიწის ბალანსის განხილვისას, აღმოჩნდა, რომ დაახლოებით 1000 ჰექტრამდე მიწა იკარგებოდა ბალანსიდან, არ იყო გამოყენებული, არ ჩანდა. გაირკვა, რომ წლების წინ ალაზნამ კალაპოტი იცვალა და ეს მიწები აღმოჩნდა ალაზნის გადაღმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც მთელი იმ ხნის განმავლობაში მიწის ექსპლოატაცია ხდებოდა, ჰქონდათ მოწყობილი ფერმები, ეწეოდნენ სამეურნეო სამუშაოებს და სხვ. სიდნა-



ლის რაიონის ხელმძღვანელობის თაოსნობით, ალაზანზე და მდინარე ბელაქანზე აიგო ხიდები და აზერბაიჯანის მხარეზე დარჩენილ სიდნალის რაიონის კუთვნილ ტერიტორიაზე სახელმწიფომ ააშენა 150 საცხოვრებელი სახლი;

ასე დაარსდა 1989 წელს სოფელი ერისიმედი, სადაც ჩამოსახლეს ძირითადად აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების დროს დაზარალებული მოსახლეობა.

ამ პერიოდს იხსენებს ჩვენი სიღნაღელი რესპონდენტი:

„მაგათი ჩამოსახლება, მონათვლა რომ მოხდა მდინარეში, იღია მეორე რომ ჩამოვიდა, ეს ყველაფერი, ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ჩვენ აქეთ დიდი სუფრა გავშალეთ; სხვათა შორის, აზერბაიჯანის ახალგაზრდული ორგანიზაციები გადმოდიოდნენ და ჩვენ გვეხმარებოდნენ.~ (საველე მასალა, სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანი, 2022)

დღემდე ამ ტერიტორიაზე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი არ არის დელიმიტირებული, შესაბამისად, არც მისი დემარკაცია არ მომხდარა. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, სოფლის ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. სადელიმიტაციო კომისიების დონეზე ეს საკითხი განხილული იყო. მხარეებს შორის მოლაპარაკება 1998 წელს დაიწყო, თუმცა ეს საქმე საკმაოდ გაიწეულა. ამ საკითხს 2010 წლამდე საერთოდ არ განიხილავდნენ; იყო საუბარი სადავო მიწის სანაცვლოდ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ტერიტორიების გადაცემაზე, ვინაიდან, ორივე სახელმწიფოში არის ისეთი მიწები, სადაც ერთმანეთის მოსახლეობაა გადასული ან მეორე სახელმწიფოს აქვს ექსპლოატაციაში. ქართული მხარე ამაზე თანახმა იყო, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც ვერ განხორციელდა; ამის თაობაზე მიმდინარეობდა აქტიური საუბარი, მაგრამ დღემდე საკითხი გადაუჭრელია; შუაზე გაყოფილ სოფელში, იმ ქუჩებზე, რომლებიც რუკის მიხედვით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, მოსახლეობა ვერც სახლს და ვერც

მიწის ნაკვეთს საკუთრებად ვერ ირეგისტრირებს. პრაქტიკულად 24 წლის განმავლობაში შეთანხმება ვერ შედგა.¹

ერისიმედის მკვიდრის ინფორმაციით:

„ადრე საზღვარი გადიოდა ტყის პირას, ალაზანიშვილი იცვალა კალაპოტი და ეს ტერიტორია დარჩა აზერბაიჯანის მხარეს. ცარიელი ტერიტორია იყო მაშინ, დაუსახლებელი. ვიდრე ალაზანი ტყისპირას გადიოდა, ეს ჩვენი ტერიტორია იყო და, როცა კალაპოტი იცვალა, მოექცა მათ მხარეს; საზღვრის დემარკაცია ჯერ დასრულებული არ არის. დროებითი საზღვარი გაავლეს რაღაც მავთულხლართი; კოსმოსიდან გადაღებულ რუკაზე სოფელი შუაზეა გაყოფილი, ისე აჩვენებს საზღვარს. სინამდვილეში ჩვენი ტერიტორიაა, მაგრამ იქით რაც არის მოქცეული რეგისტრირებული არ არის სახლები, სადავო ტერიტორიაა და პრობლემაა დღესაც. აქეთ უმეტესობას დარეგისტრირებული გვაქვს.“ (ერისიმედი, 2022)

ამ გაურკვეველი და დაუდგენელი საზღვრების გამო 2010 წელს ერისიმედში აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა 16 წლის ახალგაზრდა მოკლეს. ის პირობითი საზღვრის იქით მოხვედრილი საქონლის გამორეკვას ცდილობდა. არაერთხელ დაფიქსირდა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ასეთმა შემთხვევებმა იკლო. ზოგადად კი, საქონელი, თუ იქით გადავიდა, დაკარგულად ითვლება. საინტერესოა ადგილობრივი რესპონდენტის მოსაზრება ერისიმედთან სასაზღვრო მონაკვეთის თაობაზე; საყურადღებოა მისი, თუნდაც არაპროფესიონალის ვარაუდი:

¹ შუაზე გაყოფილი ერისიმედი, 21:16 – 10 მარტი ხელმისაწვდომია: 2022 პტტმ/მტიხმ ბები.ფ/ნეწს/იწმ/1486-სწუაზ-გაყბოვდი ერსიმედ

„დემარკაცია დადგენილი არ გვაქვს! ეს ხომ საბჭოთა ხელვაა, რომ მდინარეს მიუყვებოდეს საზღვარი, ქედს რომ მიუყვებოდეს გასაგებია, ქედია და დგას, მაგრამ მდინარეს არ შეიძლება მიუყვებოდეს. ალაზანი იცვალა კალაპოტი და შეიცვალა საზღვარიც. საბჭოთა პერიოდის წიგნებშიც წერია – აზერბაიჯანთან საზღვარი არის მდინარის გასწვრივ! ხოდა, ალაზანი რომ შეიცვალა კალაპოტი, საზღვარიც შეიცვალა. ხიბრობა ქართველების ვარდა ორივე სახელმწიფოს აქვს! (გულისხმობს აზერბაიჯანს და სომხეთს - ნ.ჯ.). რამდენად ვინმეს ჩარევით მოხდა, არ ვიცი, ვერ ვიტყვი, მაგრამ აშკარაა, რომ შეიცვალა და ეს არ იყო ორი და სამი დღის ნამოქმედარი, ისინი უყურებდნენ, ბუნებრივი პირობების გამო, როგორ ხდებოდა ცვლა, ალაზანი საით გადავიდა, მიყვნენ და კარგად გამოიყენეს. მეორე ვარიანტია, ალაზანი კი დიდდება, მაგრამ მანდ ისეთი ფართოა და მდორედ მოედინება, რომ უცბად კალაპოტის შეცვლა არ შეიძლებოდა. ეს იყო სახელმწიფოს გულგრილობა, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია, მით უმეტეს, როცა იქ ჩასახლებული ხალხი გყავს. ამის არდანახვა შეუძლებელია. (საველე მასალა, სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკურიანი 2022)

არსებული ვითარების გაცნობის შემდეგ, ძალაუვნებურად იბადება კითხვა: თუ ტერიტორია აზერბაიჯანს ეკუთვნოდა, რატომ წამოიწყო და განახორციელა ჩვენმა ხელისუფლებამ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახალი სოფლის დაარსების და იქ 150 სახლის მშენებლობის პროექტი? ან კიდევ, სად იყო აზერბაიჯანის მთავრობა, იმ დროს, როდესაც მის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მიმდინარეობდა?


სოფლის მოსახლეობა ჯერ-ჯერობით ახერხებს სიტუაციას მოერგოს, თუმცა, არასახარბიელო ყოფითი პირობები (სოფელს არ აქვს გაზი, მაღაზია და სხვა საჭირო

ინფრასტრუქტურა) ახალგაზრდა თაობას წასვლისკენ უბიძგებს. საზღვრის საკითხის მოუგვარებლობით გამოწვეული არსებული პრობლემები: სამეურნეო საქმიანობისთვის შეზღუდული პირობები, საკუთრების დაკანონების შესაძლებლობის არქონა (მოსახლეობის ნაწილისთვის), ადგილზე დასაქმების უპერსპექტივობა, სავარაუდოდ, მომავალში მიგრაციის შეუქცევად პროცესს გამოიწვევს.

საქართველო-აზერბაიჯანის სამდინარო საზღვრისპირა დასახლებებში ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარებასთან ერთად, სპეციალისტების რეკომენდაციით, აუცილებელია მდინარე ალაზანზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და მდინარის კალაპოტის დაცვა (რაც გარკვეულწილად ხორციელდება კიდევ) და ორივე სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა და შეთანხმებული მუშაობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ალაზნის კალაპოტის ცვლილების შედეგები.

როგორც ითქვა, აზერბაიჯანთან კიდევ ერთი ოფიციალურად სადავო ტერიტორია დავით გარეჯია, ქრისტიანული ძეგლი, რომლის დაარსებაც VI საუკუნიდან წმინდა მამა დავით გარეჯელს და მის მოღვაწეობას უკავშირდება. ქართული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც 2,5 კილომეტრზე გაშლილ 20-ზე მეტ მონასტერს მოიცავს (აზერბაიჯანელები ქეშიშ დაღს უწოდებენ), ორ ქვეყანას შორის იყოფა. ის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაციის გრძელვადიან მოლაპარაკებებში¹.

¹ ქშირევი, . აკაცია ზერბაიჯან ეორგინ რელანსოტე ფუნდტონს ანდ ცატლდენ ფტე სტრეგოტლდრე აკუ 2013, პგ. 26.



გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთი ნაწილის აზერბაიჯანისთვის კუთვნილების პრობლემა სათავეს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს. დავითგარეჯის თემას ეხება რ. მეტრეველი; იგი განიხილავს 1918 წელს გაზეთ „საქართველოს“ 2 და 14 იანვრის ნომრებში მღვდელ-მონაზონი გერმოგენის წერილს — „დავით გარეჯის უდაბნოს აკლება“, საიდანაც ვიგებთ, რომ „აზერბაიჯანელმა მწყემსებმა, რომლებიც ცხვარს ყარაიას ველზე აძოვებდნენ, ზამთრის სადგომებად მოითხოვეს საუკუნეების განმავლობაში რუდუნებით ნაგები და მოხატული დავით გარეჯისა და უდაბნოს სამონასტრო კომპლექსები; ისინი თავს დაესხნენ ლავრას, გაძარცვეს მონასტრები, გაანადგურეს ჯვარ-ხატები და გადაწვეს იქაურობა, წერაქვებით დაშალეს ნაგებობები. იმხანად ეს ვანდალიზმი აღკვეთეს; შემდგომ პერიოდში თვით საბჭოთა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ყოველგვარი წესის დარღვევით 1922 წლის 28 იანვრიდან ყარაიასა და უდაბნოს დიდი ნაწილი სპეციალური დადგენილებით (როგორც საძოვრები

და არა კულტურის ძეგლები) საბჭოთა აზერბაიჯანს გადასცა. ამ „საძოვრებში“ აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის, დემეტრე II თავდადებულის და ქტიტორთა დიდებული ფრესკებით. ლავრა მომთაბარე მწვემსების თავშესაფარი გახდა“¹.

1925 წლის 17 ოქტომბერს სიღნაღისა და ზაქათლის მაზრების საზღვრების სადავო მონაკვეთების თაობაზე თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეხვედრა; გადაწყდა, საზღვარი ალაზანზე დარჩენილიყო, ხოლო გარეჯის მიმდებარე საძოვრები „შრომითი გამოყენების პრინციპით“ მიემავრა აზერბაიჯანს, რადგან ისინი „ფაქტიურად მათ შრომით სარგებლობაში იმყოფებოდა“. ამიერკავკასიის სსფ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით დავით გარეჯის მონასტრის კულტურის ძეგლების დაცვა დაევალა საქართველოს სსრ თბილისის მაზრის აღმასკომს, რისთვისაც დაინიშნენ შეიარაღებული მცველები. მოხდა რამდენიმე შეტაკება ძეგლის მცველებსა და აზერბაიჯანელ მწვემსებს შორის, რომელთაც საქონლის ზამთრის სადგომად სამონასტრო ნაგებობების გამოყენება უნდოდათ. 1926 წლის იანვარში „ზაკრაიკომმა“, რომლის სხდომაზედაც ეს კონფლიქტური სიტუაცია განიხილეს, კანონიერად ცნო 1922 წლის ხელშეკრულება „საძოვრების გამოყენების თაობაზე“. 1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის სსფრ-ის ცაკმა მიიღო ახალი დადგენილება „გარეჯის ზამთრის საძოვრების და ელდარ სამუხის ზამთრის საძოვრების შესახებ“. საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარმა ჩინხიტურის სერსა

¹ რ. მეტრეველი. დავითგარეჯი – ოდითგანვე საქართველოსი იყო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ოქტომბერი 19, 2020, ხელმისწვდ.: [პტჭსკციეფჯორ.გე/?p=4440](http://www.cktsk.ge/?p=4440)

და იქ მდებარე კოშკზე გაიარა.¹ გარეჯის ისტორიული ძეგლებიდან 3 (ბერთუბანი, ჩინჩიტური, უდაბნო) აზერბაიჯანის კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლება რამდენჯერმე შეეცადა, სრულ სამონასტრო კომპლექსზე თავისი იურისდიქცია აღედგინა. საბჭოთა პერიოდში, 1970-იან წლებში რესპუბლიკებს შორის იყო მოლაპარაკების მცდელობა გარეჯის სანაცვლოდ ტერიტორიების გაცვლის თაობაზე, რაც უშედეგოდ დასრულდა.² მას მერე, რაც საბჭოთა რესპუბლიკებმა 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მათი საზღვრები საერთაშორისო საზოგადოებამ ამ დროისათვის არსებული მოცემულობით ცნო. ტერიტორიების ამგვარი გადანაწილების შედეგად საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ერთმა მონაკვეთმა მთა უდაბნოს თხემზე გაიარა, და თავისთავად, დავით გარეჯის კომპლექსის სამი მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიას მიეკუთვნა.³

როგორც უკვე ითქვა, აზერბაიჯანთან საზღვრის ამ მონაკვეთის დელიმიტაციის საკითხს კომისია 1996 წლიდან განიხილავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, უშედეგოდ. 20 წელზე მეტია ორ ქვეყანას შორის არსებობს ერთგვარი მორატორიუმი, რომ მომლოცველებმა და ტურისტებმა შეუფერხებლად შეძლონ გადაადგილება სამონასტრო კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე. სადავო ტერიტორია ორივე სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. საქართველოსთვის ეს არის მისი ისტორიული და კულტურული/რელიგიური მემკვიდრეობა, რომელიც დღეს ქართული ეკლესიისთვის ერთ-ერთ

¹ რ.მეტრეველი. დასახ. ნაშრომი, იქვე.

² [ჰტმ/წწ. ფტტვ.გ/კ/სტ/38140](#)

³ ნ. სამხარაძე. დავით გარეჯი ქართულ ეროვნულ ნარატივსა და პოლიტიკური ელიტის დღის წესრიგში: რამდენად შესაძლებელია პრობლემის მოგვარება? I პოლიტიკის ნარკვევი ოქტომბერი 2019 / გამოცემა №32, გვ.2, ხელმისაწვდომია: [ჰტმ/გიპგ](#)

უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერას წარმოადგენს; ხოლო აზერბაიჯანისთვის ეს არის სტრატეგიული სიმაღლე, საიდანაც ადვილია აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიების მონიტორინგი, რაც ოფიციალურ ბაქოს ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის აუცილებელ პირობად მიაჩნია. ამდენად, ორივე მხარისთვის რთულია ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისზე წასვლა. ამავდროულად, რადგანაც აზერბაიჯანელები ალბანელთა მემკვიდრეებად თვლიან თავს, აზერბაიჯანული მხარე ყოველ ღონეს ხმარობს გარეჯის კომპლექსი ალბანურ ძეგლად წარმოაჩინოს.¹

აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს კომპლექსი ისტორიული კავკასიის ალბანეთის კუთვნილებაა, რაც განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ქართველ სასულიერო, ისტორიკოსთა და ექსპერტთა წრეებში. მედიასთან ერთ-ერთ ინტერვიუში გ. ოთხმეზური აცხადებს, რომ აზერბაიჯანელებს არ აქვთ დავით გარეჯას ალბანურ ძეგლად მოხსენიების არავითარი საფუძველი:

„არ შეიძლება, გარეჯა ალბანური კულტურის ძეგლი იყოს, რადგან ალბანელების ასიმილაცია მოხდა, ეს ალბანელები აზერბაიჯანელების წინაპრები არ არიან. ვიმეორებ: ალბანელების ასიმილაცია ჯერ მოახდინეს არაბებმა, შემდეგ კი თურქ-სელჩუკებმა და აქ ჩამოსახლებულმა მუსლიმურმა ტომებმა, რომლებმაც დაიკავეს ეს ტერიტორია. სწორედ მათ უკავშირდება იმ მოსახლეობის საბოლოო ასიმილაცია, რომელთაც ალბანელები ერქვათ. დავუშვათ, დღევანდელი აზერბაიჯანელები ალბანელების შთამომავლები არიან: უღაბნოს მონასტერი, რასაც გვედავებიან, სავსეა ქართული წარწერებით! დაახლოებით, ათასი წარწერაა, მათ შორის, არც ერთი ალბანური წარწერა არ

¹დ. შპირვე . დასახ. ნაშრომი, გვ 27.

არის. თუკი ეს ძველი ალბანური კულტურის მემკვიდრეობას წარმოადგენს, მაშინ ამ წარწერებს ქართულად რატომ აკეთებდნენ? იქ არის სომხური, ასურული და სხვა ენოვანი წარწერებიც. ამ წარწერებს აკეთებდნენ ის პილიგრიმები, მომლოცველები, რომლებიც ჩამოდიოდნენ და ლოცვას აღავლენდნენ, რადგან დავითგარეჯა მიიხნეოდა ძალიან ძლიერ სალოცავად – გარეჯაში სამგზის აღვლენილი ლოცვა იყო იერუსალიმში ერთი მოლოცვის ტოლფასი... სწორედ უდაბნოს მონასტერშია უძველესი პერიოდის ფრესკები IX-X საუკუნიდან მოყოლებული. მანდ დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლიც არის აღწერილი. IX საუკუნიდან უკვე ქართველი მეფეების პორტრეტები გვხვდება. ნათლისმცემლის მონასტერში (რომელიც დავით გარეჯელის მოწაფის, ლუკიანეს დაარსებულია) ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფრესკებია. სხვადასხვა გამოცემაში ხშირად მუსირებს აზრი, რომ თამარ მეფის 4 ფრესკა გვაქვს, ამ დროს კი 5 გვაქვს, მათ შორის, ორი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსშია, ერთი ბერთუბანშია, ერთი კი ნათლისმცემლის მონასტერში. ბერთუბნის მონასტერში თამარ მეფის ფრესკასთან ერთად გვაქვს ლაშა-გიორგის ფრესკაც...⁴¹

ამ საკისს ეხება გ. ჭეიშვილი კრიტიკულ წერილში, რომელშიც აკადემიკოს მახმუდოვის მოსაზრებებს ანალიზებს. წინამდებარე მონოგრაფიის პირველ თავში საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება გ. ჭეიშვილის ამ ნაშრომზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი მეცნიერების მიერ გამოყენებული ტერმინი „ქეშიქჩი“ არც ერთხელ არ არის ნახსენები ისტორიულ ტექსტებში სამონასტრო კომპლექსის აღსანიშნავად. ქართველი ბერები

¹ ინტერვიუ „ქრონიკა“-თან, გიორგი ოთხმეზური: „იმდენად ჩვენს მხარეს არის ისტორიული სინამდვილე, რომ არავითარ შემთხვევაში დავითგარეჯის დათმობა არ შეიძლება“, ხელმოხაწვდომია: ქრტიკა

იორსა და მტკვარს შორის საიდანდაც კი არ მოვიდნენ, როგორც ამას უნერგავენ აზერბაიჯანელ მოქალაქეებს, არამედ მე-6 საუკუნიდან ამ ადგილებში მოღვაწეობდნენ. ეპიგრაფიკული ძეგლები, სადაც ვერ ნახავთ ალბანური ანბანის ვერც ერთი ნიმუშს, მხატვრობა (მათ შორის ქტიტორთა და სამეფო პორტრეტები), გარეჯის სამწერლო სკოლა, ნათლად მიუთითებს, რომ დავით გარეჯი ქართული მონასტერია. გ. ჭეიშვილი წერს: „სომხებისა და ალბანელებისთვის დავით გარეჯის კომპლექსი სრულიად უცხო ფენომენი იყო კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით. ასეთივე უცხო ფენომენად რჩება დავით გარეჯი თანამედროვე აზერბაიჯანელებისთვის თითქმის მე-20 საუკუნის ბოლომდე. დავით გარეჯი – ტერიტორია იორსა და მტკვარს შორის მათ აინტერესებდათ, როგორც საძოვრები და არა როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ამიტომ, აზერბაიჯანის სამეცნიერო საზოგადოებას არ შეუქმნია აკადემიური ნაშრომები დავით გარეჯის შესახებ და არც გაუპროტესტებია საბჭოთა ჭურვების მიერ სამხედრო პოლიგონად ქცეული კულტურულ-ისტორიული ლანდშაფტის განადგურება. აზერბაიჯანელი კოლეგების ყველა მცდელობა, რომ დავით გარეჯი ალბანური კულტურის ძეგლად წარმოაჩინონ, მხოლოდ მათ არაკომპეტენტურობას ავლენს; აზერბაიჯანელებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ მათ პრეტენზიას ქართულ ძეგლებზე მხარს უჭერენ მხოლოდ რუსი მეცნიერები (ა. კაზარიანი) და რუსი სამღვდელთა (იხ. ბაქოსა და აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი), ხოლო ინტერვიუ აკადემიკოს მახმუდოვთან რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა!¹⁴

ქართველი ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა სადავო დავით-გარეჯის ტერიტორია საქართველოსთვის, საერთოდ არ უნდა დაისვას.

¹⁴Г. Чешвили. Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение, *ისტორიის ცენტრი* №285-თ I კვადრ

გ. ოთხმეზურისავე მოსაზრებით, პრობლემა უნდა გადაიჭრას, პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური და ისტორიული კუთხით. მაგრამ, მეგობარ და მეზობელ ქვეყანას სულ მცირე, რელიგიური და ისტორიული კონტექსტი არ აინტერესებს და დებატების ჩიხში შეეყვანას ცდილობს. მისი თქმით, არსებობს შესაბამისი საბჭოთა კავშირის დროინდელი რუკები, რომელთა ნაწილზე დავით გარეჯი და მიმდებარე ტერიტორია უპირობოდ საქართველოს შემადგენლობაშია.¹

ანალიტიკურ ნაშრომში, რომელიც ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის სტრატეგიულ ასპექტებს ეხება, ვკითხულობთ, რომ დავით გარეჯის კომპლექსის ნაწილი, რომელიც აზერბაიჯანის სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს, ქართველ მომლოცველებსა და აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს შორის დაპირისპირების საბაბი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრის კონტროლის გამარტივებული რეჟიმი საშუალებას აძლევს ბერებს, ქართველ მომლოცველებსა და ტურისტებს, შეუფერხებლად იმოგზაურონ კომპლექსის ამ ნაწილში, პერიოდულად პრობლემას ქმნის „ბიუროკრატიული პროცედურები“. დროდადრო ეს საკითხი ბაქოსა და თბილისს შორის დიპლომატიურ დაძაბულობას იწვევს. ბოლო პერიოდში² დაპირისპირება გამოიწვია 2012 წლის 6 მაისს სადავო საზღვრის მონაკვეთზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეების განლაგებამ, რამაც საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს ზოგიერთ ობიექტთან მისვლაში ხელი შეუშალა. მაშინ, ხალხის ემოციების ზრდის ფონზე, ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა ეს საკითხი

¹ ვის საზღვრებშია დავით გარეჯი – 90 წლის წინ გამოცემული 2 რუკა, რომლებიც აზერბაიჯანთან დავაში ქართული მხარის დოკუმენტია.

² ნაშრომი გამოქვეყნებულია 2013 წელს, ამდენად მასში 2012 წლის მოვლენები ბოლო პერიოდის მოვლენებად არის მოხსენიებული.

ჩიკაგოში ნატოს სამიტის ფარგლებში განიხილეს. ისინი შეთანხმდნენ, რომ საქართველოს მოქალაქეები და ასევე უცხოელი ტურისტები კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე შეუზღუდავად დაიშვებოდნენ, სანამ დელიმიტაციის პროცესი არ დასრულდებოდა.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ, ოფიციალურად ბაქო და თბილისი კონკრეტულ საზღვარს არ განიხილავენ სადავო საკითხად. ორი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა თავიდან აიცილოს რაიმე დაძაბულობა სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით. ორივე მხარეს ესმის, რომ ამ საკითხზე უპასუხისმგებლო კომენტარები შეიძლება ემსახურებოდეს მესამე მხარის ინტერესებს, რომლებიც, სავარაუდოდ, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დაძაბული ურთიერთობებით ისარგებლებენ. ნაშრომიდან ასევე ვიგებთ, რომ ზოგიერთი ექსპერტი ვითარებიდან გამოსავლის ერთ-ერთ ვარიანტად ტერიტორიების გაცვლას განიხილავს, ზოგიერთი კი აზერბაიჯანის კანონიერი ინტერესების დაურღვევლად, თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის მომხრეა; არის მესამე ვარიანტიც, რაც გულისხმობს აზერბაიჯანის მიერ საქართველოს სხვა ტერიტორიის გამოყენებას რამდენიმე წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ საქართველოსთვის დავით გარეჯაში გადაადგილების თავისუფლება შენარჩუნდება, თუმცა ეს ტერიტორია დარჩება აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ საზღვრის დემარკაციის ირგვლივ არსებული პრობლემების მიუხედავად, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარი რეგიონში ყველაზე სტაბილურად ითვლება. ისინი ვარაუდობენ, რომ მოცემული საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის სპეციალური კომისია სამონასტრო კომპლექსის საკითხის გადაჭრას შეგნებულად აჯან-

ჯლებს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამინდელი სტატუს-კვო, მათთვის დამაკმაყოფილებელი ჩანს.¹

როგორც ისტორიკოსი ლ. მირიანაშვილი აღნიშნავს, სახელმწიფოებს შორის საზღვრისპირა ტერიტორიების ურთიერთგაცვლა აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაა და ორ ქვეყანას შორის სადავო საკითხის გადაჭრისას შესაძლებელია ტერიტორიის გაცვლის პრინციპით ხელმძღვანელობა.² ამგვარი შეთავაზება მოლაპარაკებების დროს ქართული მხარის მიერ არერთხელ წამოიჭრა.

2019 წლის აპრილ-მაისში ქართული საზოგადოება კვლავ მოიცვა მღელვარებამ დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით, რასაც წინ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა უსწრებდა. 20 აპრილს დავით გარეჯში ვიზიტით მყოფმა პრეზიდენტმა, საღამო ზურაბიშვილმა, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც იგი დავით გარეჯთან და მასზე გამავალ სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული საკითხების სასწრაფო გადაწყვეტის საჭიროებაზე საუბრობდა. მომდევნო დღეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სამ მონასტრამდე მისასვლელი გზა მნახველებისთვის დახურეს³. შეზღუდვის დაწესება წინასააღდგომო პერიოდს დაემთხვა. სამი დღის განმავლობაში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ბილიკებზე ამკრძალავ ნიშნებს ამაგრებდნენ.⁴

¹ დ. შირიფაასახ. ნაშრომი, გვ. 28.

² ლ.მირიანაშვილი. დავითგარეჯის და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ. ლიბერალი, 7 მაისი, 2019 [ჰტტპ://ბერლინ.არტკლუბი.რე/44875/დავითგარეჯის-და-მის-ირგვლივ-განვითარებული-მოვლენების-შესახებ](#)

³ ნ.სამხარაძე. დავით გარეჯი ქართულ ეროვნულ ნარატივსა და პოლიტიკური ელიტის დღის წესრიგში: რამდენად შესაძლებელია პრობლემის მოგვარება? I პოლიტიკის ნარკვევი ოქტომბერი 2019 / გამოცემა №32, გვ. 1, ხელმისაწვდომია: [ჰტტპ://ვიპეე](#)

⁴ [ჰტტპ://www.azercan.com/38140](#)

ამ ფაქტს მოჰყვა ქართული საზოგადოების მდელვარება, უკმაყოფილებას გამოთქვამდა საპატრიარქო, ეწეობოდა მიტინგები, რომელთა ორგანიზატორებს შორის წამყვანი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი იყო; ლოზუნგით „დავით გარეჯი საქართველო“, მან თბილისის ცენტრში გამართა დემონსტრაცია, რომელსაც 10 ათასი ადამიანი დაესწრო. პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა ირმა ინაშვილმა აზერბაიჯანს მოუწოდა ტერიტორია საქართველოსთვის დაეთმო და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს ურჩია გაეგო, რომ „ქართველი ხალხი არ აპირებს დავით გარეჯი დათმოს.“¹ პარტიის ლიდერების კრიტიკის უმთავრეს საგანს თავად აზერბაიჯანული მხარე და წინახელისუფლების დროს შექმნილი დემარკაცია-დელიმიტაციის კომისია იყო. პატრიოტთა ალიანსის წევრებმა ტერიტორიების გაყიდვის ბრალდებით კომისიის წევრების დასჯაც მოითხოვეს.²

არჩევნების წინა პერიოდში შექმნილმა სიტუაციამ, რომელშიც აშკარდ იკითხებოდა პოლიტიკურად ანგაჟირებული საზოგადოების მანიპულირების, ხშირ შემთხვევაში წარმატებული, მცდელობა, ვითარების უკიდურესი დაძაბვა მაშინ გამოიწვია, როდესაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციის პროცესში უცხო სახელმწიფოსთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის საქმეზე 2020 წლის 7 ოქტომბერს საქართველო-აზერბაიჯანის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ორი ყოფილი წევრი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ივერი მელაშვილი და შსს-ს თანამშრომელი ნატალია ილიჩოვა დააკავეს.

პროკურატურის მიერ მათთვის წაყენებული ბრალი მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში რუკების შედგენისას

¹ ს. კორნელი. დასახ. ნაშრომი, იქვე.

² ნ. სამხარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7.

ბრალდებულებმა 1938 წლის რუკის ნაცვლად (რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის შეთანხმების მიხედვით, უნდა იყოს სახელმძღვანელოდ აღებული), გამოიყენეს 1970 წლით დათარიღებული არასწორად შედგენილი რუკა, რის შედეგადაც საქართველო 3,5 ათას ჰექტარ მიწას კარგავდა, მათ შორის დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის ნაწილს. მოგვიანებით, ბრალდებულები მეღაშვილი და ილიჩოვა სასამართლოს მიერ გირაოთი გაათავისუფლეს.¹

ჩვენს კომპეტენციას სცილდება მომხდარის მიზეზებისა და მიზნების შეფასება, თუმცა, შესაძლებელია ზოგადი სურათი წარმოვადგინოთ: მოვლენები ვითარდება საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში (ანუ ყოველი პარტია იღწვის პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად); პრეზიდენტი ახმოვანებს დავით გარეჯის საზღვრების დადგენის აუცილებლობის თემას (უხეშად რომ ვთქვათ, აფხიზლებს აზერბაიჯანს), რაც მათი მხრიდან საპასუხო ქმედებებს იწვევს (საზღვრის კონტროლის გამკაცრება); საზოგადოება ძალზე ემოციურად რეაგირებს მომხდარზე, პოლიტიკური პარტიებისა და მათი მომხრე დაჯგუფებებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან მიმდინარეობს საზოგადოების პატრიოტულ გრძნობებზე თამაში; საზოგადოებაში ჩნდება პროტესტის გრძნობა და ღვივდება ქსენოფობიური განწყობები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისა და მეზობლის, აზერბაიჯანის მიმართ. აშკარაა, რომ ამ სცენარის შემოქმედი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის გაფუჭების მოსურნეა.

დავით გარეჯთან დაკავშირებული ვნებათაღელვა თანდათანობით ჩაცხრა, სამწუხაროდ, კოვიდპანდემიის გამო, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-

¹ კარტოგრაფების საქმე: სასამართლოში მოწმეების გამოკითხვა მიმდინარეობს [კარტოგრაფების საქმე: სასამართლოში მოწმეების გამოკითხვა მიმდინარეობს \[კარტოგრაფებისსაქმე-სასამართლო-ოქმ-ეებისგამ-ოცნებამ-იძღონა-ფოსტა-268303981-3ტმლ\]\(https://www.kartografiya.gov.ge/20220707/კარტოგრაფებისსაქმე-სასამართლო-ოქმ-ეებისგამ-ოცნებამ-იძღონა-ფოსტა-268303981-3ტმლ\)](https://www.kartografiya.gov.ge/20220707/კარტოგრაფებისსაქმე-სასამართლო-ოქმ-ეებისგამ-ოცნებამ-იძღონა-ფოსტა-268303981-3ტმლ)

დემარკაციის კომისიას ფაქტობრივად არ უმუშავია, საკითხი კვლავ ღიად რჩება; გამოორიცხული არ იქნება, რომ დაუდგენელი საზღვრების თემა, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ იქცეს შიდა თუ გარე ძალების მანიპულაციის იაღად.

რაც შეეხება აზერბაიჯანთან ლაგოდეხის მონაკვეთის საზღვარს, აქ ბოლო სასაზღვრო სოფელი მაწიმია, სადაც მდინარე მაწიმის ხიდთან მდებარეობს ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტი. მთხრობლის გადმოცემით, სოფლის გაღმა და გამოღმა ტერიტორია ოდესღაც დასახლებული ყოფილა; შაჰ-აბასის დროს აქედან ხალხი გადაუსახლებიათ და ეს მხარე გაუკაცრიელებულა. აქ გადიოდა აბრეშუმის გზა და ეს კონკრეტული მონაკვეთი მისი ერთერთი მაგისტრალია, სადაც დღემდე შემორჩენილია VII-XI საუკუნეების ქარვასლების ნანგრევები. საზღვრიდან 300 მეტრში არის ადგილობრივი მოსახლეობის სალოცავი. სადაც მაწიმის მოსახლეობა მიდიოდა და აღნიშნავდა დღეობას 20 მაისს. დღეს ეს ადგილი ნაწილობრივ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოხვედრილი. სოფელ მაწიმის თავზე ჯერ კიდევ ჩანს სამშენებლო ქვის გროვები, რაც დაახლოებით 4 კილომეტრის სიგრძეზე არის გაშლილი. . ლაგოდეხის საბაჟო კოვიდ პანდემიის დროს ჩაიკეტა და მოძრაობა მკაცრად კონტროლდებოდა, გადიოდა მარტო ტვირთები.

აზერბაიჯანთან საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ძალზე მწირია; ადგილობრივ მთხრობელთა მონაცემებით, ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გაურკვეველობა შეიქმნა საზღვრის აღნიშნული მონაკვეთის დელიმიტაციის საკითხთან დაკავშირებით. ამას დაემთხვა მაწიმის საზღვართან ბაზრობის გახსნის ფაქტი. ბაზრობის გახსნას ჰყავდა მოსურნეებიც და განმახორციელებლებიც. როგორც გადმოგვცემენ, ბაზ-

რობის ინფრასტრუქტურა ძალიან კარგად იყო მოწყობილი, თავისი სათავსოებით და სასაწყობე ადგილებით. როგორც რესპონდენტი გადმოგვცემს,

„ეს ბაზარი 7–8 ჰექტარზე იყო განთავსებული; შესათანხმებელი იყო საზღვრის კონკრეტული მონაკვეთი. სამ ჰექტარს ვგედავებოდა აზერბაიჯანი. ბაქოში ვიყავი ჩასული იმათ იქით შევუთანხმდი, აქეთ ჩვენებს, რომ შეხვედროდით და დაგვედგინა საზღვარი; საზღვრის დამდგენი კომისია მუშაობდა, სადაც შედიოდა სამი კაცი საქართველოს მხრიდან, სამი აზერბაიჯანიდან.თბილისიდან კომისია ჩამოვიდა, ზუსტად ის ივერი მეღაშვილიც იყო; აზერბაიჯანელები მოვიდნენ რუკებით, ჩვენები მოვიდნენ ჯიბეებში ხელეზნაწყობილები, მე მეკითხებოდნენ, რუკები არა გაქვსო? საზღვრის დამდგენი კომისია ხარ, მიდიხარ შეხვედრაზე კომისიის წევრი ხარ, ხომ უნდა მოემზადო, მომზადებული მიხვიდე, მე ამოვიღე იქ 1937 წლის კოლმეურნეობის მოწყობის გეგმები, იმ რუკით 200 ჰექტარი მიწა არის გაღასული იქით. ზერბაიჯანის მხარე გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ ბაზრობის ნაწილი მის ტერიტორიაზე ხვდებოდა, კერძოდ, საწყობები.“

„როდესაც საზღვარი გააგულეს მდინარე მაწიმის ხიდი უნდა გაყოფილიყო შუაზე, მაგრამ რაღაცნაირად ისე გააგულეს რომ ხიდიც იქით მოხვდა და ბაზრობის რაღაც ნაწილიც, ამიტომ ვეღარ იფუნქციონირა ბაზრობამ. აზერბაიჯანმა აღარ მისცა უფლება. იქიდან აღარავინ შემოდიოდა, და დაიხურა. დღესაც ცარიელია ის ადგილი. მესაზღვრეები ღვანან.“ (საველე მასალა, ლაგოდეხი, სოფ. მაწიმი 2022)

ადგილობრივი რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ წლების წინ საზღვართან დაკავშირებით მოსახლეობას ძალიან ბევრი პრობლემები ჰქონდა. მაგალითად, ლაგოდეხის სასაზღვრო მონაკვეთის დარღვევის მიზეზით 2003 წელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ მოკლა ახალგაზრდა მამაკა-

ცი. ხშირი იყო საქართველოს მოქალაქეების (მწვემსების) გატაცების შემთხვევები, რის საფასურადაც აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს, ადგილობრივთა თქმით, ხელმძღვანელობა ახალისებდა და შვებულებაში უშვებდა:

„რამდენიმე წლის წინ გადმოდიოდნენ მესაზღვრეები ქართველ მწვემსებს დაიჭერდნენ და წაიყვანდნენ, ვითომ საზღვრის დარღვევისთვის. ხან შექში მიჰყავდათ და ხან ბაქოში. აზერბაიჯანის მესაზღვრეები იგივეს აკეთებდნენ რასაც რუსი მესაზღვრეები შიდა ქართლში. ახლა აღარ ხდება, ბოლო 7-8 წლის განმავლობაში აღარ მომხდარა ასეთი რამ. აღბათ მთავრობების შეთანხმების გამო. ამ სოფელში თუ ვინმე მწვემსი იყო და საზღვრისპირზე საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა, უმეტესობა წაყვანილი ჰყავდათ, ჯარიმას ახდევინებდნენ და გამოუშვებდნენ. ბოლო წლებია მსგავსი რამ არ მომხდარა. ის კი არა, ძალიან რომ მოინდომო, ახლა საზღვარს ვერ დაარღვევ. ბოლო 5 წელია არავითარ კონტაქტზე არ ვართ აზერბაიჯანთან. ჩაკეტილია სრულად საზღვარი.“ (მაწიმი, 2021)

ხელმისაწვდომი წყაროებიდან ვგებულობთ, რომ საბაჟოს ამოქმედებამ და სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა, რაც მდგომარეობდა მგზავრებისთვის გადასატანი ტვირთის რაოდენობის შეზღუდვაში, გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია ორივე სახელმწიფოს მოქალაქეებში. საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა გამოთქვამდა საყვედურს, რომ ადგილობრივი მებაჟეები მათ მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. „მოქმედი კანონმდებლობით, ფიზიკურ პირს დღეღამეში ერთხელ, დაუბეგრავად მხოლოდ 5 კგ-მდე 200 ლარის ღირებულების საქონლის შემოტანა შეუძლია. 5 კგ-ს ზევით საქონელი უკვე იბეგრება. მოსახლეობა მებაჟეებს

§ II. ინტერკულტურული კომუნიკაცია და საზღვრისპირა მოსახლეობის ყოფის ზოგიერთი ასპექტი

ისტორიის სხვადასხვა პერიოდში საქართველო, თავისი მულტიეთნიკური შემადგენლობის გამოისობით, ხშირად მდგარა მრავალი გამოწვევის წინაშე, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, ნებით თუ იძულებით, ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად მოძრაობდნენ, შემოდდიოდნენ და გადიოდნენ, ადგილმონაცვლეობდნენ; ზოგიერთი მკვიდრდებოდა და სამუდამოდ აქ სახლდებოდა, ზოგი ასიმილაციას განიცდიდა, ზოგი ინტეგრირდებოდა ან მარგინალურ ჯგუფად რჩებოდა; იყვნენ ისეთებიც, ვისაც სხვისი ტერიტორიისადმი პრეტენზიები უჩნდებოდათ (ოსების მსგავსად) და ქვეყანაში დღემდე დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნიან. საქართველოს ეთნოკულტურული მრავალფეროვნება დიდწილად განაპირობებდა არადომინანტი ეთნოსების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკას და ინტერკულტურული ურთიერთობის სტრატეგიას.

როგორც მონოგრაფიის დასაწყისში აღინიშნა, აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე კახეთის 4 მუნიციპალიტეტიში (ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, საგარეჯო), გარდა ქართველებისა (როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი), არაქართული თემებიდან ძირითადად კომპაქტურად სახლობენ აზერბაიჯანელები და სომხები, ხოლო შერეულად – ლეკები, რუსები, ოსები და სხვ. ოფიციალური მონაცემებით, მთლიანად კახეთის რეგიონში აზერბაიჯანელები არიან მოსახლეობის 10,16%, ქისტები–1,75 %, ოსები–0,79%, სომხები–0,69% და რუსები–0,60 %.¹ როგორც

¹ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა [ქტტპ/კეცსეც/გა/რუსულ/ტექნუს/დე მ ო](#)

ეხედავთ, არადომინანტი ეთნოსებიდან რეგიონში რაოდენობრივად აზერბაიჯანელები ჭარბობენ.

აზერბაიჯანთან მოსაზღვრე კახეთის რეგიონში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფები საქართველოს ეთნოუმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ზოგიერთ სხვა მხარესთან შედარებით (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), შედარებით მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი და სამეცნიერო თვალსაზრისითაც ნაკლებად შესწავლილი; ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის უმცირესობების ისტორიის, მათი ყოფისა და ინტეგრაციის შესწავლის კუთხით კი მნიშვნელოვანი ნაშრომები არსებობს.¹ სამწუხაროდ, სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული კახეთის საზღვრისპირა ზოლის არც ქართველი და არც არაქართველი მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური ყოფა და კულტურა, რაც დღეს საშუალებას მოგვცემდა, თამამად გვემსჯელა პოსტსაბჭოთა პერიოდში აღნიშნულ დასახლებებში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების შედეგებზე; თუმცა, ამ დინამიკის მეტ-ნაკლებად წარმოჩენა ეთნოგრაფიული მასალით შესაძლებელია.

საკვლევი სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის მრავალფეროვანმა ეთნიკურმა შემადგენლობამ განაპირობა პოსტსაბჭოთა პერიოდში ეთნიკურად განსხვავებულ თემებში ეთნოკულტურული ტრანსფორმაციის განსხვავებული მიმდინარეობა.

წიგნის მეორე თავში უკვე ითქვა, რომ აზერბაიჯანთან უშუალოდ მოსაზღვრე დედოფლისწყაროს სამი სოფლიდან ორი – სამთაწყარო და ფიროსმანი, ქართველებით

¹ კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. თბ.1998; სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში (ეთნოუმცირესობა და სამოქალაქო საზოგადოება ქვემო ქართლში) თბ.2011; ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში(სომხები და აზერბაიჯანელები), თბ., 2021 და სხვ.

არის დასახლებული, ხოლო საბათლო სომხური სოფელია, სადაც რამდენიმე აჭარული ოჯახიც ცხოვრობს. სამთაწყაროში ძირითადად ინგილოები და აჭარლები სახლობენ, არის სვანების და ქისტების რამდენიმე ოჯახიც; ინგილოები აქ გასული საუკუნის დასაწყისში მოსულან. აჭარლები კი 1980-იანი წლებიდან. როგორც სამთაწყაროელი აჭარლები პრესასთან ერთ-ერთ ინტერვიუში ხუმრობით იხსენებენ, ეს ჯგუფები თავდაპირველად ერთმანეთისგან იმდენად გაუცხოებული ყოფილან, რომ აჭარელი ინგილოსთან ცეკვითაც კი არ ცეკვავდნენ. ორივე ჯგუფი ცალკე უბნებად სახლობს. მათ სასაფლაოებიც ცალ-ცალკე აქვთ. დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ ამ ჯგუფებმა იოლად განიცადეს ინტეგრაცია და დღეს ჰარმონიულად თანაცხოვრობენ. აჭარელი მთხრობლის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ჯგუფი ქრისტიანია და მეორე მუსლიმი, მათ შორის არანაირ კონფლიქტი და გაუგებრობა არ მომხდარა ერთადერთი შემთხვევის გარდა.

„ერთიერთობა არაჩვეულებრივი გვაქვს ერთმანეთთან; შეუღლება, გათხოვება თუ ცოლის მოყვანა, ერთმანეთში ხდება. სავარაუდოდ 10 წლის წინ იყო პატარა გაურკვეველობა – მეჩეთის აშენება დაიწყო აჭარლებმა და აჭარლებსა და ინგილოებს შორის წარმოიქმნა დაძაბულობა. სახლში ღოცვაზე არასდროს ყოფილა პრობლემა, როგორც კი ოფიციალურად დაიწყო აშენება, ხალხში პროტესტი გაჩნდა; მაგრამ, აშენება, არც მოხერხდა და აღარც ააშენეს. პატარა დაძაბულობა იყო, მაგრამ საღად მოაზროვნე იმდენად დიდი მასა იყო, რომ ადვილად გადაიარა. მონასტერი გვაქვს წმინდა ნინოს სახელობის, ინგილოებს აქვთ პატარა სალოცავი.“ (საველე მასალა, დედოფლისწყარო, სოფ. სამთაწყარო, 2022).

დღეს სამთაწყაროში მცხოვრებ აჭარელთა თითქმის 80 % ქრისტიანია; ეს ფაქტი პოსტსაბჭოთა პერიოდის კულტურული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო

მაგალითია. იგივე ვითარებაა აჭარლებით დასახლებულ სოფ. ფიროსმანშიც. ხშირად, ერთ ოჯახში უფროსი თაობა მუსლიმია, ახალგაზრდა კი ქრისტიანი. აღსანიშნავია, რომ რელიგიური აღმსარებლობის შეცვლის გამო, ახალგაზრდებს უფროსი თაობის მხრიდან წინააღმდეგობა არ ხვდება:

„სალოცავი გვაქვს, ჯამე არის. სამლოცველო გვაქვს ქრისტიანულიც, ჩემი თაობის ნახევარი მონათლულია, ნელ-ნელა ქრისტიანობა შემოდის. წინააღმდეგობა მონათვლაზე ოჯახებში არ არის. შეიძლება, მამაჩემის ასაკის, ანდა ბაბუაჩემის არ მოინათლოს, მაგრამ ახალგაზრდებს არ გვიშლიან. შეიძინე წლის ვიყავი, მე და ჩემი ძმა რომ მოგვნათლეს. სასაფლაო აქვს სოფელს. ერთად იკრძალება მაჰმადიანიც და ქრისტიანიც. დაპირისპირება არ არის. ერთ ოჯახში არიან მაჰმადიანი და ქრისტიანი და ერთმანეთს ცუდს როგორ ვაკადრებთ.“ (საველე მასალა, ფიროსმანი, 2022).

უნდა ითქვას, რომ ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა ქვემო ქართლში ჩამოსახლებულ აჭარლებს შორისაც, სადაც ბოლო წლებში წინამდებარე მონოგრაფიის რამდენიმე ავტორმა კვლევა ჩაატარა.

სამთაწყაროელ ინგილოებს საინგილოში, ანუ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ნათესავეები ჰყავთ; იქ არის მათი წინაპრების საფლავები და სალოცავები. საბჭოთა ეპოქაში და შემდგომ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში,¹ მათ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ჰქონდათ; სამთაწყაროელები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ალაზანზე გადებული ხილით გადადიოდნენ. რომელიც დღეს არ ფუნქციონირებს; ინგილოების გარდა, აზერბაიჯანში საქართველოს მოსახლეობა ინტენსიურად მიდი-მოდოდა არა მარტო ნათესავე მეგობრებთან, არამედ სავაჭროდ და პირიქით, აზერბაიჯან-

¹ 2006 წლიდან ინტერვალებით, ხოლო კოვიდ პანდემიის გამო, საზღვარი საერთოდ ჩაიკეტა.

ნის მოსახლეობაც აქეთ თავისუფლად გადმოდიოდა საჭიროების შემთხვევაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1990-იანი წლების კრიზისის ფონზე და მძიმე ყოფითი პირობების გამო, სამთაწყაროსა და ფიროსმანის მოსახლეობამ საცხოვრებელი სახლები გაყიდა ან მიატოვა. ისინი უმთავრესად რუსეთში გადავიდნენ საცხოვრებლად ან აჭარაში დაბრუნდნენ.

„აჭარლებს თავიდან აქ (ფიროსმანში) ცხოვრება არ გაჭირვებიათ, იმიტომ რომ საცხოვრებელი გარემო კარგი იყო, ცხოვრების წესი შუალედში გაჭირდა და გადინება მოხდა სოფლიდან. გზა იყო დედოფლისწყაროდან ძალიან ცუდი, თბილისიდან ჩალაუბნამდე საათი და 20 წუთი გვჭირდებოდა და იქიდან აქამდე 4 საათი. სიღნაღის გადმოსახვევიდან გზა აღარ იყო. 2012 წლამდე ეს სოფელი სანახევროდ იყო დაცლილი. 75 ოჯახი იყო გასული, მათ შორის მეც გასული ვიყავი.“ (საველე მასალა, ფიროსმანი, 2022).

სახლვრისპირა სოფლებიდან მოსახლეობის გადინება 21-ე საუკუნის პირველ დეკადაშიც გაგრძელდა, რაზედაც ზემოთ ნახსენები მიზეზების გარდა, აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი სამთაწყაროს ხიდის ჩაკეტვამაც იმოქმედა. ამასთან დაკავშირებით, 2007 წელს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ (უ ა ნ დ ზ ჰ) მიერ გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, რომ მდინარე ალაზანზე გადებული, თავის დროზე სამხედრო დანიშნულების, მყარად ნაშენი ხიდი, ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს და საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლების დავალებით, სპეცრაზმმა 2005 წლის 31 დეკემბერს ჩაკეტა. ხილთან მისასვლელ გზაზე არსებული თხრილი, სამთაწყაროში მცხოვრებმა ინგილოებმა რამდენჯერმე ამოავსეს. თუმცა, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა გზა კვლავ გადათხარეს და თხრილში მიმავალი წყალი ზედ ხიდზე მიუშვეს. ხი-

დის ჩაკეტვის მიზეზად, ხან მის გაუმართაობას, ხან კონტრაბანდას ასახელებდნენ. ხიდის ჩაკეტვის შედეგად, სამთაწყაროელები ვეღარც საინგილოში მცხოვრებ ნათესავებს, ოჯახის წევრებს და მეგობრებს უკავშირდებოდნენ და ვეღარც წინაპართა სალოცავებში და საფლავებზე მიდიოდნენ. გზის გახსნის მოთხოვნით არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა, მაგრამ ყველა დაშალეს ან დაარბიეს. ინგილოებმა დასახმარებლად მიმართეს: პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას, სახალხო დამცველს, პატრიარქს, ოპოზიციას, ორჯერ ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტსაც მისწერეს, მაგრამ – უშედეგოდ. იმავე პუბლიკაციაში ადგილობრივი რეპონდენტი აღნიშნავს:

„ასეთი ცინიური დამოკიდებულების გამო, აზერბაიჯანის მოქალაქეობაზე ფიქრიც დავიწყეთ, მაგრამ საინგილოში საცხოვრებლად დაბრუნება ჩვენთვის პრობლემაა, რადგან იქ დღესაც შეზღუდულია ქართული წირვა-ლოცვა, ქართული სახელების დარქმევა და მშობლიურ ენაზე საუბარი. მაგრამ აქ კიდევ შიმშილით ვწყდებით. რაიონული ცენტრიდან ძალიან შორს ვართ. გზა გაფუჭებულია. ამ ხიდზე ვიყავით დამოკიდებულები და ეს იყო ჩვენთვის ერთადერთი საარსებო საშუალება. ლეგალური გზით პროდუქტებიც ამ ხიდის გავლით შემოგვქონდა და ის საავადმყოფოც, რომლითაც ვსარგებლობდით, ხიდგადმა დარჩა.“¹

მედის ინფორმაციით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე სოფელი სამთაწყარო სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. ისტორიულ ჰერეთთან დამაკავშირებელი ხიდის ჩაკეტვის შემდეგ, მოსახლეობის საარსებო პირობები მკვეთრად გაუარესდა. სტატისტიკური მონაცემებით, საზღვრისპირა სოფელში მცხოვრები 480 ოჯახიდან სამთაწყარო 200-მდე ოჯახმა დატოვა. გლეხებმა სამუ-

¹ გ. მთივლიშვილი. საზღვრისპირა სოფლებიდან მოსახლეობა აიყარა, 07, 2007, ხელმისაწვდომია: www.360.ge/ინფო.სპ.პ.ა.მ.აი.წ.პი.დ.6624&ლ.ა.გ.ვ.ე.ო

შაოდ თურქეთს, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებს მიაშურეს.

2006 წლის გაზაფხულზე ხიდი გაიხსნა ფეხით მოსიარულეთათვის, თუმცა მოსახლეობა გადასვლას მაინც ვერ ახერხებდა, რადგან პირველი სოფელი ხიდიდან 8 კმ-ით არის დაშორებული; იქამდე მისვლა კი სახიფათოა გზის პირას დაბინავებული მეცხვარეების ძაღლების გამო; ასევე გასაველელი არის ტყის მონაკვეთი, სადაც არსებობს გარეული ცხოველების თავდასმის საფრთხე¹.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მართალია აზერბაიჯანი და საქართველო ერთმანეთთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით სარგებლობენ, მაგრამ გადასვლა გამშვები პუნქტების მეშვეობით ხორციელდება. კოვიდ პანდემიის გამო ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა საერთოდ შეწყდა; 2020 წლიდან განახლდა საჰაერო მიმოსვლა, მაგრამ ჩაიკეტა სახმელეთო საზღვრები, რამაც განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს აზერბაიჯანული თემის წამომადგენლებში, აქაურ და აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებში.

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებიდან მოსახლეობის გადინების პროცესი ერთგვარად შეაჩერა უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მიერ რეგიონში განხორციელებულმა მთელმა რიგმა ინფრასტრუქტურულმა, ეკონომიკურმა, სამეურნეო და სხვა ხასიათის პროექტებმა; გაკეთდა გზები, გაიყვანეს გაზი, მოწესრიგდა ელექტრომომარაგება. სოფლები უზრუნველყოფილია ინტერნეტით (თუმცა, ხშირად პრობლემა აქვს; ჩვენი საპროექტო ჯგუფის იქ ყოფნის დროს ახალი ქსელები გაჰყავდათ). ყოველივე ამან ხელი შეუწყო ყოფითი პირობების გაუმჯობესებას

¹ გ. მთივლიშვილი. საზღვრისპირა სოფლებიდან მოსახლეობა აიყარა, 07, 2007, ხელმისაწვდომია: www.iranpress.com/ინფო.პიპ?ა=მ აიწპილ6624&ლაფ=გეო

და, მთხრობელთა თქმით, მოსახლეობის შემობრუნება განაპირობა; ნელ-ნელა გეარდება სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემა. სამთაწყაროელი რესპონდენტის თქმით, „ვერავის წარმოედგინა აქ 24 საათიანი წყალი, ვინც ყიდოდა სახლებს, ყველამ გააჩერა.“ (საველე მასალა, სამთაწყარო 2022)

იგივე პროცესები მიმდინარეობს სოფ. ფიროსმანში.

„ფიროსმანში 156 კომლი ცხოვრობს. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. სარწყავი სისტემა გაკეთდა. სარწყავი ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არის, ვიხდით 75 ლარს წელიწადში. სასმელი წყალი ორ დღეში ერთხელ გვაქვს, ახალი ტაბურდები კეთდება, შიდა ქსელი უკვე გაკეთებულია და წლის ბოლომდე გვექნება ოცდაოთხსაათიანი სასმელი წყალი. გაზიც გვაქვს. ახლა რომ გაიკითხო, ფიროსმანში ერთ სახლს ვერ ნახავ გასაყიდს. ახლა უკვე აშენებას იწყებენ; ერთი ოჯახია, სოფლიდან წასვლა არ უნდა, სახლი არსად იყიდება და უნდა ააშენოს. დაბრუნდა ხალხი. ეკონომიკური საშუალება გაჩნდა ხალხში“ (საველე მასალა, ფიროსმანი, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ფერმერული სამუშაოებით დაკავდა, ადგილზე დასაქმების პრობლემა მაინც არსებობს. ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის საკითხებზე ჩვენთან საუბრისას, ორგანიზაცია „ლაგის“ წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა დასაქმების საკითხს და სამუშაო ადგილების შექმნა მოსახლეობის სოფელში დამატების მნიშვნელოვან პირობად მიიჩნია:

„თუკი მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საზღვრისპირა სტატუსით რაღაც შეღავათები ჰქონდეთ, ისე როგორც მაღალმთიან რეგიონებს აქვთ, რაღაც დონეზე კარგი იქნება. მაგალითად, ჩვენთან შეიძლება განვითარდეს სავაჭრო ურთიერთობა აზერბაიჯანთან. სამთაწყაროში იყო ხიდი, ძალიან კარგი იქნება ევ თუ აღდგება.“

საბაუო-გამშევი პუნქტი შეიძლება გაკეთდეს, ტერმინალი შეიძლება გაკეთდეს. ტვირთების გადატანა შეიძლება მოხდეს. არხილოსკალოში სამხედრო „გარადოკი“ იყო, აეროპორტი იყო გაკეთებული, ნანგრევებია ახლა; თითქმის, საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტი იყო, თვითმფრინავები ჯდებოდა.; ასარბენი ბილიკი იყო ისეთი კარგად გაკეთებული! მანდაც შეიძლებოდა, სატვირთო ფრენები ყოფილიყო. ბევრი შესაძლებლობა არის. საზღვრისპირა სტატუსის მიღებაზე ბევრჯერ იყო საუბარი, ლავოდეხიც საზღვრისპირა რეგიონია, საზღვრების გამაგრება რომ მოხდეს პოლიტიკური დატვირთვაც აქვს ამას. ბუნებრივია, მოსახლეობისგან რომ დაიცლება, სხვა ჩამოსახლება. არაბები ჩამოვლენ, ინდოელები ჩამოვლენ.“ (საველე მასალა, დედოფლისწყარო, 2022).

კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ აღნიშნული საზღვრისპირა ქართული სოფლების მოსახლეობა იშვიათად ქმნის ეთნიკურად შერეულ ოჯახებს; ქალებს სხვა ქართული სოფლებიდანაც თხოულობენ და აქედანაც თხოვლებიან სხვა სოფელში. ჩემი რესპონდენტის ინფორმაციით, „ვიდრე საზღვარი დაიკეტებოდა, აზერბაიჯანიდან ცოლები აჭარლებს არ მოჰყავდათ და არც ახლა მოჰყავთ. ერთი თუ ორი შემთხვევა იყო, სომეხი მოიყვანეს. მე ლავოდეხიდან მყავს ცოლი, წარმოშობით აჭარიდანა.“ (საველე მასალა, ფიროსმანი, 2022).

თუმცა არაქართველებთან ნათესაურ კავშირებს არ ამყარებენ, ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ; ჯერ კიდევ შემორჩენილია შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიცია, როდესაც სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისას ერთმანეთს უსასყიდლოდ უმართავენ ხელს. როგორც ამბობენ, მეზობლებთან და ახლობლებთან ფულზე ლაპარაკი უხერხულია; საზღაურისთვის კი დაქირავებულ დღიურ მუშებად მიდიან; არის ბრიგადები, სადაც მუშახელს ქირაობენ. სამუშაოს ტიპის მიხედვით, დღიური

ანაზღაურება 30-50 ლარია. საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის ურთიერთსიახლოვე და სამეზობლო ურთიერთობები, მათი თქმით, განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ქურდობა მათთან თითქმის არ ხდება. ერთმანეთის გვერდით ცხოვრებამ მათი ტრადიციული კულტურული ელემენტების, უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო ტრადიციების, ურთიერთშეღწევა განაპირობა; მაგალითად, აჭარლებმაც კახელებივით ვენახების გაშენება და ღვინის წარმოება დაიწყეს.

რაც შეეხება სიდნაღის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფელ ერისიმედს, მასზე წინამდებარე თავის პირველ პარაგრაფში პოლიტიკურ ჭრილში უკვე ვისაუბრე; საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ამ მონაკვეთის დელიმიტაცია-დემარკაციის ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხი წლებია პრობლემას უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. სოფლის სახელწოდებიდან გამომდინარე, ერისიმედი, მართლაც, ერის საიმედოდ გააშენეს საქართველოს საზღვრის გამაგრების განზრახვით. ერისიმედის მოსახლეობა, რომელიც ძირითადად აჭარიდან ჩამოსახლებული ოჯახებისაგან შედგება, ჰარმონიულად თანაცხოვრობს სოფელში მოსახლე ქისტებთან და კახელებთან. აჭარლების ერთი ნაწილი, უმეტესად ახალგაზრდა თაობა, ნელ-ნელა გაქრისტიანდა. ასე რომ, სოფელი ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით შერეულია. მთხრობელი გადმოგვცემს:

„სოფელში ქრისტიანებიც არიან და მუსულმანებიც. მაგ ნიადაგზე წინააღმდეგობა არ იქმნება. ძალიან კარგი ურთიერთობები აქვთ. ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს ვესწრებით. ქორწილებს ვიხდით ღვინოც გვაქვს და ქრისტიანულად ყველაფერი. ჩემი შვილები მონათლული არიან. აჭარელთა ნაწილი ისევ ძველ რწმენაზე დარჩა, ახალგაზრდობამ კი უფრო ქრისტიანობა მიიღო. ამის გამო ოჯახში ნამდვილად არ ხვდებათ წინააღმდეგობა, ღრმად მორწმუნე ოჯახი თუ არ არის; მაგრამ, აჭარლები – არც

იქეთ და არც აქეთ, ძალიან ღრმად ვერ არიან რწმენაში. სალოცავი მუსლიმ თემს აქვს, არის ჯამე. ცოტა კი განსხვავდება ქისტების და აჭარლების რელიგია, მაგრამ ჯამეში აჭარელი მუსულმანი და ქისტები ერთად შედიან.“ (სამთაწყარო, 2022).

ინტერვიუდან ირკვევა, რომ სოფლის დაარსებისთანავე სოფელში ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ, მაგრამ შემდეგ შეჩერებულა. მასალა მიტანილია და მას ხელს არავინ ახლებს. სოფლის ქრისტიანი მოსახლეობა აქ სალოცავად მიდის ხოლმე. მოსახლეობას აქვს სურვილი რომ ეკლესიის მშენებლობა გაგრძელდეს.

როგორც აზერბაიჯანთან მოსაზღვრე კახეთის სხვა სოფლების, ისე ერისიმედის მოსახლეობას საბჭოთა პერიოდში, და შემდგომაც, გარკვეული დროით, აზერბაიჯანთან თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდა. რესპონდენტის ინფორმაციით, „დაახლოებით 2002–2003 წლამდე იყო მიმოსვლა. აღარ ვიცი, დღეს იქით რა ხდება. ყონალები გვყავდა, მეგობრები, ოჯახებით ვავდიოდით, ჩამოდიოდნენ. ითითათაა, სოფელი; გვინი ადრე ინგილოები იყვნენ, ოღონდ რწმენაშეცვლილები. ჩვეულებრივ ქართულად ლაპარაკობდნენ, ოღონდ ცოტა დამახინჯებულად, დიალექტით. საზღვარი როცა გაეგლო, ურთიერთობა შეწყდა. ერთმანეთში გათხოვება-გამოთხოვების შემთხვევები არა გვქონია. მეგობრობა გვქონდა, ქორწილებში დაპატივება ვიცოდით. საჯარო ურთიერთობები იყო მაშინ, საწვავი გადმოჰქონდათ, აქედან ერთი ხანი შაქარი და კარაჩი ვაჰქონდათ. შიმშილობა რომ ჩამოვარდა, იმ წლებში სიმინდი იქიდან გადმოგვქონდა. მერე შეწყდა. რამდენიმე წელია, რაც გზები საერთოდ ჩაიკეტა.“ (სამთაწყარო, 2022).

1990-იანი წლების რთული ეკონომიკური ვითარება და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები (ამას დამატებული, იზოლაცია მეზობელი აზერბაიჯანისგან) ერისიმედის მცხოვრებთ იძულებულს ხდიდა ცხოვრების გაუმჯობესე-

ბის მიზნით სოფელი მიეტოვებინა და სამუშაო სხვაგან ეძებნა. დღეს სოფელში, სადაც, სახელმწიფომ 150 სახლი ააშენა, 75-მდე კომლი ცხოვრობს.

ხემოთ, სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაცია მოვიტანეთ; იქვე ნათქვამი იყო, რომ ამავე პერიოდში იგივე ვითარება შეიმჩნეოდა კახეთის სხვა საზღვრისპირა სოფლებში, მათ შორის, სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედშიც, სადაც სოფლიდან მოსახლეობის გადინების შედეგად მიტოვებულ სახლებს აზერბაიჯანიდან გადმოსული მწყემსები ეპატრონებოდნენ. ხოლო დედოფლისწყაროს რაიონში, მდინარე ივრის პირას, აზერბაიჯანელებით დასახლებული პატარ-პატარა უბნები უკვე სოფლის მასშტაბებს იძენდა¹.

მოგვიანებით, ცენტრალური ხელისუფლებისა თუ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა სოფელში ზოგადად გააუმჯობესა მდგომარეობა (გამოყვანილია სასმელი წყალი, მოგვარდა გზის პრობლემა, არის კლუბი და ამბულატორია, დამონტაჟებულია ჯეოსელის და მაგთის ანძები, აღარ არის ინტერნეტის პრობლემა, საქართველოს სატელევიზიო არხებს ჩვეულებრივ იჭერს); მიუხედავად ამისა, მაინც არის მოუგვარებელი საკითხები, რომელთა გადაუჭრელობაც, სავარაუდოდ, სოფლის არსებობას საფრთხეს შეუქმნის (არ არის გაზი; როგორც საზღვრისპირა სოფლის მოსახლეობას, არ აქვს რაიმე უპირატესობები და შეღავათები; არ აქვთ მაღაზია, არც აფთიაქი).

ინფორმატორის ცნობით, „თავისი შემოსავლით სოფელი ღონიერი არ არის, საშუალო ღონეა. გაზი რომ შემოიყვანონ, მაღაზია რომ იყოს, სოფელში დარჩენის, და-

¹ გ. მთივლიშვილი. საზღვრისპირა სოფლებიდან მოსახლეობა აიყარა, 07, 2007, ხელმისაწვდომია, [პრეტერა უ.კუი ანტრეტე/ინტესპკა?ა=მ აიფიკიდ6624&ლავ=გეო](#)

მაგრების პერსპექტივა უფრო იქნება. თუ ასე წავიდა საქმე, დროთა განმავლობაში დაიცლება სოფელი. ახლა გადიან ახალგაზრდები ზოგი პოლონეთშია, ზოგი გერმანიაში, 40–45 სულამდე ახალგაზრდაა გასული, ბევრია ასეთი პატარა სოფლისთვის...ეს ფასების ზრდა, დაძვირება, ასეთი ტემპით გადინება, მალე დაცლის სოფელს. ამ ტერიტორიების დაკარგვის საშიშროებაც დადგება.“ (სოფ. ერისიმედი, 2022).

ერისიმედის აჭარელ მოსახლეობას, როგორც ზოგადად საქართველოში აჭარიდან ჩამოსახლებულ ყველა აჭარულ თემს, აჭარასთან კავშირი შენარჩუნებული აქვს. სანათესაო იქ ჰყავს და შეძლებისდაგვარად ახერხებენ მისვლა-მოსვლას. საქორწინო კავშირებს ძირითადად ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებთან ამყარებენ, ურჩევნიათ ისევ აჭარლებთან დანათესავენ. სოფელში მრავალშვილიანი ოჯახები ცოტაა. საშუალოდ 3-4 ბავშვს აჩენენ. ახალგაზრდებს არ აქვთ ადგილზე დასაქმების პერსპექტივა და მასიურად გადიან სოფლიდან, ძირითადად, ან დასავლეთ ევროპაში, ან ქვეყნის შიგნით – აჭარაში, რუსთაველაში და სხვ.

რაც შეეხება საგარეჯოს რიონის სასახდვრო სოფელ უდაბნოს, ის ეკომიგრანტი სვანებით არის ძირითადად დასახლებული, მცირე რაოდენობით არიან აზერბიჯანელებიც. აქაურ სვანებს შენარჩუნებული აქვთ კავშირები მშობლიურ კუთხესთან და კახეთშიც თავიანთი ტრადიციების დამცველები არიან. ძირითადად მისდევენ მესაქონლეობას და რძის პროდუქტების წარმოებას. აქაც ჩვეულებრივ დგას ახალგაზრდების დასაქმების და სოფლიდან მათი გადინების პრობლემა. თუმცა, მათ მეზობლად 15 000 ჰექტარზე გაშენებულმა უდაბნოს მეურნეობამ¹, უმუშევრობის საკითხი ნაწილობრივ მოაგვარა, და როგორც ჩვენ

¹ მეურნეობის შესახებ ინფორმაცია იხ: <https://www.facebook.com/profile.php?id=100066577521036>

რესპონდენტები აცხადებენ, მოსახლეობა აქ სეზონურად (8 თვის განმავლობაში) მუშაობს; ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უდაბნოს მეურნეობაში, რომელიც მოიცავს ხეხილის ბაღებს, კენკრის და ბოსტნეულის პლანტაციებს, საქონლის და ფრინველის ფერმებს და ა.შ., სულ 500-მდე პირია დასაქმებული; აქედან სოფელ უდაბნოდან, დაახლოებით, 100-მდე ადამიანი. ქართველების გარდა, აქ აზერბაიჯანელებიც მუშაობენ მუდანლოს თემიდან. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს გაშენებულ მეურნეობას, რომელსაც აქვს ევროპაში ყველაზე დიდი ნუშის ბაღების ქონის პრეტენზია, უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, სახელმწიფოს საზღვრისპირა ზოლის გამაგრების ფუნქციაც აკისრია.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ქართულ სოფლებში (მაწიმი, რაჭისუბანი, თამარიანი, ულიანოვკა და სხვ.) მოსახლეობას ყოფილი პირობები უფრო მოწესრიგებული აქვს, თუმცა, უმუშევრობა აქაც აიძულებს ერთ ნაწილს, სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდეს. ურთიერთობა აქაურ ეთნიკურ უმცირესობებსა და ქართველებს შორის ნორმალურია; როგორც აცხადებენ, *„ჩვენ გვერდზე ცხოვრობენ და უნდა ვიყოთ ნორმალურად“*.

ეთნოკულტურული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით განსხვავებულია ვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა სოფლებში. როგორც ცნობილია, ეს დასახლებები პოსტსაბჭოთა პერიოდში ერთგვარ ეთნო-ლინგვისტურ კუნძულებად იქცნენ, ნაწილობრივ, მარგინალიზებულ ჯგუფებად, რომელთაც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა შეექმნათ. ამ ჯგუფებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მშობლიური ენა, რელიგია, კულტურული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, როგორც მათი იდენტობის

განმსახვრელი მარკერები¹. სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დიდი სამუშაო გასწიეს სახელვისპირა არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოში რეინტეგრაციის სტრატეგიის შესამუშავებლად. ძირითადი აქცენტი უმცირესობათა განათლებაზე და სახელმწიფო ენის სწავლებაზე კეთდება, რის შესახებაც მომდევნო თავში იქნება საუბარი.

უმცირესობებით დასახლებულ სოფლებიდან ზემოთ უკვე ვახსენე სომხური სოფელი საბათლო, რომლის მოსახლეობა საქართველოში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტის მერე (1918-1920 წ.წ.) ყარაბაღიდან წამოვიდა. თავად სოფელი ოფიციალურად 1922 წელს დაარსდა. საბჭოთა პერიოდში აქაურ სომხებს მეზობელი აზერბაიჯანის მოსახლეობასთან საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც იხსენებენ: „ურთიერთობა გაღმა ხალხთან გვექონდა, კახთან კარგად ვიყავით, ნაგებით გადადიოდა ხალხი. სოფელი ღალალო იყო ახლოს, მოტორიანი ბორანი იყო. ყარაბახის ომის (1988 წლიდან, დღემდე პერიოდულად წყვეტილად მიმდინარე) მერე დაიძაბა ურთიერთობა. სავაჭროდ დავდიოდით, მწვანე ლობიო, არაყი, ღვინო ბაზარში ვავექონდა. თუთის ფოთლები მიქონდათ აბრეშუმის ჭიისთვის, შინდი, თხილი, კაკალი, ხილი მოქონდათ იქიდან. მაღაზიები უფრო ახლოს იყო. ბრინჯი, შაქარი იქიდან მოქონდათ. დედოფლისწყაროში ასვლა უფრო ძნელი იყო, იმიტომ, რომ ვზა დანგრეული იყო. სამი საათი უნდოდა სანამ იქ ავიდოდით. ისეთი კარგი ურთიერთობა იყო, რომ ყველა ოჯახს ჰყავდა ყონალი. დიდ პატივს სცემდნენ ჩვენს ხალხს, ჩვენც პატივს ვცემდით. კონფლიქტის მერე ძალიან შეიცვალა ურთიერთობა (საბათლო, 2022)

¹ ამასთან დაკავშირებით იხ. . ელიცვილი, „ჯალალბეგ ანგუაგე ანდ ტანიც ოუნდარეს ინ ულქუნის ეორია, ტომში: „ ინსტიტუც ჩონსტრუქტოვ ტნიც ოდეჩ“, რსკფრ 2015, გვ. 83-94

მთხრობლის ინფორმაციით: „ვნანობთ, რომ იქ (აზერბაიჯანში) ვეღარ გადავდივართ, იქ რომ მივდიოდით, ჩვენ ხალხს ძალიან დიდ პატივს ვცემდნენ. ჰერეთი ახლა იქით არის, მაგრამ ჩვენი მიწა-წყალია, ხომ! საოცარი ადვილებია. ისეთი ბუნება! იქ გავიზარდე – ჩემი მამიდა კახში ცხოვრობდა. სომეხი იყო. კახიდანაც გააგდეს ლტოლვილებად, სომხეთში წავიდნენ, ზოგი რუსეთში. 20 თუ 30 წლისთავზე 20 000 დახმარება მიიღეს ბინებისთვის. არავინ არ იცხოვრა იმ ბინებში. ისეთი პრობლემები იყო. ჩემი მამიდის ოჯახი ამბობს, „სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი მიწა-წყალი მანდ არი!~. ჩემი მამიდას სახლი იყიდა მაშინ აზერბაიჯანელმა. კარგი კაცი იყო, ძმაკაცი, ამათი ყველაფერი სარდაფში შეინახა. ... ზოგი დაეხმარა მეზობელს მანქანით გადმოიყვანა. ერთი თათარი ქალი იყო, ჩვენი სომეხი ბიჭები ვითომ თათრები, თავისი შვილები იყო ისე ინახავდა, მოიყვანა საზღვრამდე და გამოუშვა. ერთი კვირით ადრე, რომ დაიძაბა სიტუაცია, ვუთხარით, გადმოდიოთ, ნუ რჩებით მანდ-თქო, არ სჯეროდათ. არავინ არ წამოვიდა! რას ლაპარაკობთ, ჩვენი მეზობლები ისეთები არიანო, ვერავინ ვერაფერს გვეტყვისო, არ სჯეროდათ. სასომხეთში არიან ჩვენები და ამბობენ სიზმარში სულ იქა (კახში, ნ.ჯ.)გართო.“ (საბათლო, 2022).

ბოლო პერიოდში მიმდინარე ყარაბაღის კონფლიქტის დროს საბათლოელი სომხები ყარაბაღელ სომხებს თანაუგრძნობდნენ. მართალია საბათლოდან იქ არავინ არ იბრძოდა, მაგრამ სომხეთში მცხოვრები მათი ბევრი ნათესავი და ახლობელი ამ ომს შეეწირა. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა, ყარაბაღის კონფლიქტის მიუხედა-

¹ საბათლოს მოსახლეობის წინაპართა ნაწილი ყარაბაღიდან ჯერ ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მოვიდა და უკვე 1988 წლის ყარაბაღის კონფლიქტის მერე დატოვა აზერბაიჯანი.

ვად, მტრულად არ არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა საბათლოელი სომეხი გოგონა აზერბაიჯანელზე დაქორწინებულა.

საბათლოს სომხურმა მოსახლეობამ სოფელი ფაქტობრივად ცარიელ ადგილზე დააარსა. სომხური ეკლესია არ აუშენებიათ და მოსახლეობა იქვე არსებულ ქართული ეკლესიაში ღოცულობს. რესპონდენტის თქმით, სოფელში აღნიშნავენ ადღგომას, შობას, გიორგობას ისევე, როგორც ქართველები. აქვთ თავიანთი სურბ გევორქის სალოცავი ადგილიც, პატარა ნიში. რესპონენტები აღნიშნავენ, რომ საბათლოს მოსახლეობამ 2-3 წელია ალავერდობაზე დაიწყო სიარული, რაც უდავოდ ინტერკულტურული კომუნიკაციის შედეგია.

როგორც ზემოთაც ითქვა, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რა ვითარება იყო წლების წინ ამ სოფელში კომუნიკაციის თვალსაზრისით. დღეს კი ახალგაზრდა თაობამ ქართული იცის, საშუალო ასაკის მოსახლეობის ნაწილსაც სახელმწიფო ენის ელემენტარული ცოდნა აქვს. ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად ორიენტირებულია საქართველოსკენ, რაზედაც, პირველ რიგში, მეტყველებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მათი სწავლის გაგრძელების სურვილი.

რაც შეეხება აზერბაიჯანულ თემებს ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში, სომხურ თემთან შედარებით, მათი სიმრავლის გამო, ვითარება განსხვავებულია. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ჰყავთ გულშემატკივარი და მხარდამჭერი აზერბაიჯანის სახელმწიფოს და იქაური კერძო კომპანიების სახით, რომელიც, პირველ რიგში, ეკონომიკური და კულტურული ტიპის დახმარებას უწევს საქართველოში კომპაქტურად მოსახლე აზერბაიჯანულ თემებს – უშენებს და ურემონტებს სკოლებს, ბაღებს, ჩაიხანებს, უბეჭდავს წიგნებს, აზერბაიჯანულ სტუდენტებს უხდის სწავლის საფასურს და ა.შ. მაგალითად, „სოკარი“

აზერბაიჯანელ სტუდენტებს, ვინც თბილისში სწავლობს, 1200 ლარს უხდის, აშენებს საბავშვო ბაღს კაბალში, რომელიც ადგილობრივთა თქმით 4 მილიონნახევარი ჯდება და სხვ.

ეს აქტივობები იქაური ქართული საზოგადოების ნაწილში გარკვეულწილად უკმაყოფილებას იწვევს. მათ ეს ზერბაიჯანის მხრიდან ზედმეტ ჩარევად მიაჩნიათ და მასში ერთგვარ პოლიტიკურ გათვლებს ხედავენ. ჩემი ერთ-ერთი ლაგოდუხელი რესპონდენტის აზრით: „ამ მოსახლეობას ტვინს ურევს აზერბაიჯანის მთავრობა! მე უმადური არ ვარ, მაგრამ მიზნობრივად აკეთებს ამას. არიან ვიღაცეები ვინც მერე იტყვიან, ნახეთ, აზერბაიჯანმა გაგვიკეთა! ნახეთ, იქაური მთავრობა როგორ ზრუნავს ჩვენზე! აქამდე ძალიან ხშირი იყო, პირდაპირ აზერბაიჯანის საელჩოში გარბოდნენ, თუ რამე არ მოეწონებოდათ. ახლა, ნაკლებად.“ (კაბალი 2021)

გადმოცემით, კაბალის სკოლაში ალიევის კაბინეტის გახსნაც კი უნდოდათ; ამბობდნენ, თუ გახსნით, სკოლას მთლიანად გაარემონტებენო.

როგორც ირკვევა, ლაგოდუხის რაიონის აზერბაიჯანული სოფლებიდან ბევრი წავიდა სამუშაოდ ყაზახეთში, უმეტესად ალმაატაში, იქ სარფიანად ააწყო საქმიანობა და შეძლებულად ცხოვრობს. მოხრობელი გადმოგვცემს:

„ბევრია ალმაატაში წასული აზერები. იქ ქართული რესტორნები აქვთ და ამუშავენ, აქედან მიჰყავთ მზარეულები. სახელებიც კი ქართული ჰქვიათ რესტორნებს, „ციცინათელა“ და რაღაც ასეთები; როგორც მეუბნებიან, მომღერლებიც ქართველები მიჰყავთ. ქართული კულტურის გავრცელებას ცდილობენო. როცა იქ მიდის აზერი, ქართულ რესტორანს ხსნის და ქართულ სახელს არქმევს! ეს მისთვის მომგებიანია! მისთვის მომგებიანი თუ იქნებოდა,

რატომ არ დაარქმევდა აზერბაიჯანულ სახელს? ესე იგი, მიიჩნევს რომ ეს ჯობია!” (ლაგოდეხი, სოფ. კაბალი, 2021)

სავარაუდოდ, აქ გადამწყვეტი, მათი საქართველოსთან კავშირებია და ის კულტურული გავლენებია, რასაც საქართველოში ეს თემი განიცდის. ლაგოდეხიდან ყაზახეთში გადასახლებული აზერბაიჯანელები პერიოდულად ჩამოდიან საქართველოში, ესმარებიან თავიანთ ხალხს, აწყობენ კულტურულ ღონისძიებებს და ა.შ.

აზერბაიჯანული მხარის ზრუნვამ საქართველოში მცხოვრებ თანატომელებზე ამ უკანასკნელთა ერთ ნაწილს ერთგვარად გაუმძაფრა დაჩაგრულობის განცდა და აღქმა იმისა, რომ აზერბაიჯანია მათი პატრონი. ქართველი რესპონდენტები ხომ ამბობენ კიდევაც, თუ რამე არ მოეწონებოდათ, მაშინვე ზერბაიჯანის საელჩოში გარბოდნენო. ამგვარი განწყობა ზოგადად დამახასიათებელია არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლებისთვის. 2008-2011 წლებში ქვემო ქართლში მუშაობის დროსაც აზერბაიჯანული მოსახლეობა თავს ეროვნული ნიშნით დაჩაგრულად წარმოგვიდგენდა. ისინი ხაზს უსვამდნენ მათ მიმართ მთავრობის მხრიდან უყურადღებობას, ვინაიდან კანონმორჩილებისა და არჩევნებში მათდამი ერთგულების სანაცვლოდ, ხელისუფლებისაგან შესაბამის პასუხს ვერ ღებულობდნენ¹. ლაგოდეხელი აზერბაიჯანელები დღესაც აღნიშნავენ მათი და ქართველების არათანაბარ პოზიციაში ყოფნას; ჩივიან, რომ მათ ნაკლები მიწა აქვთ, ქართველებთან შედარებით; რომ ადმინისტრაციაში რაოდენობრივად ეთნიკური ქართველი მეტია; რომ აზერბაიჯანელი მასწავლებლების ხელფასი უფრო დაბალია და ა.შ. თუმცა, რატომღაც, არ უნდათ, გაიგონ, რომ მიწების განაწილების დროს, სოფ-

¹ სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ეთნოუმცირესობა და სამოქალაქო საზოგადოება ქვემო ქართლში, რედ, ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 374.

ლის საკუთრებაში მყოფი მიწის ფონდი კომპლექსის მიხედვით დანაწილდა და, ბუნებრივია, კაბალის 3000 სულიან მოსახლეობას, უფრო ნაკლები შეხვედებოდა, ვიდრე 600 სულიან საქობოს მცხოვრებთ. მთხრობლის აზრით, „მაგათ შიში აქვთ იმის, რომ შეიძლება ქართველი არაკეთილსინდისიერად მოექცეს, მოატყუოს, დაჩაგროს. მიწები რომ არა აქვთ, და ნამდვილად არა აქვთ, იმის ბრალი კი არ არის, რომ ვინმე ჩაგრაგდათ, არამედ, როდესაც მიწები განაწილეს, აქ იყო ძალიან ბევრი მოსახლეობა და არ შეხვედათ, მიწა არ იყო იმდენი. ეს თვითონაც კარვად იციან. დღეს თუ ეს განწყობები არის, ეს უფროსი თაობების ბრალია; თუმცა ახალგაზრდებში სიტუაცია აშკარად შეცვლილია კარვისკენ, ბავშვები უფრო ახლოს არიან ქართველებთან, უფრო უყვართ ქართველები, სულ აღნიშნავენ და გულწრფელად ამბობენ ამას. უფრო კეთილგანწყობილნი არიან. თვითშეგნება, თვითაღქმა, ახლა უფრო მაღალი აქვთ. ამ განწყობების შეცვლა მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო პოლიტიკის ბრალიც არის.“ (კაბალი 2021).

ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები არ უარყოფენ, რომ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის არსებობს ერთგვარი ფარული ქიშპი, და გარკვეულწილად უნდობლობაც, რაც, სავარაუდოდ მათი ჰეტერო-სტერეოტიპებიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს აშკარად ჩანს აზერბაიჯანული სკოლების ქართველ პედაგოგებთან ინტერვიუებში:

„როგორც ჩანს, მოსახლეობაში არის ასეთი დამოკიდებულება, რომ ქართველებიდან შეიძლება მოდიოდეს რაღაც ცუდი. ამათ ლაპარაკს რომ მოუსმინოთ, ისედაც კი იგრძნობა ცუდი მოლოდინი; რომ იკითხო, გეტყვიან, ქართულის მასწავლებლები არ ასწავლიან კარგადო. ქართველ მასწავლებლებს არ იხსენიებენ სახელით; მაგალითად, არ იტყვიან – ნონა მელიმ (მასწავლებელი), ან ნინო მელიმ; ერთმანეთს რომ ელაპარაკებიან, იტყვიან – „გურჯუ მელიმ“, ანუ ქართველი მასწავლებელი. როგორც ჩვენთან

ხანდახან მოვიხსენიებთ, „თათარი“, ზუსტად იმ კონტექსტით იხსენიებენ. სწორედ იმ 90-იანელი მშობლებისგან მოდის ეს განწყობები. და ასეთი მოლოდინები მუშაობს ბავშვებზე ცუდად. წინასწარი განწყობა რომ აქვთ გამომუშავებული ცუდისკენ, ეს მოქმედებს ბავშვებზე, მშობლებიდან მოდის ეს განწყობა.“ (კაბალი, 2021).

სავარაუდოდ, ამგვარი განწყობები 1990-იანი წლების ეთნიკური დაძაბულობის თუ დაპირისპირებების შედეგია, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩამოყალიბდა. ჩვენ შემთხვევაში, ვგულისხმობ დაპირისპირებას ქვემო ქართლის ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის, რის შედეგადაც მაშინ ბევრმა აზერბაიჯანულმა ოჯახმა დატოვა საქართველო.¹ ამ საკითხს ეხება ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ერთ-ერთი პუბლიკაცია, სადაც ხაზგასმულია, რომ „საბჭოთა და 90-იანი წლების შემდეგ, ეთნიკურ ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის გაჩნდა ხიდნატეხილობის პრობლემა, უთანხმოება, ფობიები და სტერეოტიპები.“²

ველზე მუშაობამ გამოავლინა, რომ ორივე, აზერბაიჯანულ და ქართულ საზოგადოებას კახეთის საზღვრისპირა აზერბაიჯანული თემები პირობითად პროგრესულად და ნაკლებად პროგრესულად ჰყავს დიფერენცირებული. თუნდაც, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალის შემთხვევა ამის ნათელი მაგალითია.

იქაური რესპონდენტების ინფორმაციით, სოფელი ორად იყოფა: ქვედა და ზედა უბნებად. ქვედა უბანში

¹ სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ეთნოუმცირესობა და სამოქალაქო საზოგადოება ქვემო ქართლში, რედ, ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 185-200.

² თ. ქაზუმოვი, გ.სორდია. რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ, კტკმ/ტო.ვე.ვე.პავე/რუნ და ვიცოცხლავთ ოვალფეტრუსი აზერბაიჯანულ ფსქსესახტ

მცხოვრებნი ყივჩაღების შთამომავლებად თვლიან თავს და არიან შიიტები, ზედა უბანში კი აზერბაიჯანიდან და საქართველოს სხვა აზერბაიჯანული თემებიდან გადმოსახლებული სუნიტები ცხოვრობენ. თვითონვე აღნიშნავენ ქვედა უბნელების უპირატესობას ზედა უბნელებზე და საერთოდ, ლაგოდეხის სხვა აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობასთან შედარებით.

„აქ ამბობენ ასე, ზედა მხარეს ვინც ცხოვრობს, ნაწილი თელავის ყარაჯაღიდან არიან გადმოსულნი და ნაწილი აზერბაიჯანიდანო. ქვედა მხარეს ვინც ვცხოვრობთ, საქართველოს ხალხიაო, საქართველოს აზერბაიჯანელები არიანო, რომელნიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში ვცხოვრობდითო. შეიძლება კაბალში არ ვცხოვრობდით, მაგრამ საქართველოში ვცხოვრობდითო. ანუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ვართ მოსული ქვედა მხარისანიო. ფიზიკურადაც არის განსხვავება, ესენი უფრო პგვანან ქართველებს და ზემოთურებს უფრო შუააზიური, მონღოლოიდური შეხედულება აქვთ. ქვედა მხარის აზერბაიჯანელებს ძალიან ღამაზი გოგონები ჰყავთ. ცისფერთვალები არიან, არაფრით არ პგვანან აზერებს. მენტალობითაც სხვანაირები არიან, ესენი უფრო სწავლისკენ მიდრეკილები არიან. იმ მხარეს იშვიათად არიან სწავლისკენ მიდრეკილი. სოფლებიდან – განჯაღა, ყარაჯაღა, უზუნთაღა, თვითონ კაბლიდანაც, და უკანაც, უფრო სხვანაირი ხალხი არიან. საერთოდ, იმ სამი-ოთხი სოფლიდან ამ სკოლაში მოდიან ბავშვები, რადგან ბოლო კლასები მარტო ამ სკოლას აქვს; კაბლის სკოლიდან (კაბალში ორი სკოლაა – ნ.ჯ.) ყველაზე უკეთესი ბავშვები მოდიან, იმ სოფლებიდან ძალიან იშვიათია ბავშვი, რომ სწავლა უნდოდეს. მასწავლებელს ვესაუბრებოდი ამ საკითხზე და თქვა, სხვა რამეშიც ასე არიანო, ისინი სიახლე-

ებს უფრო მაღე იღებენო, ვთქვათ, გოგოს სასწავლებელში გაშვება, პირველად ამათ დაიწყესო, ქალებმა შარვლის ჩაცმა, პირველად ამათ დაიწყესო, ესენი უფრო სიახლეების მიმღები ხალხიაო.“ (კაბალი 2021).

უნდა ითქვას, რომ საკვლევი რეგიონის აზერბაიჯანულ თემებში ზოგადად შეცვლილია დამოკიდებულება განათლებისადმი.

„ადრე არ უშვებდნენ გოგოებს სასწავლებლად, დღეს სკოლაში ყველა ბავშვი დადის. დღეს ძალიან ბევრი მიდიან თბილისში უმაღლესში, გოგოებიც მიდიან. ახლა თვალები გავახილეთ. (ლაგოდუხი, 2021).

კახეთის სხვადასხვა აზერბაიჯანულ თემებში ჯერ კიდევ არსებობს განათლებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. მაგალითად, საველე მასალით დადასტურდა, რომ კახეთის აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ზოლში მრავლად არსებული მესაქონლეობის ფერმების დიდი ნაწილი აზერბაიჯანელებისაა ან ისინი იქვე ქირით მუშაობენ. ეს ხალხი ფერმებში ოჯახებით სახლობს, ხოლო მათი შვილები შრომით საქმიანობაში არიან ჩაბმული და სკოლებში არ სწავლობენ. ამის შესახებ უფრო დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებ.

ეს „პროგრესულობა“, სწავლისადმი მიდრეკილებისა და თანამედროვე სტილისთვის ფეხის აწეობის გარდა, ძველი ტრადიციების ტრანსფორმაციაშიც გამოიხატება. მაგალითად, თუნდაც მათ საოჯახო და საქორწინო ტრადიციებში; როგორც ვიცით, აზერბაიჯანულ ოჯახებში გოგონებს ადრეულ ასაკში ათხოვებდნენ და მათ განათლების მიღების პერსპექტივა არ ჰქონდათ. მთხრობლის თქმით, *„წინათ ადრე ათხოვებდნენ გოგოებს, ეხლა აღარ. ეხლა 18 წელზე პატარა გოგოს მოყვანა არ შეიძლება, ბიჭი 20 წლიდან ზევით. ადრე აზერბაიჯანელები ბევრ შვილებს აჩენდნენ, მე სამი ბავშვი მყავს. ჩვენ ხალხს ბიჭი შვილი უნდათ. ათი გოგო რომ იყოს, არ არის შვილი. ეხლა ევრე*

არ არის. ეხლა ბევრ შვილებს აღარ აჩენენ, 3-4, გაზრდა უნდათ, სწავლა...” (კაბალი 2021)

დღეს მცირე ასაკის გოგონებს თითქმის აღარ ათხოვებენ; აღარც ოჯახი არ წყვეტს შვილების დაქორწინების საკითხს ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს ადრე ხდებოდა. იორმუდანლოელი რესპონდენტის ცნობით, წინათ ახალგაზრდების ქორწინებაში მშობლები ერეოდნენ, მაგრამ დღეს ვითარება შეიცვალა. „ახლა შეიღს რომ არ კითხო და შენ, როგორც გინდა, ისე გააკეთო, მერე შეიძლება ოჯახი დაინგრეს“ (იორმუდანლო, 2022). დღეს უკვე ახალგაზრდების სურვილებს ანგარიშს უწევენ, აზრს ეკითხებიან და შეუღლების საკითხს ასე წყვეტენ. მაგრამ იმ თემებში, სადაც სწავლაზე უპირატესად შრომითი საქმიანობა ითვლება, ჯერ კიდევ ძველი ტრადიციაა პრაქტიკაში

საერთოდ, აზერბაიჯანელები, როგორც წესი, ისევ აზერბაიჯანელებთან ამყარებენ საქორწინო კავშირებს. ისინი პარტნიორებად ხშირად ირჩევენ მეზობელი აზერბაიჯანის მოქალაქეებს, ძირითადად აქედან აზერბაიჯანში გადასახლებულ თავიანთ თანამემამულეებს. ლაგოდესელი აზერბაიჯანელი მთხრობლების თქმით, კოვიდ პანდემიამდე მათ ბელაქანთან და ზაქათალასთან კავშირები ჰქონდათ, უფრო ბელაქანთან, რადგან უფრო ახლოსაა და ნათესავეებიც იქ ჰყავთ. მათი ნათესავეები ძირითადად აქედან წასული და იქ დამკვიდრებული აზერბაიჯანელები არიან; როგორც ჩანს, ამგვარ პრაქტიკას აქამდე ინტენსიური სახე ჰქონდა. კაბალელი მთხრობლები ამბობენ, „თუ ფულს გადაიხდი და მიწებს იყიდი, იცხოვრებ იქ, რა თქმა უნდა, ერთი ენა გვაქვს, ერთნაირი ცხოვრება. იქაურ აზერბაიჯანელებთან ვვაჭრობთ“. ამდენად, აქედან იქით ქალის გათხოვება ან აქეთ გამოთხოვება ხშირად ხდებოდა. ორივე მხარე ერთმანეთთან ქორწილებშიც დადიოდა; თუმცა დღეს, შეზღუდული მიმოსვლის გამო, ეს პრაქტიკა შემცირ-

რებუღია. ნაკლებადაა საქორწინო ურთიერთობა ადგილობრივ ქართველებთანაც, ათასში ერთი შემთხვევაა; წინათ უფრო ხშირად იქმნებოდა შერეული ოჯახები. მთხრობლის ინფორმაციით, არის შემთხვევები, როდესაც ქართველი გოგონები მიჰყვებიან ცოლად აზერებს, მაგრამ პირიქით, ქართველ ბიჭებზე აზერბაიჯანელი გოგონები თითქმის არ თხოვდებიან. თუმცა, ამის საფუძველი უკვე იქმნება. ერთმა რესპონდენტმა გვითხრა, „*ჩემთან ამბობენ გოგოები, არ მოგეწონს აზერბაიჯანელი ბიჭები და როცა თბილისში წავალთ სასწავლებლად, ქართველ ბიჭებს გავყვებით ცოლადო*“. (ლაგოდეხი, 2021)

აზერბაიჯანულ თემებში ერთ დროს გავრცელებული ლევირატი და სორორატი დღეს საზღვრისპირა აზერბაიჯანულ მოსახლეობაში არ ფიქსირდება. როგორც თვითონ ამბობენ, „ამ წესს აღარ მისდევენ, 50-60 წლის წინ უფრო ხშირი იყო. ეგ იმიტომ ხდებოდა, რძალი სხვა ცუდს რომ არ გაყოლოდა. აღარც ბეშიკქერსმა (აკვანში დანიშნა) აღარაა. მრავალშვილანობაც ნაკლებია უმეტესად სამი შვილი ჰყავთ. მრავალცოლიანობა ბოლო 10-15 წელია, ათასში ერთია. შეიცვალა ხალხი. ნათესავენს შორის ქორწინებაც ნაკლებია და მომავალ 10 წელიწადში სავარაუდოდ გაქრება“. (იორმულანლო, 2022).

აზერბაიჯანელებისა და ქართველების სოციალურ ურთიერთობაში აღსანიშნავია ხელოვნული დანათესავების ისეთი ფორმა, როგორიცაა ქართველებისთვის ნათელ-მირონობა; მართალია მას ინტენსიური სახე არ აქვს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანული თემის ინტეგრაციის კუთხით; ამავე დროს, ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ამ ხალხთა ინტერკულტურული კომუნიკაციის დადებით დინამიკაში. 2008-2011 წლებში ქვემო ქართლის მულტიეთნიკური საზოგადოების კვლევისას, ყურადღება მივაქციე ინტერეთნიკური ურთიერთობების დროს კულტურულ კოდთა გადანაცვლება/გადართვის ფაქტორს, რაც მა-

ნამდევ ეთნოლოგიაში საერთოდ არ განიხილებოდა. *კულტურული კოდების გადართვა*, ან *კროს-კულტურული კოდური გადართვა* ლინგვო-კულტურული კონცეპტია; ის გულისხმობს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრეთა ენობრივი კოდების გაცვლას; ლინგვისტური კოდური გადართვა ერთი ენობრივი ფორმის მეორე ენიდან აღებული ფორმით ჩანაცვლებაში გამოიხატება, ეს არის მეტყველების დროს ერთი მოსაუბრის მიერ მეორე ენის (დიალექტიდან, სტილიდან) ლექსიკურ ერთეულთა ხმარება, კომუნიკაციის პირობების შესაბამისად. კონცეპტი *კროს-კულტურული კოდური გადართვა* ამავე დროს გამოიყენება სოციალურ ფსიქოლოგიაში ქცევის კულტურულად დამკვიდრებული სისტემების ერთი კულტურიდან მეორეში გადანაცვლების აღსანიშნავად. როგორც წესი, ეს არის სიტუაციური პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს უცხო კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის შემთხვევაში და არ გულისხმობს კულტურული ელემენტის საბოლოოდ სესხებას. მე მაშინ ეს პროცესი აზერბაიჯანული თემის ქართულ გარემოსთან ადაპტაციის პრობლემას და ინტეგრაციის სტრატეგიას დავუკავშირე.¹ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მუსლიმ აზერბაიჯანელს შვილის ქირვად ქრისტიანი ქართველი მიჰყავს, აქ ბუნებრივია, კულტურული კოდების გადართვა-გადანაცვლება უნდა მოხდეს; ასედაც არის: ქართველი ნათლია/ქირვა ასრულებს მაჰმადიანურ წესებს, ანუ იმ მომენტში ხდება უცხო კულტურული კოდის გამზიარებელი, ერთვება სხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურულ კონტექსტებში, ანუ „მათიანი“ ხდება. სწორედ ამგვარი პროცესები განაპირობებს ინტერკულტურული კომუნიკაციის დადებით დინამიკას და ზრდის ერთმანეთის მიმართ მიმდებლობას.

¹ ნ. ჯალაბაძე. აკულტურტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების... ვკ. 229-234

აზერბაიჯანელი მოხრობლები ხაზს უსვამენ, რომ სომეხი აზერბაიჯანელს ქირვად არ მიჰყავს.

გადმოცემით, დღეს „ერთი პატარა ნათლობა 10000 ლარი ჯდება. ყველაფერი ფულია. ნათლობაში ფულის მიტანა ვიცით. 50 ლარი ახლა უკვე ცოტა არის. 100 ლარიდან ზემოთ მაინც უნდა მიიტანო. მევდართანაც, გაძვირდა ყველაფერი. სუფრაზე გვაქვს ხაშლამა, ჩაქაფული, ქაბაბები ყველანაირი. ჩვენ სუფრაზე ხაჭაპური პირველია, ხაშლამა. ხინკალი არ არის მხოლოდ. ნაირ-ნაირი ქართული სალათები ვიცით. ოცი სხვადასხვა საჭმელი უნდა დაედოთ სუფრაზე. ნათლობაში ქართველებსაც ვეპატიეებით, თბილისიდან მეგობრები ჩამოვლენ.“ (კაბალი, 2021).

თუ ამ საკითხსაც კულტურის კოდების გადართვის კუთხიდან შევხედავთ, აქაც დავინახავთ, რომ აზერბაიჯანელები ქართულ კერძებსაც სიტუაციის შესაბამისად ამზადებენ. ფაქტია, რომ კულტურულ კოდთა გადანაცვლება კვების სისტემაშიც ხდება, როდესაც განსხვავებული კულტურული ჯგუფები ერთმანეთის ტრადიციული კერძების დამზადებას სწავლობენ და შემდეგ ისინი თავიანთ მენიუში შეაქვთ.

დროის ცვლილება დასუნათების წესებზედაც აისახა. ლაგოდეხელი რესპონდენტის ინფორმაციით, ამ პროცედურას ადრე დალაქები ატარებდნენ დღეს კი ექიმი (კონკრეტულ შემთხვევაში, ქართველი) აკეთებს. ფასი 150 ლარია, რასაც ოფიციალურად იხდიან საავადმყოფოში.

ზოგიერთი აზერბაიჯანელი რესპონდენტის აზრით, შეიცვალა ურთიერთ-დახმარების ტრადიციაც. „ეს სახლი მამაჩემმა და დედაჩემმა ააშენა. მამას მეგობრები ესმარებოდნენ, თვითონ ხელოსანია, 1989 წელს ააშენეს. ადრე ნათესავეები მიდი-მოდიოდნენ ესმარებოდნენ, ახლა ეგრე აღარ არის, ერთი დღე მიეხმარებიან ერთმანეთს, მერე ფული უნდა გადაიხადო.“ (ლაგოდეხი, 2021).

ქართველ რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ აზერბაიჯანელების შრომისმოყვარეობას, ფულის სიყვარულს და ხელმომჭირნეობას. აზერბაიჯანელი მთხრობლების ინფორმაციით, შექმნილი აზერბაიჯანული ოჯახის შვილებიც კი ზაფხულობით ბრიგადებში დაქირავებულ მუშებად მიდიან და დღიურად მეტ-ნაკლებ 40 ლარს იღებენ. ასევე, ისიც გაირკვა, რომ აზერბაიჯანელები რუსთავში, თბილისში (ისანში) ყიდულობენ ბინებს და აქირავენ. თვითონ ადგილზე რჩებიან, ხოლო ბინის ქირა მათი დამატებითი შემოსავლის წყაროა, რასაც ისევ თავიანთ მეურნეობას ასმარენ. ასე რომ, შრომისა და ფულის სიყვარულმა საქართველოს აზერბაიჯანელების მნიშვნელოვან ნაწილში სწავლის მიმართ დამოკიდებულება უკანა პლანზე გადასწია.

რაც შეეხება საზღვრისპირა ეთნიკური უმცირესობების ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობას, როგორც ქვემო ქართლის უმცირესობების შემთხვევაში,¹ შეზღუდულია მათი პოლიტიკური თანამონაწილეობა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში. ქართველი რესპონდენტების აზრით, არჩევნებში აზერბაიჯანული თემი ყოველთვის მმართველ პარტიას აძლევდა ხმას. ლაგოდეხის აზერბაიჯანელებმა არჩევნების დროს ხმა ოპოზიციის კანდიდატს მისცეს.

„ქართული ოცნება ვერ იგებს ამ თემში. გაკვირვებულნი ვარ, რადგან ყოველთვის ამ თემში იგებდა ხელისუფლების წარმომადგენელი. არასოდეს არ იყო განსხვავებული ვარიანტი. ახლა აღარ და ძალიან მიკვირს, რა არის მიზეზი? შეფარდებაც ძალიან დიდია 290-ს რომ იღებს ნაციონალური მოძრაობა, 190-ს იღებს ოცნება. არასოდეს არ ხდებოდა მსგავსი რამ. ავტორიტეტები აღარ არიან სოფელში, ადრე იყვნენ. ახლა ყველა ცდილობს თავის ჭკუა-

¹ო. ქაზუმოვი, გ.სორდია. დასახ. ნაშრ.

ზე მოიქცეს. იმდენად ჩაიდეს თავში რომ არიან დამოუკიდებელნი და თავიანთი აზრი გააჩნიათ, რომ მაღალ დონეზე აიყვანეს თავიანთი თავისუფლება. ქალებმაც ისწავლეს თავიანთი აზრის დაფიქსირება“ (კაბალი, 2021).

ასევე მოხდა საგარეჯოს რაიონში, სადაც იორმულანდლოში 5 უბანზე არჩევნები ოპოზიციამ მოივო.

პანდემიის გამო ორწლიანმა ჩაკეტილობამ და ამ პერიოდში მეზობელ აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაწყვეტამ აზერბაიჯანელთა ორიენტაციის საქართველოსკენ შემობრუნებას შეუწყო ხელი. მნიშვნელოვნად გაზრდილია ქართულის მიმართ მიმდებლობა. ეს უმეტესად ახალგაზრდებში შეიმჩნევა, რომლებიც სკოლაში ქართულს ან ქართულ სკოლებში სწავლობენ, საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებას და აქ მუშაობას აპირებენ.

ქართველებისადმი სიმპათიების ზრდა ჩანს ლაგოდეხელი ქართველი რესპონდენტის მონაყოლში:

„მე რომელ აზერბაიჯანელ ვოგონებთანაც მაქვს კონტაქტი მათი უმრავლესობა ამბობს, რომ არ მოსწონთ აზერბაიჯანელი ბიჭები, ამას ღიად აფიქსირებენ. ერთმა ვოგონამ მომიყვა, – ცეკვაზე მივდიოდით სამი ვოგო, შორტები გვეცვა და აზერბაიჯანელი ბიჭები შემოგვეხვივნენ გარშემო და ისეთი ამბავი დაგვაწიეს, შორტს მეორედ აღარ ჩავიცვამო. ეს ბავში ამბობდა, რამხელა განსხვავებაა აზროვნებაში, რომ ასე იქცევიანო. ორი საათი დავრჩით ცეკვაზე, ღამე გამოვედით, გაჩერებაზე ვიდექით და ქართველ ბიჭებს ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ჩვენთვისო“.

პროქართული განწყობის ზრდის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოფელ კაბალში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახალგაზრდის პოზიცია აზერბაიჯანული გვარების დაბოლოების შეცვლასთან დაკავშირებით, რისკენაც მათ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია მოუწოდებს; სთავაზობენ რუსულ ყაიდაზე გაფორმებული „ოვ“ დაბოლოებისანი აზერბაიჯანულ გვარების შეცვლას „ლი“

დაბოლოებით; მაგალითად, მუხტაროვი – მუხტარლი. ახალგაზრდა წინააღმდეგი იყო გვარის შეცვლისა, მაგრამ თუ მაინცდამაინც საქმე შეცვლაზე მიდგებოდა, ერჩივნა მისი გვარი ქართულ „შვილზე“ დაბოლოებულიყო. (კაბახლი 2021).

საბჭოთა პერიოდში დღევანდელ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოფელში (არეშფერანი, ზემო და ქვემო ბოლქვი, ზემო და ქვემო ფონა, ქვეხიანი, ხოშატიანი) კომპაქტურად სახლობდნენ ოსები, რომელთაც ჰქონდათ ოსური სკოლები და სარგებლობდნენ საბჭოთა პერიოდში ეროვნული უმცირესობების მიმართ არსებული ყველა უპირატესობით. 1990-იანი წლების მოვლენების მერე ოსები დიდმა ნაწილმა დატოვა საქართველო და ძირითადად რუსეთში, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში გადასახლდა. მთხრობელთა ინფორმაციით, ოსური სოფლებიდან ზ. გამსახურდიას დროს, 470 ოჯახი წავიდა; წლების მერე ოსების ნაწილი უკან დაბრუნდა (590 ოჯახი). დღეს ეს სოფლები, ეთნიკურად შერეულია. და შეიძლება ითქვას, რომ ოსები ინტეგრირებული არიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში. დღეს სოფლებში მხოლოდ ქართული სკოლებია.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: კახეთის აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ზოლი ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობით არის წარმოდგენილი. აზერბაიჯანელები აქ ყველაზე დიდი არაქართული ჯგუფია, რომელიც კომპაქტურად სახლობს საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონებში. ასევე კომპაქტურად სახლობენ სომხები დედოფლისწყაროში; აზერბაიჯანელები და სომხები შედარებით მცირე რაოდენობით შერეულადაც ცხოვრობენ სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან ერთად (რუსები, ქისტები, ოსები, ლეკები და სხვ.). საბჭოთა პერიოდში, არაქართული საზღვრისპირა მოსახლეობა მეზობელ აზერბაიჯანთან იყო მჭიდრო კავშირში. ეს იყო როგორც

ნათესაურ-მეგობრული, ასევე საქმიანი, ეკონომიკური და სამეურნეო ხასიათის ურთიერთობები. საზღვრისპირა მოსახლეობა (და არამარტო) ძირითადად იქ სავაჭროდ დადიოდა. სახელმწიფო საზღვრის დაკანონებამ ერთგვარად შეაფერხა ეს კავშირები, თუმცა გარკვეულ დრომდე მისვლამოსვლა მაინც გრძელდებოდა. სხვადასხვა მიზეზით ეს საზღვარი ხან იკეტებოდა, ხან იხსნებოდა. ქვეყნის პერიფერიაზე მყოფი მოსახლეობა საყოფაცხოვრებო და საარსებო პირობების არქონის გამო იძულებული იყო საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასულიყო. მომდევნო პერიოდში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა მრავალმა ინფრასტრუქტურულმა და ეკონომიკურმა პროექტმა ხალხი უკან დააბრუნა. მართალია, პირობები გაცილებით გაუმჯობესდა, მაგრამ, მაინც არსებობს ფაქტორები, რამაც მოსახლეობის გადინებას შეიძლება შეუწყოს ხელი.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში გარკვეული სირთულეები უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნამ შექმნა. ენის ბარიერმა და უმცირესობების კომპაქტურად და იზოლირებულად ცხოვრებამ აღნიშნული პერიოდის საწყის ეტაპზე ამ ჯგუფთა მარგინალიზაციას შეუწყო ხელი; ამას დაემატა ეთნიკური ხასიათის დაპირისპირებები და ჯგუფთაშორისი დაძაბულობის გაჩენა. მომდევნო ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ქმედითმა პოლიტიკამ (სახელმწიფო ენის სწავლების, ინტეგრაციის ხელშეწყობის, საზოგადოებრივი ჩართულობის და სხვ. პროგრამების ინიცირება) ინტერკულტურული კომუნიკაცია ახალ ეტაპზე გადაიყვანა და ეთნოსებს შორის არსებული ბარიერების თანდათანობით მოხსნას შეუწყო ხელი. თუმცადა, სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის ქართული და არაქართული თემები, ერთი მხრივ, მაინც ჩაკეტილი სოციუმია, იმ თვალსაზრისით, რომ ეთნიკური საზღვრები ბოლომდე არ აქვს გახსნილი (ენის ბარიერი, საქორწილო პარტნიორის შეზღუდული არ-

ჩვეანი, რელიგია), მეორე მხრივ კი, ღიაა (ქართული ენის ცოდნა, უმაღლესი განათლების საქართველოში მიღება, ქართული კულტურული გავლენები).

აშკარაა, რომ უმცირესობათა ინტეგრაციის დადებითმა დინამიკამ მათი ორიენტაციის საქართველოსკენ შემობრუნება განაპირობა.

§ III. განათლების საკითხი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა ზოლში

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით შექმნილმა ვითარებამ მკაფიოდ გამოკვეთა განათლების სისტემის ტრანსფორმაციის და ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბების საჭიროება. როგორც ვიცით, სახელმწიფო ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა; მის გარეშე ვერ შედგება ინტერკულტურული კომუნიკაცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უმცირესობათა ჩართვას დომინანტი ერის ეთნოკულტურულ და სოციო-პოლიტიკურ კონტექსტებში. ამჯერად ეს საკითხი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ჩვენი საკვლევი ობიექტი – აზერბაიჯანთან მოსაზღვრე კახეთის რეგიონი, ეთნიკურად ჭრელია და მისი არაქართველი მოსახლეობა მეტ-ნაკლებად დგას სახელმწიფო ენის არცოდნით გამოწვეული სირთულეების წინაშე. ამ პრობლემას თავისთავად განათლების საკითხთან მიყვავართ, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, რუსული ერთადერთი ოფიციალური ადმინისტრაციული ენა და *ლინგვა ფრანკა* იყო. ეროვნული უმცირესობებისათვის კი, საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეშვეობით, მათი მშობლიური ენების გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი, განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან. ზოგადი დაწვებითი და საშუალო განათლება ხელმისაწვდომი იყო უმცირესობათა ენებზეც. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობებისათვის პრიორიტეტული არ იყო, რადგან ინტერენიკურ ურთიერთობებში რუსული ასრულებდა გამაერთიანებელი ენის ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება რესპუბლიკის ოფიციალურ სახელმწიფო ენაზე, ქართულად, მიმდინარეობდა, საბჭოთა საქართველოს უმრავლეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რუსულენოვანი სექტორებიც ფუნქციონირებდა; ამის გამო, საბჭოთა კავშირის დაშლისას, ეროვნული უმცირესობების ძირითადი ნაწილი ქართულს ძალიან დაბალ დონეზე, ან საერთოდ არ ფლობდა; განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.¹

1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, 15 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მიიღო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ სპეციალური დადგენილება, რომელმაც დაამტკიცა ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა; პროგრამა გულისხმობდა, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის დაფიქსირებას ყველა პარტიულ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-

¹ ს. მესხუზლა, ე. როშე. განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, ჩ I სამუშაო მოხსენება №46, 2009, გვ. 6.

კულტურულ და საჯარო დაწესებულებაში; ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაკონტროლებას; იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას, ქართული ენის სწავლებისა და სწავლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას; დაწყებითი და უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში ქართული ენის სწავლების ნორმების დაწესებას; რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის და საგამომცემლო სტანდარტების შემოღებას. თუმცა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არ ზღუდავდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ უფლებებს.¹

მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, უმცირესობებთან კულტურული დიალოგის წარმართვის კუთხით, საკმაოდ რთული პრობლემები წარმოიქმნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჯგუფებს შორის კომუნიკაციის მოშლაში გამოიხატა. ჯ. უითლი ამის თაობაზე წერს: „შევარდნაძის სუსტი ხელისუფლება ვერ ახერხებდა ეროვნულ უმცირესობებს შორის სახელმწიფო ენის, ქართულის, სწავლების ხელშეწყობას. შესაბამისად, ქართული ენის ფლობის დონე უადრესად დაბალი იყო უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში... ენობრივი ბარიერი გახდა ქართველებსა და უმცირესობათა ჯგუფებს შორის ურთიერთობისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ რუსული კარგავდა ინტერეთნიკური კომუნიკაციის მთავარი ენის ფუნქციას. ახალგაზრდა თაობა, კერძოდ, ქართველი ახალგაზრდები, უკვე ვეღარ საუბრობდნენ დამაკმაყოფილებლად რუსულ ენაზე. უმცირესობებისთვის განკუთვნილი ქართული ენის შემ-

¹ დ. მაცაბერიძე, კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2014, გვ. 80.

სწავლელი პროგრამები კი არაორგანიზებული და უშედეგო იყო, მეტწილად სახელმწიფოს უუნარობის გამო, განხორციელებინა განათლების სწორი პოლიტიკა.¹

ჩვენი რესპონდენტი აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ კაბალიდან იხსენებს იმ პერიოდს და დღეს შუახნის თაობის აზერბაიჯანელებში ქართული ენის თითქმის საყოველთაო არცოდნის ფაქტს მაშინდელი ვითარების შედეგად მიიჩნევს.

„იმ წლებში, ზოგადად მთელ საქართველოში ჩავარდნა იყო განათლების სფეროში და ვინც მაგ დროს სწავლობდა, მათთან დღეს ძალიან ცუდად არის საქმე, ფაქტიურად, არ იციან ქართული; შესაბამისად, ეჭიბთან რომ მიდიან, თარჯიმანი მიჰყავთ, რა სტკივათ, იმასაც კი ვერ ეუბნებიან; საყიდად მიდიან თუ იუსტიციის სახლში – თარჯიმანი მიჰყავთ.“ (ლაგოდეხი, სოფ. კაბალი, 2021).

სწორედ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფოს ე.წ. „ქართულ რელსებზე“ გადაყვანის, ქართული ენისთვის პრივილეგიის მინიჭების და, შესაბამისად, რუსული ენის ქართულით ჩანაცვლების შედეგად, ეროვნულ უმცირესობებს გაუჭირდათ დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრირება. ამის გამო იყო, რომ ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი სწავლის გასაგრძელებლად მეზობელ სახელმწიფოებში (აზერბაიჯანი, სომხეთი) ან რუსეთში მიდიოდა, სწავლის დამთავრების შემდეგ კი ხშირად იქვე რჩებოდა. აღნიშნული ფაქტორი, ეკონომიკურ მიგრაციასთან ერთად, სა-

¹ ჯ. უითლი. კონფლიქტის განეიტრალება წალკის რაიონში, საქართველოში: მიგრაცია, საერთაშორისო ინტერვენცია და სახელმწიფოს როლი ჩ I-ის სამუშაო მოხსენება № 36, 2006, გვ. 11.

ქართველოდან არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენელთა გადინების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თუ ერთი მხრივ, უმცირესობათა დაწყებითი და საშუალო განათლების მშობლიურ ენებზე მიღების უზრუნველყოფამ მათი ენებისა და კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას შეუწყო ხელი, ამ გარემოებამ ასევე გარკვეულწილად განაპირობა საზოგადოების ეთნიკური და ენობრივი ნიშნით დაყოფა, რამაც ეთნიკურ საფუძველზე დაძაბულობის ინსპირირება მოახდინა.¹

კომუნიკაციის დეფიციტი და მესამე ძალის მიზანმიმართული პროპაგანდა გახდა საფუძველი იმ დაპირისპირებებისა, რომელიც 1990-იანი წლებიდან წარმოიქმნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ, უმეტესად საზღვრისპირა რეგიონებში. ასეთი იყო დაპირისპირება სომხებსა და ქართველებს, აზერბაიჯანელებსა და ქართველებს, ბერძნებსა და ქართველებს შორის, რაც, საბედნიეროდ, სერიოზულ კონფლიქტში არ გადაზრდილა².

ლაგოდესელი რესპონდენტის აზრით, „ზოგადად, ჩვენთან ეთნიკური კონფლიქტები არ ყოფილა, მაგრამ ხომ იყო აგერ, თუნდაც მარნეულში. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ერთმანეთის ენა არ ესმით. ზოგადად, როცა კომუნიკაცია არ ხდება, თავისთავად გაუცხოვება ხდება და კონფლიქტიც ამას მოჰყვება. ყველაზე რთული პრობლემაა, როცა ადამიანი ვერ იგებს შენს ნალაპარაკებს, დიდი შანსია, ნათქვამი ცუდად გაიგოს, იმიტომ, რომ ფსიქოლოგიურად მოლოდინი აქვს, რომ რაღაც ცუდი შეიძლება მოხდეს.“(საველე მასალა, ლაგოდესი, 2021).

საქართველოში განათლების მიმართულებით ეტაპობრივად განხორციელდა რეფორმები, ხოლო საქართველოს

¹ ს. მესუზლა, ე. როშე დასახ. ნაშრომი. გვ. 6.

² სოციალური უსაფრთხოების... გვ. 185-200.

სახელმწიფო ენის პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების შემუშავებას დაეთმო.

ამჟამად მთლიანად საქართველოში 208 არაქართულენოვანი საჯარო სკოლაა. სკოლებში ასევე მოქმედებს 89 არაქართულენოვანი სექტორი, სადაც სწავლა რუსულად, სომხურად ან აზერბაიჯანულად მიმდინარეობს.¹ რაც შეეხება კახეთის რეგიონს, დღეისათვის აქ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 5 აზერბაიჯანულენოვანი (ლაგოდეხი-3, საგარეჯო-2), ერთი რუსული (ხორნაბუჯი) და ერთი სომხური (საბათლო) სკოლა ფუნქციონირებს.²

2004 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაქართულენოვან სკოლებში დაიწყო განხორციელება პროგრამისა – „მომავალი იწყება დღეს“, რომლის მიზანი ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება და ასევე, ადგილობრივი მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება იყო.³

2005 წლის 10 ივნისს ქუთაისში გაიხსნა ზურაბ შვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სახელმწიფო ენის ფლობის და სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება. სკოლა ხელს უწყობს საჯარო სტრუქტურებში

¹ რ. ამირჯიბი, კ. გაბუნია. საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა, ივნისი 2021.გვ.8 ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/353111111>

² საგანმანათლებლო დაწესებულების კატალოგი, ხელმისაწვდომია: <https://www.minedu.gov.ge/>

³ მ.დალაქიშვილი, ნ. ირემაშვილი. ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (ჩ). 2020, გვ. 26.

დასაქმებული ამ კონტინგენტის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას და ქართული ენის შესწავლას. სკოლას აქვს 11 რეგიონული სასწავლო ცენტრი, მათ შორის, აზერბაიჯანთან მოსაზღვრე კახეთის რეგიონის ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც 2009 წლიდან დაიწყო – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“. პროგრამის ფარგლებში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში მიავლინეს.

2011-2012 წელს შეიცვალა ამ პროგრამის კონცეფცია და მასწავლებლებად შეირჩნენ მხოლოდ სერტიფიცირებული პედაგოგები, რომელთაც, ქართული ენის სწავლების გარდა, დაევალოთ ადგილობრივი მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება; ასევე სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება სკოლაში და „ქართული ენის კლუბების“ ჩამოყალიბება მშობლებისათვის, თემის წევრთა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სკოლების გაცვლითი და დამეგობრების პროექტები. არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწავლობდნენ პარტნიორ ქართულენოვან სკოლებში.

2011 წელსვე, ამოქმედდა ახალი პროგრამა – „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და გაიხსნა სახელმწიფო ენის შესასწავლი ცენტრები სხვადასხვა, მათ შორის კახეთის, რეგიონში.¹

¹ მ. დალაქიშვილი, ნ. ირემაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ლაგოდეხის რაიონის აზერბაიჯანულ დასახლებებში მოსახლეობის გამოკითხვამ დაგვანახა, რომ ახალგაზრდებში სახელმწიფო ენის შესწავლის ინტერესის ზრდა განსაკუთრებით ბოლო წლებში შეიმჩნევა. ეს გარკვეულწილად სახელმწიფოს მიერ ზემოთ ნახსენებ საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობებს უკავშირდება. კაბალის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის დირექტორის ინფორმაციით:

„ძალიან ბევრ ახალგაზრდას უნდა შეისწავლოს ქართული ენა, არის ენის შემსწავლელი კურსები, სადაც ბავშვები ძალიან აქტიურად არიან ჩართული. ევანიას სკოლის კურსებიც არის, უნივერსიტეტიდანაც იყო პროექტი „ვისწავლოთ ქართული“, მასწავლებლებს ავზავნიდნენ. კვირაში ორჯერ იყო სწავლება ამ კურსებზე. სადაც არ უნდა იყოს ასეთი ტიპის კურსები, ყველგან აქტიურად ერთვებიან, ამ ბოლო დროს ონლაინაც კი ტარდებოდა გაკვეთილები. ამ მხრივ 18–19–20 წლის ახალგაზრდებში უფრო უკეთესად არის საქმე.“ (კაბალი, 2021).

ლაგოდეხელ რესპონდენტთა ცნობით, ის მშობლები, ვინც ქართული ენა არ იცის და თარჯიმნის გარეშე ვერ მოქმედებს, ცდილობენ ქართული ასწავლონ შვილებს, მათ სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა დაინახეს. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანულ სკოლებში არის ქართული სექტორები და ქართული ენის სწავლება შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს, აზერბაიჯანელების ნაწილს თავიანთი შვილები ქართულ სკოლებში შეჰყავთ:

„ჩვენი სოფლის გვერდით სოფელი გიორგეთია. ჩვენი ბავშვები გადავიდნენ იქით; იმ სკოლაშიც აზერბაიჯანელთა კონტინგენტი დიდი ჰყავთ. ძალიან ინტენსიურად შედიან ქართულ სკოლებში ბავშვები, თუმცა, ერიდებიან აზერბაიჯანული სკოლის ქართულ სექტორზე შესვლას, ფიქრობენ, რომ გარემო არ არის ისეთი, სადაც ენას ისწავლიან

და ამიტომ, მეზობელი ქართული სოფლების სკოლები გადავსებულია აზერბაიჯანელი ბავშვებით. ამ სკოლებში 500-ზე მეტი ბავშვი იყო ხოლმე, ეს ბავშვები არა მარტო გვერდით სოფლებში, ბაისუბანში და გიორგეთში, არამედ უფრო შორსაც მიდიან; ბაისუბანში და გიორგეთში ბევრი აზერბაიჯანელი სწავლობს და კონტაქტი რომ არ ჰქონდეთ მათთან. უნდათ, სუფთად ქართულ სკოლაში სწავლა, რომ კარგი ქართული ისწავლონ. ერთი სიტყვით, შორს სკოლებშიც გავიდნენ უკვე. ახლა როგორაა, დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ, დაახლოებით 7-8 წლის წინ ბაისუბანში ასეთი სიტუაცია იყო, 3 ქართველი და 16 აზერბაიჯანელი ბავშვი სწავლობდა.. იმიტომ უნდათ ქართული ისწავლონ, რომ ფაქტიურად, საზღვარგარეთ სასწავლებლად უკვე აღარ მიდიან, ძირითადად საქართველოს სასწავლებლებში სწავლობენ. 1+4 პროგრამაც ძალიან კარგად მუშაობს, სწავლობენ ქართულს და რაკი ფიქრობენ მშობლები, რომ ამ ბავშვებს მომავალი საქართველოში აქვთ, ამიტომ ცდილობენ, ასწავლონ ქართული. დასაქმების პრობლემებიც აქვთ, ენის არცოდნის გამო ვერ საქმდებიან, ამიტომ სწავლობენ ინტენსიურად.“ (კაბალი 2021).

ანალოგიური ინფორმაცია მოგვაწოდა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა რესპონდენტმა.

„დიდი სკოლა აგვიშენეს 300 ბავშვი სწავლობს. სწავლა ქართულადაც არის და აზერბაიჯანულადაც, მაგრამ ეხლა უფრო ქართულად უნდათ სწავლა. ჩემი ვოვო ქართულ სექტორზე სწავლობს, დედამ არ იცის ქართული და არ უნდა, რომ შვილმაც არ იცოდეს. ხუთი საგანი ქართულია, ერთი აზერბაიჯანული. მე მაღაზიაში ვისწავლე ქართული, ურთიერთობაში ქართველებთან. ეხლა სკოლებში უფრო მეტად ასწავლიან ქართულს, ხალხსაც უფრო გვინ-

და ქართულზე მივიყვანოთ, ყველა ეგრე ვართ, გვჭირდება ქართული.“ (კაბალი 2021).

ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც 4 აზერბაიჯანული თემია. აქაურ მოსახლეობაშიც, ქართული ენის ცოდნა პრესტიჟული გახდა და აზერბაიჯანელების ერთ ნაწილს შვილები ქართულ სკოლებშიც შეჰყავს:

„ქართული ენა აუცილებელია საქართველოში. ქართული ყველგან გვჭირდება, ნებისმიერ დაწესებულებაში. მე კაჭრეთში ვსწავლობდი ინტერნატში, ვისაც ქართული სწავლა უნდოდა, იქ დადიოდა. აქედან 90-100 ბავშვი ვიყავით კაჭრეთის ინტერნატში“ (საგარეჯოს რაიონი, მულანლო, 2022).

ლაგოდეხში განათლების სისტემაში მომუშავე ეთნიკურად ქართველი რესპონდენტის ინფორმაციით, თუ წინათ აზერბაიჯანული სკოლის სახელმძღვანელოები აზერბაიჯანიდან შემოდიოდა, დღეს უკვე საქართველოში გამოიცემა და მხოლოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები შემოაქვთ გარედან; იგი თვლის, რომ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებიც საქართველოში უნდა გამოდიოდეს, რადგან განათლების ხაზით ყოველი სახელმწიფო თავის იდეოლოგიას ავითარებს; აზერბაიჯანში გამოცემულ სახელმძღვანელოში, თუნდაც წიგნის პირველ გვერდზე დაბეჭდილი აზერბაიჯანის ჰიმნი, ამაზე მეტყველებს.

„აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს უნდა ბეჭდავდეს ქართული სახელმწიფო. ასეთ შემთხვევაში, ის ისეთ მასალას შეარჩევს, რომელშიც არ იქნება აზერბაიჯანული სახელმწიფო იდეოლოგია გატარებული და ნაკლებ ზეგავლენას მოახდენს ბავშვის ფსიქიკაზე აზერბაიჯანის სასარგებლოდ“ (ლაგოდეხი 2021).

რესპონდენტს ეს ჩვენი მთავრობის ნაკლად მიანნია, და ხაზს უსვამს, რომ, საქართველოში დაბეჭდილი სახელმძღვანელო ქართული ეროვნულ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გამტარებელი იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კახეთში მცხოვრები აზერბაიჯანელების შემთხვევაში, ჩანს რომ მშობელთა გარკვეული ნაწილი აზერბაიჯანული ენის სკოლაში სწავლების დიდად მომხრე არ არის (თვლის, რომ მშობლიური ენა მათ ისედაც იციან). ეს ფაქტი მოგვაგონებს საბჭოთა პერიოდის 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენის სკოლაში სწავლების მოწინააღმდეგეთა პოზიციას (რუსული ენის სასარგებლოდ), რასაც ამ კატეგორიის ადამიანთა პრაქტიკული გათვლები განაპირობებდა და რაშიც აშკარად ვლინდება დეეთნიზაციის ნიშნები.¹

ჩვენი ერთ-ერთი ეთნიკურად ქართველი რესპონდენტი შიშობს, რომ აზერბაიჯანიდან შემოტანილ სახელმძღვანელოებში გატარებული იდეოლოგია გავლენას მოახდენს ახალგაზრდა თაობის სახელმწიფოებრივ ორიენტაციაზე; განათლების პოლიტიკის, კონკრეტულ შემთხვევაში, ეთნიკურ ორიენტაციაზე ზემოქმედების ნიმუშად მას ინგილოების მაგალითი მოჰყავს: „*აზერბაიჯანიდან შემოაქვთ წიგნები, რა წერია შიგ კაცმა არ იცის. აი, რამდენიმე წლის წინ ინგილოები ჩამოვიყვანეთ სპორტულ შეჯიბრებას ვაწყობდით, მე ქართველი არა ვარ, ინგილო ვარო, უკვე ამბობენ*“. (მაწიმი, 2021).

ბოლო პერიოდში არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოების პროპაგანდისტულ ხასიათზე, რაც ხშირად რელიგიურ დატვირ-

¹ ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე. ბორდერიზაცია და ქათულ-ოსური ურთიერთობა ოკუპირებულ რეგიონში, თბ., 2022, გვ. 157.

თვის ატარებს.¹ ს. მკრტიანიმა რამდენიმე სომხური სკოლის მაგალითზე გამოიკვლია სასკოლო სახელმძღვანელოებში იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული გზავნილები; მან შეისწავლა საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიის წარდგენის იკონოგრაფიული, რიტუალური და ინტერპრეტაციული ასპექტები. მკვლევარი სომხეთის სოციალური კონსტრუქციის თეორიის ფარგლებში წარმოადგენს სომხეთის სასკოლო განათლების სისტემაში რელიგიური სოციალიზაციის მახასიათებლებს, გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება რელიგიის ლეგიტიმაცია სასკოლო სახელმძღვანელოების ტექსტების, საკლასო ოთახებისა და სკოლების იკონოგრაფიული გაფორმების, სასკოლო ღონისძიებების, მასწავლებელთა ინტერპრეტაციების მეშვეობით.²

ზემოსხენებული ლაგოდესელი რესპონდენტი აცხადებს, რომ მათთვის უცნობია აზერბაიჯანში დაბეჭდილი ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შინაარსი; თუმცა, სრულიად ბუნებრივია, რომ მათში პროაზერბაიჯანული გზავნილები იკითხებოდეს.

საკვლევ რეგიონში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანული თემები ლაგოდესისა და საგარეჯოს მინიციპალიტეტებშია წარმოდგენილი და აზერბაიჯანული სკოლებიც ამ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს; აზერბაიჯანთან მოსაზღვრე სხვა მუნიციპალიტეტებში ისინი გაფანტულად სახლობენ და ადგილობრივ (ქართულ) სკოლებში უწევთ სწავლა. „დელოფლისწყაროს ადგილობრივი

¹ . ოფეს, თეხტოუ რბაგანდ: დეცატიორინდოცტრტინიზ ონდნ, 2017; ჟ ჭ ოჯდ, რიბრე სკოლტეტოუ რბაგანდ, 2017 ჰტტს/წწწ. რუსეოტატეტე/ტბლიცაწა5587873– რიბრე–მცოოლუსტოუ– რი აგანდ

² ს. მკრტიანი. რელიგია სომხეთის სკოლებში: 1990-იან წლებში რელიგიისწარდგენის პირველი ნაბიჯებიდან თანამედროვე ასპექტებამდე (შინაარსი, იკონოგრაფია, რიტუალი და ინტერპრეტაცია), ანთროპოლოგიური კვლევანი, №3, თბ., 2017, გვ. 94-110.

განვითარების ჯგუფის“ ()-ის წარმომადგენლის ინფორმაციით, მესაქონლეობითა და მემინდვრეობით განთქმულ მუნიციპალიტეტში ალაზნისპირზე მოსახლეობას საქონლის ფერმები აქვს მოწყობილი. ამ ფერმებში, თუ თავად მეპატრონეები არა, დაქირავებული აზერბაიჯანელი მესაქონლეები მუშაობენ და ცხოვრობენ ოჯახებით.

„ჩვენთან ძალიან ბევრი ფერმაა, ძირითადად არიან აზერბაიჯანელები. ათეულობით წლებია ამ ფერმაში ცხოვრობენ; მათი ბავშვები არ სწავლობენ სკოლაში, თავის ენაზედაც კი არ იციან წერა-კითხვა, საერთოდ არ იციან, ფერმის იქით რა ხდება.“ (დედოფლისწყარო, 2022)

აღნიშნული ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა პროექტი, რომლის თანახმადაც, დაიგეგმა ფერმებში მცხოვრები აზერბაიჯანელი ბავშვების სოფელ არხილოსკალოში არსებულ „ცოდნის სახლთან“¹ მიმავრება, ანუ მათი ჩართვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. მოხრობლის გადმოცემით:

„არხილოსკალოში „ცოდნის სახლის“ პროგრამაში ვინც მოხვდა, ანუ, მიიღო დაფინანსება, ეს ოჯახი სოფლის მეურნეობით არის დაინტერესებული; ამ ოჯახში არის ორი ბავშვი, რომლებიც ქართულ სკოლაში დადიან და იციან ქართული; მათ აქვთ აზერბაიჯანელების ფერმასთან კომუნიკაცია; საერთოდ, ყველა აზერბაიჯანელ დედას უნდა რომ მისმა შეიღებმა იცოდნენ წერა-კითხვა. ძალიან დიდი ინტერესი იყო ქალების მხრიდან; დავწერეთ

¹არასამთავრობო ორგანიზაცია „ცოდნის სახლი“ ევროკავშირის დ ჩ და პროექტ „სოფლის განვითარების ინიციატივის“ დახმარებით დაარსდა დედოფლისწყაროს სოფელ არხლოსკალოში. პროექტი მიზნად ისახავს არხილოსკალოდან მიგრაციის შემცირებას და ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების (ხელნაკეთობები, მხატვრობა, კითხვა და ა.შ.). მისაღებად შესაძლებლობების შექმნას (მუნიციპალური შეფასების ანგარიში, დედოფლისწყარო, აგვისტო 2020, გვ. 33).

პროექტი, რომ აზერბაიჯანელი ბავშვები, რომლებიც ფერმებში ცხოვრობენ, გამოგვეყვანა, ამ „ცოდნის სახლის“ ბაზაზე ქართული წერა-კითხვა გვესწავლებინა და სხვადასხვა აქტივობებში ჩაგვეერთო. ძალიან კარგი პროექტი იყო. სწორედ იმ დროს დავით გარეჯის თემა მუხირებდა და იყო ერთი ამბავი! და რატომღაც, ამ იდეის მიმართ ქართული თემისგან წამოვიდა მიუღებლობა; იქ ვიღაცამ თქვა, რომ აქ უნდა ჩამოიყვანონ აზერბაიჯანელი ბავშვებიო, არხილოსკალოს სკოლაში მოიყვანნო, ვიღაცეებს გაუჩნდათ ცუდი აზრები, ცუდი აგიტაცია წავიდა, ფსევდოპატრიოტული თემები აავორეს, იქ მამაო გამოვიდა სიტყვით, მიტინგს ჩავატარებთ, არ გვინდა აქ აზერბაიჯანელებიო...არადა თვითონ ქართველებს ჰყავთ ეს აზერბაიჯანელები მოყვანილი თავის ფერმებში და ამუშავებენ. ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ ყველა არაქართველმა სახელმწიფო ენა იცოდეს, ამაში სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი; ვერ აკეთებს? და, აგერ ჩვენ ვაკეთებთ, და ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან! ჩვენ მანქანით მოგვეყავდა ის ბავშვები, კვებაც ჰქონდათ, მუზეუმებში ვატარებდით, არ იცოდნენ, რა იყო მუზეუმი, პირველად ნახეს; თქვის სახელოსნო დავათვალიერებინეთ. აზერბაიჯანელებს თვითონაც აქვთ ეს ხალიჩის წარმოება და გაცვლითი პროგრამა გვქონდა; წამოვიყვანეთ, სასწავლო ცენტრი დავათვალიერებინეთ, გასართობ მოედანზე ითამაშეს ბავშვებმა, ვასადიღეთ კაფეში, ფეხით ვისეირნეთ, ეს აქტივობები გვქონდა და წარმოიდგინეთ ის აზერბაიჯანელი ბავშვები, რომლებიც ქართულ სკოლაში სწავლობდნენ, თარჯიმნის როლს ასრულებდნენ; იმათი დედაც ქართულად კარგად საუბრობდა და სადილის მომზადებაშიც გვეხმარებოდა. მძლოდიც აზერბაიჯანელი გვეყავდა და ეს კომუნიკაცია შედგა. იმ ბავშვებს მშობლებიც გამოჰყვენენ,

ზოგს მამები, ზოგს დედები... კიდევ ერთი მიმართულება გვქონდა, საბუნებისმეტყველო საგნების გაცნობა, გარემოს გაცნობა. ქიმიის კაბინეტისთვის ვიყიდეთ მიკროსკოპი, ქიმიური ელემენტები, ფერადი რეაქციები, ის, რაც ბავშვს დაინტერესებდა, რომ ჩავეერთო ისინი პროცესში, დაკვირვებები ყოფილიყო, ექსკურსიები გვქონოდა. ძოვად, მასწავლებლები განაწვეს უარყოფითად და ორი თვე შეჩერდა პროექტი კოვიდის და ამ პრობლემების გამო. მერე მთელი უშიშროება ჩაერთა და გაჩუმდნენ, ავდექი, წამოვიყვანე ეს ბავშვები, სოფელ არბოშიკში, სადაც სულ ქართველები ცხოვრობენ და არბოშიკის სკოლას დაუფინანსეთ ქიმიის კაბინეტი, ისეთ დონეზე მოვაწყვეთ, მგონი უნივერსიტეტსაც არა აქვს. ეს ქიმიური ელემენტები, რაც გვქონდა, გადავეცით ამ სკოლას; მასწავლებელმა ამ ბავშვების თანდასწრებით ჩაატარა ცდები, ფერადი რეაქციები ჩაატარეს... საბოლოოდ მაინც დავასრულეთ პროექტი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო! სამწუხაროდ, ეს პრობლემა გაკვირნდა – ქართული თემისგან მიუღებლობა.“ (დედოფლისწყარო, 2022).

რესპონდენტის თქმით, ამ პროექტმა დიდი როლი ითამაშა მარგინალიზებულ აზერბაიჯანულ ჯგუფში ინტეგრაციის ტენდენციების ჩასახვაში.

აზერბაიჯანული თემის მსგავსად, კახეთის რეგიონის კომპაქტურად დასახლებულ სომხურ თემშიც მზარდია ქართული ენის შესწავლის სურვილი. აზერბაიჯანის საზღვართან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში მოსახლეობის 75% ეთნიკურად სომეხია. სოფელში ერთი სომხური სკოლაა, რომელსაც აქვს ქართული სექტორიც.

როგორც მონოგრაფიის წინა თავებში აღინიშნა, ეს სოფელი ყარაბაღიდან ლტოლვილმა სომხებმა დააარსეს; საბათლოდან აზერბაიჯანის საზღვარი უფრო ახ-

ლოსაა, ვიდრე დედოფლისწუარო, ამიტომ საბათლოელ სომხებს, საზღვრის ჩაკეცვამდე, აზერბაიჯანის მოსახლეობასთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ, მათ არა მარტო ვაჭრობა, არამედ მეგობრობა და ნათესაობაც აკავშირებდათ; როგორც საბათლოელი რესპონდენტი გადმოგვცემს, „ისეთი კარგი ურთიერთობა იყო, რომ ყველა ოჯახს ჰყავდა ყონალი. დიდ პატივს სცემდნენ ჩვენს ხალხს, ჩვენც პატივს ვცემდით. საბათლოელმა ხალხმა ქართული არ იცოდნენ, თათრულად უფრო ლაპარაკობდნენ. ეხლაც იციან უმრავლესობამ. ეხლა დაიწვეს ქართულის სწავლა, რაც საზღვარი ჩაიკეტა. კონფლიქტის მერე ძალიან შეიცვალა ურთიერთობა, თვითონ შეიძლება მოვიდნენ, რადგან ეს საქართველოა, მაგრამ სომხები იქით არ წავლენ. აზერები თავიანთ ქვეყანაში უფრო აგრესიულები იქნებიან.“ (საბათლო, 2022).

ადგილობრივი სკოლის პედაგოგთა ინფორმაციით, საბათლოს სომხურ სკოლაში ქართული სექტორის საჭიროება იმანაც განაპირობა, რომ სოფელში 20-25 წელია აჭარლები ცხოვრობენ. ქართულ სექტორზე აჭარლებთან ერთად სომეხი ბავშვებიც სწავლობენ. ბავშვებმა ერთმანეთის ენა იციან, რადგან ყოველდღიური კონტაქტი აქვთ. სკოლაში ასწავლიან, როგორც ადგილობრივი სომეხი, ისე ჩამოსული ქართველი მასწავლებლები. თუ წინათ სკოლაში ქართულ ენის სწავლებას 2 საათი ეთმობოდა, სომხურს – 5 და 5 საათი რუსულს, ახლა პირიქით – 5 საათი ქართულია, 5 საათი სომხური და მეხუთე კლასიდან 2 საათი რუსული. კონტაქტიც მეტია ქართველებთან. მშობლებს უნდათ, რომ მათმა შვილებმა ქართული ისწავლონ და უმაღლეს სასწავლებელში თბილისში ჩააბარონ.

„ჩემი შვილი მე-12 კლასშია, ქართულად ისე კარგად იცის, რომ თბილისში უნდა სწავლა ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისა რომ სკოლაში სომხურ სექტორზე სწავ-

ლობს. არის ეხლა პროგრამები — ისწავლე საქართველოს-თვის, პროგრამა 1+4 არის.“ (საბათლო, 2022).

საუბრიდან გაირკვა, რომ საბათლოს სომხური ოჯახებიდან ახალგაზრდები უმაღლესში სასწავლებლად მაინც სომხეთში წასვლას არჩევენ, ვინაიდან ნათესავები იქ ჰყავთ და საცხოვრებლის პრობლემა არ ექნებათ. მათი თქმით:

„უფრო უნდათ ჩვენს ბავშვებს საქართველოში სწავლა, საზღვრისპირა სტატუსი შეღავათს ითვალისწინებს ჩაბარებაზე, მაგრამ დასარჩენი ადგილი არ აქვთ. საცხოვრებელი პირობები არის პრობლემა. მაგალითად, ერთი ბავშვი გვეყავს ძალიან ნიჭიერი, სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩააბაროს, მაგრამ პირობები არა აქვს, ოჯახს ქირის საშუალება არ აქვს. ეხლა ამთავრებს. ეროვნული გამოცდები უნდა ჩააბაროს. სომეხია, მაგრამ ქართულ სექტორზე სწავლობს.“ (საბათლო, 2022).

რესპონდენტთა ინფორმაციით, თითქმის ყველა ოჯახს აქვს ინტერნეტი, სასკოლო გაკვეთილებს კოვიდ პანდემიის პერიოდში დისტანციურად ატარებდნენ. სამაგიეროდ, სოფელში არ ფუნქციონირებს რაიმე ახალგაზრდული ორგანიზაცია, არ არის არც საგანმანათლებლო წრეები და არც რაიმე სპორტული სექცია; ადგილობრივ ბავშვებს ფეხბურთი უყვართ და თავიანთი ინიციატივით აწყობენ შეჯიბრებებს მეზობელი სოფლის ბავშვებთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საბათლოში ახალგაზრდები კარგად უთავსებენ სწავლასა და შრომას, შრომა უყვართ, ნახირში დადიან, დაქირავებულ მუშებად დღიურადაც მუშაობენ. ჩანს, რომ სამეურნეო ტრადიციები ახალგაზრდა თაობასაც გადაეცემა, რაც, სახელმწიფოს მხრიდან ხელის შეწყობის შემთხვევაში, მოსახლეობის ადგილზე დამაგრების ერთ-ერთი გარანტია იქნება; საზღვრისპირა სოფლების ყოველმხრივ გაძლიერება კი სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებშია.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფ. არეშფერანში, წლების წინ ფუნქციონირებდა ოსურენოვანი სკოლა, ვინაიდან ამ სოფელში კომპაქტურად სახლობდნენ ოსები. მაგრამ 1990-იანი წლების მოვლენების გამო ოსების დიდმა ნაწილმა დატოვა საქართველო და რუსეთში გადასახლდა. მოსახლეობის ნაწილი წლების მერე უკან დაბრუნდა, თუმცა, დღეს ეს სოფელი ეთნიკურად შერეულია და სკოლაც ქართულენოვანია.

უმცირესობათა პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობისათვის 2016 წლიდან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს მნიშვნელოვან პროგრამას — „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება.“ იგი აერთიანებს მასწავლებელთა სამ ჯგუფს: (1) ქართულის, როგორც მეორე ენის, კონსულტანტ-მასწავლებლები, (2) ქართულის, როგორც მეორე ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების დამხმარე მასწავლებლები (ისტორია და გეოგრაფია) და (3) ბილინგვური დამხმარე მასწავლებლები, რომლებიც ქართული ენის მომზადების პროგრამის (ე.წ. 1+4) კურსდამთავრებულები არიან. ისინი ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში¹. ამჯერად სწორედ ეს მესამე ჯგუფია ჩვენთვის საინტერესო, ვინაიდან მას ეკისრება არადომინანტ და დომინანტ ჯგუფებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი — მედიუმის ფუნქცია.

1+4 პროგრამა, რომელიც 2010 წლიდან ხორციელდება, ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად ითვლება საგანმანათლებლო სისტემაში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების გამარტივებელი წესით მიღებაში. 4 გამოცდის ნაცვლად ისინი უმაღლეს სასწავლო დაწესე-

¹ მ. დალაქიშვილი, ნ. ირემაშვილი. დასახ.ნაშრ. გვ. 27-28.

ბუღალტერული ჩანაწერების მიხედვით უნარების გამოცდას აბარებენ (შესაბამისად, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ ან აფხაზურ ენებზე). ამის შემდეგ გადიან ქართული ენის მოსამზადებელ ერთწლიან კურსს, რაც უფასოა 100%-იანი გრანტის მომპოვებლებისთვის (უფასო ადგილების კვოტა ყოველწლიურად იცვლება), დანარჩენები კი იხდიან სტანდარტულად, 2250 ლარს. 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში ახალგაზრდები სწავლას 4-წლიან საბაკალავრო პროგრამებზე აგრძელებენ (ირიცხებიან უგამოცდოდ, სწავლა ფასიანია). ოფიციალური მონაცემებით დასტურდება 2010 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამ კატეგორიის სტუდენტების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა.¹

ეს პროგრამა რომ წარმატებულია, ამაზე საზოგადოებაში ერთმნიშვნელოვნად დადებითი აზრი არსებობს და ამას ადასტურებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც. კაბალელი რესპონდენტის თქმით, „1+4 პროგრამამ ძალიან დადებითი როლი შეასრულა. სულ შემოაბრუნათ, არავის აღარ უნდა იქით სასწავლებლად წასვლა, თბილისში ურჩევნიათ. თუნდაც ევანიას სკოლის პროგრამები, ან სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა... დონეების მიხედვით გადიან ამ კურსებს.“ (კაბალი, 2021).

თუმცა, მოგვიანებით, უმცირესობების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა ერთგვარი უკმაყოფილება, რადგან, სახელმწიფო ენის უფასოდ სწავლის შესაძლებლობა მხოლოდ ერთ ნაწილს ეძლეოდა. 2022 წლის დასაწყისისთვის სოციალურ ქსელში აგორდა კამპანია – „მასწავლე ქართული უფასოდ“. ეს იყო არადომინანტი ეთნოსების წარმომადგენლების (და არამხოლოდ მათი) პროტესტი, 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის კურსის გადასახადთან დაკავშირებით. ისინი თვლიან, რომ ეს დამატებითი ბარიერი

¹ პროგრამის შესახებ დეტალურად იხ. იქვე გვ. 50-51.

რია და რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას. ამასთან დაკავშირებით კახეთში მცხოვრები უმცირესობებისაგან ჩვენ პრეტენზიები არ მოგვისმენია, თუმცა სოციალურ ქსელებში¹ ვხვდებით მსგავს პოზიციას არადომინანტი ეთნოსებით დასახლებული საქართველოს სხვა რეგიონების წარმომადგენლების მხრიდან:

„როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, რატომ უნდა ვისწავლოთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა 2250 ლარის სანაცვლოდ? მიმაჩნია, რომ რადგანაც ამ სახელმწიფოს მოქალაქე ვარ, ქართული ენის სწავლაში ფულის გადახდა არ უნდა მიწვედეს. სახელმწიფო, რომელიც ქართული ენის სწავლას მოითხოვს ჩემგან და თვითონ ამისთვის არაფერს აკეთებს, უფრო მეტიც, ამაში აქეთ ფულსაც მოხოვს, დიდ უსამართლობას სჩადის“

„სტუდენტების უნივერსიტეტში ჩაბარებისას, მათი ოჯახები ვეღარ ხვდებიან, გაიხარონ თუ დამწუხრდნენ, რადგანაც ქართული ენის სწავლების მიზნით 1+4 პროგრამაში მოსამზადებელი კურსის ღირებულება წელიწადში დამატებით 2250 ლარს შეადგენს“²

კამპანია №ასწავლექართულიუფასოდ№ პლატფორმა „სალამ-მა“³ წამოიწყო. პლატფორმას მიაჩნია, რომ საკუთარ მოქალაქეებს სახელმწიფო ენის სწავლაში ფულს არცერთ ქვეყანაში არ უნდა ახდევინებდნენ, მით უფრო, საქართველოში, სადაც ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით სტრატეგიული ამოცანაა სწორედ სახელმწიფო ენის სწავლება.

¹ <https://www.facebook.com/საქართველოს-მთავრობის-საგარეო-საზღვაო-და-საერთაშორისო-კავშირების-სახელმწიფო-ენის-სწავლა-2022/>

² ემიდელაშვილი. ქართული ენა 2250 ლარად? – კამპანია №ასწავლექართულიუფასოდ, 5 აპრილი, 2022; ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/საქართველოს-მთავრობის-საგარეო-საზღვაო-და-საერთაშორისო-კავშირების-სახელმწიფო-ენის-სწავლა-2022/>

³ პლატფორმა „სალამი“ ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, იდენტობისა და ინტეგრაციის საკითხებზე.

ამ კამპანიის მოთხოვნებს ჯერ-ჯერობით პასუხი არ მოჰყოლია.

ჩვენთვის უცნობია, კახეთის სასახლვრო ზოლში მცხოვრები აზერბაიჯანელი (ან სხვა ეთნიკური წარმომავლობის) ახალგაზრდებიდან იყო თუ არა ვინმე ამ კამპანიაში ჩართული, მაგრამ ამ 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულთა არაპროფესიული კუთხით დასაქმების შესახებ აზერბაიჯანულ თემში უკმაყოფილება რომ არსებობს, ეს რესპონდენტებთან ინტერვიუებში აშკარად ჩანს:

„ბოლო დროს ქართული ფილოლოგიაც დაამთავრეს ჩვენმა გოგოებმა. მუსტაფაევა, ალახვერდოვა, გულბანოვა. სამივემ დაამთავრა ქართულად და პროფესიით არ მუშაობენ. ერთი მუშაობს მუსიკის მასწავლებლად, მეორე მანდატურად, იმან იცის ქართულად და აზერბაიჯანულად ლაპარაკი, მაგრამ ვერ საქმდება თავისი სპეციალობით, არ უშვებენ. ეს არის ტრაგედია, ჩვენთვის ეს ძალიან ცუდია. სკოლებში არ არის პროფესიონალი მასწავლებელი. მოდის ვიღაცის ნათესავი და დაასაქმებენ. სერთიფიცირებული მასწავლებლებიც ხომ პრობლემაა. ამ კრიზისიდან ამოსვლისთვის საჭირო და აუცილებელიცაა, რომ ის მცოდნე ლიტერატურის მასწავლებელი მანდატურად კი არ მუშაობდეს, არამედ კლასში, მასწავლებლად. ასეთი რამეები უნდა შეფასდეს, უნდა მიექცეს ყურადღება.“ (კაბალი, 2021).

აზერბაიჯანელი მოხრობლების შეხედულებით, უმჯობესია, ქართველმა მასწავლებლებმა იცოდნენ აზერბაიჯანულიც, რადგან იმ აზერბაიჯანელ ბავშვებთან, ვინც სახელმწიფო ენა ჯერ არ ან ცუდად იცის, მუშაობა გაუადვილდეთ.

რაც შეეხება საზღვრისპირა ქართული სოფლების სკოლებს, აქ სწავლა განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტული პროგრამით მიმდინარეობს, თუმცა არის გარკვეული პრობლემებიც – კადრების დეფი-

ციტი, სათანადო ინფრასტრუქტურის უქონლობა ან გაუმართაობა (მაგ. ინტერნეტი დისტანციური სწავლების დროს), ტრანსპორტის საკითხი და სხვ.

ერისიმიდელი მთხრობლის თქმით, თავდაპირველად, მათი სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ გარკვეული შეღავათები, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების დროს: „როცა ჩამოვსახლდით, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილიალი იყო სიღნაღში; ახალი ჩამოსულები რომ ვიყავით, 90-იან წლებში, მაშინ ჩავრიცხეთ 7 აბიტურიენტი უფასოდ. მერე დაბრუნდნენ სოფელში და დღეს სკოლაში მუშაობენ. ახლა სკოლის კადრიც გვიჭირს, 8 ადგილობრივი მასწავლებელია, ძველი ანავიდან არიან მასწავლებლები, თავიანთი ტრანსპორტით დადიან; უმაღლესში ჩაბარების შეღავათები არ არის არაფერი. ვფიქრობ, მიდგომა სხვანაირი უნდა იყოს.“ (ერისიმიედი, 2022).

სამთაწყაროელი რეპონდენტის ცნობით: „სამთაწყაროს სკოლაში 125 მოსწავლეა, ადრე მეტი იყო. ზოგადად, შემცირდა შობადობა. საერთოდ, სკოლაში მასწავლებლების პრობლემა გვაქვს. ბავშვებს სპორტი უყვართ და ტურნირებს ვატარებთ ფეხბურთში. სტადიონს ახლიდან გვიკეთებენ. ჩვენთან ბექაურმა გააჩინა სტიმული ჭიდაობაში. ქედში კეთდება ახლა საჭიდაო დარბაზი, უნდათ ჭიდაობაზე სიარული ჩვენ ბავშვებს, მაგრამ ამ სოფლიდან რაიონში ვერ ვატარებთ, დიდი მანძილებია. საზოგადოებრივი ტრანსპორტით დედოფლისწყაროში ერთი რეისი კეთდება დღეში. სპორტის მიმართულებით რომ იყოს ყურადღება, ძალიან კარგი იქნებოდა. ისე, ახლა სოფელში სამსართულიანი სკოლა შენდება, ლიფტიანი, შეიძლება სამი სოფლის სკოლა გაერთიანდეს. ყველა პირობა იქნება ამ სკოლაში, ახლიდან გააკეთდა ყველაფერი, ინტერნეტი ამჟამად არ არის, მაგრამ გვპირდებიან რომ ჩაირთვება.“ (სამთაწყარო, 2022).

აღსანიშნავია ისიც, რომ, ერთმანეთის მეზობლად მდებარე სხვადასხვა ეთნოსებით დასახლებული საზღვრისპირა სოფლების (თუნდაც დედოფლისწყაროს სამი სოფლის მაგალითზე) ახალგზრდები ერთმანეთთან კავშირში არიან, ხვდებიან ერთმანეთს, აწყობენ სპორტულ შეჯიბრებებს, რაც აახლოებს მათ და ამ თემების ინტეგრაციას უწყობს ხელს. თავისთავად, ის ფაქტი, რომ ეს ბავშვები ენობრივ კავშირებს ამყარებენ ერთმანეთის ენებზე, უკვე ბევრის მანიშნებელია.

დაბოლოს, არადომინანტი ეთნოსების განათლების საკითხების მოგვარებისთვის გატარებული რეფორმების მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს გარკვეული პრეტენზიები, რაც შემდგომში აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნებ მათი ინტეგრაციის პოლიტიკაში. შევეცდები, პუნქტების სახით ჩამოვაყალიბო მთხრობელთა მიერ გამოთქმული სურვილები:

- არაქართულენოვან სკოლებში მომუშავე ქართველმა მასწავლებლებმა სასურველია იცოდნენ იმ არადომინანტი ეთნოსების ენა, რომელ სკოლაშიც ასწავლიან (ჩვენ შემთხვევაში, აზერბაიჯანული, სომხური).

- არ უნდა იყოს დიფერენცირებული პედაგოგების ხელფასები (მთხრობელი: *ხელფასი აზერბაიჯანულ სკოლაში ქართველ მასწავლებლებს მეტი აქვთ. დანამატს იღებენ, მხოლოდ ქართულის და ისტორიის მასწავლებლები, სხვები არა. თუ ქართულს აზერბაიჯანელი მასწავლებელი ასწავლის, ისიც მიიღებს დანამატს მხოლოდ ქართულის მასწავლებლები არიან სერთიფიცირებულები, უფროსი მასწავლებელი თუ ვინმეა, ძირითადად არიან ქართულის მასწავლებლები. შეიძლება აზერბაიჯანელიც იყოს, მაგრამ, ვთქვათ, 42-დან მხოლოდ 2-3*)

- უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ტრანსპორტირების პრობლემა (მეზობელი სოფლის ან შორ მანძილზე არ-

სებულ სკოლებში ბავშვების გადასაცემი ტრანსპორტი ხშირად საკმარისი რაოდენობის არ არის).

- მშობლები ითხოვენ ქართული ენის უკეთ სწავლებას ადგილზე (მთხრობელი: *მე მინდა თორმეტივე კლასი ქართულად დაამთავრონ ჩემმა შვილებმა, ფულს გადავიხდი ოღონდ იყოს ქართული სწავლება*).

- განათლების სამინისტრომ უფრო მეტად უნდა მიაქციოს სკოლებს ყურადღება უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების კუთხით, დაარსდეს ახალი ან გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს არსებული სპორტული და სახელოვნებო წრეები/ცენტრები (მთხრობელი: *არ გვაქვს კულტურის ცენტრი, სპორტდარბაზი ახალგაზრდული ორგანიზაციები იყო ადრე, მაგრამ შეამცირეს. ბავშვები მეზობელ ქართულ სოფელში დადიან მუსიკალური ცენტრში და ცეკვის წრეზე. აზერბაიჯანულ ცეკვებს არ ასწავლიან, მასწავლებელი არ არის. აზერბაიჯანული ცეკვები, სიმღერები უნდა იყოს შესწავლილი*)

- საქართველოს უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის 1+4 პროგრამაზე ქართული ენის შესწავლა გახდეს უფასო (კამპანია – „მასწავლე ქართული უფასოდ“).

აზერბაიჯანთან მოსახლერე კახეთის რეგიონის უმცირესობით დასახლებულ სოფლებში ახალგაზრდა თაობის განათლების საკითხი სახელმწიფოს სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომლის წამატებით გადაჭრა უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან და თანაბარ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

თავი IV. სათემო ორგანიზაციების როლი კახეთის საზღვრისპირა დასახლებებში

§ I. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე თავში გამოკვლეულია კახეთის მუნიციპალიტეტებისა და სოფლის დონეზე არსებული საზოგადოებრივი და სათემო გაერთიანებების საქმიანობა, მათი როლი და განვითარების ტრაექტორია. ის გარკვეულწილად განაგრძობს კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2021 წელს გამოცემული მონოგრაფიის – „ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანელები)“ ერთ-ერთ თავს, სადაც საზოგადოებრივი გაერთიანებების (სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციების) როლი და ფუნქცია სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არის შესწავლილი.

სათემო გაერთიანებების პერსპექტივის გათვალისწინებით, საზღვრისპირა დასახლებებში საყურადღებოა თანამოქმედების და თვითორგანიზების მოდალობებზე დაკვირვება, რომლის ანალოგიების ძიებას საუკუნის წინანდელ სათემო გამოცდილების მნიშვნელოვან აღმოჩენებად მივიყვართ.

ძველსა და თანამედროვე სათემო ორგანიზაციებს შორის გამოვლენილი გადაკვეთები განხილულ იქნა სათემო ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჭრილში – რამდენად შენარჩუნდა ისტორიული სათემო მოდელები და შეძლო კი ამ ფორმებმა დღევანდელობასთან ადაპტირება? როგორ ხდება თანამედროვე მედია და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება? რამდენად ეფექტურია სათემო ორგანიზების ახალი შესაძლებლობები და რა ტექნოლოგიური ფაქტორები ახდენს გავლენას საზოგადოების ფორმირების პროცესებზე?

ეს ის კითხვებია, რომლებზედაც შევეცადეთ პასუხი წინამდებარე თავში გაგვეცა.

მონოგრაფიის შესავალში უკვე აღინიშნა, რომ შესწავლილი საზღვრისპირა პუნქტების ისტორიული, ეთნიკური თუ ეკონომიკური მახასიათებლები არაერთგვაროვანია და მოიცავს, როგორც მრავალეთნიკურ, ასევე ეკომიგრანტებითა თუ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებსა და სათემო ცენტრებს. შესაბამისად, საზღვრისპირა დასახლებების ჩამოყალიბების, გარემოსთან ადაპტაციის და სათემო ფორმირების საკითხების შესწავლისას, ეს ფაქტორები გათვალისწინებულია.

პროექტის გეოგრაფიული ფოკუსიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა კახეთის ოთხი მუნიციპალიტეტის სასაზღვრო დასახლებებზე, რომელთაგან ცხრა სოფელი უშუალოდ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. საკვლევ რეგიონში მოსახლეობის გამოკითხვის გარდა, ინტერვიუება ჩატარდა სასაზღვრო დასახლებებში მუშაობის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საზღვრისპირა სოფლების შესახებ ინფორმაციის მოძიება მოხდა როგორც ადგილობრივ დონეზე, მოსახლეებთან პირისპირ ინტერვიუების გზით, ასევე გამოთხოვილი იქნა რაოდენობრივი სახის საჯარო ინფორმაცია მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან.

კვლევისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ შემუშავებული სათემო ორგანიზაციების რუკა¹. სათემო ორგანიზაციების იდენტიფიცირების

¹ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ შემუშავებული სათემო ორგანიზაციების რუკა 2011 წლიდან მოყოლებული აგროვებს მონაცემებს საქართველოში არსებული სათემო ორგანიზაციების შესახებ და აღნიშნული ინფორმაცია მათსავე ვებ-გვერდზე ონლაინ ფორმატში

შემდგომი ეტაპი მოიცავდა, პირისპირ და ონლაინ ინტერვიუებს აღნიშნული მუნიციპალიტეტის იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც საკვლევ რეგიონში კონკრეტული პროექტების/აქტივობების განხორციელების გამოცდილება აქვთ. რაოდენობრივი მონაცემების და საკვლევ რეგიონებში არსებული სათემო ორგანიზაციების სრულყოფილი მოცვის მიზნით, დაიგზავნა ონლაინ კითხვარი იდენტიფიცირებულ ორგანიზაციებთან. სათემო გამოცდილების სრულყოფილი სურათის შექმნაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „სათემო განვითარების ცენტრის“ მიერ გამოცემულ პუბლიკაციათა ციკლს, რომელიც საქართველოში სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების ისტორიის კვლევას ეძღვნება. აღნიშნულმა გამოცემებმა, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, საკმაოდ მრავალფეროვან სამოქალაქო და სათემო თვითორგანიზების ისტორიულ გამოცდილებას მოჰფინა ნათელი.¹ აღნიშნულ გამოცემებზე დაყრდნობით, მიმდინარე კვლევა შესაძლებელს ხდის, მივიწყებული გამოცდილების ხელახალი გააზრების გზით, გამოიკეთოს პარალელები ტრადიციულ და თანამედროვე პროცესებს შორის.

შესწავლილი მუნიციპალიტეტების მრავალეთნიკური დასახლებებიდან აღსანიშნავია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი საბათლო (სულადობა – 355 მოსახლე, აქედან 300 – ეთნიკურად სომეხი, 55 – აჭარიდან 1980-იან წლებში ჩამოსახლებული ეკომიგრანტი); ლაგოდე-

არის წარმოდგენილი. ხელმისაწვდომია: [პტმმ/წწ. ცდაა/ა/ ორგანიზაციის](#)

¹ *აღნიშნული ციკლის პირველი სამი გამოცემა მოიცავს სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების მაგალითებს საქართველოს განსაზღვრებულ, ხოლო მეოთხე გამოცემა საკმაოდ სიღრმისეულად ეხება თვითორგანიზების თანამედროვე გამოცდილებას საქართველოს ყველა რეგიონის ჩათვლით, რაც უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის.*

ხის მუნიციპალიტეტის კაბალის თემი, რომელიც ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელებით არის დასახლებული და შედგება ოთხი სოფლისგან (კაბალი, სულადობა – 3955; ყარაჯალა, სულადობა – 2880; უზუნთალა, სულადობა – 2615; განჯალა, სულადობა – 2810); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი მულანლო (სულადობა – 1830) და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელი ილიაწმინდა (ყოფ. ულიანოვკა; სულადობა – 637, სოფელში ცხოვრობს მოლოკანთა ეთნიკური ჯგუფი, ისინი ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებით 11 %-ს შეადგენენ).¹

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა დასახლებებში არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მათ შორის ინტერნეტიზაციის მანევრებელი, საგზაო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გამოწვევები და ა.შ. უკანასკნელ წლებში საგზაო ინფრასტრუქტურა ოთხივე მუნიციპალიტეტში ერთმნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა. უგზოობის პრობლემა განსაკუთრებული სიმძაფრით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სამ სოფელში – საბათლო, ფიროსმანი, სამთაწყარო და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ერისიძედში იდგა. ის იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც იწვევდა მოსახლეობის სოფლიდან გადინებას; ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად, უკანასკნელ პერიოდში საპირისპირო პროცესები შეიმჩნევა, რაც არაერთ ინტერვიუში დაფიქსირდა მაცხოვრებლების მიერ. მაგ. სოფელ ფიროსმანის მცხოვრების შეფასებით;

„გზა იყო დედოფლისწყაროდან ძალიან ცუდი, თბილისიდან ჩალაუბნამდე საათი და 20 წუთი გვეჭირდებოდა და იქიდან აქამდე – 4 საათი. სიღნაღის გადმოსახვევიდან გზა აღარ იყო. 2012 წლამდე ეს სოფელი სანახევროდ იყო დაცლილი. 75 ოჯახი იყო გასული, მათ შორის მეც გასუ-

¹ მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია. გამოთხოვილი 25/08/2022.

ლი ვიყავი. რეალობა იყო, 2000 ლარს იხდიდნენ ვენახის გაჩეხვაში. ახლა, რომ გაიკითხო ფიროსმანში, ერთ სახლს ვერ ნახავ გასაყიდს. ახლა უკვე აშენებას იწყებენ, ერთი (მაცხოვრებელი) ვიცი სოფლიდან წასვლა არ უნდა, სახლი არსად იყიდება, უნდა რომ ააშენოს. ახლა 156 კომლი ცხოვრობს. დაბრუნდა ხალხი. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ განაპირობა, რა თქმა უნდა“. (სოფ. ფიროსმანი, 2022).

როგორც სასახლვრო დასახლებებში აღნიშნავენ, უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გზის პრობლემის მოგვარებამ და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამოქმედებამ, ხელი შეუწყო ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას, მოსახლეობის დაბრუნებას და, ზოგადად, სოფლების გამოცოცხლებას. საქართველო-აზერბაიჯანის სასახლვრო მონაკვეთში მდებარე სოფელ ერისიმედის გარდა, შესწავლილი სოფლების უმეტესობა გაზიფიცირებული იყო, ხოლო სასმელი წყალი დღეგამოშვებით მიეწოდებოდა მოსახლეობას, თუმცა უახლოესი ერთი წლის პერიოდში 24 საათიანი წყალმომარაგების სისტემის ამოქმედებაა დაგეგმილი (სოფ. ფიროსმანი, სოფ. საბათლო, 2022).

რაც შეეხება ინტერნეტიზაციას საზღვრისპირა დასახლებებში, ამ მიმართულებით არაერთგვაროვანი სურათს ვაწყდებით. შესწავლილი მუნიციპალიტეტებიდან ინტერნეტიზაციის სიმკვრივის¹ ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ლაგოდეხსა (38.32%) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებშია (36.66%), ხოლო ყველაზე მაღალი კი – სიღნაღში (57.33%), რომელსაც მოსდევს დედოფლისწყარო (41.24%). მაუწყებლობის ტრანზიტის კუთხითაც სიღნაღი ლიდერობს (44.57%), დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში კი თით-

¹ სიმკვრივე – ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყანაში/რეგიონში/სოფელში შინამეურნეობების (ოჯახების) ან მოსახლეობის რაოდენობაზე.

ქმის ერთნაირი მაჩვენებლებია (დედოფლისწყარო – 24.19%, ლაგოდეხი – 25.6% და საგარეჯო – 25.8%).

რეგიონი	მოსახლეობა	ოჯახი	ფიზიკური აბონენტი (ინტერნეტი)	ფიზიკური აბონენტი (მაუწყებლობა)	იურიდიული აბონენტი (ინტერნეტი)	იურიდიული აბონენტი (მაუწყებლობა)	სიმკვრივე (ინტერნეტი)	სიმკვრივე (მაუწყებლობა)
დედოფლისწყაროს რაიონი	30811	8752	3 609	2117	171	4	41.24%	24.19%
სიღნაღის რაიონი	43587	12384	7100	5519	239	6	57.33%	44.57%
ლაგოდეხის რაიონი	51066	14510	5 560	3715	231	21	38.32%	25.6%
საგარეჯოს რაიონი	59187	16813	6 164	4337	238	5	36.66%	25.8%

ცხრილი 1 – ინტერნეტიზაციის და მაუწყებლობის ტრანზიტის სიმკვრივის სტატისტიკა შესწავლილ მუნიციპალიტეტებში, 2022 წლის ივლისის მონაცემები.¹

¹ ინტერნეტიზაციის და მაუწყებლობის სიმკვრივის მონაცემები ეფუძნება კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკური პორტალის მონაცემებს. ხელმისაწვდომია: [ქტკშ/ანალიტიკის ცმ ცმ .გვ/](#)

რაც შეეხება უშუალოდ საზღვრისპირა სოფლების ინტერნეტიზაციის და მაუწყებლის ტრანზიტის სტატისტიკას, იგი შემდგენიარად გამოიყურება:

სოფელი	მოსახლეობა	ოჯახი	ფიზიკური აბონენტი (ინტერნეტი)	ფიზიკური აბონენტი (მაუწყებლობა)	იურიდიული აბონენტი (ინტერნეტი)	სიმკვრივე (ინტერნეტი)	სიმკვრივე (მაუწყებლობა)
დედოფლის- წყაროს რაი- ონი – საბათ- ლო	508	144	70	3	2	48.61	2.08
სიდნაღის რა- იონი – ილი- აწმინდა	637	181	82	0	2	45.30	0.00
დედოფლის- წყაროს რაი- ონი – ფი- როსმანი	759	216	78	2	2	36.11	0.93
ლაგოდუხის რაიონი – რა- ჭისუბანი	100	28	10	8	0	35.71	28.57
ლაგოდუხის რაიონი – ყა- რაჯალა	2576	732	243	16	1	33.20	2.19
სიდნაღის რა- იონი – ერის- იმედი	340	97	25	2	4	25.77	2.06

ლაგოდეხის რაიონი – განჯალა	2745	780	188	5	1	24.10	0.64
ლაგოდეხის რაიონი – მაწიმი	819	233	54	46	4	23.18	19.74
ლაგოდეხის რაიონი – უზუნთალა	2333	663	146	9	1	22.02	1.36
ლაგოდეხის რაიონი – კაბალი	3654	108	185	11	4	17.82	1.06
დედოფლის-წყაროს რაიონი – სამთაწყარო	1466	416	12	15	2	2.88	3.61

ცხრილი 2 – ინტერნეტიზაციის და მაუწყებლობის ტრანზიტის სიმკვრივის სტატისტიკა შესწავლილ საზღვრისპირა დასახლებებში, 2022 წლის ივლისის მონაცემები.

აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ინტერნეტიზაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები, ინფრასტრუქტურის არსებობის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში: კაბალში, უზუნთალასა და განჯალაშია. დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში ინტერნეტიზაცია 2021 წელს დაიწყო, რითაც აიხსნება სიმკვრივის ძალიან დაბალი (2.88%) მაჩვენებელი. ერთი შეხედვით, არსებული მონაცემები მეტყველებს ციფრული და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უთანასწორობის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ სოფლების მაცხოვრებლები, რომლებიც, სტატისტიკის მიხედვით ინტერნეტიზაციის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან, ინტერვიუებისას ხშირად აფიქსირებდნენ ინტერნეტ კომუნიკაციის სრულფასოვან გამოყენებაში არსებულ ტექნიკური

ხარვეზებს: კავშირის შეფერხებებს, სოფლების არასრულ დაფარვას და ა.შ.

„ინტერნეტის პრობლემა გვაქვს, ადრე უკეთესად იჭერდა. ონლაინის დროს ძალიან გვიჭირდა, მობილურ ინტერნეტს ვიყენებდით. ტელევიზიას სატელიტურ ანტენებით, თეფშებით ვიჭერთ. ტელეფონით ვიღებთ ინფორმაციის, ადგილი უნდა შეურჩიო, რომ დაიჭირო“ (სოფ. ერისიმედი, 2022).

რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ პანდემიის პერიოდში არსებულ სირთულეებს, როდესაც სოფლებში ინტერნეტზე წვდომის არქონის ან უხარისხო კავშირის გამო მოსწავლეებს უჭირდათ ონლაინ გაკვეთილებზე დასწრება; პრობლემას ასევე ქმნიდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე (პერსონალური კომპიუტერების, პლანშეტების, მობილური ტელეფონების უქონლობა). ინტერნეტ კავშირის არარსებობის შემთხვევაში, გამოსავალს მობილური ინტერნეტ კავშირის გამოყენება წარმოადგენდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

საგანმანათლებლო და დისტანციური სწავლების საჭიროებების გარდა, რომელიც კოვიდ პანდემიამ ნათლად წარმოაჩინა, ინტერნეტმა და სწრაფმა, ორმხრივმა კომუნიკაციამ სასიცოცხლო მნიშვნელობა იტვირთა რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ 2020–2022 წლებში სამიზნე მუნიციპალიტეტებში ინტერნეტიზაციის მანქვებელი გაიზარდა, მრავალი მიზეზის გამო, რეგიონის მოსახლეობისთვის კვლავაც არასაკმარისია ინტერნეტზე, როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების ფაქტორზე, წვდომის და გამოყენების მანქვებელი.

§ II. თემი და სათემო გაერთიანება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ტრადიციულად, თემში იგულისხმება ერთ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანების ერთობა, რომლებსაც საერთო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობები და მსგავსი ინტერესები, პრობლემები და საჭიროებები აქვთ (აღსანიშნავია „განვითარებული თემის“ კონცეფცია, რომელიც თემის განვითარების პროცესისა და შედეგების ძირითადად მახასიათებლებს ეფუძნება).¹ მიუხედავად იმისა რომ თემის ამოსავალი კონცეფცია ადმიანების გეოგრაფიულ თანაარსებობის პრინციპია, მისი განხილვა შესაძლებელია უფრო ფართო ჭრილში, ტერიტორიული ერთობის მიღმა, განსაკუთრებით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობის პირობებში. შესაბამისად, უფრო ზუსტი განმარტებით, თემი ეს არის საერთო პერსპექტივების მქონე გეოგრაფიული ან/და საერთო ინტერესების, ღირებულებების, სოციალური პირობების და პრიორიტეტების მქონე ადამიანების ერთობა².

რაც შეეხება სათემო ორგანიზაციებს/კავშირებს, ისინი აერთიანებენ საერთო ინტერესების მქონე პირებს, რომელთა მიზანია აქტუალური საკითხების მოგვარება, სოფლის, სამეზობლოს, თემის პრობლემებზე დემოკრატიული

¹ განვითარებული თემის ძირითადი ნიშნებია: ა) თემში არსებობს სამოქალაქო ჯგუფი ბ) თემში არსებობს ხედავ და განვითარების გრძელვადიანი გეგმა/სტრატეგია გ) თემს გაცნობიერებული აქვს საკუთარი უფლებები, საჭიროებები და იცავს (ადვოკატირებას უწევს) მათ დ) თემს შესწევს უნარი განსაზღვროს პრობლემები და რეაგირება მოახდინოს მათზე. თემთან მუშაობა და თემის განვითარება, დამხმარე სახელმძღვანელო; სათემო განვითარების კოალიციის გამოცემა, თბ., 2012 გვ. 6.

² საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ხელმისაწვდომია: www.georgiacentre.org კონსორციუმის რეპორტები

ჩართულობის პრინციპის დაცვით მუშაობა და მისი წევრებისა თუ გარემო პირობების გაუმჯობესება. საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ სათემო ორგანიზაციებს, ე.წ. თემატურ სათემო ორგანიზაციებს, მიეკუთვნება ერთობები, რომლებიც კონკრეტულ სფეროსა თუ საკითხის გარშემო აერთიანებს მსგავსი მიზანსწრაფვის მქონე ინდივიდებს, რომლებიც საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან (მაგ, ახალგაზრდული კლუბები, ქალთა უფლებათა დაცვისათვის მებრძოლი ჯგუფები, ფერმერთა ასოციაციები, კოოპერატივები და ა.შ)¹. შესწავლილ საზღვრისპირა რეგიონებში არსებული სათემო ერთობები და ორგანიზაციები ძირითადად სწორედ გეოგრაფიული/სასოფლო პრინციპით არიან გაერთიანებულნი.

რა განსხვავებაა სათემო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის? მიუხედავად მრავალი მსგავსებისა, სათემო ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებელი მიკრო დონეზე მოქმედი, ხშირ შემთხვევაში თვითორგანიზებული, სათემო ინიციატივებია, რომლებიც ადგილობრივად პასუხობენ თემის არსებულ საჭიროებებს, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ძირითადად, უფრო ფართო გეოგრაფიულ თუ თემატურ არეალს მოიცავენ. განსხვავება მათ შორის უმთავრესად ის არის, რომ პირველი მათგანის სამოქმედო არეალი შეზღუდულია და ფოკუსირდება ადგილობრივი, სათემო საკითხების ირგვლივ, მაშინ, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც წესი, უფრო ფართო – რეგიონის, ან საქართველოს მასშტაბითაც კი მოქმედებენ.² განსხვავება ასევე მდგომარეობს იმაში, რომ სათემო ორგანიზაციები უშუალოდ არიან ჩართული ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებაში, შესაბამი-

¹ სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისთვის; მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია, თბ., 2004, გვ. 10-11.

² საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ხელმისაწვდომია: www.georgiacenter.org/

სად, ცვლილებები თუ სარგებელი მათ პირდაპირ ეხება, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად საკუთარი პროექტების უშუალო მოსარგებლეები არც კი არიან. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დარეგისტრირებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მატარებელია. არსობრივად, სათემო გაერთიანებები საზოგადოებრივ საწყისებზე იგება და, შესაძლოა, საკამათოც კი იყოს ამგვარი გამიჯვნა, თუმცადა, სავსევე სამუშაოებმა გამოავლინა კახეთის სათემო ორგანიზების ფორმების მრავალფეროვნება, რამაც საჭირო გახადა საკითხის დეტალიზაცია. ქვემოთ მოყვანილი ტერმინოლოგიური განმარტებები მნიშვნელოვანია როგორც სათემო ორგანიზაციების საქმიანობის, ასევე საზოგადოებრივი მიმდებლობის თვისებრივი შეფასებისათვის.

„სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია“ ნებისმიერი ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზაციაა, რომელიც არ შედის მთავრობის აპარატის შემადგენლობაში, არ ახდენს მოგების განაწილებას ორგანიზაციის დირექტორებსა თუ თანამშრომლებზე, არის თვითმართვადი და ორგანიზაციის წევრობა თავისუფალი არჩევანია ... მასში შემავალ არაფორმალურ, არარეგისტრირებულ ჯგუფებსა და მოძრაობებს უნდა ჰქონდეთ სამოქმედო სტრუქტურა და უწყვეტობა, რაც განასხვავებს მათ ერთჯერადი შეკრებებისგან და პირადი ან ოჯახური ურთიერთობებისგან¹. ხშირად „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის“ ნაცვლად იყენებენ ანაქრონისტულ ტერმინს – „არასამთავრობო ორგანიზაციას“, რომელიც, როგორც შინაარსობრივი, ასევე ლინგვისტური თვალსაზრისით, არასწორად ასახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციის არსს და გარკვეულწილად დეროგატიული მნიშვნელობის მატარებელ ტერმინად

¹ არამომგებიანი სფეროს სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, ტომი 8, ნომერი 1, 2005 წლის ნოემბერი.

იქცა, განსაკუთრებით, მედიისა თუ პოლიტიკური დისკურსის ნაწილში. ტერმინი „არასამთავრობო ორგანიზაცია“, როგორც „სამთავრობო ორგანიზაციის“ საპირისპირო ცნება 1990-იან წლებში მკვიდრდება. დღეისათვის ის თითქმის „ანტი-სამთავრობოს“ შინაარსის მატარებელია, რაც, არცთუ ისე იშვიათად, უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი თუ სათემო ორგანიზაციების ნდობაზე, მათი ჩართულობისა თუ საქმიანობის ეფექტიანობაზე; ეს კი ხშირად მოსახლეობაში მათ მიმართ წინასწარი განწყობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საქართველოში სათემო ორგანიზაციების ისტორია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და გასაბჭოების პერიოდამდე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინიციატივების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის. ამ მეტად მნიშვნელოვანი მოძრაობისა თუ გაერთიანებების შესახებ მასობრივ ბეჭდურ მედიაში დაცული ინფორმაციის მოპოვებამ და აღდგენამ მისი ანალიზი შესაძლებელი გახდა. ძველი და არსებული სათემო გაერთიანებების შედარებითი შესწავლა კი ისტორიული გამოცდილების ხელახალი გააზრების საშუალებას იძლევა; გასაბჭოებამ სათემო ტრადიციების ნიველირება გამოიწვია, რამაც არამარტო მესხიერებიდან განდევნა თვითმოქმედების და საზოგადოებრივი ინიციატივის კულტურა, არამედ იგი დამახინჯებული და ძალდატანებითი საბჭოთა საზოგადოებრივი მოწყობის ფორმებით ჩაანაცვლა (მაგ. არსებული კოოპერატივების გაუქმება და კოლექტივიზაცია XX ს-ის 30-იან წლებში). ამის შედეგი კი იყო არსებული სათემო მოძრაობების გაუქმება, დამოუკიდებელი ინიციატივების აკრძალვა და არსებული დემოკრატიული თვითმმართველობის კულტურის განადგურება. კახეთში სათემო ორგანიზაციები მე-19 საუკუნიდან გაჩნდნენ. მათი მუშაობის და დღეს აქ მოქმედი თანამედროვე ორგანიზაციების საქმიან-

ნობის შესწავლა, გარკვეული პარალელების წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

სწორედ საბჭოთა ოკუპაციამდელი გამოცდილება ქმნის ხელშესახებ მაგალითს, რომელიც ადგილობრივ კონტექსტში საზოგადოებრივი გაერთიანების მუშაობის მაღალ კულტურას ასახავს. ეს არის საზოგადოებრივი მესიერება იმისა, თუ როგორ ახერხებდა საქართველოში სათემო ერთობა თვითგანვითარებასა და კომპლექსურ საკითხებზე თვითინიცირებულ მოქმედებას. დოკუმენტური სიზუსტით დასტურდება, ისიც, რომ ეს არ იყო ერთეული და ფრაგმენტული მოვლენა, არამედ წარმოადგენდა ამ პერიოდში მიმდინარე, საერთო საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი მოძრაობის თანმდევ კანონზომიერებას. არგუმენტს ამყარებს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებრივი/სათემო მოძრაობები განფენილი იყო საქართველოს ყველა რეგიონში და მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო და შრომით გაერთიანებებს, საგანმანათლებლო და კულტურულ ინიციატივებს, ქალთა საწარმოო თუ საგანმანათლებლო ჯგუფებს და სხვა. აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი მოძრაობების მრავალგვარობა მათი ორგანიზაციული სტრუქტურისა და მოწყობის, მართვის მოდელების, გადასახადების ფორმების, ეკონომიკური მდგრადობის მიღწევის, თემთან კომუნიკაციისა და ჩართულობის სახეობების – მათ შორის ბეჭდური მედიისა და ინფრასტრუქტურის გამოყენების გზების (სახელდობრ ფოსტა, რკინიგზა და სხვა) კუთხით.

კახეთის მუნიციპალიტეტში წარსულში არსებული სათემო ორგანიზაციებისა და ინიციატივების ძიება საკმაოდ მრავალფეროვან და მნიშვნელოვან ისტორიას ხდის ფარდას. მრავალი განსხვავების და დროითი დისტანციის მიუხედავად, თანამედროვე და საუკუნის წინანდელ სათემო წამოწყებებს შორის მნიშვნელოვანი ღირებულებრივი თანხვედრა შეიმჩნევა. ასევე არსებითია იმ მსგავსებების

გამოყოფა, რაც საშუალებას მოგვცემს, ვისაუბროთ თვითმართველობისა და დემოკრატიული მმართველობის პირველად ძვრებსა და ეროვნულ გამოცდილებაზე, რომელიც სასოფლო კეთილდღეობისთვის ერთობლივი ძალისხმევის, ინიციატივისა და სოლიდარობის მივიწყებულ ტრადიციებს ახალი კუთხით წარმოაჩენს.

აღნიშნულის თვალსაჩინო და მეტ-ნაკლებად კარგად შემონახული ისტორიის მაგალითია ივანე კოლედიშვილის მიერ 1906 წელს დაარსებული სოფელ გულგულას კომუნა, რომელშიც სოფლის 120 კომლამდე იყო გაწევრიანებული¹. სამეურნეო გაერთიანება „ძმობა და ერთობა“, რომელიც მიზნად სოფელ გულგულას მცხოვრებლების საწარმოო და სოციალური ყოფის გაუმჯობესებას ისახავდა, მცირეხნიანი არსებობის მიუხედავად, შორსმჭვრეტელ და ინოვაციურ პრინციპებს ეფუძნებოდა. ივანე კოლედიშვილის თაოსნობით მოხერხდა კომუნაში ჩართული კომლების სამეურნეო მიწების გაერთიანება და მათი ერთობლივი ძალეობით დამუშავება, რამაც შედეგი მაღევე გამოიღო; ამან კი კომუნის მიმართ ნდობა გაზარდა. ინტერესი მეზობელ სოფლებშიც კი გაჩნდა, რომლებსაც გულგულას მაგალითის გადაღება სურდათ და დახმარებას ითხოვდნენ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კომუნის საკუთრებაში არსებული ფონდით ფინანსდებოდა მასში შემაჯავალ კომლთა განათლება და სამედიცინო მომსახურება, ხოლო ფინანსების აკუმულირების წყაროს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა, წარმოადგენდა გასვლითი თეატრალური წარმოდგენები, რომლის დადგმების შედეგად მიღებული სარგებელი ფონდში გროვდებოდა².

¹ ონლაინ პორტალი „თვითმმართველობის დროა“, გულგულა - ერთი კაცის ინიციატივით აღორძინებული სოფელი; ხელმისაწვდომია: www.ეგრე.გე/ვატცპ=ქV6d3კ-ან 4

² ონლაინ პორტალი „თვითმმართველობის დროა“. სასოფლო განვითარების ორი ამბავი 113 წლიანი შუალედით - გულგუ-

მორიგი სასოფლო ინციატივა ისტორიულ ქიზიყში, სოფელ ქვემო მანხაანის მაცხოვრებლების ერთობას ეხება. მე-19 საუკუნის უკანასკნელი ათწლეულებიდან მოყოლებული საბჭოთა ოკუპაციამდე, ქვემო მანხაანი, როგორც ერთერთი გამორჩეულად მდიდარი დასახლება, წარმოადგენდა ვაჭრობის, ხელოსნობისა და სამეურნეო ცხოვრების ეპიცენტრს. მანხაანის ისტორიიდან აღსანიშნავია მისი მოსახლეობის ჩართულობა და სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებაზე ერთობლივი, სოლიდარული ქმედებები, რომელსაც მოჰყვა კიდევ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების აღმასვლა.

გარდა იმისა, რომ სოფლის ისტორია მისი ძირითადი მოსახლეობის მიერ აშენებული და 1899 წელს გახსნილი მანხაანის თეატრით არის ცნობილი (რისთვისაც თანხას მანხაანელები ცხრა წლის განმავლობაში აგროვებდნენ), ასევე საყურადღებოა უშუალოდ სოფლის განვითარებაში სათემო ჩართულობის გამოცდილება და ძალისხმევა, რომელიც არაერთ ინიციატივაში გამოიხატა. დასახლებას გამორჩევა მისი მოსახლეობის სათემო აქტივობა, რაც განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრაში, ადგილობრივ დონეზე სახსრების თავმოყრაში და ამა თუ იმ ინიციატივის განხორციელებაში გამოიხატებოდა. რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობდა ის ფაქტორიც, რომ ეს სოფელი ქიზიყის კულტურული და ეკონომიკური ცენტრი იყო, სადაც კონცენტრირებული იყო სახელოსნოები და სავაჭრო დუქნები. ეკონომიკურ აღმასვლას კი სოფლის საზოგადოებრივი ჩართულობის მაღალი ხარისხი და კულტურული ცხოვრების გააქტიურება მოჰყვა¹.

ღას კომუნა – 1905 და რუისპირის სასოფლო განვითარების მოძრაობა – 2018. ხელმისაწვდომია: [ჰტკშ/დოკ.გე/პ=33056](#)

¹ თ. სიხარულიძე, „სოფელი მანხაანი – ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი“; ინიციატივა ცვლილებებისთვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება სა-

თეატრის გახსნასთან ერთად, მანხაანელებმა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად საფუძველი ჩაუყარეს საზოგადოებრივ წიგნთსაცავს, რასაც მოჰყვა ბიბლიოთეკის, აფთიაქის და საავადმყოფოს, სახელოსნო სასწავლებლის, ქალთა სკოლის და ა.შ. გახსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ თეატრალური წარმოდგენების გამართვის გზით ხდებოდა არაერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინიციატივისა თუ დაწესებულებისთვის თანხის მოძიება (მათ შორისაა თეატრის შენობაც)¹.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მანხაანში 1895 წელს ამიერკავკასიაში პირველი სავაჭრო-სახელოსნო დეპოს და ბანკის დაფუძნება,² რის საფუძველსაც წარმოადგენდა სოფლის ეკონომიკური სიძლიერე და სავაჭრო-სახელოსნოების სიმრავლე; ეს დამატებით იზიდავდა სასოფლო-სამეურნეო რესურსებს და ზრდიდა ინტერესს სოფლის მიმართ. დღევანდელ დღეს მანხაანის ძველი დიდებიდან მხოლოდ სოფლის არქიტექტურა და ისტორიაა შემორჩენილი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, სწორედ სათემო ჩართულობის შედეგად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული თეატრის შენობის შენარჩუნებისა და სხვადასხვა სოციალური საკითხის გადაჭრის მიზნით.

სათემო თვითორგანიზების თვალსაჩინო ისტორიულ მაგალითს ვაწყდებით კახეთის სოფელ ტიბაანშიც, რომელიც „სოფლობის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ტრადიცია, რომელსაც რეგულარული სახე მიეცა, საფუძველი საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ჩაეყარა, რასაც მოჰყვა სოფლის მმართველობის ახალი ფორმების ჩამოყა-

ქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე, წიგნი პირველი. სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისის გამოცემა, თბ., 2015, გვ. 49.

¹ იქვე, გვ. 55.

² იქვე, გვ. 54.

ლიბება. სოფლობა წარმოადგენდა თვითმმართველობის ადრეულ ფორმას, რომელსაც სოფლის მმართველობის არაფორმალური სახე ჰქონდა. შესაძლოა, სოფლობის ანალოგები და მსგავსი ხასიათის ფორმები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სათემო თავყრილობები იყოს, რაც სხვადასხვა საჭირობორტო საკითხის გადაჭრას ისახავდა მიზნად;¹ „სოფლობის წინაპარი უნდა ყოფილიყო საქართველოს მთიანეთში არსებული საზოგადოებრივი კრებები – ხევსურეთში საფიხნო და ფეხნობა, თუშეთში საანჯმო, დაღესტანში – ჯამაათი, ოსეთში – ნიხასი და სხვ.“²

საბჭოთა კოლექტივიზაციისა და ცენტრალიზებული მმართველობის შედეგად გამქრალ სასოფლო და სათემო გაერთიანებებთან ერთად დავიწყებას მიეცა ის მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელიც დღევანდელი სასოფლო განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნებოდა. შესაბამისად, დგას საჭიროება რომ აღდგეს, განვითარდეს და დაინერგოს ის მიდგომები, რომელიც საუკუნოვან სტაგნაციასა და ჩამორჩენას აანახლავს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, სათემო გაერთიანებების ჩამოყალიბების პარალელურად, ძირეულად იცვლებოდა ინდუსტრიული და ტექნოლოგიური გარემო. ვითარდებოდა ინფორმაციის შექმნის, გადაცემისა და შენახვის მედიუმები და ინფრასტრუქტურა, რამაც გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი გაერთიანებების ფორმირებაზე. აღნიშნულ ჭრილში, თანამედროვე სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვამდე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული გამოცდილების თავმოყრა, რაც ასახავს სა-

¹ დ. კაკაშვილი. „სოფლობა“; ინიციატივა ცვლილებებისთვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე, წიგნი პირველი. სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისის გამოცემა, თბ., 2015, გვ. 19.

² გ. ჩიქოვანი. „სანახშო“ და „სოფლობა რაჭაში“, საისტორიო კრებული, თბ., 1976.

თემო ჩართულობას იმდროინდელი ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო საშუალებების ფონზე¹.

მე-19 საუკუნის ინდუსტრიულ რევოლუციას დიდი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ხანა ფეხდაფეხ მოჰყვა. 1861 წლის 19 თებერვალს, რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე მეორემ, გამოსცა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც უქმდებოდა ბატონყმობა. სამი წლის შემდეგ, 1864 წელს ბატონყმობის გაუქმება დაიწყო თბილისის გუბერნიაში, რაც საქართველოს ტერიტორიაზე საბოლოოდ 1871 წელს დასრულდა. გლეხების განთავისუფლებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, მებატონეები ძნელად ეგუებოდნენ მამულების დაკარგვას და ხშირად გლეხები მიწა-წყლის გარეშე რჩებოდნენ.

ეროვნული მოძრაობის პარალელურად პირველ ნაბიჯებს დგამდა საგანმანათლებლო საქმიანობა, რამაც გააღებინა იქონია სოფლებში განათლების, წერა-კითხვის შესწავლისა და სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბებაში. 1879 წელს ჩამოყალიბდა – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მის მიზანს ქვეყნის მასშტაბით განათლების პრობლემის გადაჭრა წარმოადგენდა, რასაც ერი, ფაქტობრივად გაქრობის წინაშე მდგარი ქართული ენისა და კულტურის დაკარგვის საშიშროებისგან უნდა ეხსნა. ორგანიზაციის მუშაობა ქვეყნის მასშტაბით გაიშალა; არსდებოდა წიგნთსაცავები, სამკითხველოები და ბიბლიოთეკები; შეგროვდა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების უდიდესი კოლექცია, რომელიც საზოგადო საკითხავად იყო განკუთვნილი.

¹ აღნიშნული ინფორმაციის შეკრება შესაძლებელი გახდა კვლევითი გამოცემების „ინიციატივა ცვლილებებისთვის“ შესწავლის შედეგად, აღნიშნულ გამოცემებში თავმოყრილია არაერთი მაგალითი, თუ როგორ ხდებოდა თემის მჭიდრო შეკავშირება, იდეის გარშემო ძალთა გაერთიანება და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად უკავშირდება ტექნოლოგიურ წინსვლებს, წერა-კითხვის, ბეჭდური გამოცემების გავრცელებას და ა.შ.

„ტფილისის ეროვნული ბიბლიოთეკა“ 1846 წელს დაარსდა, რამაც საზოგადოებისთვის წიგნზე წვდომა კიდევ უფრო გაადვილა. თუ აქამდე კულტურულ-სამწიგნობრო საქმიანობა ძირითადად ქრისტიანულ სამონასტრო ცენტრებს უკავშირდებოდა, მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ეს ფუნქცია საზოგადოებრივი დანიშნულების ბიბლიოთეკებმაც იკისრეს.

დიდი ტექნოლოგიური გარღვევა იყო საქართველოში რკინიგზის მშენებლობა, რომელიც 1865 წელს დაიწყო. პირველი მატარებელი, რომელმაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო დააკავშირა, 1972 წელს ფოთიდან – თბილისში ჩავიდა. სარკინიგზო ხაზების განვითარება მომდევნო ათწლეულებში აქტიურად მიმდინარეობდა და მოიცავდა განშტოებებს როგორც ქვეყნის შიდა, ასევე მეზობელ ბაქოსა და ერევნის გუბერნიების მიმართულებით. სარკინიგზო მიმოსვლა ხელს უწყობდა როგორც ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ასევე აჩქარებდა ინფორმაციის გაცვლასაც. გაიშალა საფოსტო ქსელი. თუ რკინიგზის ამოქმედებამდე შეტყობინების გაგზავნის ერთადერთ საშუალებას ცხენოსანი შიკრიკი ან საფოსტო კარტა წარმოადგენენ, რკინიგზის განვითარებამ შესაძლებელი გახადა გაზეთებისა და წიგნებზე წვდომის გაზრდა. ამის კარგი მაგალითია ს. მესხის სტატია გაზეთ დროებაში, რომელშიც იგი წერს: „მომეტებულ ნაწილს საქართველოს ადგილებში, გარდა იმ ქალაქ-დაბებისა, რომლებიც რკინიგზაზე მდებარეობენ, კვირაში მხოლოდ ორჯერ და სამჯერ მოდის ფოსტა... მგონია დრო არის ფოჩტის გამგეობამ და ჩვენმა უმაღლესმა მთავრობამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რაც ამ ოცი წლის წინ იყო, ის აღარ არის დღეს ჩვენი ცხოვრება: მუდამდღე მატულობს ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობა და წარმოება, მუდამდღე მრავლდებიან შოკლები, მრავლდება წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, რომელთაც სურთ ფოსტის ამბები შეიტყონ, ერთი-

ორად უფრო ხშირია ახალი სხვადასხვა მაზრების ხალხების ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და კავშირი. ამას გარდა, თვით მმართველობისთვისაც აუცილებლად საჭიროა გამართული ფორტის გზა და კორესპოდენდენცია“¹. აღსანიშნავია სატელეგრაფო კავშირი, რომელიც საქართველოს ცენტრალურ ქალაქებში 1860-იანი წლებიდან ამოქმედდა, ხოლო სულ რაღაც ათიოდე წელში, 1870 წელს თბილისში ამუშავდა ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის სადგური, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ინფორმაციის გამტარის როლს ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის².

§ III. სათემო ორგანიზაციების გამოწვევები და აქტივობა საზღვრისპირა სოფლებში

უკანასკნელ მონაცემებზე დაყრდნობით³, საქართველოში 185-მდე სათემო ორგანიზაციაა. მართალია, რაოდენობრივი მატების ტენდენცია შესამჩნევია, მაგრამ დაუდგენელია, რამდენად ეთანადება რაოდენობრივ ზრდას მათი ხარისხობრივი მატება, მათ შორის რამდენია აქტიურ ორგანიზაციათა წილი, რამდენად ფართოდ ხორციელდება სათემო წამოწყებები უშუალოდ სოფლებში (ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებთან შედარებით), როგორია სათემო ორგანიზაციების არსებობის ხანგრძლივობა და ა.შ.

¹ ს. მესხი. „უპოჩტობა“, გაზ., „დროება“, 1879 წ.

² ენციკლოპედია „თბილისი“, თბ., 2002, გვ. 575.

³ ზემოთ მოყვანილი მონაცემები სათემო ორგანიზაციების რაოდენობის შესახებ ეყრდნობა 2019-2020 წლებში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევას. ხელმისაწვდომია: [ქტტმ/წწ წ. ცდგვე/გვ/ორგანიზაცია](#)

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების ისტორია, მათი საჭიროებები (მიკრო და მაკრო დონეზე), სამოქალაქო სექტორის მაჯისცემისა და მისი სიჯანსაღის ინდიკატორები არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ ანგარიშში არის განხილული¹.

საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების დიაპაზონი დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ხშირად, რეგიონებში და სოფლებში წარმოშობილ ინიციატივებს, ცენტრალურ ქალაქებსა თუ დედაქალაქში არსებულ ორგანიზაციებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები წვდომა აქვთ ფინანსურ, საგანმანათლებლო, ადამიანურ, ტექნიკურ და სხვა ტიპის რესურსებზე. ფინანსური რესურსების ნაკლებობა და შესაბამისი ორგანიზაციული არამდგრადობა სათემო ინიციატივებისთვის უნივერსალური პრობლემა და ყველაზე სუსტი წერტილია. ამასთანავე, რეგიონებში მოქმედი ორგანიზაციების წინაშე დგას კვალიფიციური და მოტივირებული ადამიანური რესურსის მოძიების, მოზიდვისა და შენარჩუნების საკითხი, რასაც განაპირობებს ფინანსურ რესურსებზე წვდომის არასტაბილური და შეზღუდული შესაძლებლობა. სათემო ორგანიზაციები ასევე აწყდებიან სამუშაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორცაა სივრცის ნაკლებობა, ტექნიკ/ადჭურვილობის სიმწირე და, რიგ შემთხვევაში, არარსებობა.

ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და თემის მხრიდან მათი როლის არაერთგვაროვანი აღქმა. სათემო ორგანიზაციები თემსა და ადგილობრივ მთავრობას შორის შუამავლის როლს ასრულებენ, ამდენად, გადამწყვე-

¹ შ I სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსის 2022 წლის ანგარიშში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ევრაზიის წარმოდგენილი 24 ქვეყნიდან საქართველო მე-19 პოზიციაზეა. ხელმისაწვდომია: [კოიხი/ქოიორ/](#)

ტი მნიშვნელობა აქვს ორმხრივი ნდობის არსებობას და მის ხარისხს. თემის შეკავშირებულობისა და ურთიერთნდობის სუსტი ხარისხი, თვითორგანიზების სოციალური პრაქტიკის სათემო მეხსიერებიდან ამოვარდნა, არსებითად აისახება სათემო ორგანიზების ეფექტურობაზე. თემის საჭიროებებზე ორიენტირება უნარჩუნებს ორგანიზაციას საზოგადოებრივ აქტუალობასა და ლეგიტიმაციას, აღვივებს მისი მიმზიდველობისა და მნიშვნელოვნების კოლექტიურ განცდას.

თემის ინფორმირება ორგანიზაციის ხედვებისა და სამოქმედო გეგმების, ასევე გაწეული საქმიანობის შესახებ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისთვის დადებითი, ანგარიშგაღებული ორგანიზაციის იმიჯის შექმნას, რომელსაც ხელეწიფება მნიშვნელოვანი სათემო საკითხების წამოჭრა და გადაჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგაღებულების საკითხი მნიშვნელოვნად ეხმარება თემის შეკავშირებას, ეკონომიკური სიდუხჭირე, ინდიფერენტული დამოკიდებულება, ერთობლივი ძალებით საქმიანობის დაბალი კულტურა და უნდობლობა კვლავაც უარყოფითად ზემოქმედებს სათემო ორგანიზაციების საქმიანობაზე.¹

მიუხედავად სათემო ორგანიზაციების წინაშე არსებული აღნიშნული სირთულეებისა, არცთუ იშვიათია მოხალისეობრივ საწყისებზე მოქმედების მაგალითები, რაც სათემო დონეზე საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის წარმოების ჯანსაღ პრეცედენტს ქმნის.

საკვლევ მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ინტენსიურად ახორციელებენ სხვადასხვა სათემო აქტივობებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია ქალაქ წნორში არსებული „ცოდნის კაფე“, რომელიც კახეთის რეგიონის მასშტაბით მოქმე-

¹ ინიციატივა ცვლილებებისთვის, სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების მაგალითები თანამედროვე საქართველოში, წიგნი მეოთხე. სათემო განვითარების ცენტრის გამოცემა, თბ., 2022, გვ. 231.

დებს. როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი აცხადებს, მათი როლი არის „ ცოდნის და რესურსების გაერთიანება, დაკავშირება და გაცემა“. ორგანიზაცია პასუხობს სათემო გამოწვევებს და მოიცავს ფართო ასაკობრივ სეგმენტზე გათვლილ აქტივობებს. მისი წევრები ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც საგანმანათლებლო, სამოქალაქო და სათემო ჩართულობის გაძლიერებისკენ არის მიმართული. თემატურად მათი პროექტები მოიცავს მეწარმეობის გაძლიერების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და ზოგადი განათლების მიმართულებებს, რისთვისაც ცდილობენ როგორც ადგილობრივი ადამიანური რესურსის მობილიზებას, ასევე მოწვეული სპეციალისტების ჩართვას. ორგანიზაციას, სათემო პრობლემატიკის სიღრმისეული ცოდნის გარდა, აქვს მონაცემები ლოკალურად არსებულ ადამიანურ რესურსებზე, რაც აადვილებს სათემო კავშირების ჩამოყალიბებას. ამის მაგალითია მენტორობის პროგრამა, რომელსაც ორგანიზაციის დამფუძნებელი შემდეგნაირად აღწერს:

„ჩვენ ვახორციელებთ მენტორობის ტიპის პროგრამებს, როცა ახალგაზრდებში განვსაზღვრავთ, თუ ვის რა უჭირს, ვის რა უნდა და შემდეგ შემდეგ ვაჯგუფებთ იმათთან ვისაც უკვე გამოცდილება აქვს. ეს ყველაზე კარგად მუშაობს ინდივიდუალური გაძლიერებისთვისაც, შიგნით თქმში ახალი კავშირების გაჩენისთვისაც.“

აღნიშნული მიდგომის ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორად მთხრობელი ასახელებს მაღალი ნდობას – „ნდობა რითაც დაიმსახურა „ცოდნის კაფე“ არის ის, რომ ვუსმენთ, ვაქეხებთ, ვაჩვენებთ მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება საქმის კეთება, როგორც ისტორიული, ასევე ახალი მაგალითებიც ბევრი გვაქვს. იმედის თუ მხარდაჭერის, ფუნქცია გვაქვს... ჩვენც ვცდილობთ ეგ იმედი როგორმე გავუმართლოთ, ჩვენც ხომ აქ ვცხოვრობთ და რაღაცნაირად მეტი პასუხისმგებლობაც გვაქვს იმაზე, რასაც ვაკეთებთ. ამას ხომ ერთჯერადად, ანდა რაღაცის სანაც-

ვლად, ვინმე უფროსისთვის ხომ არ ვაკეთებთ. რაღაც პრობლემისთვის, რაღაც მიზნისთვის ვაკეთებთ და მე მგონი ეს ბევრ რამეს ცვლის, ნდობა მოდის ბევრ ურთიერთობაში“.

პანდემიის პირობებში ცოდნის კაფემ სოფელ ერისი-მედში განახორციელა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საინფორმაციო კამპანიები. ამავე პერიოდში ონლაინ სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე, ადგილობრივი სკოლიდან შერჩეულ რამდენიმე მოსწავლეს გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, რისი მეშვეობითაც მათ შესძლეს სასწავლო პროცესში ჩართვა. ორგანიზაციის ინიციატივით, ასევე გამდიდრდა სკოლასთან არსებული წიგნადი ფონდი და გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა.

ლოკალური ორგანიზაციის მაგალითია დედოფლის-წყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (ედოფლის-წყარო), რომელიც ტიპურ სათემო ორგანიზაციას არ წარმოადგენს, თუმცა საგრანტო პროგრამების ფარგლებში, აღნიშნულ მუნიციპალიტეტში აქტიურად აძლიერებს როგორც ინდივიდებს, ასევე მიზნობრივად ეხმარება სხვადასხვა ტიპის ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებებს. ორგანიზაცია დაფუძნდა ევროკავშირის და -ის მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (დ) ფარგლებში. 2016-2020 წლებში დაფინანსდა 110 ბიზნეს და სოციალური პროექტი, რამაც უზრუნველყო 300-მდე ადამიანის დასაქმება. პროექტის სამიზნე მიმართულებებს წარმოადგენდა ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მცირე ბიზნესი, სოციალური მომსახურების გაძლიერება, რაც ითვალისწინებდა განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის სფეროებისა და მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას.

საკვლევ საზღვრისპირა დასახელებებში განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოვლინდა დადებითი ურთიერთკავშირის აქტივობებსა და დასახელებების ბენე-

ფიციარებს შორის ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით. პროექტის ბენეფიციარები, საჭიროებიდან გამომდინარე იღებდნენ მიზნობრივ ტექნიკურ მხარდაჭერას. მაგ. სოფელ ფიროსმანში მცხოვრებ ბენეფიციარებს გადაეცათ თანამედროვე სახნავ-სათესი მანქანა-დანადგარები, ტრაქტორი და ა.შ. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს *„ყველა დარეგისტრირდა ინდემწარმედ, იურიდიული სტატუსი მიენიჭა ყველას. ეს ტექნიკა საკუთრებაში აქვს სოფელს; იმან უნდა გააქირავოს და შემოსავალი მიიღოს, ბიზნესი აწარმოოს. ექსკავატორი ძალიან შემოსავლიანია, ჩვენ, მუნიციპალიტეტში არც გვაქვს ასეთი და სამშენებლო ორგანიზაციები რომ მოდიან, ურჩევენიათ ის ადგილობრივი ამუშაონ, ვიდრე საიდანაც წამოიყვანონ და ამხელა მანძილზე ატარონ. იქვე, სოფლებში თუ ვინმეს რამე დასჭირდება, მოემსახურება, მარტო საზღვრისპირა სოფლებს კი არა, ქედების სოფლები რომ არის, სამი, იმათაც გადასარეგად ემსახურება.“*

-ის მხარდაჭერით სოფელ ფიროსმანშივე მოეწყო ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობა. თავად სოფ. ფიროსმანის მოსახლეობა, რომელიც აჭარიდან არის მიგრირებული, ამ პროექტის ძალიან მაღლიერია: „დაბრუნდა ხალხი. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ განაპირობა, რა თქმა უნდა. საშუალება გაჩნდა ხალხში. მე ყველაფერი მაქვს საკუთარი, ექსკავატორი მყავს, ოპერატორი ამუშავენს. 3–5 ჰექტარი თითქმის ყველა ოჯახს აქვს“ (*სოფ. ფიროსმანი, 2022*).

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნით, ჯგუფი საქმიანობს ცოდნის გავრცელების კუთხითაც, მათ შორის, თანამედროვე ინოვაციური მეთოდების და მიდგომების დანერგვის მიმართულებით. მაგ; სოფელ სამთაწყაროში მხარი დაუჭირეს წამოწყებას „წალმის გადამუშავება ალტერნატიული საწვავის წარმოების მიზნით“. ამავე სოფელში -ის ხელშეწყობით განხორციელდა 83

ჰექტარზე გაშენებული კაკლის ბაღის სარწყავი სისტემის სრულყოფა, მოეწყო მცირე სამკერვალო საამქრო და ა.შ.

ამ ინიციატივათა წარმატებულ შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს პროექტების ინოვაციური, საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგია და მდგრადი და გრძელვადიანი ფინანსური მხარდაჭერა. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი () ასევე მოქმედებს ლაგოდების მუნიციპალიტეტშიც. სიღნაღის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მსგავსი პროფილის ორგანიზაცია ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა.

მორიგი სათემო ორგანიზაცია, რომელიც სიღნაღის მუნიციპალიტეტში საქმიანობს არის „ნუკრიანის სახელოსნოები“, რომელიც 2007 წელს დაარსდა და სოციალური საწარმოს პროფილი აქვს. სათემო ორგანიზაცია ხელს უწყობს ადგილობრივი ახალგაზრდებისა და ქალების დასაქმებას, ტრადიციული რეწვის და ხელსაქმის შესწავლის გზით მათ ეკონომიკურ და სოციალურ გაძლიერებას, ორგანიზაციას ასევე აქვს მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩართულობის მიმართულებით.

სათემო გაერთიანებების წარმომადგენლები ინტერვიუებში გადაუჭრელ სათემო და ორგანიზაციულ პრობლემებზე საუბრობენ. ორგანიზაციული კუთხით, ძირითად გამოწვევად დასახელდა ფინანსურ მხარდაჭერაზე/გრანტებზე შეზღუდული წვდომა; ხოლო დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, გამოიკვეთა პროექტების მცირე ბიუჯეტი და მოკლე ვადები, რაც არ იძლევა ფართო გეოგრაფიულ არეალში სისტემურ პრობლემებზე სრულფასოვანი მუშაობის შესაძლებლობას. ამ მხრივ გამონაკლისია დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (), რომელიც არ წარმოადგენს სათემო ორგანიზაციას კლასიკური გაგებით. -ის შემთხვევაში პროექტის ხანგრძლივობამ (2016-2020 წწ.) და დაფინანსების მასშტაბმა შესაძლებელი გახადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ფართოდ

მოცვა და არსებული სათემო საჭიროებების მიმართულებით მიზანმიმართული მოქმედება.

სათემო ორგანიზაციებმა ასევე ხაზი გაუსვეს საკუთარი სამუშაო ფართის არარსებობას, რაც მათ არასტაბილურ მდგომარეობაში ამყოფებს და ართულებს გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმარებასა და განვითარებას. ამ ფონზე წარმატებული მაგალითია „წნორის ცოდნის კაფე“, რომელმაც საზოგადოებრივი დაფინანსების (ე.წ. ჩრწლუნდნე) გზა აირჩია და აწარმოა წარმატებული კამპანია „დადე შენი აგური.“ კამპანიის ფარგლებში, ორგანიზაციამ შეძლო მოეზიდა ფინანსური სახსრები, რომლის მეშვეობითაც წნორის ცენტრში „წნორის ცოდნის კაფე“ საკუთარ შენობაში განაგრძობს საქმიანობას.

შედარებით გამოცდილ სათემო ორგანიზაციებს, რომლებსაც დონორების ხელშეწყობით არაერთი პროექტი აქვთ განხორციელებული, აქვთ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუმცა მისი უქონლობა შედარებით ახალბედა და დამწყები ორგანიზაციებისთვის გამოწვევას წარმოადგენს.

კახეთის სასახლეო მოსახლეობის სუსტი სათემო ჩართულობა კვლავაც აქტუალურ და მწვავე საკითხად რჩება. პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე სათემო ლიდერების მოძიება, რომლებიც შეძლებენ ინიციატივის გამომჩენას, იკისრებენ სათემო მოძრაობის ფორმირებას, დააინტერესებენ ახალგაზრდებს, ქალებს და მოწყვლად ჯგუფებს, განაწყობენ მათ მეტი აქტიურობისკენ.

სახლეორისპირა მოსახლეობის და ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ხაზი გაესვა საკვლევ რეგიონში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს; სოფლებიდან, ძირითადად ახალგაზრდების, გადინების მთავარი ფაქტორი ეკონომიკური მდგომარეობაა და უკავშირდება უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს. ეს პროცესი განსაკუთრებული სიმძაფრით შეიმჩნეოდა საქართველო აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე, ძირითადად აჭარელი ეკომიგრანტებით

დასახლებულ სოფელ ერისიმედში, სადაც ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები სწავლის გაგრძელების მიზნით ტოვებენ სოფელს; ასევე დაფიქსირდა სოციალური ტიპის მოტივაცია – ქორწინება, აჭარაში დაბრუნება და ა.შ. რთული ყოფა გამოწვეული იყო წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემებით: უგზობობა, რეგულარული სამარშრუტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი აირის არარსებობა, ჯანდაცვის მომსახურებაზე გართულებული წვდომა, გაუმართავი ან არარსებული ინტერნეტ სერვისი. მართალია ამ შემთხვევაში გზის პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ ბევრი სხვა საკითხი კვლავაც მოუგვარებელი რჩება.

თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ იმოქმედა სოფლის მოსახლეობის დაბრუნებაზე საგზაო ინფრასტრუქტურის განახლებამ, არის სოფელი ფიროსმანი, რომლის მკვიდრი ვითარებას შემდეგნაირად აღწერს:

„გზა არ იყო, 2012 წლამდე ეს სოფელი სანახევროდ იყო დაცლილი. 75 ოჯახი იყო გასული, მათ შორის მეც გასული ვიყავი. ... ახლა რომ გაიკითხო ფიროსმანში ერთ სახლს ვერ ნახავ გასაყიდს. ახლა უკვე აშენებას იწყებენ, ერთი ვიცი სოფლიდან წასვლა არ უნდა, სახლი არსად იყიდება, უნდა ააშენოს. 156 კომლი ცხოვრობს. დაბრუნდა ხალხი.“ (ფიროსმანი, 2022)


სათემო ორგანიზაციების მხრიდან არაერთგზის დაფიქსირდა ახალგაზრდებისთვის და მოსწავლეებისთვის კულტურული და სოციალური სივრცეების ნაკლებობა, რაც მათთვის განათლების, გართობის, სპორტული აქტივობებში ჩართვის უკეთეს შესაძლებლობებს შექმნიდა.

საზღვრისპირა დასახლებებზე ორიენტირებული სათემო ორგანიზაციები ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივ მოსახლეობის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ეს კი ადგილობრივი შრომითი ბაზრისთვის აქტუალურია (მაგ.,

ბიზნესის წარმოება, აგრო მეურნეობის მიმართულება, ქსოვილების დამუშავება, კომპიუტერული მომსახურება და ა.შ.)

მიუხედავად იმისა, რომ სათემო ორგანიზაციები აღნიშნულ პრობლემებზე აქტიურად მუშაობენ, ისინი თვლიან რომ თვითმმართველობას საზოგადოებრივი სექტორის წახალისების და მხარდაჭერის დაბალი ინტერესი აქვს.

ადგილობრივად მოქმედი ორგანიზაციები თემის ინფორმირების და ჩართულობის სხვადასხვა გზას მიმართავენ. რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტად შემდეგი საკომუნიკაციო არხები გამოიყენება:



სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლები, კომუნიკაციის სიმარტივისა და მოქნილობის კუთხით, გამოყოფენ სოციალურ ქსელებს თუმცა აქვე აღნიშნავენ ნაკლოვანებებს, რომელიც მიუხედავად სიმარტივისა, მას თან ახლავს. აღსანიშნავია ისიც, რომ სათემო ორგანიზაციების უმრავლესობას რეალისტური წარმოდგენა აქვს თემში საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომასთან დაკავშირებით არსებულ სურათზე. შესაბამისად გამოიკვეთა მრავალფეროვანი მიდგომა, რასაც ორგანიზაციები კომუნიკაციისთვის მიზანმიმართულად და გაცნობიერებულად იყენებენ. დივერსიფიცირებულ საკომუნიკაციო მიდგომას თემის ინფორმირების მიზნით სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციის წარმომადგენელი შემდეგნაირად აღწერს:


„არიან ადამიანები, რომლებიც ციფრულ უნარებს არ ფლობენ, არ აქვთ ინტერნეტი ან შესაბამისი შესაძლებლობის ტექნიკური რესურსი. ამ შემთხვევაში ისეთი კომუნიკაციის არხებს ვიყენებთ, როგორცაა შეტყობინება, სატელეფონო კომუნიკაცია, ლიფლეტი, პოსტერი და სხვა. ის სამიზნე ჯგუფები, ვისაც ციფრული უნარები, ინტერნეტი და ტექნიკა აქვს, ინფორმაციას შესაბამისად იღებენ ციფრული პლატფორმების საშუალებით და ა.შ.“

მეტ სირთულეთანაა დაკავშირებული როგორც უშუალოდ ფიზიკური, ასევე ონლაინ ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება. სათემო ორგანიზაციების მხრიდან ხაზი გაესვა ციფრული უნარების არათანაბარ ფლობას თემის წარმომადგენლებს შორის; აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში.

ხელისშემშლელ ფაქტორად ასევე დასახელდა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა, რომელიც უშუალოდ იქნებოდა პასუხისმგებელი სათემო ჩართულობასა და კომუნიკაციაზე; ყოველივე ეს გამომდინარეობს მწირი ფინანსური რესურსებიდან; სათემო გაერთიანებებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნულ საქმიანო-

ბას ცალკე კადრი ასრულებდეს. ორგანიზაციების მიერ პრობლემად დასახელდა ფიზიკური შეხვედრების მოწყობისთვის შესაბამისი ფართის უქონლობა ან/და ინფრასტრუქტურული გაუმართაობა, რაც სათემო აქტივობებისა და დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის ბარიერს წარმოადგენს.

რაც შეეხება სათემო საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებს, ის შემდეგნაირად არის გადანაწილებული:



სათემო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ინფორმაციის მიღების კუთხით ეფექტურია პირისპირ კონსულტაციები, შეხვედრები და ანეკტირება, რადგან ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებით დაბალია ჩართულობა და ხარისხი – „მოქალაქეებთან პირდაპირ შეხვედრას თან ახლავს ემო-

ცია, რაც განსაზღვრავს კიდევ საჭიროებების მოგვარების ბედს, რაც აკლია ონლაინ შეხვედრებს“, თუმცა აქვე აღნიშნავენ სოციალური ქსელის ორმხრივი კომუნიკაციისა და ინტერაქციის უპირატესობას, როდესაც თემის წევრს უშუალოდ შეუძლია სათემო გაერთიანების წარმომადგენლებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლა – „სოციალური ქსელი, როგორც პირდაპირი კავშირი თემში მცხოვრებ ადამიანთან ძალიან გამოსადეგია“ .

ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის დასახელდა ერთიანი პლატფორმის არარსებობა, რომელიც ხელს შეუწყობდა სათემო საჭიროებების თავმოყრას; აღინიშნა, საჯარო სტრუქტურების მხრიდან არასაკმარისი ღიაობა. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა აღნიშნული საკითხის ინიცირებასა და განხორციელებაში.

როგორც სათემო ორგანიზაციები აღნიშნავენ, მუნიციპალიტეტებში ვითარდება ციფრული კომპეტენციები და შესაბამისი ინტერნეტ ინფრასტრუქტურა, რასაც თავის მხრივ ცხადყოფს კიდევ ინტერნეტიზაციის მზარდი სტატისტიკა, თუმცა შესაბამისი უნარ-ჩვევების ქონა მაინც გამოწვევად რჩება – „ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ციფრული უნარები ისევ განვითარების პროცესშია. ნაკლებად შუქდება სათემო პრობლემები, ან ჩვენი შესაძლებლობები და შეთავაზებები. არ არის ადგილობრივი არც ბეჭდური და არც სხვა სახის მედია და საინფორმაციო საშუალებები (ტელევიზია), რადიო, სადაც ადგილობრივი ინფორმაცია გაშუქდება აქტუალურად. მრავალაფეროვანი საკომუნიკაციო საშუალებები არ არსებობს. აქტიურად ვსარგებლობთ პირადი და სატელეფონო კომუნიკაციით.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ორგანიზაციების წარმომადგენლები თვლიან, რომ სათემო ჩართულობის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების პარალელურად, ინტერნეტის მეშვეობით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება აქტიური სათემო ჩართულობის გზების, პლატფორმების და მიდგომების შესახებ;

- სათემო ლიდერების იდენტიფიცირება და გადაამზადება, რომელიც ხელს შეუწყობს სათემო პასუხისმგებლობის ჰორიზონტალურ გადანაწილებას;

- საჯარო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, ჩართულობის და თანამშრომლობის ეფექტური, ალტერნატიული გზების გამონახვა. მუნიციპალიტეტების მხრიდან შედეგზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა, სათემო პრობლემების ადვოკატირება და ორმხრივი კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვა-გავრცელება;

- ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების კომპეტენციის ამაღლება ეფექტური სათემო ანგარიშგადებულების და სამოქალაქო ჩართულობის კუთხით, მათ შორის თანამედროვე მედია საშუალებების გამოყენების გზით.

- საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტერნეტიზაციის ტემპის დაჩქარება, ტექნიკურ აღჭურვილობაზე წვდომა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ადგილზე დამაგრებში დასახლებების განვითარებასა და სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებაში ადგილობრივი სათემო ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სათემო ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუებზე და მოყვანილ რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით სრულიად ცხადია სასაზღვრო დასახლებებში ინტერნეტიზაციის და ციფრული უნარების განვითარების ტენდენცია, თუმცა ამავდროულად აღნიშნული პროცესი არასაკმარისი ინტენსივობით ხასიათდება და ხშირად ტექნიკურ თუ ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს თან სდევს საზოგადოებ-

რივი განათლების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამადლების პროგრამებისა თუ ინოვაციური მიდგომების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ სათემო ორგანიზაციები, როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე გაცემის ძირითად გზად სოციალურ ქსელებს იყენებენ, თავადვე აცნობიერებენ იმ შეზღუდვებსა თუ რისკებს, რაც აღნიშნული პროცესის თანმდეგია.

კახეთის საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში არსებული სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მაგალითები ცხადყოფენ ამ ორგანიზაციათა ფუნქციის მნიშვნელობას, თუმცა დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ინტერვენციები ხშირად სისტემურ ხასიათს არ ატარებენ. წარმატებულია ის სათემო ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსური მდგრადობის მიღწევას სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით ცდილობენ, მათ შორის სოციალური მეწარმეობის, რეწვის, საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარების გზით და ა.შ. თემის წევრების ჩართულობა, მათ განვითარებასა და განათლებაზე ზრუნვა ორგანიზაციების ნდობის ხარისხის ამადლებაზე დადებითად მოქმედებს; ეს კარგად ეხმიანება ადგილობრივად არსებული დემოკრატიული თვითმმართველობის იმ მოდელს, რომელსაც საუკუნეების წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (და მათ შორის კახეთის) თემები ქმნიდნენ.

სათემო ორგანიზაციების გაძლიერება, მათი ხელშეწყობის სხვადასხვა მექანიზმის დანერგვა, მხარდაჭერა მუნიციპალიტეტების მხრიდან, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება მნიშვნელოვანი ელემენტია საზღვრისპირა დასახლებების შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

დასკვნა

კახეთი ჩვენი ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობს. იგი მდინარეების ივრისა და ალაზნის აუზებს მოიცავს, ბუნებრივ-გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია. წერილობითი წყაროების მიხედვით, ამჟამინდელი კახეთის ტერიტორიაზე არსებობდა არაერთი მცირე „ქვეყანა“ (საკუთრივ „კახეთი“, „კუხეთი“, „ჰერეთი“, „წუქეთი“, „სუჯეთი“, „კამბეჩანი“), რომლებიც ერთი წარმომავლობის ან მეტ-ნაკლებად მონათესავე ტომებით იყო დასახლებული. დროდადრო ხდებოდა ამა თუ იმ „ქვეყნის“ სხვათა ხარჯზე გამსხვილება, ახალი პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ერთეულის წარმოქმნა. ამას მოსდევდა ზოგიერთი „ქვეყნის“ მომცველი ტერიტორიის გაფართოება, ზოგიერთის დამცრობა ან ხორონიმის სრულად გაქრობა. ბუნებრივია, მსგავსი ცვლილებები ხელს უწყობდა ეთნოგენეტიკური და ეთნოპოლიტიკური პროცესების გააქტიურებას.

კახეთი ადამიანის მიერ უძველესი დროიდან იყო ათვისებული. პალეოანთროპოლოგიური კვლევები ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ სულ ცოტა, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული საქართველოს ეს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე დასახლებული იყო მკვიდრი ტომებით; ამ მოსახლეობაში, ისე როგორც მთელ კავკასიაში, დადასტურებულია სამხრეთევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი, რომელიც გარკვეული პოლიმორფულობით ხასიათდება; ის არ იცვლება ათასწლეულების განმავლობაში, რაც გვიანანტიკური ხანის კრანიოლოგიური მასალითაც დასტურდება; დროის ასეთ ხანგრძლივ მონაკვეთში ანთროპოლოგიური ტიპის მდგრადობა ასაბუთებს, რომ კახეთის უძველესი მოსახლეობის სუბსტრატმა გაუძლო სხვადასხვა ინფილტრაციასა და მიგრაციულ ნაკადთა შერევებს; აღნიშნულ მოსახლეობას და მის კავკასიურ სამე-

ზობლოს ერთი გენეტიკური წარმომავლობა ჰქონდათ. დნმ-ის გენეტიკური მარკერების შესწავლამ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ანთროპოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

კახეთის უძველესი მოსახლეობის უწყვეტ სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე მიუთითებს არქეოლოგიური მასალა. აქ ქვედა პალეოლითიდან მოკიდებული ყველა არქეოლოგიური ეპოქის ძეგლებია გამოვლენილი. უადრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყოველი არქეოლოგიური კულტურა გენეტიკურ კავშირშია თავის წინამორბედთან და უყოყმანოდ იკვეთება განვითარების უწყვეტი ჯაჭვი. ეს კარგად მისადაგება ანთროპოლოგთა კვლევის შედეგებს.

გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურზე (რომელსაც ადრერკინის ხანასაც უწოდებენ), უფრო ზუსტად ძვ. წ. XI-X სს-ში, იორ-აღაზნის აუზში ერთი არქეოლოგიური კულტურის სამი ლოკალური ვარიანტი გამოიკვეთა, რომელთა გაერცვლების არეალი თითქმის ზუსტად ემთხვევა „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების – კახეთ, კუხეთ, ჰერეთის საზღვრებს. ეს კი იმის დასტურია, რომ თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქაში გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურის ლოკალური ვარიანტების შემოქმედნი ადგილობრივი, ქართველური მოდგმის ტომები – კახები, კუხები და ჰერები იყვნენ.

ნაშრომში ტერმინები: კახეთი, კუხეთი და ჰერეთი გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია განხილული. საისტორიო წყაროების მიხედვით, წარმოდგენილია თანამედროვე კახეთის „ქვეყნის“ ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია, გამოყოფილია მისი ცალკეული ეტაპები. სახელწოდება კახეთი, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, თავდაპირველად მოიცავდა კახოსის კუთვნილ სამამასახლისოს ტერიტორიას; მომდევნო პერიოდში, ფარნავაზიანთა ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში, კახეთის სამამასახ-

ლისო „ქვეყანა“ კახეთის საერისთავოდ იქცა; VIII ს–ში კახეთის საერისთავოს ბაზაზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი ფეოდალური პოლიტიკური ერთეული – კახეთის სამთავრო; XI ს–ის 20–იან წლებში, ჰერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ, შეიქმნა კახეთის სამეფო; დავით აღმაშენებლის დროიდან კახეთის სამეფო ერთიანი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია; საქართველოს დაშლის შემდეგ (XV ს.) წარმოიშვა გვიანი შუა საუკუნეების კახეთის სამეფო. 1762 წლიდან კახეთი იყო გაერთიანებული ქართლ–კახეთის სამეფოში, რომელიც 1801 წლიდან რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა და იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა; 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს ანექსიამდე და იძულებით გასაბჭოებამდე კახეთი საქართველოს პირველი რესპუბლიკის, 1931 წლის 25 თებერვლიდან სსრკ–ს დაშლამდე – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ. 9 აპრილი) შემდეგ, საქართველოს ერთ–ერთი ადმინისტრაციულ–გეოგრაფიული ერთეულია.

კახეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცვლილებას განიცდიდა „ქვეყნის“ აღმოსავლეთი საზღვარი. ნაშრომში, პირველწყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით, ნახვენებია, თუ როგორ ხდებოდა ხსენებული საზღვრის თანდათანობით დასავლეთისკენ გადმოწევა. 1555 წლის ირან–ოსმალეთს შორის გაფორმებული ამასიის ზავის შემდეგ, ირანმა კახეთის სამეფოს წუქეთი (წახურის სამფლობელო), მდ. სამურის ზემო წელზე მდებარე მხარე, ჩამოაცილა; მოგვიანებით 1604 წ. აბას I–მა (1587–1629 წწ.) კახეთის მეფეს, ალექსანდრე II–ს (1574–1605 წწ.) კაკ–ენისეღის პროვინცია გამოსთხოვა და იქ მუსლიმური სასულთნო დააარსა. ასე დაკარგა კახეთმა თავისი ჩრდილო–აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც XVII ს–ის დასასრულსა და XVIII ს–ის პირველ მეოთხედში, ირან–ოსმალეთის ხელ–

შეწყობით, ინტენსიურად იწყეს დასახლება ავარიელმა და წახურელმა ლეკებმა. ჭარის, ბელაქნისა და თალას ე. წ. „უბატონო თემები“ ისე გაძლიერდნენ, რომ ნაწილობრივ კახელი გლეხებიც გადაიბირეს და „გაალეკეს“, ხოლო მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებ თავად-ახნაურთა დიდი ნაწილი ალაზნის გამოღმა გადმორეკეს... 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა გაწეული სამსახურის საფასურად ჭარელ ლეკებს ფირმანით მიტაცებული მიწები დაუმტკიცა. ასე ჩამოყალიბდა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში (დღევ. საინგილო) ჭარ-ბელაქნელ ალაღართა სახელმწიფო, რომელმაც მალე ელისუს სასულთნოც დაიქვემდებარა. აღმოსავლეთის საზღვარმა მდ. ყაფუ-ჩაიდან დასავლეთით, მდ. გავახისწყალზე გადმოინაცვლა. ლეკთა თარეშმა დამანგრეველი ხასიათი მიიღო. მოსახლეობა (თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1614–1617 წლებში შაჰ აბას I-ის არაერთგზის ლაშქრობის შემდეგ კახეთმა ადამიანური რესურსის ორი მესამედი დაკარგა) „ლეკიანობას“ ვერ უმკლავდებოდა. არაერთი ცდის მიუხედავად ეს პრობლემა თეიმურაზ II-მ (1744–1762 წწ.) და ერეკლე II-მაც (1744–1798 წწ.) ვერ გადაჭრეს. ამ გამუდმებულ ომებში იყო მარცხიც და წარმატებაც, მაგრამ ალაზნის მარცხენა სანაპიროს, ანუ გაღმა-მხარის შემოერთების გარეშე „ლეკიანობის“ აღმოფხვრა შეუძლებელი იყო. ეს იწვევდა ალაზნის გამოღმა ტერიტორიის გაუკაცრიელებას. მუდმივი თარეში ხსენებულ მიწებზე მკვიდრად დასახლების საშუალებას არ იძლეოდა. მოსახლეობის დამაგრებისა და ინტენსიური მეურნეობის აღორძინებისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი მშვიდობა, სტაბილურობა, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება... მაგრამ ამ მიზნებს წინ ეღობებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთ-ირან-ოსმალეთის დაპირისპირება, რომელიც რუსეთის იმპერიის გამარჯვებით დასრულდა. ახლადშემოერთებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისას, რუსეთი

არაფრად აგდებდა არც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და არც ისტორიული სამართლიანობის პრინციპს. ამავდროულად, მის ხელში იყო მიგრაციული პროცესების მართვაც, რომლის მეშვეობითაც ხელოვნურად ასხვაფერებდა ამა თუ იმ რეგიონის ეთნიკურ სურათს, რასაც თავისი ბატონობის ქმედით იარაღად იყენებდა. ამან ღრმა კვალი დაატყო კახეთის (და საერთოდ საქართველოს) ისტორიულ საზღვრებს და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას.

1830 წელს რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო ჭარ-ბელაქანი. იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ჭარ-ბელაქანი 1803–1830 წლებში იყო „საქართველოს მოხარკე ქვეყანა“, 1832–1845 წლებში – საქართველოს შემადგენელი ნაწილი, 1844–1860 წლებში – ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, ხოლო 1860 წლიდან 1917 წლამდე – ზაქათალის ოლქი. ეს უკანასკნელი, რომელიც თითქმის ემთხვევა დღევანდელ საინგილოს, თბილისის გუბერნიაში შედიოდა.

1917 წლის თებერვლის მოვლენებმა მთელ იმპერიაში და, რა თქმა უნდა, კავკასიაშიც არეულობა გამოიწვია. ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა, ზაქათალის ოლქს აზერბაიჯანი დაეპატრონა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობა დიპლომატიური გზით ცდილობდა ჯერ მუსავატურ, შემდეგ კი საბჭოთა აზერბაიჯანთან საზღვრის საკითხის მოგვარებას. ამაში მას რუსეთის იმედი ჰქონდა, რომელიც 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 პარაგრაფის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის „უდავო შემადგენელ ნაწილებად“ აღიარებდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრასა და ოლქს, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს. ბაქოელმა ბოლშევიკებმა საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს და მოსკოვში სათანადო დეპეშა აფრინეს. საბჭო-

თა რუსეთმა უმაღვე შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ვერც აქ გამოიჩინა პრინციპულობა და შორსმჭვრეტელობა... 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა კიდევ ერთხელ განახორციელა საქართველოს ანექსია, მოხდა ქვეყნის იძულებით გასაბჭოება.

აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის დაწყებულ სასაზღვრო დავაში საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება და განსაკუთრებით მისი ქართული წარმომავლობის ლიდერები თავიანთი აზერბაიჯანელი „ამხანაგების“ მხარეზე იდგნენ. 1921 წლის 5 ივლისს თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლის უმთავრესი დებულება პირველივე მუხლში აისახა: „პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის რჩება უცვლელი, რამდენადაც ამაზე განსაკუთრებულად არ არის ლაპარაკი შემდეგ მუხლებში“. ბოლშევიკურმა მთავრობამ ენით აუწერელი გულარხეინობით გადასცა აზერბაიჯანს ძირძველი ქართული მიწა (ზაქათალის ოლქი), ესეც არ იკმარეს და სადავოდ იქნა მიჩნეული ჭიაურის ტყის მასივი, შირაქის ალაზნისპირა ველი, ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრები, გარეჯის ზამთრის საძოვრები, სასაზღვრო ხაზის დავით გარეჯის აგარაკიდან მდინარე მტკვრამდე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე აზერბაიჯანული მხარე, ოსტატურად ლავირებდა მხოლოდ საკუთარი „მშრომელი მასების“ ეკონომიკური ინტერესებით და ხშირ შემთხვევებში წარმატებებსაც აღწევდა.

1936 წლის ა/კ-ის სსფრ დაიშალა. მასში გაერთიანებული რესპუბლიკები დამოუკიდებლად შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. საჭირო გახდა ამ რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენა. 1938 წლის 23 მარტის საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აზერბაიჯანის სასარგებლოდ 3627 კმ2 ფართის მქონე პირქველი მიწა გაასხვისა.

გვიანი შუასაუკუნეების ისტორიული მოვლენები მტკივნეულად აისახა საკვლევ რეგიონზე და იგი მთლიანად გაუკაცრიელდა. საქართველოში გაბატონებული რუსეთის იმპერია შეეცადა ეთნომიგრაციული პროცესების საშუალებით თავისთვის სასურველი სურათი შეექმნა და ეს მხარე სამხედრო სამსახურიდან გადამღვარი ჯარისკაცების, სექტანტების, სხვადასხვა აჯანყებებში მონაწილე თუ იმპერიისთვის არასასურველი პირების ჩასახლების ადგილად აქცია. ასე აღმოჩნდნენ აქ რუსები და პოლონელები. წერილობითი წყაროებისა და საკვლე მონაცემების მიხედვით, მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში ამ რაიონებში დამკვიდრდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის, დასავლეთ საქართველოსა (იმერეთი, რაჭა) და კახეთის სოფლებიდან გადმოსული ქართული მოსახლეობაც, რასაც მეტად გულშემატკივრობდა მაშინდელი მოწინავე ქართული საზოგადოება. XIX საუკუნეში ერეკლე მეორის მიერ ჩამოსახლებული თურქმანების შთამომავლებმა, ქვემო ქართლიდან და აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან გადმოსულმა მომთაბარეებმა კომპაქტური დასახლებები შეიქმნეს დღევანდელი ლაგოდეხისა (კაბალის თემი) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში (იორმულანლოს მიდამოებში). 1918 წელს აზერბაიჯანიდან გადმოსული სომხები დამკვიდრდნენ სოფელ საბათლოში. XX საუკუნის 30-იან წლებში აზერბაიჯანიდან, კახის რაიონის სოფ. ყორაღანიდან გადმოსახლებულმა ქართველებმა (ინგილოებმა) ქედების ზოლის დაბლა დაარსეს სოფელი ახალი ყორაღანი, რომელსაც მოგვიანებით სამთაწყარო ეწოდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ დასახლებულ ინგილოებს აჭარელი ეკომიგრანტებიც დაემატნენ. იმავე პერიოდში პატრიოტულად განწყობილი ქართველი ფუნქციონერების ინიციატივით, აზერბაიჯანთან მოსაზღვრე მიწების ათვისებისა და

იქ ქართველთა ჩასახლების მიზნით, დაარსდა სოფლები: ერისიმედი, ფიროსმანი და უდაბნო, სადაც, ძირითადად, სვანეთიდან და აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტები დამკვიდრდნენ.

საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ტრადიციული დარგები, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენს. რადგან საკვლევი სოფლების სავარგულები დიდი ხნის მანძილზე თითქმის მთლიანად საძოვრად გამოიყენებოდა, ამის გამო მისი ნაყოფიერება ძალიან გაიზარდა და როგორც მარცვლეულის, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა ხელსაყრელი გახდა. ამასთანავე, კოლექტივიზაციის პირობებში მექანიზაციის გამოყენებამ, სელექციით გამოყვანილი მცენარეთა ჯიშების დანერგვამ და სამეურნეო დარგების უნიფიკაციის პროცესმა საკმაოდ გაზარდა მიწათმოქმედებიდან მიღებული შემოსავალი.

კახეთში ჩასახლებული თურქმანები ადგილობრივ სამეურნეო-ეკოლოგიურ და ლანდშაფტურ გარემოს მოერგნენ. ისინი მთაბარობის ტრადიციულ სისტემაში ჩაებნენ. XX საუკუნის 30-იან წლებში, მასობრივი კოლექტივიზაციის პირობებში, საგარეჯოში, იორმუდანლოს მიდამოებში მცხოვრებ აზერბაიჯანულ სოფლებში, პირუტყვი საზოგადოებრივ მეურნეობებში გააერთიანეს და მეურნეობის წამყვან დარგად კვლავ მეცხოველეობა, ძირითადად მეცხვარეობა დატოვეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში ცხვრის ფარები კერძო მფლობელობაში გადავიდა და აქაური მოსახლეობა დღემდე მესაქონლეობას მისდევს. საოჯახო მეურნეობებში მცირეოდენი წილი უჭირავს ბახჩეულსა და სხვა სამეურნეო კულტურებს. „საზაფხულო საძოვრების, სიმცირის გამო ოირ-მუდანლოდან ცხვრის ფარებს ზაფხულობით გამოსაკვებად მიერეკებიან როგორც მეზობელ მუნიციპალიტეტებში ასევე ჯავახეთსა და თრუსოშიც. იორ-მუდანლოსაგან განსხვავებული მდგომარეობაა

ლაგოდებსში, კაბალის თემში, მცხოვრებ აზერბაიჯანელებში. აქ, მესაქონლეობის შეზღუდვის ხარჯზე, თანდათანობით გაიზარდა მიწათმოქმედების ხვედრითი წილი. ახალ ვითარებაში ლაგოდების ზონაში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ორიენტაცია სასათბურე მეურნეობების მოწყობისა და ბაღჩეული კულტურების (კიტრი, პომიდორი) მოყვანაზე აიღეს. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობით ირჩენენ თავს. რეგიონის მოსახლეობის შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი აქვს შრომითი მიგრაციის შედეგად მიღებულ სახსრებს. აზერბაიჯანელების მიგრაციის ვექტორი ძირითადად ყაზახეთისაკენაა მიმართული, ქართველებისა – დასავლეთის ქვეყნებისაკენ, ხოლო სომხების – სომხეთისა და რუსეთისაკენ.

სსრკ-ს დაშლისა და ყოფილ რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო რეჟიმის დაწესების შემდეგ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ისარგებლა საზღვართან სიახლოვით და საკუთარი ბიზნესი ამ ვითარებიდან გამომდინარე ააწყო. 2020 წელს კოვიდ 19-ის პანდემიის გამო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ადამიანების მიმოსვლა შეიზღუდა, რაც დღემდე გრძელდება. ამან ხსენებული საქმიანობით დაკავებული პირების შემოსავალს მძიმე დარტყმა მიაყენა.

საკვლევ რეგიონში ერთგვარი გარეგნული სიმშვიდის მუხედავად, სიტუაცია საკმაოდ რთულია. საბჭოთა ათეისტური სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ გაიზარდა ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრებისა და ღვთისმსახურთა რიცხვი, ამასთანავე შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი ახალი რელიგიური მიმდინარეობების შემოტანა-გავრცელებისათვის. კონფესიური კუთვნილება გარკვეულ ჯგუფებთან გაიგივების უმნიშვნელოვანეს ნიშნად იქცა, რაც განსხვავებული მიმდინარეობის წევრების მიმართ ნეგატიური განწყობას ზრდის. შექმნილ ვითარებაში უცხოეთიდან მანამდე უცნობი რელიგიური მიმდინარეობების შემოსვლა არამარტო

კონფესიური სტრუქტურის მნიშვნელოვან გართულებას, არამედ რიგ შემთხვევაში რელიგიური და საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა რღვევას და შიდა წინააღმდეგობებს განაპირობებს. საფრთხის შეგრძნებას ამწვავებს ის, რომ საზღვარგარეთიდან შემოსული მიმდინარეობები უცხო პოლიტიკური თუ რელიგიური ძალების მიერ ქვეყანაში საკუთარი ინტერესების განხორციელების ერთგვარ საშუალებად აღიქმება. ყოველივე ამას ერთვის ისტორიული რაკურსი. აღმოსავლურ სამყაროსთან ხანგრძლივი ურთიერთობა ძირითადად რელიგიურ პრიზმში განიხილება. კერძოდ, ირანისა და თურქეთის დაპყრობით პოლიტიკაში ისლამური ფაქტორის მნიშვნელობამ და ისლამის ეგიდით გატარებულმა რადიკალურმა ეთნოდემოგრაფიულმა ღონისძიებებმა სასაზღვრო რეგიონის ქრისტიან მოსახლეობაში მუსლიმთა მიმართ მყარი ნეგატიური სტერეოტიპის ფორმირება გამოიწვია. მუსლიმი უმეტესად აღიქმება როგორც მტერი, ყაჩაღი და მოძალადე. ჯგუფთაშორის ურთიერთობებს აქვთ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური განვითარების პერსპექტივა. კვლევამ გამოავლინა, რომ სახელმწიფოს შემოქმედი ეთნოსისაგან განსხვავებული ტრადიციული კულტურის მქონე და სხვადასხვა რელიგიაზე ორიენტირებული ჯგუფები მათდამი სახელმწიფოს დამოკიდებულებას სტერეოტიპულად აფასებენ. ისინი ხშირად მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ მოქმედებს დისკრიმინაციული მიდგომები. ანტითეზა „ჩვენ – ისინი“ ამ განწყობის ძირითადი მახასიათებელია. ზემოაღწერილი სიტუაცია იწვევს გაუცხოებას, უნდობლობის ჩამოყალიბებას და აფერხებს ინტეგრაციის პროცესს.

რუსული ჰიბრიდული ომის პირობებში მნიშვნელოვანია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება, რადგან არსებული პრობლემები პოლიტიკური მანიპულაციის იარაღად გამოიყენება. მით უმეტეს, რომ 450 კმ-მდე სიგრძის საერთო საზღვრის

დიდი ნაწილი დღემდე დაუდგენილია. 1996 წელს შექმნილმა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მთავრობათაშორისმა კომისიამ პირველი 15 წლის განმავლობაში საზღვრის თითქმის 70 პროცენტი შეათანხმა, მაგრამ 2007 წლიდან კომისიის საქმიანობაში დაბრკოლებები წარმოიშვა. ქართული მხარისათვის განსაკუთრებით მგრძობიარეა დავით-გარეჯისა და სოფელ ერისიმედის მიმდებარე ტერიტორიების კუთვნილების საკითხი.

სოფ. ერისიმედის საზღვართან დაკავშირებული გაურკვეველობის მიზეზი არის ალაზნის კალაპოტის ცვლილება, რის გამოც, დღევანდელი მდგომარეობით, სოფლის ნაწილი აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდა. არაერთი მცდელობის მიუხედავად ამ საკითხზე ჯერჯერობით შეთანხმება ვერ ხერხდება. პრობლემის მოგვარების შემთხვევაშიც კი აუცილებელია ორმხრივი ძალისხმევა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი მოვლენები.

ღიად რჩება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავით გარეჯის მონაკვეთის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხიც. 20 წელზე მეტია ორ ქვეყანას შორის არსებობს ერთგვარი მორატორიუმი, რომ მომლოცველებმა და ტურისტებმა შეუფერხებლად შეძლონ გადაადგილება მთელ სამონასტრო კომპლექსში. სადავო ტერიტორია ორივე სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. საქართველოსთვის ეს არის მისი ისტორიული და კულტურულ-რელიგიური მემკვიდრეობა, ხოლო აზერბაიჯანისთვის – სტრატეგიული სიმაღლე, საიდანაც ადვილია მიმდებარე ტერიტორიების მონიტორინგი. ამავდროულად, აზერბაიჯანული მხარე ყოველ ღონეს ხმარობს გარეჯის კომპლექსი ალბანურ ძეგლად წარმოაჩინოს, რაც განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ქართველ სასულიერო, ისტორიკოსთა და ექსპერტთა წრეებში. მიუხედავად ამისა, ორ ქვეყანას შორის ისტორიულად არსებული მეზობლური და სტრატეგიული

კავშირები საზღვრის პრობლემას კონფლიქტში გადაზრდის საშუალებას არ იძლევა და სტაბილური ვითარებაა შენარჩუნებული.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში გარკვეული სირთულეები უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნამ შექმნა. ენის ბარიერმა და უმცირესობების კომპაქტურად და იზოლირებულად ცხოვრებამ აღნიშნული პერიოდის საწყის ეტაპზე ამ ჯგუფთა მარგინალიზაციას შეუწყო ხელი; ამას დაემატა ეთნიკური ხასიათის დაპირისპირებები და ჯგუფთაშორისი დაძაბულობის გაჩენა. ანალოგიური ვითარება იყო საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში. მომდევნო ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ქმედითმა პოლიტიკამ (სახელმწიფო ენის სწავლების, ინტეგრაციის ხელშეწყობის, საზოგადოებრივი ჩართულობის და სხვ. პროგრამების ინიცირება) ინტერკულტურული კომუნიკაცია ახალ ეტაპზე გადაიყვანა და ეთნოსებს შორის არსებული ბარიერების თანდათანობით მოხსნას შეუწყო ხელი. თუმცადა, სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის ქართული და არაქართული თემები, ერთი მხრივ, ნაწილობრივ ჩაკეტილი სოციუმია, იმ თვალსაზრისით, რომ ეთნიკური საზღვრები მას ბოლომდე არ აქვს გახსნილი (ენის ბარიერი, საქორწილო პარტნიორის შეზღუდული არჩევანი, რელიგია), მეორე მხრივ კი – ღია (ქართული ენის ცოდნა, უმაღლესი განათლების საქართველოში მიღება, ქართული კულტურული გავლენები და ა.შ.).

პოსტსაბჭოთა პერიოდში განათლების რეფორმა ეტაპობრივად განხორციელდა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ენის პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების შემუშავებას დაეთმო („მომავალი იწყება დღეს“, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეო-

რე ენა,“ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, 1+4 პროგრამა). შედეგად, აზერბაიჯანთან მოსახლდრე სოფლებების არაქართულ (აზერბაიჯანულ და სომხურ) მოსახლეობაში, უმეტესად ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ბოლო წლებში შეიმჩნევა სახელმწიფო ენის შესწავლისადმი ინტერესის ზრდა. მშობლები, ცდილობენ ქართული ასწავლონ შვილებს, მათ სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა გააცნობიერეს, ქართული ენის ცოდნა პრეტიუული გახდა; ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ნაწილს თავიანთი შვილები ქართულ სკოლებში შეჰყავთ.

არადომინანტი ეთნოსების განათლების საკითხების მოგვარებისთვის გატარებული რეფორმების მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს გარკვეული პრეტენზიები. ვფიქრობთ ინტეგრაციის პოლიტიკაში უცილებლად გასათვალისწინებელი იქნება მათი მოთხოვნებიც:

- არაქართულენოვან სკოლებში მომუშავე ქართველმა მასწავლებლებმა სასურველია იცოდნენ იმ არადომინანტი ეთნოსების ენა, რომელ სკოლაშიც ასწავლიან (ჩვენ შემთხვევაში, აზერბაიჯანული, სომხური);

- არ უნდა იყოს დიფერენცირებული პედაგოგების ხელფასები;

- უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ტრანსპორტირების პრობლემა;

- არაქართულენოვან სკოლებში მშობლები ითხოვენ ქართული ენის უკეთ სწავლებას;

- უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების კუთხით განათლების სამინისტრომ უფრო მეტად უნდა მიაქციოს სკოლებს ყურადღება, დაარსდეს ახალი ან გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს არსებული სპორტული და სახელოვნებო წრეები/ცენტრები;

- საქართველოს უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის 1+4 პროგრამაზე ქართული ენის შესწავლა გახდეს უფასო;

• აზერბაიჯანული და სომხური ენის სახელმძღვანელოები გამოიცეს საქართველოში

აზერბაიჯანთან მოსაზღვრე კახეთის რეგიონის უმცირესობით დასახლებულ სოფლებში ახალგაზრდა თაობის განათლების საკითხი სახელმწიფოს სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომლის წამატებით გადაჭრა უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან და თანაბარ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

მოსახლეობის ადგილზე დამაგრების კუთხით, დასახლებების განვითარებასა და სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები, რომლებიც ინტენსიურად ახორციელებენ სხვადასხვა სათემო აქტივობებს. აღსანიშნავია ქალაქ წნორში არსებული „ცოდნის კაფე“, რომელიც კახეთის რეგიონის მასშტაბით მოქმედებს. მისი პრინციპი „ცოდნის და რესურსების გაერთიანება, დაკავშირება და გაცემაა“. ორგანიზაცია პასუხობს სათემო გამოწვევებს და მოიცავს ფართო ასაკობრივ სეგმენტზე გათვლილ აქტივობებს. მისი წევრები ახორციელებენ პროექტებს, რომელიც საგანმანათლებლო, სამოქალაქო და სათემო ჩართულობის გაძლიერებისკენ არის მიმართული. თემატურად მათი პროექტები მოიცავს მეწარმეობის გაძლიერების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის და ზოგადი განათლების მიმართულებებს, რისთვისაც ცდილობენ, როგორც ადგილობრივი ადამიანური რესურსის მობილიზებას, ასევე მოწვეული სპეციალისტების ჩართვას. ორგანიზაციას სათემო პრობლემატიკის სიღრმისეული ცოდნის გარდა, გააჩნია მონაცემები ლოკალურად არსებულ ადამიანურ რესურსებზე, რაც აადვილებს სათემო კავშირების ჩამოყალიბებას.

პანდემიის პირობებში ცოდნის კაფემ სოფელ ერისიმედში განახორციელა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საინფორმაციო კამპანიები. ამავე პერიოდში ონლაინ სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე, ადგილობრივი

სკოლიდან შერჩეულ რამდენიმე მოსწავლეს გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, რისი მეშვეობითაც მათ შესძლეს სასწავლო პროცესში ჩართვა. ორგანიზაციის ინიციატივით, ასევე გამდიდრდა სკოლასთან არსებული ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდი და გაუმჯობესდა სკოლის ინფრასტრუქტურა.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (ელექტრო), თავისი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად აძლიერებს, როგორც ინდივიდებს, ასევე მიზნობრივად ეხმარება სხვადასხვა ტიპის ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებებს. სამიზნე მიმართულებებს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და მცირე ბიზნესის მიმართულებები, სოციალური მომსახურების გაძლიერება.

უშუალოდ საკვლევ საზღვრისპირა დასახელებებში განხორციელებული პროექტის ფარგლებში, გამოვლინდა დადებითი ურთიერთკავშირი -ის აქტივობებსა და დასახელებების ბენეფიციარებს შორის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. პროექტის ბენეფიციარები, საჭიროებიდან გამომდინარე იღებდნენ მიზნობრივ ტექნიკურ მხარდაჭერას. მაგ., სოფელ ფიროსმანში მცხოვრებ ბენეფიციარებს გადაეცათ თანამედროვე სახნავ-სათესი მანქანა-დანადგარები; მოეწყო ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობა.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნით, სათემო ორგანიზაციები საქმიანობენ ცოდნის გავრცელების კუთხითაც, მათ შორის, თანამედროვე ინოვაციური მეთოდების და მიდგომების დანერგვის მიმართულებით. მაგალითად, სოფელ სამთაწყაროში მხარდაჭერილი იქნა წამოწყება „წალმის გადამუშავება ალტერნატიული საწვავის წარმოების მიზნით“. ამავე სოფელში -ის მხარდაჭერით განხორციელდა 83 ჰექტარზე გაშენებული კაკლის ბაღის სარწყავი სისტემის სრულყოფა, მოეწყო მცირე სამკერვალო საამქრო და ა.შ.

მნიშვნელოვანია სათემო ორგანიზაცია „უკრიანის სახელოსნოები“, რომელიც სიღნაღის მუნიციპალიტეტში საქმიანობს და სოციალური საწარმოს პროფილი აქვს. სათემო ორგანიზაცია ხელს უწყობს ადგილობრივი ახალგაზრდების, განსაკუთრებით ქალების დასაქმებას, მათ ეკონომიკურ და სოციალურ გაძლიერებას ტრადიციული რეწვის და ხელსაქმის შესწავლის გზით. ორგანიზაციას ასევე აქვს მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩართულობის მიმართულებით.

აღნიშნულ ინიციატივათა წარმატებულ შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს პროექტების ინოვაციური, საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგია და მდგრადი და გრძელვადიანი ფინანსური მხარდაჭერა.

ამდენად, კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების უმეტესობა საკვლევი რეგიონის საზღვრისპირა მდებარეობამ განაპირობა. დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კვლავ დგას საზღვრის მოწესრიგების საკითხი. მიგვაჩნია, პრობლემის გადაჭრა საშური საქმეა, რადგან ისტორიამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ ქვეყნებს შორის ზუსტი მიჯნის დადება და მისი პატივისცემა კეთილმეზობლობისა და მშვიდობის უაღტერნატივო პირობაა. ვიმედოვნებთ, რომ პროცესი ისე წარიმართება, როგორც ეს მეზობელ პარტნიორ ქვეყნებს ეკადრებათ.



კახეთის სამეფო XV საუკუნის მეორე ნახევარში. - საქართველოს ისტორიის ატლასი. მთავარი რედაქტორი დავით მუსხელიშვილი, თბილისი, 2003



კახეთის სამეფო XVII საუკუნეში. - საქართველოს ისტორიის ატლასი. მთავარი რედაქტორი დავით მუსხელიაშვილი, თბილისი, 2003



კახეთის სამეფო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. - საქართველოს ისტორიის ატლასი. მთავარი რედაქტორი დავით მუსხელიშვილი, თბილისი, 2003



სალოცავი, სოფ. უდაბნო



სასაფლაო, სოფ. კაბალი



სომხური საჯარო სკოლა, სოფ. საბათლო



სოფ. იორმუღალო



სოფ. იორმუღალოელთა ფარა



სოფ. ფირსმანი



მეჩეთი, სოფ. კაბალი



საზღვარი ალაზანზე, სოფ. სამთაწყარო



სალოცავი, სოფ. სამთაწყარო

წიგნის 175-ე გვერდზე წარმოდგენილი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სქემატური რუკა გადმოტანილია ნაშრომიდან – საქართველოს თანამედროვე საზღვრები: ისტორია. ავტორი: ბექა კობახიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გიორგი ფარცხალაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ხელმისაწვდომია: პტტ.პს://ცივილ.კე/კ/არცპიფეს/422459?ფბცლიდ=17 ლ18 მ 06 ღუხ 6 2 ე41 თ4ფ23მნვ ღვენლ ჟგაძლოს– ე3

სარჩევანი

წინასიტყვაობა.....	3
თავი I. კახეთის წარსულიდან (ვალერიან ვაშაკიძე).....	8
§ I. კახეთის უძველესი მოსახლეობა და მისი განსახლების არეალი.....	8
§ II. ქვეყანა „კახეთი“ და მისი აღმოსავლეთი საზღვრები.....	51
თავი II. სამეურნეო ყოფა და ტრადიციული კულტურა (ლავრენტი ჯანიაშვილი).....	88
§ I. ახალი დასახლებები.....	88
§ II. სამეურნეო ყოფა.....	109
§ III. ინტერრელიგიური ურთიერთობა და ეთნოსახელმწიფოებრივი იდენტობა.....	130
თავი III. სასაზღვრო რეგიონის ეთნოკულტურული სპეციფიკა და ინტერკულტურული კონფლიქტების პერსპექტივები (ნათია ჯაღაბაძე).....	162
§ I. საქართველო-ზერბაიჯანის საზღვართან დაკავშირებული პრობლემები პოლიტიკურ კონტექსტში.....	162
§ II. ინტერკულტურული კომუნიკაცია და საზღვრისპირა მოსახლეობის ყოფის სოციალური ასპექტი.....	190
§ III. განათლების საკითხი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა ზონებში.....	221
თავი IV. სათემო ორგანიზაციების როლი კახეთის საზღვრისპირა დასახლებებში (ვახტანგ ურუშაძე).....	245
§ I. ზოგადი მიმოხილვა.....	245
§ II. თემი და სათემო გაერთიანება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია.....	254
§ III. სათემო ორგანიზაციების გამოწვევები და აქტიურობა საზღვრისპირა სოფლებში.....	265
დასკვნა.....	280

